პაატა ცხადაია
ვილენა ჯოჯუა

# რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი

# III

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2010

უაკ ( UDC ) 811.353. 1373.21

„რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, III” მოიცავს ამბროლაურის რაიონის (მუნიციპალიტეტის) აღმ. ნაწილის ტოპონიმიის სალექსიკონო მასალას. იგი გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ონომასტიკის სამეცნიერო–კვლევით ცენტრში. რაიონის დიდი თუ მცირე ობიექტების სია შედგა ჯერ კიდევ 1978–1979 წლებში, ხოლო XXI ს–ში ჩატარდა სრული აღწერა და გამოსაცემად მომზადებული ვარიანტი 2009 წლის აგვისტოში დაურიგდა საკრებუ-ლოების გამგებლებს გადასამოწმებლად და დასაზუს-ტებლად. წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილს ეწოდება „საკრებულოები, სოფლები, რესპოდენ-ტები“. მეორე ნაწილში ამ სოფლების ტოპონიმია წარმოდ-გენილია საერთო ანბანის რიგზე. ვინც შენიშნავს უზუს-ტობას, ან სულაც გამორჩენილ ტოპონიმს მიაგნებს, ვთხოვთ, სათანადო ინფორმაცია გამოაქვეყნოს რაიონულ გაზეთში ან გამოაგზავნოს ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის მისამართზე: თბილი, ჭავჭავაძის გამზირი, 13, თსუ მე–8 კორპუსი.

რედაქტორი, **პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე**

© პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა 2010

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2010**

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, : 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
–მაილ: universal@internet.ge;

ISBN 978-9941-17057-7

## წინასიტყვაობა

თითოეული ტოპონიმი – დიდი თუ მცირე ობიექტის სახელი, შეიცავს გარკვეულ (და ჩვენთვის მალზე მნიშვნელოვან) ინფორმაციას ამა თუ იმ მხარის, სოფლის, უბნის შორეულ თუ ახლო წარსულზე, ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ადგილის სახელწოდებათა (განსაკუთრებით მიკროტოპონიმთა) დიდი ნაწილი დროთა განმავლობაში ქრება, რასაც ხელს უწყობს ურბანიმიზაციული პროცესები: მე–20 ს. მეორე ნახევარში დაიცალა მრავალი სოფელი, განსაკუთრებით, გზამიუვალი და რაიონისა თუ თემის ცენტრიდან მოშორებული. ამის გარდა, ჩვენმა მამა–პაპებმა, რომელთაც დაწვრილებით იცოდნენ მშობლიური მიწა–წყლის ადგილის სახელები (და, ვთქვათ, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალაც), ცხოვრების წლები გალიეს და იმქვეყნიურ საუფლოში დამკვიდრდნენ, რითაც მათი ცოდნა–გამოცდილება, მათი ინფორმაციული დატვირთულობა ჩვენთვის მიუწვდომელი გახდა. ახალი თაობა კი, რომელიც ჯერ კიდევ ოციოდე წლის წინ წიგნს იყო მიჯაჭვული, ხოლო ამჯერად კომპიუტერს ვერ შორდება, მშობლიური კუთხის, ქალაქის, სოფლის, უბნის ტოპონიმიის 10%–საც ვერ დაგისახელებს.

ერთისტყვიანი ტოპონიმის დაწერილობის საკითხი სადავო არ არის. ორ და მეტფუძიანი გეოგრაფიული სახელების მართლწერის ძირითადი წესები ჩამოყალიბებული და რეალიზებულია „საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (თბ., 2008). ეს წესები დაცული გვაქვს „რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანის“ I და II წიგნებში (ეძღვნება ონის რაიონის ტოპონიმურ მასალას). აქ წარმოვადგენთ რამდენიმე მთავარ დებულებას:

ერთ სიტყვად (შერწყმულად) იწერება მსაზღვრელ–საზღვრული, თუკი:

1. მსაზღვრელის ბოლო ნაწილი ან ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია სრულად ან ნაწილობრივ: ივანუკაყანეები (< ივანუკას ყანეები), გძელველი (< გრძელი ველი), ზესომიწო (< ზედა სომიწო), დათვიბეჩო, სამზიარი, ცივწყარუა, მაღალტყე, ხარისაკლავა...

2. მართულ მსაზღვრელს მოსდევს საორიენტაციო დანიშნულების აღმნიშვნელი ლექსემები (**ბოლო**, **განი, კარი, ძირი** და მისთ.) ან მეტაფორული ნომენები (ცოცხალი არსების ამა თუ იმ ნაწილის აღმნიშვნელი ლექსემა), როგორიცაა: **თავი, თვალი, პირი, ყელი, მუხლი, ფეხი, შუბლი, წარბი** და სხვ. მაგალითები: კალოისბოლო, კალოისწვერი, ციხისძირი, კდისთავი, აქლემიყელი...

3. ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი აღნიშნავს მცენარეს, ცხოველს, ფრინველს, საგანს (და არა ტოპონიმს, ანთროპონიმს...), მაგ.: კენჭისწყალი, მტრედისწყარო, არწივისკდე, სოფლისგზა...

4. ბოლო კომპონენტი წარმოადგენს თანდებულს ან ზმნიზედას (ან მათგან წარმოქმნილ ზედსართავ სახელს), მაგ.: კალოსუკან, ზურგსიქით, არყებსუკანი, კორტქვეშ, რუთაშუა, ღომიაქვეში (ღომია მსხლის ჯიშია), საკირეთანა//საკირეთნები...

5. ერთ–ერთი კომპონენტი ერთმარცვლიანი სიტყვაა, ხოლო მთლიანად ტოპონიმი – მოკლე, მაგ.: ვაკემთა, ღრმაღელე (მაგრამ შდრ.: თამარის ტყე, უდაბურის გზა) და სხვ. ერთ სიტყვად იწერება აგრეთვე ჰიდრონომენი (წყალი, წყარო, რუ, ღელე, ჭა) და მისი მსაზღვრელი საზოგადო (და არა საკუთარი) სახელი, მაგ.: პანტისწყარო, თხილისწყალი...

ყველა სხვა შემთხვევაში ორი ან მეტი ფუძე–სიტყვისაგან შედგენილი ტოპონიმი არის თხზულ–შედგენილი (და არა შერწყმული) და მისი კომპონენტები იწერება ცალ–ცალკე.

გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ველევის, ზნაკვის, იწის, ლიხეთის, ნიკორწმინდის, სადმელის, სხვავის, წესის, ჭელიაღელის, ხიდიკრის, ხოტევის გამგებლებსა (რწმუნებულებს) და საკრებულოთა თავმჯდომარეებს, რომელთაც 2009 წლის აგვისტოში გადავეცი გამოსაცემად გამზადებული ვარიანტები ტოპონიმთა ლექსიკონისა და ვთხოვე მათში შეტანილი მასალის გადამოწმება, დაზუსტება და შევსება. მართალია, საქმე ყველამ გულთან ახლოს მიიტანა, მაგრამ საქმეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდა 82 წლის ძირაგეულელი **პეტრე კერესელიძე,** რომელმაც დააზუსტა, შეავსო და ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალას დაამატა რამდენიმე ათეული ტოპონიმი. ამ თვალსაზრისით შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე: **ნანა თომაძე** (სოფ. გორი), **ლია გილაშვილი** (სოფ. შუა კრიხი), **მამუკა ქემოკლიძე** (სოფ. ახალსოფელი), **თეიმურაზ კაციტაძე** და **ბადრი ნატმელიძე** (სოფ. წესი, მუხლი), **ბექან ბარსონიძე** (სოფ. ხიმში). მნიშვნელოვანი ჩასწორებებია სოფ. ნიკორწმინდისა და სოფ. ჭელიაღელის, აგრეთვე ზნაკვის, სადმელის, იწის, ქვემო კრიხის, ლიხეთის, კლდისუბნის სალექსიკონო მასალებში, მაგრამ ამ შემსწორებელ–დამაზუსტებელთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია და ვერ ვასახელებთ. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვთქვა **რობიზონ ჭელიძის** მიმართ. იგი იყო ამბროლაურის რაიონში ჩემი მუშაობის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი.

# ნაწილი პირველი
## საკრებულოები, სოფლები, რესპოდენტები

### ამბროლაურის რაიონი
(მოკლე მომოხილვა)

**ამბროლაურის რაიონი** (მუნიციპალიტეტი) ადმ.–ტერიტ. ერთეულია დას. საქართველოში, რიონის ხეობაში. თავდაპირველად შედიოდა რაჭის, ხოლო შემდეგ (1928 წლიდან) – რაჭა–ლეჩხუმის მაზრაში. 1930 წლიდან გამოიყო ცალკე რაიონად. ესაზღვრება: აღმ–ით – ონის რაიონი, დას–ით – ლეჩხუმი (ცაგერის რ–ნი), ჩრდ–ით – სვანეთი (ლენტეხის რ–ნი), სამხრ–ით – იმერეთი. ფართობი 1142,0 კმ$^2$. რაიონის (მუნიციპალიტეტის) ცენტრია ქ. ამბროლაური. ადმინისტრაციული ერთეულებია: ქალაქის საკრებულო – 1, სოფლის თემის საკრებულო – 17; დასახლებული პუნქტი – 72. მათგან ქალაქი –1, დაბა – 1, სოფელი – 70. წინამდებარე წიგნში „რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, III“ შედის ქ. ამბროლაურის და ამბროლაურის რაიონის აღმოსავლეთი ნაწილის (ველევის, ზნაკვის, ლიხეთის, ნიკორწმინდის, სადმელის, სხვავის, წესის, ჭელიაღელის, ხიდიკრის, ხოტევის თემების (საკრებულოების) ტოპონიმია.

ამბროლაურის რ–ნი მდებარეობს რიონის ხეობაში და შემოსაზღვრულია ოროგრაფიული ობიექტებით: სამხრ–ით – რაჭის ქედით, ჩრდ–ით – ლეჩხუმის ქედით, ჩრდ–აღმ–ით – ლუხუნ–საკაურის წყალგამყოფით, დას–ით – ლეჩხუმის ქედის განშტოებით. ლეჩხუმის ქედის მაღალი მწვერვალებია: სამერცხლე – 3562 მ., ჭუთხარო – 3,562 მ., კარეტა – 3354 მ., ლუხუნისწვერი – 3216 მ. (ქსე, I, გვ. 353).

ამბროლაურის რ–ნში იცის ზომიერად ცივი ზამთარი, ხანგრძლივი თბილი ზაფხული, მდიდარია მდინარეებითა და მინერალური წყლებით. ამბროლაურის აღმ–ით, რამდენიმე კმ–ზე, რიონი გაედინება ღრმა და ვიწრო კლდოვან კალაპოტში, რომელსაც ეწოდება ხიდიკრის კლდეკარი. რიონის მარცხ. შენაკადებია: ბარულა, კრიხულა, ზნაკურა, შარეულა. მარჯვ. შენაკადებია: ლუხუნისწყალი, რიცეულა და ასკისწყალი. იყოფა რამდენიმე ლანდშაფტურ ზონად.

ამბროლაურის რაიონის ცნობილი ისტორიული ძეგლებია: ნიკორწმინდის (XI ს.), კრიხის (X–XI სს.), ბუგეულის (XIV–XV სს.), პატარა ონის (XI ს.), ბარაკონის (XII ს.), ლაზეჭინის (XII ს.) ეკლესიები. ციხესიმაგრეებიდან ცნობილია: მინდაციხე, კვარაციხე, ტოლისციხე, ხოტევის ციხე, ხიმშის, ხვანჭკარის, ამბროლაურის, კლდისუბნის ციხეები. ცნობილია ცახის, ცახისაჯვარის, საყინულის კარსტული მღვიმეები (ქსე, I).

## ქალაქი ამბროლაური

ამბროლაური, ქალაქი 1966 წლიდან, ამბროლაურის რაიონის ცენტრია, გაშენებულია რიონისა და კრიხულის შესართავთან, ზ.დ. 550 მ., ტყიბულიდან 43 კმ, ქუთაისიდან 96 კმ., თბილისიდან 240 კმ. (ტყიბულის გავლით). იყო იმერეთის მეფეთა ერთ–ერთი რეზიდენცია. შემორჩენილია ეკლესია და კოშკის ნანგრევები. წერილობით წყაროებში პირველად მოიხსენიება XVII ს–დან: ქართული სამართლის ერთ–ერთ ძეგლში, რომელიც შედგენილია 1732 წლის ახლო ხანებში და წარმოადგენს ბიჭვინტისადმი აფხაზეთის კათალიკოზის – გრიგოლ ლორთქიფანიძის – შეწირულებათა ჩამონათვალს, აღნიშნულია: „ამბროლაურს გამყრელიძისეული პარტახი

შოშიტა ერისთავმა გვიბოძა, იმაზედ კაცი დავასახლეთ და ისიც ხატს შევსწირეთ“ (ქსძ, III, გვ. 716)

ამბროლაურის იშვიათი ვარიანტია ამბროლაული, ამბრალაური. ხალხური ეტიმოლოგია: აქ უცხოვრია ამბროლა ურიას და ამიტომ დარქმევია. ამბროლაური, სინამდვილეში ტოპონიმი წარმოქმნილია ქართული ენის აღმოსავლურ თუ დასავლურ დიალექტებში გავრცელებული –ურ სუფიქსით, რომელიც დაერთვის ანთროპონიმის (გვარის, პირსახელის, მეტსახელის) ფუძეს და წარმოქმნილი სახელი მიანიშნებს, რომ სახელდებული ობიექტი (ადგილი) ეკუთვნოდა ფუძით აღნიშნულ პირს. მაშასადამე, ამბროლაძე > ამბროლა + ურ > ამბროლაური „რაც ამბროლას ეკუთვნოდა“ (ამბროლაძე დას. საქართველოში გავრცელებული გვარია. XX ს. დამლევს ამ გვარს ატარებდა 984 პირი).

„საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ–ტერიტორიული დაყოფის“ 1987 წლის გამოცემით ამბროლაურის საქალაქო საბჭოში ქ. ამბროლაურის გარდა შედიოდა სოფლები: ახალსოფელი, გორი, ზემო კრიხი, იწა, ქვემო კრიხი და შუა კრიხი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეიქმნა იწის თემის საკრებულო და ყველა ზემოთ დასახელებული სოფელი მასში შევიდა.

## ველევის თემის საკრებულო

**ველევის თემის საკრებულო** – ადმ.-ტერიტ. ერთეული ამბროლაურის რ-ნში, მდ. ხოტეურის მარჯვ. მხარეს, რაჭის ქედის ჩრდ. კალთებზე. შედის სოფლები: ველევი (ც.), ბეთლევი, კვირიკეწმინდა, შხივანა. ესაზღვრება: ჩრდ-ით – იწის თემის საკრებულო, აღმ-ით და სამხრ-ით – ხოტევის თემის საკრებულო, აღმ-ით – ველტყევის უდაბნო.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ველევის თემის საკრებულოს ოთხივე სოფელში მხოლოდ 303 მოსახლეა (145 კაცი, 158 ქალი). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

ველევი – 138 სული (კაცი– 68, ქალი – 70).

ბეთლევი – 62 სული (კაცი – 30, ქალი – 32).

კვირიკეწმინდა – 62 სული (კაცი – 27, ქალი – 35).

შხივანა – 41 სული (კაცი – 20, ქალი – 21).

2005 წელს, თემის გამგებლის – ირაკლი სირაძის მიერ შედგენილი ცნობის თანახმად ველევის თემის საკრებულოში მკვიდრობდა 105 კომლი (იხ. სოფლების მიხედვით).

## ველევი

**ველევი** – სოფელი, თემის საკრებულოს ცენტრი რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ველეულის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 1200 მ. ამბროლაურიდან 9 კმ. ესაზღვრება: დას-ით – ხოტევი, ბეთლევი, ჩრდ-ით – კვირიკეწმინდა, სამხრ.-აღმით – ბეთლევი, ხოლო სამხრ-ით – სხარტალი და წკადისი. სოფელში შემორჩენილია ფეოდალური ხანის ეკლესია. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში. ვახუშტი ბატონიშვილი "აღწერა სამეფოსა საქართველოსაში" ველევს, ველევის მთას და ველევი-საღორის მთას ასახელებს რაჭის ქედის იმ მთებს შორის, რომლებიც გამოყოფს რაჭას ოკრიბისაგან ("ქ.ცხ.", IV, გვ.: 763, 769, 775). გიულდენშტედტის სამოგზაურო ჩანაწერებში (1772 წ.) ორგანაა დასახელებული ველევი (გიულდენშტედტი, 1962, გვ.: 117, 293).

2005 წელს ველევში ცხოვრობდა 10 გვარის მატარებელი 46 კომლი. ამ გვართაგან შედარებით მრავალკომლიანია: მაცაბერიძე – 21 კ., გოგსაძე – 1 კ., გელბახიანი – 6 კ.

მასალა ჩაწერილია 1998 წლის აგვისტოში. ინფორმატორები იყვნენ:

გელბახიანი აკაკი (კუკური) ბიკენტის ძე, 76 წ.

გელბახიანი აკაკი დავითის ძე, 56 წ.

ლაიშვილი ილია ლავრენტის ძე, 72 წ.

მაცაბერიძე ბიძინა სილოვანის ძე, 75 წ.

მაცაბერიძე შაზირა ვაჟას ას., 54 წ.

სირაძე ირაკლი იპოლიტეს ძე, 64 წ.

## ბეთლევი

**ბეთლევი** – სოფელი ველევის თემის საკრებულოში. რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ველეულის მარჯვ. ნაპირას. ზ.დ. 1200 მ., ამბროლაურიდან 17 კმ. აღმ-ით ესაზღვრება ველტყევის უდაბნო, სამხრ.-აღმ–ით კი – შხივანა. შემონახულია XV ს. ღვთისმშობლის ეკლესია. მის კედელზე გამოსახული ყოფილა ეკლესიის ამშენებელი. როგორც ასომთავრული წარწერა გვამცნობს, ეკლესია აუშენებია იაშვილს 1493 წელს (ბოჭორიძე, 1994, გვ. 54). გიულდენშტედტი 1772 წლის 13 ივლისს გასულა სხარტლიდან, გაუვლია ველევი, ბეთლემი, ჩხივანა და ღამე გაუთენებია უდაბნოში (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 117. იხ. აგრეთვე გვ. 293). რა თქმა უნდა, ეს ბეთლემი იგივე ბეთლევია, ხოლო ჩხივანა – შხივანა.

2005 წელს ბეთლევში მკვიდრობდა 7 გვარის მატარებელი 22 კომლი. ეს გვარებია: სირაძე – 6 კ., მაცაბერიძე – 5 კ., გოგსაძე, ჩიხრაძე (3-3 კომლი), სუთიძე, საყვარელიძე, გოცირიძე (თითო-თითო კომლი).

სოფლის ტოპონიმია 1977 წელს ჩაიწერა ვ. ჯოჯუამ ფოლიცა ბესარიონის ას. ბუაძისაგან, ხოლო 1998 წელს – პ. ცხადაიამ. მისი რესპოდენტები იყვნენ გორგიაშვილი შალიკო ბესარიონის ძე (84 წ.), სირაძე თინა ტარასის ას. (75 წ.) და სირაძე თემურ უჩას ძე (34 წ.).

## კვირიკეწმინდა

**კვირიკეწმინდა** – სოფელი ველევის თემის საკრებულოში, რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ხოტეურის მარჯვ. მხარეს, მაღლობზე. ზ. დ. 1040 მ. ამბროლაურიდან 8 კმ. ესაზღვრება: ჩრდ-ით – ზემო კრიხი, სამხრ-ით – ველევი. შემორჩენილია კვირიკეწმინდის ეკლესია, რომელიც კვირიკეს და ივლიტეს სახელობისა იყო. ჩუქურთმის ხასიათით და ლაპიდარული წარწერის მიხედვით, იგი თარიღდება X-XI სს-ით. ეკლესიის მახლობლად, მთის წვერზე, ჩანს კოშკის ნანგრევები. კვირიკეწმინდა ორგანაა დასახელებული გიულდენშტედტის მოგზაურობათა წიგნში. სოფლის სახელწოდება კი პირველად მოხსენიებულია XIII-XIV სს-ში. საბჭოთა პერიოდში ერქვა კორტი.

2005 წელს კვირიკეწმინდაში ცხოვრობდა 10 გვარის მატარებელი 24 კომლი. მათგან: ენუქიძე – 5 კ., მაცაბერიძე, მესხი, ლასხი, ღუდუმიძე – სამ-სამი კომლი.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერა 1977 წ. ვ. ჯოჯუამ. მისი რესპოდენტები იყვნენ: ენუქიძე ლელა ლავრენტის ას. (39 წ.), ლაშხი ალისტორე არსენის ძე (52 წ.), ლაშხი ნანული ვასილის ას. (60 წ.), სირაძე ნინო იპოლიტეს ას. (57 წ.).

მასალა შეამოწმა და შეავსო პ. ცხადაიამ 2005 წლის აგვისტოში. მისი რესპოდენტები იყვნენ:

ენუქიძე ზოია სერგოს ას., 62 წ.

ლაშხი ივანე ვასილის ძე, 55 წ.

მაცაბერიძე სერგო პეტრეს ძე, 83 წ.

მაცაბერიძე შაზირა ვაჟას ას., 54 წ.

მესხი შუშანა ლევანის ას., 69 წ.

მესხი ხათუნა ვახტანგის ას., 44 წ.

ღუდუმიძე მერი ვარლამის ას., 73 წ.

## შხივანა

**შხივანა** – სოფელი ველევის თემის საკრებულოში, რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ველეულის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1240 მ., ამბროლაურიდან 20 კმ. აღმ-ით ესაზღვრება – ველტყევის უდაბნო, ჩრდ-ით – ბეთლევი, დას-ით – სხარტალი, სამხრ-ით – საწალიკე, სამხრ-დას-ით – ბეთლევი. გიულდენშტედტის მოგზაურობათა წიგნში შხივანა დასახელებულია ჩხივანა ფორმით (გიულდენშტედტი, 1962, გვ.: 117, 293). 2005 წელს სოფელში მცხოვრები 13 კომლიდან 9 კომლი სირაძის გვარისა იყო (სხვა: დავლიანიძე – 3 კ., სუთიძე – 1 კ.).

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 2005 წლის აგვისტოში. რესპოდენტები იყვნენ:

სირაძე ილია ემზარის ძე, 15 წ.
სირაძე ნუნუ გრიგოლის ას., 67 წ.
სირაძე ქეთევან მაქსიმეს ას., 42 წ.
სირაძე პოლიაქტორი იაგორის ძე, 78 წ.

## ზნაკვის თემის საკრებულო

**ზნაკვის თემის საკრებულო** – ადმ.-ტერიტ. ერთეული ამბროლაურის რაიონში, რიონის მარცხ. მხარეს, ზნაკურის ხეობაში. აღმ-ით ესაზღვრება ქ. ამბროლაური, დას-ით – ბუგეულის თემის საკრებულო, სამხრ-ით – ზეჭელიშის მთა. შედის სოფლები: ზნაკვა (ც.), მოტყიარი, საკეცია.

2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ზნაკვის თემის მოსახლეობა შეადგენს 524 სულს (კაცი – 249, ქალი – 275). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია: ზნაკვა – 252 სული (კაცი – 99, ქალი – 113); მოტყიარი – 40 სული (კაცი – 20, ქალი – 20); საკეცია – 272 სული (კაცი – 130, ქალი – 142).

## ზნაკვა

**ზნაკვა** – სოფელი და თემის საკრებულოს ცენტრი ამბროლაურის რ-ნში, მდ. ზნაკურის მარჯვ. ნაპირზე. ზ.დ. 850 მ. ამბროლაურიდან 10 კმ. წყაროებში პირველად მოიხსენიება XI ს-ის ბოლოს შედგენილ "ნიკორწმინდის იადგარში". ამ საეკლესიო-სამართლებრივ წყაროში "ზნაკუა" მოიხსენიება ცხრაგზის: "წორბელმან შემოსწირა ზნაკუას გლეხი..." (ქსძ, III, გვ. 27); "ზნაკუას შევქმენ სასაწნეხლოს ქვითკირი..." (იქვე, გვ. 28); "ზნაკჳსა თავსა ჭჳდილიანმან შემოსწირა მიწაჲ სანახევროჲ; მოწამე არიან კაცნი" (იქვე, გვ. 30) და სხვ. ზნაკვასა და ზნაკვის ხევს ასახელებს ვახუშტი ბაგრატიონიც: "ამ ბარეულს ზეით [რიონს] მოერთვის სამჴრიდამ ზნაკვის ჴევი... ზნაკვას არს ციხე შენი და მაგარი. ამ ზნაკვის ჴევს ზეით მოერთვის რიონს ჩრდილოდამ სადმელის-ჴევი" ("ქ. ცხ.", IV, გვ. 763). "გიულდენშტედტის მოგზაურობაში" ზნაკვა დასახელებულია რიონის მარცხ. მხარის სოფლებს შორის (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 293).

ზნაკვაში შემორჩენილია საშინდიის ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები და ფეოდალური ხანის ციხე-დარბაზი (ბოჭორიძე, 1994, გვ. 79). იგი შუა საუკუნეებში იდგა სოფელში, რომელსაც ეწოდებოდა ზნაკვის აგარა, ანუ ქვედა აგარა (ქსე, ტ. 4, გვ. 523). სოფელი შედგება სამი ნაწილისაგან: ზედა ზნაკვა, შუა ზნაკვა, ქვედა ზნაკვა.

ზნაკვის ტოპონიმური მასალა აღნუსხა ვ. ჯოჯუამ 1977 წელს ქვემოთ ჩამოთვლილი რესპოდენტების დახმარებით:

ბაკურაძე ნორა პეტრეს ას., 47 წ.

ბაკურაძე მამუკა ჯონდის ძე, 13 წ.

კერვალიშვილი ნოდარ გივის ძე, 21 წ.

მიქაუტაძე გურგენ დავითის ძე, 23 წ.

მურუსიძე ვენერა მელენტის ას., 53 წ.

უთმელიძე ავთანდილ გივის ძე, 25 წ.

ჩაწერილი მასალა გადაამოწმა, დააზუსტა და შეავსო პ. ცხადაიამ 2006 წლის 16 ივლისს. მისი რესპოდენტები იყვნენ:

მიქაუტაძე ზაურ ილიას ძე, 71 წ.

მიქაუტაძე იაგო ლევანის ძე, 77 წ.

მიქაუტაძე ჯემალ იოზის ძე, 68 წ.

მიქიაშვილი რაჟდენ ანთიმოზის ძე, 81 წ.

მურუსიძე ამირან შალვას ძე, 55 წ.

ტურძელაძე გოდერძი ერმილეს ძე, 75 წ.

ტურძელაძე დიმიტრი გიორგის ძე, 81 წ.

ქოქოსაძე ვარლამ ნიკიფორეს ძე, 78 წ.

ქოქოსაძე ქეთევან ვარლამის ას., 52 წ.

## მოტყიარი

**მოტყიარი** – სოფელი ზნაკვის თემის საკრებულოში, ზნაკურის ხეობაში, ზნაკურა-ხოტეურის წყალგამყოფი ქედის დას. კალთაზე. ჩრდ-დას-ით ესაზღვრება ზნაკვა. ზ.დ. 1110 მ. ამბროლაურიდან 12 კმ. შედგება ორი ძირითადი უბნისაგან – შარაბიძეები, მიქიაშვილები. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაიწერა ვ. ჯოჯუამ 1977 წ. მისი რესპოდენტები იყვნენ:

გურგენიძე ქეთევან სამსონის ას., 57 წ.

მიქიაშვილი თემურ გრიგოლის ძე, 25 წ.

მიქიაშვილი ჯემალ ვასილის ძე, 69 წ.

მურუსიძე თამილა გურამიოს ას., 17 წ.

ტურძელაძე ავთანდილ ნიკოლოზის ზე, 22 წ.

უთმელიძე ავთანდილ გივის ძე, 25 წ.

ჩაწერილი მასალა გადაამოწმა, დააზუსტა და შეავსო პ. ცხადაიამ 2006 წლის 17 ივლისს. რესპოდენტები იყვნენ:

ბაკურაძე მანანა იაგორის ას., 44 წ.

მიქიაშვილი ბიჭიკო ვასილის ძე, 73 წ.

მიქიაშვილი ზურაბ რაჟდენის ძე, 54 წ.
მიქიაშვილი ნატა ვასილის ას., 75 წ.

## საკეცია

**საკეცია** სოფელია ზნაკვის თემის საკრებულოში, რიონის მარცხ. ნაპირზე, ზნაკურის შესართავთან. ზ.დ. 600 მ. ამბროლაურიდან 7 კმ. სადმელიდან 2 კმ. წყაროებში პირველად გვხვდება XVII ს-ში. გიულდენშტედტის მოგზაურობის აღწერაში "რიონზე კრიხურას ქვემოთ" მდებარე სოფლებს შორის დასახელებულია საკეცია და "პატარა მდინარე საკეცურა" – რიონის მარცხ. შენაკადი (გიულდენშტედტი, 1962, გვ.: 289, 293, 309). ეს საკეცურა მდინარე ზნაკურაა. უფრო ადრე კი ვახუშტი "აღწერა სამეფოსა საქართველოსაში" აღნიშნავს: "ბარეულს ზეით არს საკეცე. ამის ზეით მოერთვის რიონს სამჴრიდან კრიხულას მდინარე".

საკეციის ტოპონიმური მასალა ჩაიწერა ვ. ჯოჯუამ 1977 წელს. მისი რესპოდენტები იყვნენ: დალი ზედანაშვილი (34 წ.), მაყვალა დვალი (32 წ.), მანანა კევლიშვილი (50 წ.), ვიტალი მიქიაშვილი (25 წ.), ილია მიქიაშვილი (62 წ.), მერაბ ჭოხონელიძე (23 წ.). ეს მასალა 2006 წლის 18 ივლისს გადაამოწმა, დააზუსტა და შეავსო პ. ცხადაიამ. ინფორმატორები იყვნენ:

ბაკურაძე ფიქრია ჯონდოს ას., 31 წ.
კიტრაძე რეზო სოლომონის ძე, 67 წ.
ლეჟავა დავით კონსტანტინეს ძე, 77 წ.
მიქიაშვილი ბუხუტი ალექსანდრეს ძე, 73 წ.
მიქიაშვილი გიორგი ნესტორის ძე, 78 წ.
მიქიაშვილი ლეილა ბიჭიკოს ას., 64 წ.
მიქიაშვილი გიორგი ნოდარის ძე, 27 წ.
მიქიაშვილი სერგო სერაპიონის ძე, 59 წ.
მიქიაშვილი ხათუნა შოთას ას., 28 წ.

## იწის თემის საკრებულო

**იწის თემის საკრებულო** – ადმ.-ტერიტ. ერთეული ამბროლაურის რ-ნში, ხრიკულისა და ხოტეურის ხეობებში, ქ. ამბროლაურსა და სხვავისა და ველევის საკრებულოებს შორის. შედის სოფლები: იწა (ც.), ახალსოფელი, გორი, ზემო კრიხი, ქვემო კრიხი, შუა კრიხი. ეს სოფლები საბჭოთა პერიოდში შედიოდა ამბროლაურის საქალაქო საბჭოში.

საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის (2002 წ.) მონაცემებით, იწის თემის საკრებულოში ცხოვრობდა 476 სული (კაცი – 241, ქალი – 235). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

იწა – 97 სული (კაცი– 50, ქალი – 47).

ახალსოფელი – 80 სული (კაცი– 39, ქალი – 41).

გორი – 76 სული (კაცი– 38, ქალი – 38).

ზემო კრიხი – 36 სული (კაცი – 18, ქალი – 18).

ქვემო კრიხი – 177 სული (კაცი – 93, ქალი – 84).

შუა კრიხი – 10 (კაცი – 3, ქალი – 7).

2005 წელს იწის თემის საკრებულოს 6 სოფელში მკვიდრობდა 50-ზე მეტი გვარის 184 კომლი (იხ. სოფლების მიხედვით).

## იწა

**იწა** – სოფელი, იწის თემის საკრებულოს ცენტრი კრიხულისა და რიონის მარცხ. ნაპირებზე, ქ. ამბროლაურსა და სოფ. ახალსოფელს შუა. ზ. დ. 640 მ. ამბროლაურიდან 1 კმ. საისტორიო წყაროებში პირველად მოიხსენიება XV ს–ში. შედგებოდა ორი ნაწილისაგან: ზემო იწა, ქვემო იწა. ეს უკანასკნელი მოექცა ქ. ამბროლაურის ფარგლებში.

იწა დასახელებულია 1740 წელს შედგენილ ერთ საჩივარში, სადაც ნათქვამია, რომ გაყიდვის შიშით ერთი გლეხი "ეიყარა და სხვავას უდაბნოში შევიდა... და გრიგოლ ერისთავი რო მოკვდა, გამოვიდა, იწას დაესახლა" (ბერაძე, 2004, გვ. 120). საერთოდ, როგორც გაირკვა, XVIII ს-ში ველტყევის მონასტერს ეკუთვნოდა ვენახები იწაში. იწას ასახელებს და მის ადგილმდებარეობაზეც მიანიშნებს გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წელს იმოგზაურა რაჭაში: "ამბრალაურს ზემოთ, მაღლა არის სოფლები გორი და იწა უფრო სამხრეთით და ამაღლებულ მთაზე" (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 127. იხ. აგრეთვე გვ. 293).

2005 წელს იწაში ცხოვრობდა 15 გვარის მატარებელი 40 კომლი. მათგან მრავალკომლიანობით გამოირჩევა ერთადერთი გვარი გეწაძე – 18 კ.

მასალა ჩაიწერა ვ. ჯოჯუამ 1977 წელს, გადამოწმდა და შეივსო 2005 წლის აგვისტოში. რესპოდენტები იყვნენ:

გოცირიძე მანია (ლამარა) აფრასიონის ას., 71 წ.
გოცირიძე შალვა აბესალომის ძე, 83 წ.
ცირიკიძე პაატა (პლატონ) გაბრიელის ძე, 32 წ.

2009 წლის აგვისტოში გამოსაცემად მომზადებული ტოპონიმური მასალა გადაამოწმეს და შეავსეს ლიანა გეწაძემ, ბუდუ დოხნაძემ, გია და ციცო რუსიშვილებმა.

## ახალსოფელი

**ახალსოფელი** – სოფელი იწის თემის საკრებულოში, კრიხულისა და ხოტეურის მარცხ. მხარეს, იწასა და ქვემო კრიხს შუა. ზ. დ. 720 მ. ამბროლაურიდან 2 კმ. წერილობით წყაროებში დამოწმებულია XVIII ს. პირველ ნახევარში: 1733 წლის 10 ოქტომბერს დაწერილი "შეწირულების სიგელის" მიხედვით, გრიგოლ კათალიკოსს ბიჭვინტისთვის შეუწირავს "ახალსოფელს წულუკიძის შეწირული კაცი ერთი მოსახლე ნამგალაძე მამუკა და მისი შვილი; მეორე მოსახლე თებზაძე შოშიტა, მისი ძმა და მისი

ძმისწული, მათის ცოლით და შვილით" (ქსძ, III, გვ. 729. იხ. იქვე: გვ. 716). ახალსოფელი დასახელებულია გიულდენშტედტის მოგზაურობის (1772 წ.) აღწერილობაშიც: "1 საათის სავალზე იმ ადგილიდან, სადაც კრიხულა რიონს ერთვის, მდებარეობს სოფელი ახალსოფელი. აქედან დაახლოებით 4 ვერსზე მწვერვალზე ჩანს კვარას ციხე" (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 115). სხვაგან მოგზაური კიდევ უფრო აზუსტებს ახალსოფლის ადგილმდებარეობას: "ახალსოფელი მდებარეობს ამბრალაურის პირდაპირ. ასევე ზემო კრიხი და ქვემო კრიხი არიან კრიხულაზე" (იქვე, გვ. 127; იხ. აგრეთვე გვ. 293).

2005 წელს ახალსოფელში ცხოვრობდა 11 გვარის მატარებელი 33 კომლი (80 სული). ამ გვართაგან შედარებით მრავალკომლიანია: ქემოკლიძე – 11 კ., ჭელიძე – 6 კ., კობახიძე – 5 კ., ქევანაშვილი – 4 კ.

მასალა ჩაიწერა ვ. ჯოჯუამ 1977 წელს და გადაამოწმა და შეავსო პ. ცხადაიამ 2005 წლის აგვისტოში. რესპოდენტები იყვნენ:

ქევანაშვილი ნიკოლოზ ენუქის ძე, 46 წ.
ქემოკლიძე გიზო შამშეს ძე, 41 წ.
ქემოკლიძე თამაზ ალექსანდრეს ძე, 64 წ.
ქემოკლიძე რობერტი ვენედიქტეს ძე, 59 წ.
ქემოკლიძე როსტომ სევარიონის ძე, 80

2009 წელს გამოსაცემად გამზადებული ტოპონიმური მასალა შეამოწმა, დააზუსტა და შეავსო მამუკა ქემოკლიძემ.

## გორი

**გორი** – სოფელი იწის თემის საკრებულოში, მდინარეების – კრიხულისა და რიონის წყალგამყოფის ჩრდ. კალთაზე. ზ.დ. 680 მ. ამბროლაურიდან 1 კმ. დასცქერის ქ. ამბროლაურს აღმ-იდან. სამხრ-ით

ესაზღვრება ახალსოფელი, ჩრდ-ით – ხიმში. გორს ასახელებს და მის ადგილმდებარეობაზეც მიანიშნებს გიულდენშტედტი. იგი წერს: "ამბრალაურს ზემოთ, მაღლა არის სოფლები გორი და იწა..." (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 127; იხ. აგრეთვე გვ. 293).

2005 წელს იწის თემის საკრებულოს სოფ. გორში მკვიდრობდა 9 გვარის მატარებელი 28 კომლი. შედარებით მრავალკომლიანი გვარებია: თომაძე – 10 კ., დათეშიძე – 5 კ., მემანიშვილი – 4 კ. სხვა გვარები თითო-ოროლა კომლითაა წარმოდგენილი.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერა ვ. ჯოჯუამ 1977 წ. მისი რესპოდენტები იყვნენ:

დათეშიძე გალაქტიონ ლუკას ძე, 66 წ.

თომაძე კანელი მიხეილის ძე, 54 წ.

თომაძე ნოდარ ბესარიონის ძე, 47 წ.

კახეთელიძე რამინ თედორეს ძე, 31 წ.

ტაბუცაძე გოჩა ოთარის ძე, 17 წ.

ტაბუცაძე ჟორა პლატონის ძე, 57 წ.

მასალა გადაამოწმა და შეავსო პ. ცხადაიამ 2005 წლის აგვისტოში ვიზიკო გალაქტიონის ძე დათუსიძისა (67 წ.) და ელიზბარ ბიკენტის ძე ჩუბინიძის (45 წ.) ხელშეწყობით.

2009 წლის აგვისტოში გამოსაცემად გამზადებული მასალა დააზუსტა და შეავსო ნანა თომაძემ (24 წ.).

## ზემო კრიხი

**ზემო კრიხი** – სოფელი იწის თემის საკრებულოში, მდ. კრიხულის მარცხ. მხარეს, ქვემო კრიხსა და სხვავის თემის საკრებულოს შუა. ზ. დ. 1000 მ. ამბროლაურიდან 5 კმ. ჩრდ-ით ესაზღვრება შუა კრიხი, სამხრ-ით – კვირიკეწმინდა, აღმ-ით – შუა სხვავა, დას-ით – ქვემო კრიხი. სოფელი იყოფა ორ ძირითად უბნად: ზედა უბანი, ქვედა უბანი.

სოფლის განაპირას აღმართულია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც, წარწერების პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, თარიღდება X-XI სს-ით. ამ ეკლესიის კედლებზე შემორჩენილია ფრესკული მოხატულობის ფრაგმენტები. სწორედ ამ ეკლესიაზე წერდნენ რუსეთის ელჩები ტოლოჩანოვი და იევლევი 1652 წელს: "მდ. კრიხულის გაღმა მთაზე დგას ქვის ეკლესია, კარგი, მშვენიერი, მიქელ მთავარანგელოზის სახელობისა". XI ს-ში ნუსხურად შესრულებულ ერთ წარწერაში იკითხება: "ესე ჴელი დავწერეთ ჩუენ, კრიხმან სოფელმან" (ბოჭორიძე, 1994, გვ. 161. ეს სიგელი მთავრდება სიტყვებით: "ეს ჩვენი შემოწირული ბეგარა თქვენს საყდარს არ მოეშალოს"). 1752 წელს შედგენილ ერთ-ერთ შეწირულობის წიგნში მოიხსენიება კრიხის მთავარანგელოზის საყდარი და გვარი ფონჯავიძე. აღნიშნული ეკლესია განუახლებიათ 1884 წელს.

ბიჭვინტისადმი შეწირულების წიგნში (დაახლოებით 1732 წ.) კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე ბიჭვინტის ღვთისმშობელს უძღვნის "მცირე შესაწირავს", მათ შორის კრიხის 5 მოსახლეს (ქსძ, III, გვ. 716). ამასვე იმეორებს კათალიკოსი 1733 წ. 16 ოქტომბერს დაწერილ შეწირულების სიგელშიც (იქვე, გვ. 729). ხოლო 1809 წლის 16 ოქტომბერს დოსითეოს ქუთათელი ზაქარია არქიმანდრიტს სწერს "გიბოძეთ რაჭას საკათალიკოსო სოფელი კრიხი, ადგილ-მამულით და გლეხნი მას სოფელსა შინა მოსახლენი, საკათალიკოსონი" (ქსძ, III, გვ. 1105).

გიულდენშტედტსა და მის თანმხლებ პირებს 1772 წლის 1 აგვისტოს, ზემო კრიხისა და ქვემო კრიხის გავლის შემდეგ, 3 საათში მიუღწევიათ სხარტალში – მეფის საზაფხულო ბანაკში. ამასთან დაკავშირებით მოგზაური მიუთითებს: "ზემო კრიხი და ქვემო კრიხი არიან კრიხულაზე" (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 127; იხ.

აგრეთვე: გვ. 293). კრიხი და კრიხულა დასახელებულია ვახუშტი ბატონიშვილის "აღწერა სამეფოსა საქართველოსაში": აქ აღნიშნულია, რომ კრიხულა "ისახელა დაბის კრიხისაგან" (ქ.ცხ. IV, გვ. 763); "კრიხულას ერთვის კრიხს ზეით სხოვის ჴევი" (იქვე, გვ. 764); "სხოვის სამხრით და კრიხის პირისპირ, აღმოსავლით კიდურს, მაღალს კლდიანს გორასა ზედა არს ციხე კუარასი მტკიცე". კრიხს არა, მაგრამ კრიხულას ასახელებს ჟაკ ფრანსუა გამბა (გამბა, 1987, გვ. 193).

ზემო კრიხი მოსახლეთა სულადობით ერთ-ერთი მცირერიცხოვანი სოფელია ამბროლაურის რაიონში. 2002 წლის პირველიეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით აქ ცხოვრობს მხოლოდ 36 სული ორივე სქესისა.

2005 წელს ზემო კრიხში დავაფიქსირეთ მხოლოდ ოთხი გვარი: ფონჯავიძე – 5 კომლი, ნასარიძე - 4 კ., გოგილიძე – 2 კ., ტოგონაძე – 2 კ.

სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია სხვადასხვა დროს მ. ალავიძის, ფ. მაკალათიას, ს. მელიქიძის, თ. დიასამიძის, შ. აფრიდონიძის, მ. ნასარიძის, მ. კოჭლავაშვილისა და პ. კობახიძის მიერ. მთელი მასალა გადაამოწმა და შეავსო პ. ცხადაიამ 2005 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

არჩვაძე იამზე ნიკოლოზის ას., 64 წ.
არჩვაძე როსტომ შალვას ძე, 66 წ.
გოგოლაძე იური გაბრიელის ძე, 66 წ.
დვალი იზო ერასტოს ას., 62 წ.
ფონჯავიძე ბონდო ნიკოლოზის ძე, 67 წ.
ფონჯავიძე ლეილა ექვთიმეს ას., 65 წ.

## ქვემო კრიხი

**ქვემო კრიხი** – სოფელი იწის თემის საკრებულოში, ძირითადად მდ. კრიხულის მარცხ. ნაპირებზე, ხოტეურასა და ზემო კრიხს შუა. ზ.დ. 650 მ. ამბროლაურიდან 3,5 კმ. აქ ესახლნენ ებრაელები და ჰქონდათ სავაჭრო ცენტრი (სწორედ აქაურ ებრაელთა ერთი ნაწილის გვარია კრიხელი). ესაზღვრება: ჩრდ. დას-ით – ახალსოფელი, ჩრდ.-აღმ-ით – შუა კრიხი, სამხრ-ით – კვირიკეწმინდა. ქვემო კრიხს (ზემო კრიხთან ერთად) ასახელებს გიულდენშტედტი კრიხულის ხეობაში მდებარე სოფლებს შორის (გიულდენშტედტი, გვ. 293).

2005 წელს ქვემო კრიხში მკვიდრობდა 18 გვარის მატარებელი 63 კომლი (177 სული. ე.ი. ბევრად მეტი ვინემ ზემო კრიხსა და შუა კრიხში ერთად აღებული). მათგან შედარებით მრავალკომლიანი გვარებია: კუბლაშვილი – 9 კ., ისაკაძე – 6 კ., ნასარიძე – 6 კ., სირაძე – 6 კ., კობერიძე – 5 კ., ხუციშვილი – 5 კ., ჯუბაშვილი – 5 კ.

მასალა ჩაწერილია 2005 წლის აგვისტოში თემურ ნიკიფორეს ძე გოგსაძისაგან (52 წ.).

## შუა კრიხი

**შუა კრიხი** – სოფელი იწის თემის საკრებულოში, ბარულა-ჩონისურისა და კრიხულის წყალგამყოფი ქედის სამხრ. კალთაზე. კრიხულის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 720 მ. ამბროლაურიდან 5, 5 კმ.

შუა კრიხი სულადობით ყველაზე მცირერიცხოვანი სოფელია რაიონში (სულ 10 სული). 2005 წელს სოფელში ცხოვრობდა 5 გვარის მატარებელი 7 კომლი. მათგან გვარი ბიდაშვილი წარმოდგენილია 3 კომლით, ხოლო დანარჩენი გვარები – თითო კომლით.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 2005 წლის აგვისტოში. რესპოდენტები იყვნენ:

ისაკაძე ემირ ოთარის ძე, 51 წ.

ისაკაძე ოთარ (იოთა) ერასტოს ძე, 79 წ.

კობერიძე ჯონდი ვიქტორის ძე, 60 წ.

ხუციშვილი გივი ფილიპეს ძე, 66 წ.

ხუციშვილი გიორგი ფილიპეს ძე, 83 წ.

ხუციშვილი თენგიზ რუბენის ძე, 48 წ.

2009 წელს დასაბეჭდად გამზადებული მასალა გადაამოწმა ლია თენგიზის ას. გილაშვილმა (49 წ.).

## ლიხეთის თემის საკრებულო

**ლიხეთის თემის საკრებულო** – ადმ.-ტერიტ. ერთეული ამბროლაურის რაიონში, ლუხუნისწყლის ხეობაში. შედის სოფლები: ლიხეთი (ც.), აზარი, ურავი (სამივე სოფლის დასახლება ძირითადად მდინარის მარჯვ. მხარესაა). 2002 წელს ჩატარებული პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის შედეგებით, ლიხეთის თემი ერთ-ერთი მრავალსულიანი საკრებულოა ამბროლაურის რაიონში – 1264 სული (კაცი – 607, ქალი – 657). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

ლიხეთი – 491 სული (კაცი – 236, ქალი – 255).

აზარი – 206 სული (კაცი – 107, ქალი – 99).

ურავი – 467 სული (კაცი – 264, ქალი – 303).

2005 წელს სამივე სოფელში, საკრებულოს გამგებლის – ნ. ბეშიძის მიერ შედგენილი ცნობის თანახმად, ცხოვრობდა 391 კომლი (იხ. დაწვრილებით სოფლების მიხედვით).

## ლიხეთი

**ლიხეთი** – სოფელი, თემის საკრებულოს ცენტრი მდ. ლუხუნისწყლისა და ხეორის შესართავთან, წესსა და აბარს შუა. ზ. დ. 820 მ. ამბროლაურიდან 16 კმ. სოფელი შედგება ორი ნაწილისაგან: **ჭალა** (ლუხუნის მარჯვ. ნაპირი) და **ზედა უბანი**. მოსახლეობა ძირითადად ლუხუნის მარჯვ. მხარესაა. ამ სოფლის ზემოთ, ლუხუნის ხეობაშივე, არის აბარი და ურავი. ლიხეთი წყაროებში პირველად მოიხსენიება XVIII ს-ში. სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ადრინდელი ანტიკური ხანის სამარხი, ფეოდალური ხანის მადნის სადნობი ღუმელი. ლიხეთის მახლობლად შემორჩენილია "მეჭვრეთის" სამონაზვნო კომპლექსის (VIII-IX სს.) ნანგრევები (ქსე, ტ. 6).

ლიხეთი დასახელებულია გიულდენშტედტის მოგზაურობის (1772 წ.) წიგნში, მაგრამ დაშვებულია უხეში შეცდომა ლოკალიზაციაში: ონს ქვემოთ, რიონის მარჯვ. მხარეს მდებარე სოფლების ჩამოთვლისას აღნიშნულია, რომ სორი, ლიხეთი და ურავი მდებარეობენ მდ. სონტარულზე (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 291). სინამდვილეში ამ სოფელთაგან სონტარულის ხეობაში მდებარეობს მხოლოდ სორი, ხოლო ლიხეთი და ურავი ლუხუნის ხეობაშია.

ისტორიულ წყაროებში ცნობილი მეჭვრეთის ეკლესია, რომელიც იდგა ლიხეთის აღმ–ით მდებარე დაბალ მთაზე, დაანგრიეს 1929 წელს.

2005 წელს ლიხეთში ცხოვრობდა 22 გვარის მატარებელი 193 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: ბეშიძე – 27 კ., კანთელაძე – 22 კ., გოგსაძე – 19 კ., მელაშვილი – 18 კ., ხუციშვილი – 12 კ., ტოროშელიძე – 10 კ., ჯაფარიძე – 10 კ., ფოჩხიძე – 9 კ., მეტრეველი – 8 კ., ჩალაძე – 8 კ., ნიავაძე – 7 კ., ყავლაშვილი – 7კ.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1978 წელს ფ. მაკალათიას მიერ 11 წლის თემურ ლობჟანიძისა და 59

წლის პეტრე ლობჟანიძისაგან. მასალა გადამოწმდა და შეივსო 1978 წელს. ინფორმატორები:

ბეშიძე ეფრემ მინას ძე, 45 წ.

ლობჟანიძე ვალერიან პორფილეს ძე, 76 წ.

მეტრეველი გიორგი ერასტოს ძე, 57 წ.

ჩიტიძე პავლე ვასილის ძე, 48 წ.

ჯელაძე ზაზა ვიქტორის ძე, 37 წ.

## აბარი

**აბარი** – სოფელი ლიხეთის თემის საკრებულოში, ლეჩხუმის ქედის სამხრ. კალთაზე, ლუხუნისწყლის მარჯვ. ნაპირზე, აბარულისა და ყიყვის ხეობებში. ზ. დ. 880 მ., ამბროლაურიდან 17 კმ.

2005 წელს აბარში ცხოვრობდა 10 გვარის მატარებელი 62 კომლი. მათგან თითქმის ნახევარი არის გვარად ლობჟანიძე ან ლობჯანიძე (40 კომლი). მაჭანკალაძე და ჩალაძე წარმოდგენილია 5-5 კომლით, ხოლო დანარჩენი გვარები მხოლოდ თითო-ოროლა კომლს ქმნიან.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერა პ. ცხადაიამ 1998 წლის აგვისტოში. ინფორმატორები:

ლობჟანიძე ვლადიმერ ვასილის ძე, 75 წ.

ლობჟანიძე თემურ გიორგის ძე, 11 წ.

ლობჟანიძე პეტრე სერგოს ძე, 39 წ.

## ურავი

**ურავი** – სოფელი ლიხეთის თემის საკრებულოში, მდ. ლუხუნისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 1040 მ. ამბროლაურიდან 25 კმ. ბოლო სოფელია ლუხუნის ხეობაში. ურავის უბნები ხეობის სიღრმეში ამ თანმიმდევრობითაა განლაგებული: გოგრიჭიანების უბანი, ჩასავალას უბანი, გობეჯიშვილების უბანი, ზედა

ჯელაძეები, ქვედა ჯელაძეები, კაკალაუბანი, ჩალაძეების უბანი//ივანიკენთეები.

საბჭოთა პერიოდში ურავში სამთო-მეტალურგიული კომბინატი აშენდა და სოფელმა მიიღო ქალაქის ტიპის დაბის სტატუსი. 2005 წელს ურავში ცხოვრობდა 20 გვარის მატარებელი 146 კომლი. კომლთა რაოდენობით გამოირჩევა: ჯელაძე – 33 კ., რეხვიაშვილი – 31 კ., ჩალაძე – 28 კ. დანარჩენი გვარებიდან შეიძლება დავასახელოთ: მეტრეველი 14 კ., გობეჯიშვილი – 13 კ., გოგრიჭიანი – 9 კ. სხვა გვარები თითო-ორი კომლითაა წარმოდგენილი.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1977 წელს ნოე რეხვიაშვილისა (46 წ.) და გალაქტიონ დათეშიძისაგან (68 წ.). 1998 წელს მასალა გადაამოწმა და შეავსო პ. ცხადაიამ. ინფორმატორები:

რეხვიაშვილი გიორგი მიხეილის ძე, 67 წ.
რეხვიაშვილი ნოე იოსების ძე, 60 წ.
რეხვიაშვილი ჯუმბერ თომას ძე, 67 წ.
ჩალაძე მურთაზ გრიგოლის ძე, 37 წ.
ჯელაძე იუსტი სიმონის ძე, 70 წ.

## ნიკორწმინდის თემის საკრებულო

**ნიკორწმინდის თემის საკრებულო** – ადმ.–ტერიტ. ერთეული ამბროლაურის რ–ნში რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე. აღმ–ით ესაზღვრება ჭელიაღელის თემის საკრებულო, სამხრ–ით – შაორის წყალსაცავი, ჩრდ.–დას–ით – ხოტევისა და ზნაკურის წყალგამყოფი ქედი. ნიკორწმინდის თემის საკრებულოში ორის სოფელია: ნიკორწმინდა (ც), კაჩაეთი. შაორჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით შეიქმნა და ნიკორწმინდის სას. საბჭოში შედიოდა დაბა ხარისთვალა და სოფ. შაორჰესი.

2002 წელს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის შედეგების თანახმად, ნიკორწმინდის თემის საკრებულოში 850 მცხოვრებია (384 კაცი, 466 ქალი). მათგან საკუთრივ ნიკორწმინდაში – 722 სული (322 კაცი, 400 ქალი), ხოლო კაჩაეთში – 124 სული (62 კაცი, 62 ქალი).

## ნიკორწმინდა

**ნიკორწმინდა** – სოფელი, თემის საკრებულოს ცენტრი რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, ტყიბულ-ამბროლაურის საავტ. გზაზე. აღმ–ით ესაზღვრება ჭელიაღელე და აგარა, სამხრ.-აღმ–ით – უყეში, სამხრ-ით – შაორის წყალსაცავი, სამხრ.-დას-ით – წმინდა გიორგის მთა. ზ.დ. 1100 მ. ამბროლაურიდან 16 კმ. სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში გაედინება მდ. შაორა, რომელიც იკარგება კარსტულ მღვიმეში და იქიდან გამოსულ მდინარეს ეწოდება შარეულა (რიონის მარცხ. შენაკადი ზედა ღვარდიასა და ქვედა ღვარდიას შუა). ამ მღვიმეს სამეცნიერო ლიტერატურაში ეწოდება ნიკორწმინდის საყინულე. სოფელმა სახელწოდება მიიღო XI ს-ში აგებული ნიკოლაოსწმიდის ეკლესიისაგან. შუა საუკუნეებში იყო ნიკორწმინდის საეპისკოპოსო ცენტრი.

ნიკორწმინდა ქართული ხუროთმოძღვრების ცნობილი ძეგლია. მისი, როგორც დიდი საეკლესიო ცენტრის, აგება მოჰყვა რაჭის საერისთავოს შექმნას (X ს. ბოლო). ტაძარი აიგო ნიკოლაოსწმიდის, იგივე ნიკოლოზ წმიდის სახელზე (მანამდე არსებული მცირე ეკლესიის ადგილას). ტაძრის სახელწოდების საბოლოო ვარიანტი ნიკორწმინდა (მეტყველებაში გავრცელებულია ფორმა ლიკორწმინდაც) შემდგომში სოფლის სახელადაც იქცა (ეკლესიონიმის ოიკონიმიზაცია მეტონიმიის გზით). ეკლესიის დასავლეთი კარიბჭის თავზე ერთ-ერთ ასომთავრულ წარწერაში მოიხსენიება "გვირგვინოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა

კურაპალატი". ეს გვირგვინოსანი ბაგრატ არის გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ მესამე. წარწერა კი შესრულებული ჩანს 1010-1014 წლებში (1010 წელს საქართველოს შემოუერთდა რანის სამეფო, 1014 წელს კი გარდაიცვალა ბაგრატ მესამე. ნიკორწმინდა სწორედ მან აღაშენა მანამდე არსებული მცირე ეკლესიის ადგილას).

ნიკორწმინდის ტაძარი XI ს-შივე მოიხატა. ეს მოხატულობა განახლდა XVII ს-ის მეორე ნახევარში. რუსთა ელჩობის ერთ-ერთი მეთაური იევლევი (1651 წ.) წერდა "აქ წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელობის ქვის საყდარი საოცარი ნახელავია. იგი გარედან მოჩუქურთმებულია და ქვაზე ამოჭრილია საუფლო დღესასწაულები, წინასწარმეტყველნი..." სწორედ ამ ჩუქურთმებს უძღვნა თავისი "ქებათა ქება" გალაკტიონმა.

იმერეთის მეფე ალექსანდრე VI-ის დავალებით ტიმოთე გაბაშვილის მიერ 1737 წელს შედგენილ იმერეთის (დას. საქართველოს) რუკაზე ნიკორწმინდის ეკლესია აღნიშნულია, როგორც წმიდის ნიკოლოზის ეკლესია სამიტროპოლიტო. უფრო ადრე, 1651 წლის ივლისში, რუსეთის ელჩობა ტოლოჩანოვისა და იევლევის წინამძღოლობით, რომელთაც ორჯერ გადაჭრეს რაჭა (რიონის სათავიდან იმერეთისაკენ და უკანვე) ნიკორწმინდაში სწვევია თავისი სამეფოდან გამოძევებულ ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ პირველს. ისინი პირველი უცხოელები არიან, რომელთაც აღწერეს ნიკორწმინდის მონასტერი (აგრეთვე თევრეშოს, კვარაციხის, ამბროლაურის, კრიხის ეკლესიები).

მრავალმხრივ მნიშვნელოვან "ნიკორწმინდის დაწერილში" (იადგარში), რომელიც შედგენილია XI ს-ის მეორე ნახევარში, ჩამოთვლილია 30-ზე მეტი სოფელი, სადაც მონასტერს ყმა-მამული ეკუთვნოდა. ამ სოფლებში, ნიკოლაოს წმიდას გარდა, დასახელებულია: მეტეხარა (ამჟამინდელი ამბროლაური), ზნაკუა და ზნაკუას

ჯვარისა, კაჩაეთი, ხოტევი, ძირაგეული, ხივში (ხიმში), შქმერი, აგარა, აგრეთვე შხრო, ხევხმელი, შომიეთი და ჰერნეული (რომლებიც დღეს სოფ. ნიკორწმინდის საზღვრებშია. იხ. თ. ბერაძე, რაჭა, გვ. 114) და სხვ. ნიკორწმინდის საეპისკოპოსო გაუქმდა 1820 წელს.

საბჭოთა პერიოდში (1930-1960 წწ.) ნიკორწმინდას სინათლე ერქვა. ნ. მარის ეტიმოლოგიით, სახელწოდება ნიკორწმინდა დაკავშირებულია ხარის კულტთან: ნიშა ხარი = ნიკორა (ტოტემი) > ნიკორა წმინდა > ნიკორწმინდა. მაგრამ ფაქტია, რომ ნიკორწმინდა აგებულია წმინდა ნიკოლოზის სახელზე და იქვე ინახებოდა წმინდა ნიკოლოზის ხატი. გარდა ამისა, ისტორიულ წყაროებში დაცულია უძველესი ფორმა "ნიკოლაოსწმინდა". საერთოდ, საქართველოში მრავალ სოფელს დარქმევია ეკლესიის სახელი. მაგალითად: გიორგიწმინდა, ნინოწმინდა, მარტვილი, უფალკარი, ყულიშკარი, კვირიკეწმინდა, ჯვარისა...

პირველი უცხოელი მოგზაური, ვინც ეწვია ნიკორწმინდას რაჭაში (1772 წ. 4 აგვისტოს), იყო გერმანელი გიულდენშტედტი. მისი აღწერით, ნიკორწმინდა მდებარეობს კირქვიანი მთის მწვერვალზე, ხოლო მას ამშვენებს "თლილი ქვისაგან ნაშენი ჯვარის ტიპის ეკლესია, 30 ნაბიჯის სიგრძისა და 15 ნაბიჯის სიგანისა. ცოტა ხნის წინათ აქ იყვნენ თურქები, რომლებმაც ბევრი რამ დაანგრიეს და ეკლესია გაძარცვეს" (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 131). მაგრამ ასევე მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა ნიკორწმინდას არც ახსენებს, თუმცა არც ისე შორს ჩაუარა (ხრეითიდან გამგზავრებულმა რაჭის ქედი გადალახა და, ჩაუყვა რა ხოტევის ხეობას, ხოტევამდე მიაღწია).

1947 წლის აგვისტოში გალაკტიონ ტაბიძე მეუღლესთან ერთად ისვენებდა შოვში. იგი დაინტერესდა ნიკროწმინდით, ეწვია მას და მისი ჩუქურთმებით

აღფრთოვანებულმა კურორტში დაბრუნებისთანავე სპეციალურად მისთვის მუხის ქვეშ დადგმულ მაგიდაზე დაწერა "ქებათა ქება ნიკორწმინდას" (დაიბეჭდა "ინდუსტრიულ ქუთაისში" იმავე წლის 30 აგვისტოს).

2005 წელს, ნიკორწმინდის გამგებლის – თ. ჯმუხაძის მიერ შედგენილი ცნობის მიხედვით, ნიკორწმინდაში ცხოვრობდა 26 გვარის მატარებელი 323 კომლი. მრავალკომლიანობით გამოირჩევა გვარები: კობახიძე – 91 კ., გურგენიძე – 53 კ., გეგეშიძე – 41 კ., დოხნაძე – 30 კ., დვალი – 24 კ., ვაჩაძე – 21 კ., ჯმუხაძე – 21 კ., კანდელაკი – 16 კ., ნებულიშვილი – 12 კ., შავლაძე – 9 კ., კვახიძე – 8 კ.

სოფლის ტოპონიმური მასალა სხვადასხვა დროს აღწერეს და თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში გამოაგზავნეს: 1971 წელს იუზა აკაკის ძე კობახიძემ, თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა (მისი რესპოდენტი იყო პახმენტი პლატონის ძე კობახიძე), ხოლო 1976 წელს – სერგო მელიქიძემ (თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიის თანამშრომელმა. მისი რესპოდენტი იყო კლავდია დოხნაძე); 1978 წელს ნიკორწმინდისა და კაჩაეთის ტოპონიმთა სია შეადგინეს ფ. მაკალათიამ და ვ. ჯოჯუამ. ნიკორწმინდისა და კაჩაეთის ტოპონიმთა სრული აღწერა ჩაატარა პ. ცხადაიამ 2001 წლის 13-15 ივნისს. მას ეხმარებოდნენ:

გურგენიძე რაჟდენ გრიგოლის ძე, 82 წ.
გურგენიძე შოთა ვლადიმერის ძე, 82 წ.
ვაჩაძე ბენია ანტონის ძე, 85 წ.
კანდელაკი გია გრიგოლის ძე, 42 წ.
კობახიძე ზვიად ჯემალის ძე, 18 წ.
კობახიძე ნიკოლოზ ლავრიკოს ძე, 30 წ.
კობახიძე პანტელეიმონ პლატონის ძე, 87 წ.
კობახიძე ჟორჟიკა მიხეილის ძე, 77 წ.
ჯმუხაძე ვიტალი სევარიონის ძე, 74 წ.
ჯმუხაძე როსტომ ქიშვარდის ძე, 42 წ.

ლექსიკონში შესულია პროფ. მ. ალავიძის მიერ ჩაწერილი მასალაც (მ. ალავიძე, ქვემორაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონი, ქპი შრომები, №17, 1957 წ.), მაგრამ, სამწუხაროდ, ტოპონიმებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ახლავს ლოკალიზაცია და მოტივაცია.

## კაჩაეთი

**კაჩაეთი** – სოფელი ნიკორწმინდის თემის საკრებულოში, ხოტევ–ზნაკურის წყალგამყოფი ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1180 მ. ამბროლაურიდან 18 კმ. ტყიბულიდან 23 კმ. ესაზღვრება: აღმ-ით – ხოტევი, სამხრ-ით – ჭელიაღელე და ნიკორწმინდა, დას-ით – ხოტეურა-ზნაკურას წყალგამყოფი ქედი. პირველად მოხსენიებულია XI ს-ის მეორე ნახევარში შედგენილ "ნიკორწმინდის დაწერილში" (დასახელებულია იმ სოფელთა შორის, სადაც ნიკორწმინდის მონასტერს ეკუთვნოდა ყმა-მამულები). სოფელში დგას შუა საუკუნეების გუმბათოვანი ტაძარი. სახელწოდება წარმოქმნილია ეთ- სუფიქსით (შდრ. ფუტიეთი, ლიხეთი...).

2005 წელს კაჩაეთში აღინუსხა 9 გვარის მატარებელი 68 კომლი: დვალი – 12 კ.; დოხნაძე – 10 კ., რამინაშვილი – 10 კ., გორდიაშვილი – 8 კ., პეტრიაშვილი – 7 კ.

კაჩაეთის ტოპონიმთა პირველადი აღწერა ჩაატარეს 1977 წელს თსუ მეცნიერ-თანამშრომლებმა ფ. მაკალათიამ და ვ. ჯოჯუამ, ხოლო ეს მასალა გადაამოწმა, დააზუსტა და შეავსო 2005 წელს პ. ცხადაიამ. მისი ინფორმატორები იყვნენ:

ბაზიერაშვილი თემურ ალექსანდრეს ძე, 60 წ.

დოხნაძე ჯამლეთ დომენტის ძე, 68 წ.

რამინაშვილი ვალიკო იპოლიტეს ძე, 76 წ.

ქემოკლიძე გურამ გერონტის ძე, 68 წ.

## სადმელის თემის საკრებულო

**სადმელის თემის საკრებულო** – ადმ.-ტერიტ. ერთეული ამბროლაურის რ-ნში, რიონის მარჯვ. მხარეს, ხიდიკრის თემის საკრებულოსა და ხვანჭკარის თემის საკრებულოს შუა. შედის სოფლები: სადმელი (ც), ბოსტანა, კლდისუბანი, ღვიარა, ძირაგეული. მცხოვრებთა რაოდენობით რაიონის თემის საკრებულოებს შორის მეორე ადგილზეა (1789 სული: კაცი – 845, ქალი – 944) და მხოლოდ 11 სულით ჩამორჩება პირველ ადგილზე მყოფ ხვანჭკარის საკრებულოს. სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

სადმელი – 594 სული (კაცი – 283, ქალი – 311).

ბოსტანა – 367 სული (კაცი – 171, ქალი – 196).

კლდისუბანი – 266 სული (კაცი – 127, ქალი – 134).

ღვიარა – 200 სული (კაცი – 98, ქალი – 102).

ძირაგეული – 367 სული (კაცი – 166, ქალი – 201).

2005 წელს სადმელის თემის საკრებულოში, თემის საკრებულოს თავმჯდომარის – დიომიდე დვალის მიერ ხელმოწერილი ცნობის მიხედვით, ცხოვრობდა 736 კომლი (იხ. სოფლების მიხედვით).

## სადმელი

**სადმელი** – სოფელი, სადმელის თემის საკრებულოს ცენტრი რიონსა და მის მარჯვ. შენაკად რიცეულას შორის მდებარე ვაკესა და მიმდებარე მთის კალთებზე. ზ. დ. 760 მ. ამბროლაურიდან 5 კმ.

1651 წელს იმერეთის მეფეს ეწვივნენ რუსთა ელჩები ტოლჩანოვი და იევლევი. მათ გადალახეს კავკასიის ქედი, გამოიარეს რაჭა, ჩამოვიდნენ იმერეთში და ამავე გზით გაბრუნდნენ უკან. როგორც არაერთგზის აღუნიშნავთ, ისინი იყვნენ პირველი უცხოელები, რომლებმაც აღწერეს

რაჭა. მათს ანგარიშებში მოხსენიებულია სოფელი სადმელიც (ბერაძე, 2004, გვ. 25).

სადმელი და სადმელის ხევი რამდენიმეჯერ არის დასახელებული ვახუშტი ბაგრატიონის "აღწერა სამეფოსა საქართველოსაში". მოგვყავს რამდენიმე ამონარიდი: "ამ ზნაკვის-ჴევს ზეით მოერთვის რიონს ჩდილოდამ სადმელის-ჴევი, გამოსდის კავკასს რაჭა-სუანთ შორის და მოდის ჩდილოდამ სამჴრეთად. სადმელს არს ციხე კლდესა ზედა შენი, შეუვალი მტრისა" ("ქ. ცხ.", IV, გვ. 763); "ამ ეკლესიაზედ (ველიეთის წმ. გიორგის ეკლესია – პ. ც.) გარდავალს გზა სადმელს, თჳნიერ მისსა არასადა, წესიდამ" (იქვე, გვ. 765); "მერმე მოადგა ერისთავი სადმელს, ციხესა იაშვილისასა" (იქვე, გვ. 885). რა თქმა უნდა, "სადმელის-ჴევი" დღევანდელი რიცეულაა, ხოლო "ზნაკვის-ჴევი" – დღევანდელი ზნაკურა. გიულდენშტედტის მოგზაურობის (1772 წ.) დღიურში რიონის მარჯვ. ნაპირის სოფლებს შორის დასახელებულია სადმელი (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 113,127, 291). სადმელს ასე აგვიწერს ევროპელი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა (ძმის ჩანაწერებზე დაყრდნობით. 1823 წ.): "სოფელი სადმელი, ისე როგორც ამ მაზრის ყველა სოფელი ერთმანეთისაგან შორიშორს მდგარი რამდენიმე სახლისაგან შედგება. მოურავის საცხოვრებელი ისეთ ადგილას იდგა, რომ იგი მოგზაურების მიერ გავლილ მშვენიერ ხეობას გადაჰყურებდა" (გამბა, 1987, გვ. 199).

2005 წელს სადმელში მკვიდრობდა 38 გვარის მატარებელი 262 კომლი. კომლმრავლობით გამორჩეულია გვარი კერესელიძე – 62 კომლი. სხვა გვარებიდან შეიძლება დავასახელოთ: ჯანელიძე – 22 კ., მეტონიძე – 20 კ., მუსერიძე – 19 კ., ოშხერელი – 18 კ., შაუთიძე – 17 კ., შარაბიძე – 14 კ., ჭელიძე – 13 კ., მარგველაძე – 11 კ., ენუქიძე – 9 კ. და სხვ.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1977 წელს ფ. მაკალათიასა და ვ. ჯოჯუას მიერ. მათი ინფორმატორები

იყვნენ: მურესიძე თამარა (55 წ.), კობზანიძე მანია (53 წ.), ოშხერელი ჯაბო (41 წ.), შარაბიძე ბაბილინა (60 წ.).

მასალა გადაამოწმა, დააზუსტა და შეავსო პ. ცხადაიამ 1998 წლის აგვისტოში. რესპოდენტები იყვნენ:

კერესელიძე ვალერი სერგოს ძე, 59 წ.
კერესელიძე რევაზ სამსონის ძე, 60 წ.
მარგველაძე გიორგი პარმენის ძე, 58 წ.
მუსერიძე ელგუჯა ბიძინას ძე, 60 წ.
შარაბიძე ნატო შალვას ას., 39 წ.

## ბოსტანა

**ბოსტანა** – სოფელი სადმელის თემის საკრებულოში, რიონის მარჯვ. ნაპირზე, რიცეულასა და ჩორჯოსწყალს შუა ვაკესა და მის ჩრდ-ით მდებარე მთის კალთებზე. ზ. დ. 700 მ. ამბროლაურიდან 8 კმ. აქ გადის ამბროლაურ-ქუთაისის საავტომობილო გზა. სოფელს შუა ჭრის და რიონს ერთვის ღვიარახევი. 2006 წელს ბოსტანაში მკვიდრობდა 18 გვარის მატარებელი 164 კომლი. მათგან ყველაზე მრავლკომლიანია ჯოხაძე – 80 კ. სხვა გვარებიდან შეიძლება დავასახელოთ დარახველიძე – 37 კ. და ჯანგიძე – 30 კ.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1977 წელს (რესპოდენტები: შურა ჯანგიძე, 54 წლისა და ნონა ჯოხაძე, 55 წლისა). მასალა გადამოწმდა და შეივსო 1997 წლის აგვისტოში (რესპოდენტები: გორგასლიძე ნონა კიმოთეს ას., 64 წ., დარახველიძე შოთა პორფილეს ძე, 65 წ. და ჯანგიძე მილორდი ვლადიმერის ძე, 67 წ.).

## კლდისუბანი

**კლდისუბანი** – სოფელი სადმელის თემის საკრებულოში, რიცეულის ორსავე მხარეს. ზ.დ. 800 მ. ამბროლაურიდან 6 კმ. სადმელიდან 2 კმ. შედგება ორი ძირითადი უბნისაგან: **ჭელიძეები** – მდინარის მარცხ. მხარეს, **რატიანები** – მდინარის მარჯვ. მხარეს, მაღალი კლდის ძირას. დღევანდელი სოფელი კლდისუბანი უწინ სადმელის ერთი უბანი ყოფილა. სოფელში კლდოვან ქედზე დგას ორი ეკლესია: ერთი – IX-X სს-ისა, ხოლო მეორე, უფრო მცირე – X-XI სს-ისა (ორივე გალავნის შიგნით), შემორჩენილია ფეოდალური ხანის ციხე-დარბაზიც (ქსე, ტ. V).

XV ს-ში კლდისუბანში, რიცეულის მარჯვ. ნაპირის კლდოვან ბორცვზე, ქაფათაღელის შესართავთან, მდგარა იაშვილების ციხე და სასახლე. კლდისუბნის ღვთისმშობლის ეკლესიაც იაშვილებისა იყო. ეკლესიის შიგნით ყოფილა აკლდამა-სამარხიც. რიცეულის მარცხ. ნაპირის მაღალ მთაზევე დგას IX-X სს-ის წმინდა გიორგის ეკლესია. იგი სადმელის ხევის მთავარ სალოცავს წარმოადგენდა. აქ წელიწადში სამი დღეობა აღინიშნებოდა: გიორგობა (მვ. სტ. 23 აპრილსა და 10 ნოემბერს) და ელიობა (აღდგომის შემდგომ ხუთშაბათს). გიორგობის დღესასწაულზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოდიოდნენ მთელი დას. საქართველოდან: იმერეთიდან, ოდიშიდან, გურიიდან (ზერაძე, 2004, გვ. 143).

2006 წელს სოფელში ცხოვრობდა 15 გვარის მატარებელი 113 კომლი. მათგან კომლმრავლობით გამოირჩევა რატიანი – 67 კომლი. სხვა გვარებიდან შეიძლება დავასახელოთ: ჭელიძე – 15 კ., გურული – 6 კ., შარაბიძე – 5 კ. ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს 1977 წელს ფ. მაკალათიამ და ვ. ჯოჯუამ. მათი რესპოდენტები იყვნენ: ოშხერელი ჯაბა (41 წ.), პაპუაშვილი აპოლონ (75 წ.),

პაპუაშვილი ჯემალ (36 წ.), რატიანი ბორის (37 წ.), რატიანი გივი (49 წ.), რატიანი ვლადიმერ (44 წ.), რატიანი უშანგი (48 წ.), ხაინდრავა ბახვა (51 წ.).

მასალა გადაამოწმა, დააზუსტა და შეავსო პ. ცხადაიამ 1998 წლის აგვისტოში. ეხმარებოდნენ: სულაძე შოთა ილიკოს ძე (72 წ.), ჭელიძე გურამ ვარლამის ძე (70 წ.), ჯოხაძე გალაქტიონ (ღალაკო) ნესტორის ძე (75 წ.).

## ღვიარა

**ღვიარა** – სოფელი სადმელის თემის საკრებულოში, რიონის მარჯვ. მხარეს, ღვიარაღალის ხეობაში. ზ.დ. 760 მ. ამბროლაურიდან 7 კმ., სოფელს თავს დაჰყურებს X ს. მეორე ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – ჯვარცმის დარბაზული ეკლესია... იგი პროპორციებითა და მხატვრული გადაწყვეტილებით ენათესავება X ს. სვანეთის ეკლესიებს (ქსე, ტ. X, გვ. 5).

ღვიარას არა, მაგრამ ღვიარასხევს ასახელებს ვახუშტი ბაგრატიონი: "სადმელს ქუეით ამ ჴევს (სადმელის ხევს – პ. ც.) ერთვის ღვიარას-ჴევი. გამოსდის მასვე კავკასს და დის ეგრეთვე" ("ქ.ცხ.", IV, გვ. 763). ოღონდ ღვიარასხევი ერთვის არა სადმელისხევს, ე.ი. რიცეულას, არამედ უშუალოდ რიონს სოფ. ბოსტანაში. ღვიარაში, ჯვარცმის ეკლესიის გარდა, შემორჩენილია "სობჩის ეკლესიაც" (სოფლის ჩრდ-ით, ღვიარაღელის მარცხ. მხარეს, მთაზე. მის აშენებას მიაწერენ თამარ დედოფალს). აქ აღინიშნებოდა რელიგიური დღესასწაულები – გიორგობა, წიფეთელობა...

2006 წელს სოფელში ცხოვრობდა 8 გვარის მატარებელი 75 კომლი. მათგან 60%-ზე მეტი მოდის დარახველიძეებზე – 44 კომლი. სხვა გვარები: ჯოხაძე – 22 კ., ფრუიძე – 5 კ., მაჭანკალაძე - 5 კ.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს ფ. მაკალათიამ და ვ. ჯოჯუამ 1977 წელს. მათი რესპოდენტები იყვნენ: ტატიანა გორგასლიძე (54 წ.), ნუშა დარახველიძე (48 წ.), ნელი ფრუიძე (22 წ.). მასალა გადაამოწმა, დააზუსტა და შეავსო პ. ცხადაიამ 1998 წელს. რესპოდენტები იყვნენ:

გორგასლიძე გრიშა კიმოთეს ძე, 68 წ.
გორგასლიძე მურთაზ აპაფონტის ძე, 50 წ.
გორგასლიძე შოთა კიმოთეს ძე, 70 წ.
დარახველიძე გურგენ აკაკის ძე, 67 წ.
დარახველიძე თენგიზ ილიას ძე, 55 წ.
დარახველიძე მერაბ ნოეს ძე, 36 წ.
დარახველიძე პაატა იაკობის ძე, 25 წ.
მარგველაძე გიორგი პარმენის ძე, 52 წ.
ჯოხაძე მიტუშა გიორგის ძე, 66 წ.

## ძირაგეული

**ძირაგეული** – სოფელი სადმელის თემის საკრებულოში, რიონის მარჯვ. ნაპირზე, სადმელსა და კვაცხუთს შუა. ზ.დ. 680 მ. ამბროლაურიდან 3 კმ. ტყიბულიდან 42 კმ. სამხრ-ით ესაზღვრება ქ. ამბროლაური. სოფელი ძირგეული ფორმით დასახელებულია XI ს-ის მეორე ნახევარში შედგენილ "ნიკორწმინდის იადგარში", სადაც ნათქვამია: "ძირგეულს ვიყიდე სეფესა ყანასა თანა ჭარტლისძისაგან ყანაჲ... მუნვე ძირგეულს მოვიგე ყანაჲ..." (ქსძ, III, გვ. 31).

2005 წელს ძირაგეულში აღინუსხა 28 გვარის მატარებელი 123 კომლი. კომლთა სიმრავლით გამოირჩევა გვარები: ჭელიძე – 28 კ., გაბიჩვაძე – 14 კ., ბოჭორიშვილი – 10 კ., გველეთიანი, ნიკოლაშვილი, სუთიძე (8-8 კომლი), არჩვაძე – 7კ., ჯაფარიძე – 7 კ.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერა ვ. ჯოჯუამ 1977 წელს. მისი რესპოდენტები იყვნენ:

ბოჭორიშვილი ლამარა გაბრიელის ას., 48 წ.

უგრეხელიძე გელა გრიგოლის ძე, 42 წ.
უგრეხელიძე ტარასი სერგოს ძე, 70 წ.
ჭელიძე ბიკენტი პეტრეს ძე, 67 წ.
ჭელიძე ინდიკო ლევანის ძე, 68 წ.
ჭელიძე მარი არტემის ას., 68 წ.

მასალა გადაამოწმა და შეავსო პ. ცხადაიამ 1998 წლის აგვისტოში. რესპოდენტები:

გელოვანი ლევან მერაბის ძე, 24 წ.
გელოვანი ჯანვერდი იპოლიტეს ძე, 60 წ.
მეტონიძე აველი დავითის ძე, 71 წ.

2009 წლის აგვისტოში დასაბეჭდად გამზადებული მასალა შეავსო პეტრე კერესელიძემ (82 წ.).

## სხვავის თემის საკრებულო

**სხვავის თემის საკრებულო** – ადმ.-ტერიტ. ერთეული მდ. ხრიკულის ხეობაში. ჩრდ-ით ესაზღვრება ბარის თემის საკრებულო, აღმ-ით – მრავალძლის საკრებულო (ორივე ონის რ.), სამხრ-ით კი – სხვავის (ველტყევის) უდაბნო. შედის სოფლები: შუა სხვავა (ც.), ზემო სხვავა, ფუტიეთი. ქვემო სხვავა, რომელიც რამდენიმე ათეული წლის წინ ცალკე სოფლად ითვლებოდა, შეუერთდა შუა სხვავას.

სხვავა პირველად დასახელებულია, ოღონდ სხოვა ფორმით, ტოლოჩანოვისა და იევლევის მოგზაურობის (1651 წ.) აღწერილობაში. "სხოვა" და "სხოვის ხევი" (რომელიც "კრიხულას ერთვის კრიხს ზემოთ") გვხვდება ვახუშტი ბაგრატიონის "აღწერაშიც" (იხ.: "ქ. ცხ."; IV, გვ. 764, 870). ეს სხოვის ხევი დღეს მდინარე ჭალაა (კრიხულის მთავარი მდგენელი). გიულდენშტედტის მოგზაურობის (1772 წ.) აღწერაში რიონის მარცხ. მხარეს მდებარე სოფლებს შორის დასახელებულია სოფელი სხვავა, ოღონდ არა კრიხულის, არამედ, შეცდომით, ბარულის ხეობაში (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 293). თავდაპირველი ჩანს ფორმა "სხვავა": ქართულის დიალექტებში ჩვეულებრივია

ფონეტიკური გადასვლა ვა > ო. სხვავას სახელი დაერქვა რამდენიმე კმ-ზე მდებარე ველტყევის, ანუ ნათლისმცემლის, უდაბნოსაც.

სხვავის თემის მოსახლეობა 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, მხოლოდ 223 სულს აღწევს (კაცი – 101, ქალი – 122). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

შუა სხვავა – 151 სული (კაცი – 66, ქალი – 85).

ზემო სხვავა – 53 სული (კაცი – 27, ქალი – 26).

ფუტიეთი – 19 სული (კაცი – 8, ქალი – 11).

სხვავის თემის საკრებულოს გამგებლის, ქ-ნ ნინო ჯაფარიძის მიერ 2005 წლის 16 აგვისტოს შედგენილი ცნობის თანახმად, სხვავის თემის საკრებულოში მკვიდრობს 145 კომლი (იხ. სოფლების მიხედვით).

## შუა სხვავა

**შუა სხვავა** – სოფელი, სხვავის თემის საკრებულოს ცენტრი მდ. კრიხულის ზემოთში. ზ. დ. 1000 მ. ამბროლაურიდან 9 კმ. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების კვარას ციხე (რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწისძვრამ სრულად ჩამოშალა) და "ძელი ჭეშმარიტის" ძველი ეკლესია (რომლისგანაც მხოლოდ საძირკველი და ზოგი წარწერიანი ქვა დარჩა), აგრეთვე XIX საუკუნის გუმბათოვანი ეკლესია ძელიცხოველი.

2005 წელს შუა სხვავაში ესახლა 19 გვარის მატარებელი 88 კომლი. გვართგან შედარებით მრავალკომლიანია: კაციტაძე – 11 კ., ნეფარიძე – 10 კ., არჩვაძე – 9 კ., დავლიანიძე – 9 კ.; ბუხრაშვილი – 8 კ., ბრეგვაძე – 6 კ., ქვათაძე – 6 კ.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერა ფ. მაკალათიამ 1977 წ. მისი რესპოდენტები იყვნენ:

ბუხრაშვილი სონია გიორგის ას, 55 წ.

დავლიანიძე დომნა დავითის ას., 54 წ.

კაციტაძე გრიგოლ მინას ძე, 68 წ.

ნეფარიძე იოსებ გიორგის ძე, 62 წ.

ქვათაძე უჩა ალექსანდრეს ძე, 38 წ.

მასალა გადამოწმდა, დაზუსტდა და შეივსო 2005 წლის აგვისტოში. რესპოდენტები:

არჩვაძე ცირა გერონტის ას., 60 წ.

ბაქრაძე აკაკი პიმენის ძე, 56 წ.

ბუხრაშვილი ვახტანგ ნიკოლოზის ძე, 78 წ.

კაციტაძე იულია ვასილის ას., 77 წ.

მდივნიშვილი გიორგი მალაქიას ძე, 71 წ.

ნეფარიძე ელგუჯა მელიტონის ძე, 75 წ.

ციხისელი სარა ვანოს ას., 68 წ.

ჯაფარიძე ანზორ ტიტეს ძე, 64 წ.

ჯაფარიძე ნინო (ნუნუ) გივის ას., 53 წ.

ჯაფარიძე ქიონია მალაქიას ას., 63 წ.

## ზემო სხვავა

**ზემო სხვავა** – სოფელი სხვავის თემის საკრებულოში, კრიხულის ზემოთში, შუა სხვავასა და ფუტიეთს შუა. ზ. დ. 1100 მ. ამბროლაურიდან 12 კმ.

ზემო სხვავაში იყო რაჭის ერისთავის რეზიდენცია XVII ს-ში (სოფლის ცენტრში ვრცელ ვაკეს, სადაც იდგა ერისთავთა სასახლე, დღესაც ეწოდება "სასახლე"). ზემო სხვავა 1785 წელს ქართველთა შინაფეოდალური ქიშპობის მოწმე გახდა: აქ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ დავით მეფე და მასზე განაწყენებული და აჯანყებული რაჭის ფეოდალები ბერი წულუკიძე და პაპუნა წერეთელი, რომელთაც ახალციხის საფაშოდან 1500-მდე დაქირავებული თურქი და ლეკი შემოიყვანეს იმერეთის გავლით... მეფემ გაიმარჯვა, დაქირავებულ დამპყრობელთაგან კი არავინ გადარჩენილა. 1810 წელს იმერეთისა და რაჭის ყველა მნიშვნელოვანი სიმაგრე

რუსთა ჯარმა დაიკავა და 1811 წელს შეიქმნა რაჭის ოკრუგი, რომლის ცენტრი დღევანდელ ზემო სხვავაში იყო.

2005 წელს ზემო სხვავაში ცხოვრობდა 16 გვარის მატარებელი 52 კომლი. შედარებით მრავალკომლიანი გვარებია: ბედელაძე – 8 კ., მაჩაიძე – 7 კ., გონგაძე, ქართველიშვილი, ქურციკიძე, კობერიძე (5-5 კომლი).

ტოპონიმური მასალა ჩაიწერა პ. ცხადაიამ 2005 წლის აგვისტოში. რესპოდენტები:

გონაძე ნოდარ იაგორას ძე, 71 წ.

კირვალიძე ირაკლი გედევანის ძე, 71 წ.

კობერიძე ლასიკო (დალოსტი) მანოველის ძე, 63 წ.

კობერიძე ნოდარ ოქრიას ძე, 71 წ.

მაჩაიძე გურამ ნიკოლოზის ძე, 72 წ.

ნეფარიძე ელგუჯა მელიტონის ძე, 75 წ.

ქართველიშვილი ილია გურამის ძე, 42 წ.

ქართველიშვილი ჯიმშერ ვასილის ძე, 77 წ.

## ფუტიეთი

**ფუტიეთი** – სოფელი სხვავის თემის საკრებულოში, მდ. ჭალის (კრიხულის ზემო წელი) სათავეებთან. ზ. დ. 1250 მ. ამბროლაურიდან 15 კმ. ყველაზე მაღალი სოფელია ამბროლაურის რაიონში. სოფლის სახელწოდება წარმოქმნილია დასავლურქართულ დიალექტებში ფართოდ გავრცელებული -ეთ სუფიქსით (ჩვეულებრივ დაერთვის პირსახელს, მეტსახელს, გვარსახელს). ტოპონიმ ფუტიეთისაგან არის წარმოქმნილი წარმომავლობის სახელები: ფუტიური, ფუტიერი.

1578 წელს შედგენილ საეკლესიო-სამართლებრივ საბუთში "დავთარი ქუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა" დასახელებულია ვარიანტი ფუტეთი ("რაჭას ფუტეთს არს საქუთათლო კაცნი გიორგობიანი; ამათ მართებს..." იხ. ქსძ, III, გვ. 308), ხოლო 1731 წელს დაწერილ ამგვარსავე შეწირულების წიგნში – ფუტიეთი (იქვე, გვ.

728). გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წელს იმოგზაურა რაჭასა და იმერეთში, რიონის მარჯვ. მხარეს მდებარე სოფლებს შორის ასახელებს **სხვავასაც** და **ფუტიეთსაც**, ოღონდ **ბარულაზე** და არა კრიხულის ხეობაში (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 293). ფუტიეთის ქვითკირის ეკლესია ახალი დროისაა (ბოჭორიძე, 1994, გვ. 201).

ფუტიეთი სულადობით მცირერიცხოვანი სოფელია: 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ამ სოფელში მხოლოდ 19 სული ცხოვრობს. ისინი ქმნიან 10 კომლს. მათი გვარებია: გიორგობიანი – 5 კ., არჩვაძე – 3 კ., სვანაძე, ქვათაძე (თითო-თითო კომლი).

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია ფ. მაკალათიმ მიერ 1977 წელს, ხოლო მასალა გადაამოწმა და შეავსო პ. ცხადაიამ 2005 წლის აგვისტოში. რესპოდენტები იყვნენ:

აგლაძე აკაკი პარმენის ძე, 72 წ.
არჩვაძე ბუჭა ქიშვარდის ძე. 66 წ.
გიორგობიანი დუხია ონისიმეს ას., 73 წ.
გიორგობიანი ზოია ნიკოლოზის ას., 63.
გიორგობიანი მიხეილ იპატის ძე, 72 წ.
ქვათაძე ტატიანა ვიქტორის ას., 75 წ.

## წესის თემის საკრებულო

**წესის თემის საკრებულო** – ადმ.-ტერიტ. ერთეული ამბროლაურის რ-ნ-ში, რიონის ორივე ნაპირზე, ხიდიკრიდან ბარისა და ლიხეთის საკრებულოებამდე. შედის ორი სოფელი: წესი (ც.), და მუხლი.

2002 წელს ჩატარებული პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის მონაცემებით წესის თემის საკრებულოში 678 მოსახლეა (320 კაცი, 358 ქალი). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

წესი – 628 სული (298 კაცი, 330 ქალი).
მუხლი – 50 სული (22 კაცი, 28 ქალი).

## წესი

**წესი** – სოფელი წესის თემის საკრებულოში, რიონის მარცხ. ნაპირიდან ტყეზურგისა და საელიოს ქედებამდე. ზ.დ. 700 მ. ამბროლაურიდან 5 კმ, ტყიბულიდან 43 კმ. შუა და გვიანდელ ფეოდალურ ხანაში წესში რაჭის ერისთავთა რეზიდენცია იყო. აქ იდგა მათი კარის ეკლესია – ბარაკონი (შემორჩენილია ნანგრევების სახით). დღემდე დაუზიანებლად მოღწეული ბარაკონის ეკლესია აშენებულია 1753 წელს. სოფლის ახლოს დგას მინდა(ს)ციხე (შუა საუკუნეებისა). ტოლჩანოვისა და იევლევის მოგზაურობის (1651 წ.) აღწერილობაში წესი დასახელებულია Цесый და Цесыр ფორმებით.

XX ს-ის 20-იან წლებში გ. ბოჭორიძემ წესში აღწერა 5 ეკლესია, ერთი ციხე და ერთი ციხის ნანგრევი. ეკლესიებია: ველიეთის წმ. გიორგისა (სოფლის დას-ით, კლდეზე. უნდა იყოს XVI-XVII სს-ისა); კვარაციხის მთავარანგელოზისა (კვარაციხეში); წმინდა გიორგის (მარინეს) ეკლესიის ნანგრევი; ბარაკონის ღვთისმშობლისა (რიონის მარჯვ. ნაპირას. აუშენებია რაჭის ერისთავ როსტომს 1753 წ.); ბარაკონის ძველი ეკლესიის ნანგრევი ღვთისმშობლის ეკლესიის მახლობლად. ციხეებია: მინდაციხე და ნინიას ციხის ნანგრევები. ისტორიაში ცნობილი მინდაციხე დგას ლუხუნის მარცხ. მხარეს, "მოჯალაბეების" ზევით, კლდოვან ბორცვზე. წესსა და ნინიას ციხეს მოიხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონიც. მის "აღწერაში" აღნიშნულია: "ხიდისკარს ზეით რიონის კიდეზე გამოდის კლდიდამ თბილი წყალი, არამედ უჴმარი, მას ზეით არს წესი, დაბა კარგი. აქა იტყჳან ვერცხლის ლითონს. აქავ, რიონის კიდეზედ, არს ნინიას ციხე, კდესა ზედა შენი" ("ქ.ცხ.", IV, გვ. 765). ნინიას ციხე სოფელში არ იციან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის რუკაზე წესთან ერთად დატანილია ეკლესია "ბარაკონიც", მინდაციხეც, ნინიას ციხეც. ამ უკანასკნელს გ. ბოჭორიძე

აიგივებს იმ ციხესთან, რომელიც იდგა რიონის კიდეზე, ერთ-ერთი მოსახლის ეზოში და დაუნგრევიათ 1915 წელს (ბოჭორიძე, 1994, გვ. 178).

ტიმოთე გაბაშვილის მიერ 1737 წ. შედგენილ "იმერეთის რუკაზე" დატანილია წესის სასახლე და ციხე წესისა. ჟაკ ფრანსუა გამბა ამიერკავკასიაში მოგზაურობის აღწერილობაში აღნიშნავს, რომ სოფელ Tsiti-ში ვერცხლის საბადოს ამუშავებდნენ. ფიქრობენ, რომ ეს Tsiti წესი უნდა იყოს.

2005 წელს წესში ცხოვრობდა 32 გვარის მატარებელი 237 კომლი. კომლმრავლობით გამოირჩევა გვარები: მაისაშვილი – 52 კ., მელაშვილი – 49 კ., გოგობერიშვილი – 34 კ., ნატმელაძე – 23 კ., კერესელიძე – 22 კ., გამყრელიძე – 7 კ., კობერიძე – 7 კ.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერა ფ. მაკალათიამ 1977 წელს. მისი რესპოდენტები: უჩა გამყრელიძე (51 წ.), ჟუჟუნა გოცირიძე (48 წ.), ევლოგი მაისაშვილი (37 წ.), ლეილა მაისაშვილი (37 წ.), მერი მაისაშვილი (41 წ.), ნარგიზა მაისაშვილი (30 წ.)

მასალა გადამოწმდა, დაზუსტდა და შეივსო 1998 წლის აგვისტოში მურმან შაქროს ძე გოგობერიშვილისა (45 წ.) და ვასიკო ენგურის ძე ნატმელიძის (28 წ.) ხელშეწყობით.

## მუხლი

**მუხლი** – სოფელი წესის თემის საკრებულოში, რიონის მარცხ. ნაპირზე, ბარულასა და ჩონიშურას შუა. ზ. დ. 760 მ. ამბროლაურიდან 10 კმ. წყაროებში პირველად მოიხსენიება XVII ს-ში. შემორჩენილია ადრინდელი ფეოდალური ხანის ეკლესიის ნანგრევები. მუხლი ვახუშტი ბაგრატიონის "აღწერაში" არაა დასახელებული, მაგრამ დატანილია მის რუკებზე. ცხოვრობენ: აგლაძეები, ისაკაძეები, ვარაზაშვილები, კაციტაძეები, ქოჩლაძეები... ესაზღვრება:

სამხრ.-აღმ-ით – სამთისი, სამხრ.-დას-ით – წესი, კვაცხუთი. რესპ.: „ერისთავი წამოსულა სანადიროდ და აქ დაუსვენია, ჩაუმუხლია“; „გაუვლია მოხუცს, დაღლილი ყოფილა, უფიქრია, ციტა ხანს ჩავიმუხლებ და მუხლებს დავასვენებო. მართლაც, ჩაუმუხლია და კარგადაც დაუსვენია. შინ მისვლისას უთქვამს, რა კარგი ჩასამუხლი ადგილიაო“. სინამდვილეში მუხლი ეწოდება მდინარის ან გზის მკვეთრ მოსახვევს. ამ შემთხვევაში კი მუხლი დარქმევია რიონის ხიდიდან ჩონიშისაკენ მიმავალი გზის მკვეთრი მოსახვევის გამო აგლაძეების უბანში.

2005 წელს მუხლში ცხოვრობდა 10 გვარის მატარებელი 26 კომლი. შედარებით მრავალკომლიანი გვარებია კაციტაძე (9 კ.) და აგლაძე (6 კ.).

ტოპონიმური მასალის ერთი ნაწილი ჩაუწერია 1970 წელს თსუ III კურსის სტუდენტ მარიამ აგლაძეს. სოფლის ტოპონიმიის სია შეადგინა 1977 წელს თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელმა ფ. მაკალათიამ. მისი რესპოდენტები იყვნენ: ვალერიან აგლაძე (74 წ.), ლევან აგლაძე (77 წ.), აკაკი გოცირიძე (49 წ.), აფრასიონ გოცირიძე (67 წ.), ჟუჟუნა გოცირიძე (49 წ.), აპოლონ კაკრიაშვილი (67 წ.), შალა ქოჩლაძე (69 წ.).

მასალა გადაამოწმა, დააზუსტა და შეავსო პ. ცხადაიამ 1998 წლის აგვისტოში. რესპოდენტები: აგლაძე კუკური ლევანის ძე, 68 წ., მაისაშვილი დათიკო გურგენის ძე, 35 წ.

## ჭელიაღელის თემის საკრებულო

**ჭელიაღელის თემის საკრებულო** – ადმ.-ტერიტ. ერთეული ამბროლაურის რაიონში, ნიკორწმინდის თემის საკრებულოსა და ხოტევის თემის საკრებულოს შუა, ტყიბულ-ამბროლაურის საავტ. გზაზე. შედის სოფლები:

ჭელიაღელე (ც.), აგარა, ზედა თლუღი, უყეში, ქვედა თლუღი. სამხრ-ით გრძელდება შაორის წყალსაცავამდე.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგების მიხედვით, ჭელიაღელის თემის საკრებულოს ხუთსავე სოფელში ცხოვრობდა 817 სული (კაცი – 378, ქალი – 439). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

ჭელიაღელე – 148 სული (კაცი – 71, ქალი – 77)., მრავალკომლიანი გვარებია: ჭელიძე, დალაქიშვილი, გურგენიძე, ქართველიშვილი.

აგარა – 164 სული (კაცი – 73, ქალი – 91), მრავალკომლიანი გვარებია: აბუთიძე, ბიბილაშვილი, მომცელიძე, მესხი.

ზედა თლუღი – 72 სული (კაცი – 34, ქალი – 38), მრავალკომლიანი გვარებია კობახიძე და გურგენიძე.

უყეში – 129 სული (კაცი – 55, ქალი – 74), მრავალკომლიანი გვარებია გოგილაძე, დონაძე, დვალი.

ქვედა თლუღი – 304 სული (კაცი – 145, ქალი – 159), მრავალკომლიანი გვარებია: ჭიჭინაძე, კაციტაძე, ქემოკლიძე, ცაგურიშვილი, კბილაძე, გურაბანიძე, ქევანიშვილი, დონაძე, გოცირიძე.

## ჭელიაღელე

**ჭელიაღელე** – სოფელი, თემის საკრებულოს ცენტრი რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ჭელიაღელის (ხოტეურის მარცხ. მდგენელი) ნაპირას. ზ. დ. 1190 მ. ამბროლაურიდან 12 კმ. ტყიბულიდან 26 კმ. ესაზღვრება: დას-ით – ნიკორწმინდა, ჩრდ-ით – კაჩაეთი, აღმ-ით – ხოტევი, სამხრ-ით – აგარა.

ტოპონიმიკის ლაბორატორიაში 1970 წელს გამოგზავნილ წერილში თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი იუზა კობახიძე წერდა: ჭელიაღელის უწინდელი სახელია ჭელიანთღელე. ასე ერქვა მდინარეს,

ხოტეურის მარცხ. შენაკადს. შემდეგში ეს სახელი სოფელზეც გადავიდა. ჭელიძეები ამ სოფლის მკვიდრი მოსახლეები არიან.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 2005 წელს. რესპოდენტები იყვნენ:

ქართველიშვილი ბესიკ ილარიონის ძე, 38 წ.
ქართველიშვილი შოთა სიმონის ძე, 78 წ.
ჭელიძე ალიკო ტრიფონის ძე, 83 წ.
ჭელიძე გივი ვლადიმერის ზე, 52 წ.
ჭელიძე რობიზონ პროკობის ძე, 56 წ.
ჭელიძე გივი ცლადიმერის ძე, 52 წ.

## აგარა

**აგარა** – სოფელი ჭელიაღელის თემის საკრებულოში, რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ჭელიაღელის (ხოტეურის მარცხ. მდგენელი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1040 მ. ამბროლაურიდან 10 კმ. იყოფა ორ ნაწილად: ზემო აგარა, ქვემო აგარა. ესაზღვრება: აღმ-ით – წკადისი, დას-ით – ნიკორწმინდა, სამხრ-ით – უყეში და ქვემო თლუღი, ჩრდ-ით – ჭელიაღელე.

აგარა პირველად მოიხსენიება "ნიკორწმინდის იადგარში" (XI ს. II ნახევარი), სადაც წინამძღვარი აღნიშნავს: "გლეხი დავასახლე აგარასა შინა და ბეგარასა გარდაიჴდიდის..." (ქსძ., III გვ. 30); "კოროფხისშვილთაგან ვიყიდე ყანაჲ აგარასა თანა..." (იქვე, გვ. 31). ამავე დოკუმენტში დასახელებულია "ზედა აგარა": "ხოტევს ვიყიდე გაბოშისაგან მიწაჲ და მივეც ჴარია; ზედა აგარას დავდგი სახლი" (ქსძ, III, გვ. 30). (ზედა აგარა დღევანდელი სოფ. აგარის ერთი ნაწილია). აგარა დასახელებულია "გიულდენშტედტის მოგზაურობაშიც": 1772 წლის 4 აგვისტოს გიულდენშტედტს, ხოტევიდან ნიკორწმინდისაკენ მიმავალს, გზად გაუვლია აგარაში (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 131. იხ. აგრეთვე გვ. 293).

ზედა აგარისა და ქვედა აგარის გამაერთიანებელი სახელი აგარა დასახელებულია აგრეთვე საქართველოს მეფის ბაგრატ VI-ის (1360-1393 წწ.) მიერ შედგენილ მთის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი ყმა-მამულთა შეწირულობის სიგელში.

1976 წ. აგარის ტოპონიმიის ერთი ნაწილი ჩაუწერია ს. მელიქიძეს ვლადიმერ ალესანდრეს ძე მესხისაგან (70 წ.). სოფლის ტოპონიმია 2006 წლის ივლისში აღწერა პ. ცხადაიამ, მისი რესპოდენტები იყვნენ: აბუთიძე გოგი გედევანის ძე (71 წ.); აბუთიძე ჟირონი სევეს ძე (70 წ.).

## ზედა თლუღი

**ზედა თლუღი** – სოფელი ჭელიაღელის თემის საკრებულოში, საწალიკის მთის ჩრდ. კალთაზე, ქვედა თლუღსა და შხივანას შუა. ზ. დ 1150 მ. ამბროლაურიდან 15 კმ. ესაზღვრება: აღმ-ით – შხივანა, დას-ით – ქვედა თლუღი, ჩრდ-ით – წკადისი და სხარტალი, სამხრ-ით – საწალიკის კალთები. საისტორიო წყაროებში პირველად მოიხსენიება 1544 წელს. შემორჩენილია ფეოდალური ხანის ციხესიმაგრის ნანგრევები და "ტეხისის წმინდა გიორგის ეკლესია", რომელიც აშენებული უნდა იყოს XVII ს-ში ერისთავ მერაბ წულუკიძის მიერ (ბოჭორიძე, 1994, გვ. 149). იგი 1927 წელს დაანგრიეს და მისი მასალა ოთხწლიანი სკოლის შენობის ასაშენებლად გამოიყენეს. ადგ. ვარიანტი: **ზემო თლუღი**. ზედა თლუღისა და ქვედა თლუღის საერთო სახელია თლუღი. გიულდენშტედტიც რიონის მარცხ. მხარეს, კრიხულის შენაკადებზე მდებარე სოფლებს შორის თლუღს ასახელებს (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 293).

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 2006 წლის ივლისში. რესპოდენტები იყვნენ:

გურგენიძე მარადო გიორგის ას., 43 წ.

კობახიძე ბორის ლევანის ძე, 56 წ.
კობახიძე ედუარდი ივანეს ძე, 73 წ.
კობახიძე ვერიკო ნიკიფორეს ას., 75 წ.
კობახიძე ცისანა ესტატეს ას., 61 წ.

## ქვედა თლუღი

**ქვედა თლუღი** – სოფელი ჭელიაღელის თემის საკრებულოში, უყეშსა და ზედა თლუღს შუა. ესაზღვრება: ჩრდ-ით – აგარა და წკადისი, სამხრ-ით – შაორის წყალსაცავი. ზ. დ. 1080 მ. ამბროლაურიდან 13 კმ. თლუღიდან შაორის წყალსაცავს ერთვის ჩოლაგა, რომელსაც რუსულენოვან კარტოგრაფიულ რუკაზე აწერია Горцколи. ადგ. ვარ.: ქვემო თლუღი.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერა 1977 წელს ფ. მაკალათიამ რესპოდენტ ლამარა ნიკოლოზის ასულ ქემოკლიძისაგან (43 წ.), ხოლო 2006 წლის ივნისში – პ. ცხადაიამ. მისი რესპოდენტები იყვნენ:

კბილაძე ვახტანგ აკაკის ძე, 75 წ.
კბილაძე ზვიად ვახტანგის ძე, 36 წ.
ქემოკლიძე ჯონდი დიომიდეს ძე, 66 წ.
ცაგურაშვილი სოსო დავითის ძე, 25 წ.
ჭიჭინაძე აკაკი ვასილის ძე, 80 წ.
ჭიჭინაძე ანდრი აბელის ძე, 56 წ.
ჭიჭინაძე ნოდარ ნიკიფორეს ძე, 68 წ.
ჭიჭინაძე რევაზ ვახტანგის ძე, 49 წ.

## უყეში

**უყეში** – სოფელი ჭელიაღელის თემის საკრებულოში, აგარასა და შაორის წყალსაცავს შუა. ზ. დ. 1120 მ. ამბროლაურიდან 16 კმ. ძირითადი უბნებია: ბიბილაშვილების უბანი, გოგილიძეების უბანი, დვლების უბანი და დონაძეების უბანი.

მასალა ჩაწერილია 2006 წლის ივლისში. ინფორმატორები იყვნენ:

ბიბილაშვილი ფრიდონ ტოპიშას ძე, 40 წ.

გოგილაძე ალექსანდრე ილიას ძე, 87 წ.

გოგილაძე ილია ალექსანდრეს ძე, 53 წ.

დვალი გელა ლასას ძე, 32 წ.

## ხიდიკრის თემის სკრებულო

**ხიდიკრის თემის სკრებულო** – ადმ.-ტერიტ. ერთეული ამბროლაურის რ-ნში, რიონის ხეობაში, ქ. ამბროლაურსა და წესის თემის საკრებულოს შორის. შედის სოფლები: კვაცხუთი (ც.), ხიმში.

2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ხიდიკრის თემის საკრებულოში 636 მოსახლეა (მათგან: კაცი – 235, ქალი – 342). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

კვაცხუთი – 418 სული (კაცი – 193, ქალი – 225).

ხიმში – 219 სული (კაცი – 102, ქალი – 117).

## კვაცხუთი

**კვაცხუთი** – სოფელი, ხიდიკრის თემის საკრებულოს ცენტრი რიონის მარჯვ. ნაპირზე, ძირაგეულსა და წესს შორის, საელიოს მთის ძირას. ზ. დ. 300 მ. ამბროლაურიდან 3 კმ. წყაროებში პირველად მოიხსენიება XVIII ს-ში. კერძოდ, გიულდენშტედტის "მოგზაურობაში", სადაც რიონის მარჯვ. ნაპირის სოფლებს შორის დასახელებულია წესი, კვაცხუთი, სადმელი... (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 113, 291). კვაცხუთში გადის ქუთაის-ონის საავტ. გზა.

2005 წელს კვაცხუთში ცხოვრობდა 30 გვარის მატარებელი 185 კომლი. კომლთა რაოდენობით

გამოირჩევა გვარები: მაჭანკალაძე – 14 კ., საგანელიძე – 14 კ., აბაიშვილი – 12 კ., გოგობერიშვილი – 12 კ., ნიკოლაიშვილი – 12 კ., გელოვნიშვილი – 10 კ., გოგოლაძე – 9 კ., ბიჭაშვილი, კობახიძე, კობერიძე, კილასონია, მელაშვილი, სუთიძე, ჯაფარიძე (8-8 კომლი), კერვალიშვილი 7 კ., ომანიძე – 6 კ., გაბრიჭიძე – 5 კ., გუგეშაშვილი – 5 კ.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 2007 წლის აგვისტოში. რესპოდენტები იყვნენ:

გელოვნიშვილი თენგიზ (მამუკა) ჭიჭიკოს ძე, 42 წ.

გოგობერიშვილი გიული დავითის ას., 49 წ.

გოგოლაძე ლია ზოდიკოს ას., 38 წ.

სხირტლაძე გიორგი თედორეს ძე, 68 წ.

## ხიმში

**ხიმში** – სოფელი ხიდიკრის თემის საკრებულოში, რიონის მარცხ. ნაპირზე, ქ. ამბროლაურსა და ხიდიკრის ვიწრობს შუა. სამხრ.-აღმით ესაზღვრება გორი, ხოლო აღმ-ით – ქედი, რომელიც ჩასდევს ჩონისურის მარცხ. ნაპირს. ზ. დ. 700 მ. ამბროლაურიდან 3 კმ., ტყიბულიდან 41 კმ. შემონახულია XI ს. ეკლესია მოხატულობის ფრაგმენტებითა და ლაპიდარული წარწერებით, აგრეთვე "წულუკიძის ციხის" ნანგრევები გვიანდელი შუა საუკუნეებისა (მაღლობზე). სოფლის ჩრდ. ნაწილში, კლდეებს შორის, დღემდე ჩანს შუა საუკუნეების ციხესიმაგრე. იგი აღმ. მხრიდან იცავდა რაჭის ერისთავთა რეზიდენციას.

ხიმში ჴივში ფორმით გვხვდება "ნიკორწმინდის იადგარში" (1071-1080 წწ.), სადაც აღნიშნულია: "ჴივშს გუნაფაიძისაგან ვიყიდე ვენაჴი... მუნვე ჴივშს ზოსქლელისაგან ვიყიდე ვენაჴი... ვიცვალე ჴივშს ვენახითა ჩემითა მოგებული ადგილი" (ქსძ, III, გვ. 31-32). 1559 წლის 24 ოქტომბერს კი ნიკორწმინდელი დავით საყვარელიძე

ნიკორწმინდისადმი შეწირულების წიგნში ადასტურებს: "და შემოგწირეთ მცირე ესე შესაწირავი ხივშს ერთი გლეხი დონაძე ლაზარე მისის ცოლ-შვილითა და ერთსახლითა..." (ქსძ, გვ. 263). დონაძეები ხიმშში ახლაც ცხოვრობენ.

რაჭის ისტორიულ ძეგლებს შორის გ. ბოჭორიძე ასახელებს ხიმშის წმინდა გიორგის ეკლესიას და ხიმშის ჭიჭინაძეების უბნის "ლანდიას ციხე-კოშკს" (ბოჭორიძე, 1994, გვ. 270). გიულდენშტედტს 1772 წელს ხიდიკრის შემდეგ გაუვლია ხიმში და ამბრალაური (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 115; აგრეთვე: გვ. 117, 293).

2005 წელს ხიმშში მკვიდრობდა 17 გვარის მატარებელი 83 კომლი. მათგან შედარებით მრავალკომლიანი გვარებია: დონაძე – 11 კ., არჩვაძე – 11 კ., ბარსონიძე – 8 კ., კვატაშიძე – 7 კ., ჭიჭინაძე – 7 კ., გიორგობიანი – 6 კ., სხირტლაძე – 6 კ., ბენდიაშვილი – 5 კ.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერა პ. ცხადაიამ 1998 წლის აგვისტოში და 2006 წლის ივლისში. რესპოდენტები იყვნენ:

არჩვაძე ნინო ტოპეშას ას., 39 წ.
ბარსონიძე ავთანდილ სილოვანის ძე, 82 წ.
ბარსონიძე ელიზბარ ელგუჯას ძე, 43 წ.
გელოვნიშვილი მამუკა ჭიჭიკოს ძე
გიორგობიანი გურამ ივლიანეს ძე, 73 წ.
სხირტლაძე გიორგი თედორეს ძე, 60 წ.

გამოსაცემად გამზადებული მასალას გაეცნო და შენიშვნები და დამატებები დაურთო ბეჟან ბარსონიძემ (59 წ.).

## ხოტევის თემის საკრებულო

**ხოტევის თემის საკრებულო** – ადმ.-ტერიტ. ერთეული ამბროლაურის რაიონში, მდ. ხოტეურის ხეობაში. ესაზღვრება: აღმ-ით – იწისა და ველევის საკრებულოები, დას-ით – ჭელიაღელის თემის საკრებულო, ჩრდ-ით –

ლემანეურის ქედი, სამხრ-ით – სოფელი თლუღი. შედის სამი სოფელი: ხოტევი (ც.), სხარტალი, წკადისი.

2002 წლის საყოველთაო ეროვნული აღწერის მონაცემებით, ხოტევის თემის საკრებულოში 340 მოსახლეა. მათგან: კაცი – 151, ქალი – 189. სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

ხოტევი – 292 სული (კაცი – 130, ქალი – 162).

სხარტალი – 28 სული (კაცი – 13, ქალი – 15).

წკადისი – 20 სული (კაცი – 8, ქალი – 12).

## ხოტევი

**ხოტევი** – სოფელი, სოფლის თემის საკრებულოს ცენტრი მდ. ხოტეურის ხეობაში, ტყიბულ-ამბროლაურის საავტომობილო გზაზე. ზ. დ. 1000 მ. ამბროლაურიდან 10 კმ. ტყიბულიდან 28 კმ. პირველად მოიხსენიება "ნიკორწმინდის იადგარში" (XI ს. მეორე ნახევარი), სადაც ავტორი (ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვარი) აღიშნავს: "ხოტევს ვიყიდე გაბოშისაგან მიწაჲ და მივეც ფასი" (ქსძ, III, გვ. 30). სოფელში შემორჩენილია მთავარანგელოზის ეკლესია შუა საუკუნეებისა და XV-XVI სს. ტაძრის ნანგრევები (ქსე, ტ. XI).

1651 წელს ხოტევი გაუვლიათ რუსთა ელჩებს ტოლოჩანოვსა და იევლევს, ხოლო 1772 წლის 18 ივლისსა და 4 აგვისტოს – გიულდენშტედტს, რომელიც მდინარესაც ხოტევს უწოდებს.

ხოტევსა და ხოტეურას აღწერს ჟაკ ფრანსუა გამბა თავისი მოგზაურობის მემუარებში "მოგზაურობა ამიერკავკასიაში" (ეყრდნობა ძმის ჩანაწერებს. მან კი რაჭაში იმოგზაურა 1823 წლის ოქტომბერში): "ქალაქ ხოტევამდე პატარა მდინარეა გადასალახავი, რომელსაც ხოტეურას უწოდებენ და რომელიც ხოტევს ოდნავ ქვემოთ ფაზისს ერთვის... ქალაქი გაშენებულია მთებს შორის მოქცეულ ხეობაში, იგი ძალზე ძველი უნდა იყოს" (გამბა,

1987, გვ. 192). შდრ. ვახუშტი ბატონიშვილი: "...ხოტევის წყლის დასავლით არს ხოტევი და ციხე მისი დიდი, დიდშენი, და სახლობენ აქა ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ". შვეიცარიელი გეოლოგი დიუბუა დე მონპერე, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა 1831-34 წლებში, წერს: "ხოტევი არის ერთ-ერთი ძირითადი ციხე რაჭაში. ახლა აღარაფერი დარჩა კედლების გარდა, რომლებიც დგას ერთ დიდ კლდეზე". ხოტევის წყალი, რა თქმა უნდა, იგივე ხოტეურაა, ხოტევის ციხე კი წულუკიძეთა ერთ-ერთი რეზიდენცია იყო. წულუკიძეთა მიერ 1676 წელს აშენებული ეკლესია 1924 წელს დაანგრიეს და მისი ჩუქურთმებიანი და წარწერებიანი ქვებით სკოლა ააშენეს.

საისტორიო წყაროების მიხედვით, XV ს-ში ხოტევი სამეფო მამულია: იმერეთის მეფეებს – ბაგრატ III-ს 1444 წელს და გიორგი მეფეს 1491 წელს. ხოტევში მცხოვრები რამდენიმე ყმა გლეხი შეუწირავთ ნიკორწმინდის ეკლესიისათვის. XVII ს-ში კი ხოტევში იყო რაჭის თავადთა – წულუკიძეთა რეზიდენცია, კარის ეკლესია და საგვარეულო სასაფლაო... ხოტევის მაცხოვრის სახელობის ეკლესია, მერაბ წულიკიძის მიერ აშენებული (რომელიც მარი ბროსემ აღწერა 1847 წელს), დაუნგრევიათ 1925 წელს. ხოტევში მეორე ეკლესიაცაა – მთავარანგელოზის სახელობისა (აგებულია XIX ს-ის შუა წლებში).

გადმოცემით, ხოტევის უწინდელი სახელია ხევისუბანი.

ხოტევის (დასახლებისა და სახელწოდების) წარმოქმნის საკითხთან დაკავშირებით მოგვყავს ორი მოსაზრება ჯემალ კაციტაძის წერილიდან "ხოტევი და ხოტეველები" (დაიბეჭდა გაზეთ "რაეოში"), სადაც ნათქვამია: იმერეთის მეფის მიერ რაჭაში გადასახლებულ წუკლუკიძეებს აქ ციხე აუშენებიათ. რამდენიმე წლის შემდეგ მეფეს გამოუვლია და უკითხავს: "ხო ტევიხართ ამ ციხეში?" ამის მერე დარქმევია ხოტევი (სინამდვილეში ხოტევი XI ს-ის მეორე ნახევარში დაწერილ

"ნიკორწმინდის იადგარში" არის დასახელებული, წულუკიძეები კი არენაზე გამოდიან მხოლოდ XV ს-ის შემდეგ). ჯ. კაციტაძე ამ წერილში გვაცნობს ხოტეველი ნოდარ კაციტაძის მიერ მხცოვანთაგან ჩაწერილ გადმოცემას: ხოტეველთა წინაპრები ესახლნენ ამჟამინდელი ხოტევიდან 6 კმ-ზე, ლემანეურის მთის კალთებზე, რომელსაც ნაეკლესევი ეწოდება (ამ ეკლესიის ნანგრევები დღესაც ჩანს), სახნავ-სათესები კი ჰქონდათ დღევანდელ ხოტევში, რომელსაც უჩვეულო სიცხიანობის გამო ხვატებს უწოდებდნენ. ხშირად მოისმენდი, თურმე, ხვატებში წავიდეთო სამუშაოდ. ხვატები ჩახუთულ სიცხეს ნიშნავს... შავი ჭირის ეპიდემიის გამო მოსახლეობას იქაური სამოსახლოები მიუტოვებია და ამ ხევში ჩამოსულა საცხოვრებლად. სოფლის სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს: ხვატები → ხოტები → ხოტევი.

ტოპონიმთა ამგვარი ეტიმოლოგია მისაღებია: ერთი მხრივ, ვა →ო ქართული ენის დიალექტებში გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. მეორე მხრივ, რიონის ხეობაში მრავლობითი რიცხვის -ებ სუფიქსის ფუნქციით გვხვდება მისი ფონეტიკური ვარიანტი -ევ (შდრ.: აკ. შანიძე: ვაშლ-ევ-ი = ვაშლები, ბეღლ-ევ-ი = ბეღლები, ძეგლ-ევ-ი = ძეგლები და სხვ.)

2006 წელს ხოტევში მკვიდრობდა 41 გვარის მატარებელი 291 კომლი. კომლმრავლობით გამორჩეული გვარებია კობახიძე – 36 კ. და გურგენიძე – 47 კ., აგრეთვე: შარაბიძე – 25 კ., გოცირიძე – 23 კ., კაციტაძე – 20 კ., ყრუაშვილი – 20 კ., ქევანაშვილი – 15, ჭიჭინაძე – 9 კ., ენუქიძე – 7 კ.

სოფ. ხოტევის ტოპონიმთა მცირე ნაწილის სია 1970 წელს თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიას გამოუგზავნა ავთანდილ გოცირიძემ, 1977 წელს კი სოფლის ტოპონიმია ჩაიწერეს ფ. მაკალათიამ და ვ. ჯოჯუამ. მათი რესპოდენტები იყვნენ:

გურგენიძე რუსუდან ტერენტის ას., 26 წ.

გურგენიძე სერგო ზურაბის ძე, 72 წ.

გურგენიძე ფილიპე ივანეს ძე, 75 წ.

კაციტაძე ანინა სერგოს ას., 47 წ.

კაციტაძე რუსიკო ბიძინას ას., 41 წ.

კობახიძე გედევან მიხეილის ძე, 58 წ.

კობახიძე საკო სიმონის ძე, 84 წ.

ქევანაშვილი კაკილო (ირაკლი) ალექსის ძე, 73 წ.

შარაბიძე კოსტა მოსეს ძე, 72 წ.

1998 წლის აგვისტოში ხოტევის თემის საკრებულოში შემავალი სოფლები დაიარეს და მასალა სრულად აღწერეს პ. ცხადაიამ და ვ. ჯოჯუამ. ხოტევში მათი რესპოდენტები იყვნენ:

ავალიანი რობინზონ გრიგოლის ძე, 51 წ.

კობახიძე დავით კოსტას ძე, 75 წ.

კობახიძე ვაჟა მიხეილის ძე, 72 წ.

ქევანაშვილი ვახტანგ ნიკიფორეს ძე, 65 წ.

ყრუაშვილი ანზორ გიორგის ძე, 65 წ.

ყრუაშვილი ზაქარია სამსონის ძე, 76 წ.

ყრუაშვილი იური უშანგის ძე, 61 წ.

ყრუაშვილი ჯიბო გიორგის ძე, 66 წ.

შარაბიძე სულიკო ნოეს ას., 61 წ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხოტევის ტოპონიმთა ჩამონათვალში შევიდა საწალიკისა და ლემანეურის მთის იმ ადგილის სახელები, რომლებიც სოფ. ხოტევს ეკუთვნოდა.

## სხარტალი

**სხარტალი** – სოფელი ხოტევის თემის საკრებულოში, რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, ორ სერს შუა, შაორის წყალსაცავის ჩრდ.-აღმ-ით. ზ. დ. 1160 მ. ამბროლაურიდან 14 კმ. ხოტევიდან 5 კმ. ესაზღვრება: აღმ-ით – ველევის თემი, ჩრდ-ით – სოფ. წკადისი, სამხრ-ით –

საწალიკის მთა, ჩრდ.-დას-ით – ზედა თლუღი. იმერეთისაგან გამოყოფს საწალიკის მთა.

სხარტალი წყაროებში პირველად მოიხსენიება XVIII ს-ში. გიულდენშტედტი 1772 წლის 18 ივლისს სწვევია სხარტალს. აქ, საზაფხულო რეზიდენციაში, მას შეხვედრია მეფე სოლომონ პირველი. "ის მე გულწრფელობითა და ნამდვილი სიხარულით გადამეხვია", _ აღნიშნავს მოგზაური. აქვეა ნათქვამი: "სხარტალს აქვს საკმაოდ მაღალი მდებარეობა, ასე რომ, ცაცხვი... აქ მხოლოდ ახლა იწყებდა ყვავილობას"... გიულდენშტედტი ისევ სწვევია სხარტალში მეფის საზაფხულო ბანაკს აგვისტოს დამდეგს და იქ რამდენიმე დღე გაუტარებია (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 127). სხარტალს მოიხსენიებს ფრანსუა გამბაც თავის მოგზაურობის წიგნში.

სხარტალი პატარა სოფელია. 2002 წელს აქ სულ 28 სული ცხოვრობდა.

სოფლის ტოპონიმია 1977 წელს ჩაიწერა ვ. ჯოჯუამ, 81 წლის ნიკოლოზ ვარლამის ძე კობახიძისაგან და პ. ცხადაიამ 1998 წელს 66 წლის ვასილ ზაქარიას ძე კობახიძისაგან და 72 წლის გივი ნოშრევანის ძე კობახიძისაგან.

## წკადისი

**წკადისი** – სოფელი ხოტევის თემის საკრებულოში, მდინარე ველეურის მარცხ. მხარეს, მთის კალთაზე. ზ. დ. 1100 მ. ამბროლაურიდან 13 კმ. ტყიბულიდან 31 კმ. მკვიდრობს ერთი გვარი – ენუქიძე. ამიტომაც არაოფიციალურად ეწოდება ენუქიძეები. ენუქიძეების შტოგვარებია: ქონიაშვილები, ნანიტაშვილები. ვახტანგაშვილები, ხუციშვილები. ისინი ქმნიან მიკროუბნებს. ესაზღვრება: აღმ-ით – სხარტალი, სამხრ-ით – ზედა თლუღი, დას-ით – ხოტევი, ჩრდ.-აღმ-ით – ველევი.

1772 წელს ხოტეურის ხეობაში უმოგზაურია გიულდენშტედტს. იგი წერს: „ხოტევიდან ერთ საათში სამხრეთ-აღმოსავლეთით გავიარეთ სოფელი წკადისი და აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დავინახეთ ციხე კვირიკეწმინდა მდ. ხოტევისხევზე, მწვერვალზე მდგომი" (გიულდენშტედტი, გვ. 115).

წკადისი მცხოვრებთა რაოდენობით ამბროლაურის რ-ნის ყველაზე პატარა სოფელია. 2002 წელს იქ სულ 20 სული ცხოვრობდა.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერა 1977 წელს ვ. ჯოჯუამ. მისი რესპოდენტები იყვნენ:

ენუქიძე ლამარა ილიას ას., 42 წ.

ენუქიძე ლიზა ალექსანდრე ას., 71 წ.

ენუქიძე ნათელა ქრისტეფორეს ას., 51 წ.

ჩაწერილი მასალა გადაამოწმა და შეავსო პ. ცხადაიამ 1998 წლის ივლისში. მას ეხმარებოდნენ:

ენუქიძე გოგი გრიგოლის ძე, 70 წ.

ენუქიძე ვლადიმერ პროკოზის ძე, 75 წ.

ენუქიძე ოსიკო გალაქტიონის ძე, 70 წ.

## ნაწილი მეორე
(ტოპონიმთა ლექსიკონი)

ა

**აბაზანა** – გოგირდოვანი წყალი დათეშიძეების აღმ-ით (გორი).

**აბაიშვილების უბანი** – უბანი რიონის მარჯვ. ნაპირზე, ხიდიკრის ხიდს ქვემოთ (კვაცხუთი).

**აბაიშვილების წყარო** – წყარო აბაიშვილების უბანში (კვაცხუთი).

**აბანო** – მინერალური წყალი ველეურის მარცხ. მხარეს (წკადისი) .

**აბანო** – სააბაზანოები ჭიამყრალის გოგირდოვანი წყლის ბაზაზე, ქვეშვაკეში, რიონის მარცხ. ნაპირზე. ოფიციალურად ეწოდება „ხიდიკრის გოგირდოვანი აბანო" (ხიმში).

**აბანოები** – დავაკება აბარულის ნაპირზე. რესპ.: „აბანო არის გოგირდოვანი ან მლაშე წყალი, რომელსაც საქონელი ეტანება" (აბარი).

**აბანო(ები)** – სამკ. წყალი ქვათაძეების უბანში, ღოდიეთთან (შუა სხვავა).

**აბანო(ები)//კანთელაძეების აბანო** – სახნავები ხეორის მარჯვ. მხარეს, სოფლის ცენტრიდან 4 კმ-ზე (ლიხეთი) .

**აბანოსთავი** – 1. ტყე აბანოების თავზე (აბარი, ლიხეთი); 2. ტყე აგლაძეებსა და მემანიშვილებს შუა (გორი).

**აბარის კარზეყანა//აბარყანა** – სახნავი ზედა ხუციშვილების უბნის თავზე, აბარის საზღვართან. ინფ.: „კარზეყანა ნიშნავს მიმდებარეს" (ლიხეთი).

**აბარის წყარო** – წყარო საკანაფოსთან, აბარულის მარჯვ. მხარეს (აბარი).

**აბარულა** – მდინარე, ლუხუნისწყლის მარჯვ. შენაკადი (აბარი).

**აბარყანა** – სახნავი. იგივე აბარის კარზეყანა (ლიხეთი).

**აბაშაური** – საძოვარი. იგივე აბაშეული (შუა კრიხი).

**აბაშეულები** – სახნავი ბერების ყანებსა და შამანეულს შუა (ზემო სხვავა) .

**აბაშეული//აბაშეური//აბაშაური** – საძოვრები, აბაშეულის ღელის ხეობის მონაკვეთი (შუა კრიხი).

**აბაშეულის ღელე** – ღელე, ბილაშვილის ღელის ზემო წელი (შუა კრიხი).

**აბაშეური** – საძოვარი. იგივე აბაშეული (შუა კრიხი).

**აბელიას შურო** – სათიბი ვაკენაძვნარში (ნიკორწმინდა).

**აბელის ნაგალევი** – სათიბი ვაკენაძვნარში. **გამოგალვა** "ბუჩქნარის გამოჩეხვა და სათიბად გადაქცევა" (ნიკორწმინდა).

**აბელის ნამოსახლი** – მინდორი ველეურის მარცხ. მხარეს, ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე (წკადისი).

**აბითაულა** – სახნავი ჩონიშში, ჩონიშურის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „აბუთიძისა იყო. ამიტომ დაერქვა აბითაულა" (მუხლი).

**აბუთიძეები//აბუთიძეების უბანი** – უბანი ქვედა აგარაში, სოფ. ჭელიაღელის საზღვართან. აბუთიძეთა სიგელებია: ორდოქია (სუფრაზე ორი დოქი ღვინო მოუთხოვია), მაჭკუნარა და სხვ. (აგარა) .

**აბუთიძის ნაზიარევი** – სათიბი ლემანეურში, მოტყიარის საზღვართან (კაჩაეთი).

**აგარის წყალი** – მდინარე, სამღულეთის წყლის ერთ-ერთი მდგენელი. იხ. სამგულეთი (ხოტევი).

**აგლაძეები** – უბანი. იგივე აგლაძეების უბანი (შუა კრიხი).

**აგლაძეები//აგლაძეების უბანი** – უბანი რიონის მარცხ. მხარეს, ბარულის ნაპირზე, სადაც გადის გზა რიონის ხიდიდან ჩონიშამდე (მუხლი).

**აგლაძეების უბანი** – უბანი. იგივე აგლაძეები (მუხლი).

**აგლაძეების უბანი//აგლაძეები** – უბანი ცხრათავას მარჯვ. მხარეს (შუა კრიხი).

**აგლაძეების ყოფილი** – ვენახი ფოჩხიურსა და ფეტაურს შუა (ხიმში).

**ადამეური** – მინდორი, სასაფლაო გიორგობიანების განაპირას (ფუტიეთი) .

**აეროდრომი** – სახნავი რიონის მარჯვ. მხარეს, ძირაგეულის ჭალაში (კვაცხუთი).

**ავაზანა//ავაზანები** – ტყე ხიმშისა და გორის საზღვართან (შუა კრიხი).

**ავაზანები** – ტყე. იგივე ავაზანა (შუა კრიხი).

**ავაზანისზურგი** – ბორცვი ავაზანის თავზე (შუა კრიხი).

**ავალიანების ვენახი** – ვენახი კევლიშვილებში (საკეცია).

**ავალიანების უბანი** – უბანი ხოტეურის მარჯვ. ნაპირზე (ხოტევი) .

**ავალიანების ყანები** – სახნავი ნაომარზე (ხოტევი).

**ავალიანისკარი** – სახნავი ჩლაიძეებსა და საქორიას შუა (ზემო სხვავა) .

**აზნეკილა** – ტყე, მინდორი გიორგობიანების დას-ით (ფუტიეთი).

**ათანასეს წყარო** – წყარო საწალიკეში (ქვედა თლუღი) .

**აითიმონის ვერხვები** – ტყე ნაეკლესიევის სამხრ. ნაწილში, ხოტევის საზღვართან (მოტყიარი).

**აკავანა** – 1. ვენახი ტბეთის თავზე. რესპ.: „ნიავი იცის, ხეები ირწევა აკვანივით, ქანაობს“ (წესი); 2. ვენახი ქედის სამხრ. კალთაზე. „აკავანა ზურგივით ადგილია“ (სადმელი); 3. საძოვარი ფერდობზე, ყრუაშვილების უბანში. „ძველად აქ მოსახლე ყოფილა. ურწევდა თურმე ბოვშვს აკვანს და აკავანა დარქმევია" (ხოტევი); 4. ტყე–ხევი ღვიარაღელის მარცხ. მხარეს. „ფორმის მიხედვით დაერქვა, აკვანივით ჩავარდნილი ადგილია“ (ღვიარა) ; 5. გორა კროუბანში (ბეთლევი). აკავანა ეწოდება აგრეთვე სათიბს, საძოვარს, სახნავს, ტყეს ან მინდორს სოფლებში: ხიმში,

კვირიკეწმინდა, ქვემო კრიხი, ფუტიეთი, შხივანა, შუა კრიხი, ნიკორწმინდა, ქვედა თლუღი, ზემო სხვავა, ჭელიაღელე, ზნაკვა, შუა სხვავა, საკეცია.

**აკავანა//აკავანეები** – ტყე მეწყრისუბანსა და ძირაგეულს შუა (კვაცხუთი).

**აკავანას წყალი** – წყარო აკავანაში (ფუტიეთი).

**აკავანასთავი** – საძოვარი ნაფიცებთან (შუა კრიხი).

**აკავანაქედი** – მთა, ქედის ნაწილი (წკადისი).

**აკავანეები** – ტყე. იგივე აკავანა (კვაცხუთი).

**აკავანის აღმართი//გოჭიშვილის აღმართი** – გზა– აღმართი, საძოვარი აკავანაში. გოჭიშვილი გვარ სირაძის ერთ-ერთი ბაბუიშვილობაა (შხივანა).

**აკეეთი** – სათიბი ჩონიშურის მარცხ. მხარეს (მუხლი).

**აკვილას ყანა** – სახნავი ლუხუნის მარცხ. მხარეს (ლიხეთი).

**ალაგა** – სახნავი კვირიკაშვილებსა და წინწკილას შუა (ზემო სხვავა).

**ალავიძის ვენახი** – ვენახი ზედა მიქიაშვილების უბნის თავზე (საკეცია).

**ალალეური** – წყარო, სახნავი ჩონიშურის მარჯვ. მხარეს (მუხლი).

**ალალეურის გზა** – გზა ალალეურში (მუხლი).

**ალალეურის ტყე** – ტყე ალალეურში (მუხლი).

**ალექსანდრე ღვითოს ნაყანვარი//ალექსანდრეს ყანა** – სათიბი კობახიძეების ყანაში (ნიკორწმინდა).

**ალექსანდრეს ყანა** – სათიბი. იგივე ალექსანდრე ღვითოს ნაყანვარი (ნიკორწმინდა).)

**ალექსანდრეს წყალი//გუბისწყალი** – გუბე. წყალი ამოდის და გუბე დგას ალექსანდრეს ყანაში (ნიკორწმინდა).

**ალექსის ყანა** – სახნავი გორგიაშვილების უბანში (ველევი).

**ალექსის წყარო** – წყარო მიქიაშვილების ჩრდ.-დას-ით, ზეჭელიშში (მოტყიარი).

**ალისტორის ნაყანვარი** – სათიბი კობახიძეების უბანში (ნიკორწმინდა).

**ალისტორის ტბა** – ტბორი კობახიძეების უბანში (ნიკორწმინდა).

**ალისტორის ტყე** – ტყე კობახიძეების უბანში (ნიკორწმინდა).

**ალმასხანის ახო** – სათიბი ველეურის მარცხ. მხარეს, ქვაბისთავში (წკადისი).

**ალმასხანის ნაყანვარი** – ნაყანევი ქვედა უბანში (ნიკორწმინდა).

**ამბაკოს გორა//მომცელიძეების გორა** – ბორცვი ნარძიღელის მარცხ. ნაპირზე, სოფ. აგარის საზღვართან. ეკუთვნოდა ამბაკო მომცელიძეს (ჭელიაღელე)

**ამბაკოს სამოსახლო** – ნასახლარი ბაოს გვერდით (ფუტიეთი).

**ამბალეური** – სათიბი პეტრიაშვილების უბანში, ნაყორბალის გაგრძელებაზე (კაჩაეთი).

**ამბროლაურა** – სახნავი ჭიკორაულის სათავესთან, საქარავნო გზაზე. „ერთ ებრაელს აქ ჰქონია დუქანი. მისი სახელი ყოფილა ამბროლა ურია. ამბროლაურაც ამიტომ დარქმევია“. ერთ ნაწილს ეწოდება ვაკე ამბროლაურა (ზემო კრიხი) .

**ამბროლაური** – ქალაქი. ამბროლაურის რ–ნის ცენტრი (იხ. ნაწილი პირველი).

**ამბროლაძის გორა** – გორა ქვემო სხვავაში, ბაქრაძეებსა და შარაბიძეებს შუა (შუა სხვავა).

**ამოზვერა//ამოძვერა** – ტყე, სათიბი, ჩავარდნილი ადგილი კოჟების ძირას. რესპ.: „საცალფეხო ბილიკი ერთ მხარეს ჩადის და მეორე მხარეს ამოდის. ამიტომაა ამოძვერა“ (ნიკორწმინდა).

**ამოკიბული** – ტყე-ფერდობი ღვიარაღელის მარცხ. მხარეს (ღვიარა).

**ამოსაითი** – ტყე ზეჭელიშის კალთაზე, გორიყანების გვერდით (ზნაკვა).

**ამოძვერა** – ტყე სათიბი. იგივე ამოზვერა (ნიკორწმინდა).

**ანეული** – სახნავი ხეორის მარჯვ. მხარეს. ინფ.: „ანეულ ვეძახით, შემოდგომაზე რო მოვხნავთ და გაზაფხულზე ხელახლა იხვნება და მერე ითესება“ (ლიხეთი).

**ანიჩკას ნამოსახლი//კვიტაურ(ებ)ი** – სამოვარი თომაძეებში (გორი).

**ანტონას გძელა** – მინდორი ბაოს გვერდით (ფუტიეთი).

**ანტონასეული** – სახნავი ყიყვის მარჯვ. მხარეს (აბარი).

**ანტონას მოღობილა** – სახნავი ბაოში (ფუტიეთი).

**არსენას ახო** – სათიბი დათიკოს ტყის ჩრდ–ით (ნიკორწმინდა)

**არსენას ველტოფი** – მინდორი ველტოფში (ლიხეთი).

**არტემას ვენახი//არტემასკარი** – სათიბი კობახიძეების ახალ უბანში. ეკუთვნოდა არტემ თევზაძეს (ახალსოფელი).

**არტემასკარი** – ვენახი. იგივე არტემას ვენახი (ახალსოფელი).

**არყის შურო** – ტყე ჯმუხაძეებში. შუროსთან არყის ხე იდგა (ნიკორწმინდა).

**არჩვაძეები** – ერქვა უბანს ქვემო სხვავაში კრიხულის მარცხ. ნაპირიდან ზემო კრიხის საზღვრამდე. არჩვაძეები გადასახლდნენ სოფელ ასურეთში (შუა სხვავა, ზემო კრიხი).

**არჩვაძეები//არჩვაძეების უბანი** – უბანი ბრავალძლელების უბნის გვერდით (ხიმში).

**არჩვაძეები//არჩვაძეების უბანი//ქვედა უბანი** – უბანი სოფლის აღმ. ნაწილში. შუა ყოფს მანიკაური. მის მარცხ. მხარესაა გაღმა არჩვაძეები, ხოლო მარჯვ. მხარეს – გამოღმა არჩვაძეები (ფუტიეთი).

**არჩვაძეების რუ** – ღელე. იგივე რუ (ფუტიეთი).

**არჩვაძეების უბანი** – უბანი. იგივე არჩვაძეები (ხიმში).

**არჩვაძეების უბანი** – 1. უბანი. იგივე არჩვაძეები (ფუტიეთი); 2. ერქვა არჩვაძეების უბანს ლუხუნის მარჯვ. მხარეს (ლიხეთი); 3. წყარო არჩვაძეებში. ერთვის მანიკაურს (ფუტიეთი).

**არჩვაძის სათიბი** – სანადირო საფერისცვალოში (აბარი).

**არჩვისაკიდებელა//არჩვისაკიდ(ობ)ელა** _ კლდე ორჟავე წყალთან, ლუხუნის მარჯვ. მხარეს. გრილი ადგილი ყოფილა და ნანადირევ არჩვს აქ ჰკიდებდნენ შესანახავად (ურავი).

**არჩვისაკიდ(ობ)ელა** – კლდე. იგივე არჩვისაკიდებელა (ურავი).

**არჩვისაკიდობელას ღელე** – წყარო არჩვისაკიდობელასთან (ურავი).

**არჩილას ახო** – საძოვარი. იგივე წულუკიძ(ეებ)ის ახო (კაჩაეთი).

**არჩილას ტყე** – ტყე დიდღელეში (კაჩაეთი).

**არხიფოს ხულა** – სამოვარი ხიხათაზე, ნაორხის გვერდით. „არხიფო სოფ. ბარში ცხოვრობდა. კარტოფილი ეთესა და ყარაულობდა“ (ფუტიეთი).

**ასკილაურ(ებ)ი** – სახნავები გორ(ის)ტევის კალთაზე (ველევი).

**ასკილოვანის წყალი** – ღელე. იგივე ასკილოვანიღელე (წესი).

**ასკილოვანიღელე//ასკილოვანის წყალი** – ღელე, წესურის მარჯვ. შენაკადი (წესი).

**აფრასიონისეული//აფრასიონის ყოფილი** – ვენახი სვანების შემოგარენში (ხიმში).

**აფრასიონის ნაყანვარი** – სათიბი. იგივე სალოფინეს ფერდი (ნიკორწმინდა).

**აფრასიონის ყოფილი** – ვენახი. იგივე აფრასიონისეული (ხიმში).

**აფხაზაური** – ტყე, ვენახი რიცეულის მარჯვ. მხარეს (ღვიარა).

**აღათიას ჭა** – ჭა ქონიაშვილების უბანში (წკადისი).

**აღდგომელას ახო** – სახნავი–სათიბი საწალიკეში (ზეთლევი)

**აყალო** – ბუჩქნარი ჯვარულაუბანში (საკეცია).

**აყალოიანიწყალი** – წყარო ჭალურში (ნიკორწმინდა).

**აყალონათხარი** – საძოვარი მიქაუტაძეების უბანში (ზნაკვა).

**აშხაპირა** – ტყე აშხაპირას ღელის ხეობაში. „ფითალოზე, ე.ი. მაღალ კლდეზე, ჩამოდის წყალი, ამიტომაა აშხაპირა“ (კლდისუბანი).

**აშხაპირა//ახშაპირა** – საძოვარი სალოსის (ნაეკლესევის) მთაზე, „აშხაპირა წყალია კდეზე, დიდი დაქანება თუ აქვს. აქაც კლდე და ტყეებია" (ხოტევი) .

**აშხაპირას ხიდი//სათავის ხიდი** – ხიდი ნამოვრის წყლის სათავესთან (ხოტევი).

**აშხაპირაღელე** – ხოტეურის მარცხ. შენაკადი. მოედინება აშხაპირიდან, მდგენლებია: თეთრწყალი და შავწყალი (ხოტევი).

**აშხაპირის ღელე** – ღელე, რიცეულის მარცხ. შენაკადი (კლდისუბანი).

**ახალგზა** – ტყე საყუდელიკდის კალთაზე (კლდისუბანი).

**ახალგორა** – ტყე ცხრათავასა და სასალაოს შორის (კვაცხუთი).

**ახალი ბაღები** – ხეხილნარი აბუთიძეებში (აგარა).

**ახალი კობახიძეები//ახალი კობახიძეების უბანი//კობახიძეების ახალი უბანი** – უბანი კრიხულისა და ხოტეურის შესართავთან. ახალი უბანია, შეიქმნა 25–30 წლის წინ. შდრ. ძველი კობახიძეები (ახალსოფელი).

**ახალი კობახიძეების უბანი** – უბანი. იგივე ახალი კობახიძეები (ახალსოფელი).

**ახალმჟავეწყალი** – მჟავე წყალი ჯვარისალოცავთან, ლუხუნის მარჯვ. მხარეს. ახალჩამოყვანილია სოფელში (ურავი).

**ახალმჟავეწყალი** – ვეძაწყალი. სოფელში იყო ჩამოყვანილი. დაიმეწყრა და გაუქმდა., მაგრამ მასზე დაწერილი ლექსი დარჩა: „ამოდუღდი მჟავე წყარო, გადმოქუხდი კლდეზედაო, ღმერთმა ყველას გაუმარჯოს, ვინც იშრომა შენზედაო“ (ლიხეთი).

**ახალპირი** – სახნავი, გლისაბუდარას ნაწილი ყორღანოს ქვემოთ. რესპ.: „ახალპირს უწოდებენ ახალგაჩეხილ ახოს, ახალმოყანებულს“ (აბარი).

**ახალსოფელი** – სოფელი იწის თემის საკრებულოში (იხ. ნაწილი პირველი).

**ახალყანა** – სახნავი ნეფიჭალის გვერდით (გორი).

**ახალშენი** – ვენახი კაციტაძეების უბანში, ყურაულას გვერდით (შუა სხვავა).

**ახალხიდი** – ხიდი რიონზე, ნახიდარს ქვემოთ 1 კმ-ზე (მუხლი).

**ახო** – 1. გორა, სახნავი სვანების შემოგარენში (ხიმში); 2. ვენახი ჯოხაძეების უბანში (ბოსტანა); 3. მინდორი. იგივე ახუები (ხოტევი); 4. ტყე ჭოხუეთის აღმ. ნაწილში (ფუტიეთი); 5. სამოვარი ჯვარულაუბანში, აყალოს გვერდით (საკეცია).

**ახოები** – 1. მთა ჭალის მარცხ. მხარეს, რაჭის ქედის განშტოება საურმიწვერის გვერდით (ზემო სხვავა); 2. სახნავი გორ(ის)ტევის კალთაზე (ველევი); 3. ტყეები სალოს კალთაზე (იწა); 4. ტყე-სახნავები ქავთრიღელის აუზში. „ახო არის ტყე-ნაკაფი“ (ღვიარა); 5. სახნავები სოფლის სხვადასხვა ადგილას (ლიხეთი) და სხვ.

**ახო(ები)** – 1. სამოვარი ყიყვის სათავესთან (აბარი). 2. წიწვნარი ბარულის მარცხ. მხარეს. "მრავალი ახო იყო მოკეთებული საყანედ" (მუხლი).

**ახოების ცივწყარო** – წყარო ახოებში (ზემო სხვავა).

**ახოვანის მთა** – საჯიხვე მთა რაჭა-სვანეთის საზღვარზე, ლუხუნის სათავესა და ქაჯიანს შუა (ლიხეთი).

**ახოყრუა//საფუტკრე** – სახნავი მტრედისუბანში. „შემოზღუდული იყო და ამიტომაა ყრუ“ (ნიკორწმინდა).

**ახოყრუას სათიბები** – სათიბები ახოყრუასთან (ნიკორწმინდა).

**ახოყრუას ჩამოსავალი** – გზა ახოყრუასთან (ნიკორწმინდა).

**ახუები//ახო** – მინდორი აშხაპირაღელის მარცხ. მხარეს (ხოტევი).

**ახუკა** – 1. მინდორი ენუქიძეებში (კვირიკეწმინდა); 2. სახნავი ახუკაღელის სათავესთან (ურავი).

**ახუკას ბლები** – ხეხილნარი ენუქიძეებში (კვირიკეწმინდა).

**ახუკაღელე** – ღელე, ლუხუნის მარცხ. შენაკადი. გამოდის მეშორიშორიდან (ურავი).

**ახუკეები** – სამოვარი მაისაშვილების უბანში (წესი).

**ახშაპირა** – სამოვარი. იგივე აშხაპირა (ხოტევი).

**აჯილბეგიახო** – სახნავი დიდღელის მარჯვ. მხარეს (ზნაკვა).

## ბ

**ბაბანა** – ბორცვი, სათიბი ჭიქეულაში, კაციტაძეების უბნის თავზე (ქვედა თლუღი).

**ბაბა(ში)** – სამოვარი ქვათაძეების უბანშ. გამოიყოფა: ზედა ბაბა, ქვედა ბაბა (შუა სხვავა).

**ბაბიკაურები** – სამოვარი ბოხაშვილების უბნის თავზე (ურავი).

**ბაბუასწყალი** – წყარო ნოდირებში (ფუტიეთი).

**ბაბუთაური** – წყარ (ვასახელებთ მ. ალავიძის მასალის მიხედვით). (ნიკორწმინდა).

**ბაგარაძირი** – სანახშო ბაოში. ბაგარა მსხლის ჯიშია ერთგვარი (ფუტიეთი).

**ბაგიბუგის გზა** – გზა კვირიკეწმინდის საზღვართან, გოქსაძეებში. „ვინც გაივლის, ფეხის ხმა ისმის“ (ველევი).

**ბადაურ(ებ)ი** – სახნავი მურუსიძეებში (ზნაკვა).

**ბადაურის ღელე** – ღელე, ზნაკურის მარჯვ. შენაკადი წერეთლებში. მურუსიძეების უბანს ყოფს გაღმა მურუსიძეებად და გამოღმა მურუსიძეებად (ზნაკვა).

**ბაზრისუბანი//ჩხოტია** – უბანი, სანახშო სოფლის ცენტრში (ნიკორწმინდა). იხ. ჩხოტი.

**ბათლომეს ახო** – ტყე სალოს კალთაზე (იწა).

**ბათხაური** – 1. წყარო, სამოვარი ზედა სვანებისა და გაღმა არჩვაძეების განაპირას (ფუტიეთი); 2. სახნავი ქოქოსაძეებში. გადმოცემით, ბათხაძეს ეკუთვნოდა (ზნაკვა).

**ბათხაური//ბახტაური** – წყარო. ბათხა მეტსახელია (მ. ალავიძე). (ნიკორწმინდა).

**ბათხისუბანი** – უბანი კაჩაეთის საზღვართან (ნიკორწმინდა).

**ბაკურაძეები//ბაკურაძეების უბანი** – 1. უბანი სოფ. გორის საზღვარზე (ამბროლაური); 2. უბანი ქვედა ზნაკვაში, ზნაკურის მარჯვ. ნაპირზე (ზნაკვა).

**ბაკურაძეების უბანი** – უბანი. იხ. ბაკურაძეები (1. ამბროლაური; 2. ზნაკვა).

**ბაკურაძეების ღელე** – ღელე, ცივწყალას შენაკადი სირაულთან (ზნაკვა).

**ბალანგარი** – სახნავი საწალიკის კალთის ძირას (ზედა თლუღი).

**ბალაური** – წყარო, ვენახი კაციტაძეების უბანში (შუა სხვავა).

**ბალიქტორას მონატეხი** – ტყე საწალიკეში (ზედა თლუღი).

**ბალიქტორის ნაქერვალი** – სამოვარი საწალიკეში (ზედა თლუღი).

**ბალუკა** – ვენახი რიონის მარჯვ. ნაპირზე (კვაცხუთი).

**ბამბაწყალი –** წყარო გურგენიძეებში. რესპ.: „რბილი და ნაკლებკირიანი წყალია“ (ნიკორწმინდა)

**ბანგულამინდორი** – ტყე-მინდორი წმ. გიორგის მთაზე. ბანგულა ბალახია ერთგვარი (ნიკორწმინდა).

**ბაო** – 1. წყარო პეტრიაშვილებში. „ბაო ბალახია ერთვარი“ (კაჩაეთი); 2. სანახშო გაღმა ჭელიძეების უბანში (ჭელიაღელე); 3. ტყე, მინდორი მიქიაშვილებში, ეკლესიის თავზე (მოტყიარი).შდრ. ბაო (რაჭ.) – მოლი ეზოში (სიტყვის კონა, გვ. 58).

**ბაო//ტერეზას ბაო** – მინდორი გიორგობიანებში. (ფუტიეთი).

**ბარაკეული –** ნავენახარი სირაძეების უბანში (ხიმში).

**ბარაკვნისთავი** – სერი ბარაკონის თავზე, რიონის მარჯვ. მხარეს (წესი).

**ბარაკონი** – ეკლესია რიონის მარჯვ. ნაპირის ვაკეზე (წესი).

**ბარაკონის ვენახი** – ვენახი ბარაკონის ეკლესიასთან (წესი).

**ბარბალიკასეული** – ვენახი დათეშიძეებში (გორი).

**ბარდნალა** – ტყე საგველიასა და დიდმიდორს შუა (საკეცია).

**ბარსვანიძეების უბანი –** უბანი. იგივე ბარსონიძეების უბანი (ხიმში).

**ბარსონიძეების უბანი//ბარსვანიძეების უბანი –** უბანი რიონის მარცხ. ნაპირზე, პეპელაღელესა და ბერიულას შუა. ხიდიკრის შემდეგ პირველი უბანია. ბარსონიძეების წინაპრები ყოფილან ბახსოლიანები სოფ. უშგულიდან. რესპოდენტი ა. ა. ბარსონიძე (82 წ.) „მე აქ ჩამოსული პირველი ბახსოლიანის მეექვსე თაობა ვარ" (ხიმში).

**ბარულა** – მდინარე, რიონის მარცხ. შენაკადი. იწყება მრავალძალის სამხრ-ით, რაჭის ქედის ჩრდ. კალთებიდან. გამოივლის ზემო ბარს, ქვემო ბარს (მუხლი).

**ბარძიმი** – წყარო, ჭიკორაულის მარცხ. შენაკადი (ზემო კრიხი).

**ბასიანა** – მთა სერულის სათავესთან (ლიხეთი, ურავი).

**ბასიანის ღელე –** ღელე, სოხორთულის წყლის მარჯვ. შენაკადი (ურავი).

**ბასილა(ს)ტყე** – ტყე საწალიკეში (ზედა თლუღი).

**ბასილაძეების გზა** – გზა ბასილაძეების უბნისაკენ (ნიკორწმინდა).

**ბასილაძეების უბანი** – უბანი კაჩაეთის საზღვართან (ნიკორწმინდა).

**ბასილიშურო** – ტყე წითელაგვერდის თავზე (ქვედა თლუღი).

**ბასუკიანთები** – მიკროუბანი ბოხაშვილების უბანში. ბასუკიანთები ჩალაძეების ერთი შტოა (ურავი).

**ბატიყანა** – სახნავი. იგივე პატიყანა (სადმელი, კლდისუბანი).

**ბატონისეულ(ებ)ი** – სათიბები ძრაგულის მარცხ. მხარეს. გადმოცემით, ბატონისაგანაა ნაყიდი (ლიხეთი).

**ბატონისეული** – სათიბი საწალიკეში. „ბატონმა გლეხები გააგზავნა იმერეთიდან ჭურის გადმოსატანად, მაგრამ აქ გაუტყდათ“ (ზეთლევი).

**ბატონის ყანა** – 1. სათიბი ქვედა სხარტალში. გადმოცემით, ეს ბატონი ყოფილა სოლომონ მეფე, რომელსაც აქ ჰქონია საზაფხულო რეზიდენცია (სხარტალი); 2. სახნავი მესხების შემოგარენში (კვირიკეწმინდა).

**ბატონისწყარო//ბატონიწყალი** – ერქვა წყაროს, რომელიც ერთვოდა შაორს. ამჟამად შაორის ტბის ფსკერზეა მოქცეული (ნიკორწმინდა).

**ბატონის(ს)ტყე//ქოჩორა ტყე** – ტყე ჯანელიძეების უბანში, ეწრის მთასა და დვლების უბანს შუა (ნიკორწმინდა).

**ბატონიტყე –** ტყე სო(ნ)ჩიბის აღმ–ით. რესპ.: „ბატონს ეკუთვნოდა და შიგ არავის უშვებდა“ (ძირაგეული).

**ბატონიყანა//ყულიყელა//კულიყელა** – ტყე, სათიბი კრიხულის მარცხ. მხარეს, არჩვაძეებში. რესპ.: „ვიწრო ყელი შედის ხევში“ (ზემო კრიხი).

**ბატონიწყალი** – წყარო. იგივე ბატონისწყარო (ნიკორწმინდა).

**ბაქარაბალი** – საძოვარი დიდი ჩორჯოს საზღვართან. "უწინ ბლის ხე იდგა და იმას ერქვა" (ბოსტანა).

**ბაქრაულა** – სათიბი ჭალის მარჯვ. ფერდობზე, ზემო სხვავის საზღვართან (ფუტიეთი).

**ბაქრაძეების უბანი** – მიკროუბანი ზედა უბანში (ზემო სხვავა).

**ბაქრაძისეული//ბაქრაძის სასახლე//სასახლე** – მინდორი კრიხულის მარჯვ. მხარეს (შუა კრიხი).

**ბაქრაძის ნატეხები** – ტყე ბეკის ნატეხსა და ველტყევს შუა (შუა სხვავა).

**ბაქრაძის სასახლე** – მინდორი. იგივე ბაქრაძისეული (შუა კრიხი).

**ბაქრაძის ტყე//გაღმა ტყე** – ტყე ბაქრაძისეულის გვერდით (შუა კრიხი).

**ბაქრაძის ღელე** – ღელე, კრიხულის მარჯვ. შენაკადი. გაედინება კოზერიძეებსა და ბილაშვილებს შუა (შუა კრიხი).

**ბაღი** – 1. ბაღი ჭარისუბანში (კვაცხუთი); 2. სახნავი ჭიჭინაძეების უბანში (ქვედა თლუღი)

**ბაღჩა** – 1. ვაკე-საძოვარი ნაეკლესევის მთაზე (ხოტევი); 2. საძოვარი სხანარსა და სალოს შუა (კაჩაეთი).

**ბაღჩა//ბაღჩები** – საძოვარი სამარწყვიის გვერდით (შუა კრიხი).

**ბაღჩა//ბახჩა** – ტყე მტრედისუბანში (ნიკორწმინდა).

**ბაღჩები** – საძოვარი. იგივე ბაღჩა (შუა კრიხი).

**ბაღჩის გზა** – გზა მტრედისუბანში (ნიკორწმინდა).

**ბაღჩისთავი** – მინდორი მტრედისუბანში (ნიკორწმინდა).

**ბაციკაძეები//ბაციკაძეების უბანი** – უბანი სოფლის დას. ნაწილში. პირველი უბანია სოფლის შესასვლელში (კვირიკეწმინდა).

**ბაციკაძეების უბანი** – უბანი. იგივე ბაციკაძეები (კვირიკეწმინდა).

**ბაციკაძე(ებ)ის ყანა** – მინდორი ენუქიძეების შემოგარენში (კვირიკეწმინდა).

**ბაძამგალი ტყე** – ტყე ჯობენაურში (აგარა, უყეში).

**ბაჭიატყე** – მინდორი ჯიხურის ფერდობზე (ღვიარა).

**ბახტაური** – წყარო. იგივე ბათხაური (ნიკორწმინდა).

**ბახურაულა** – სათიბი ნეფარიგორის ჩრდ-ით, შინდიყანასა და ნაფარცხევს შუა (შუა სხვავა).

**ბახჩა** – 1. ტყე. იგივე ბაღჩა (ნიკორწმინდა); 2. სათიბი ზეჭელიშში. უწინ ხეხილნარი ყოფილა (მოტყიარი).

**ბახჩისწყალი** – წყარო ბახჩაში (ნიკორწმინდა).

**ბაჯნური** – კლდე, სათიბი ქვასიპასა და ჩ(რ)დილისთავს შუა (ნიკორწმინდა).

**ბაჯნურის ტყე** – ტყე ბაჯნურში (ნიკორწმინდა).

**ბებერაული** – საძოვარი სოფლის აღმ. შემოგარენში (მხივანა).

**ბებიას ვენახი** – სათიბი დათეშიძეებში (გორი).

**ბეგისწყალი** – წყარო მელაშვილების მთაზე, ვაკეწვერის ძირას (წესი).

**ბეგლარის წყალი** – ღელე სოფლის შემოგარენში (ჭელიაღელე).

**ბედენაშვილების უბანი** – უბანი რიონის მარცხ. მხარეს, ქვემო იწაში. ახლა აქ გადის ჭავჭავაძის ქუჩა (ამბროლაური).

**ბევრსხლები** – ფერდობი აბაშეულის მარცხ. ნაპირზე (შუა კრიხი).

**ბეკის ნატეხი** – ტყე ყაფარსა და ბაქრაძის ნატეხებს შუა (შუა სხვავა).

**ბეკოს მოხვეული** – გზა ყვირილაგვერდთან (ნიკორწმინდა).

**ბელეშაურა** – სახნავი ჭელიძეების შემოგარენში, დონაურის გვერდით (ჭელიაღელე).

**ბელთაური** – ტყე ჭალის მარჯვ. ნაპირზე (ფუტიეთი).

**ბელიაშვილის მონატეხი** – ტყე საჟუროსთან (ზედა თლუღი).

**ბენდიანიშვილები –** მიკროუბანი კდისუბანში (ხიმში).

**ბეჟანაყანა** – სახნავი ბალიქტორას მონატეხსა და ბალანგარს შუა (ზედა თლუღი).

**ბეჟანიკის წყალი** – წყარო შუატყეში, ბერიულის ერთ-ერთი მდგენელი (ხიმში).

**ბეჟანისეული** – ტყე მიწისათხარასა და ქვაყუნტიას გვერდით. ეკუთვნოდა ბეჟანს (ზემო კრიხი).

**ბეჟიაშვილის გორა** – გორა. იგივე ჯიხურიგორა (ღვიარა).

**ბერებინაყავრი** – ტყე ტყეზურგსა და რუზოძალის სათავეს შუა. რესპ. მ. გოგობერიშვილი: „ბერები აქ ნაძვისაგან ამზადებდნენ ყავარს“ (წესი).

**ბერების გზა** – ბილიკი წმ. გიორგის მთაზე (ნიკორწმინდა).

**ბერების ეკლესია** – ეკლესია წმ. გიორგის მთაზე (ნიკორწმინდა).

**ბერების ეკლესია//ნათლისმცემლის ეკლესია** – ეკლესია უდაბნოში, საქალაქო გზაზე (შუა სხვავა, ზემო სხვავა).

**ბერების ეკლესია//უდაბნოს ეკლესია** – ნაეკლესიარი ჭალის მარცხ. ნაპირზე, სვანების გვერდით. საზიარო შუა და ზემო სხვავასთან (ფუტიეთი).

**ბერების მონასტერი//უდაბნოს მონასტერი** – მონასტერი. იგივე ჭელიში (ნიკორწმინდა).

**ბერების სათიბი** – სათიბი წმ. გიორგის მთაზე (ნიკორწმინდა).

**ბერების ყანა** – სახნავი ნათლისმცემლის ეკლესიასთან, მაჩაიძეების უბნის თავზე (ზემო სხვავა).

**ბერების წყალი** – წყარო წმ. გიორგის მთაზე (ნიკორწმინდა).

**ბერეულა** – სათიბი გაბუნიის ღელის მარჯვ. მხარეს (ზემო სხვავა).

**ბერიახო** – ტყე მაღალტყის აღმ-ით (ზნაკვა).

**ბერივენახები** – ვენახები წვერის კალთაზე, მირიათველთან (შუა კრიხი).

**ბერიკიახო** – სამოვარი კლუბისუბანში (კაჩაეთი).

**ბერინამოსახლი** – საკარმიდამო ტრედისუბანში (ნიკორწმინდა).

**ბერის მუხები** – მუხები ჯვარებთან (მოტყიარი).

**ბერისათიბი** – სათიბი მოხვარეულში (ჭელიაღელე).

**ბერისათიბი** – სათიბი შაორის წყალსაცავის შემოგარენში (ქვედა თლუღი).

**ბერისათიბის წყარო** – წყარო მოხვარეულში, ბერისათიბთან (ჭელიაღელე).

**ბერისწყარო** – წყარო-ნაკადული სოფლის ცენტრში (მოტყიარი).

**ბერიულა** – ღელე, ხეობა ბარსონიძეების უბანში. მოედინება პოლტიკიდან. ერთვის რიონს მარცხ. მხრიდან პეპელაღელის შესართავს ქვემოთ. მდგენლებია: შატანაურის წყალი, ბეჟანიკის წყალი, გიორგობიანების წყალი. რესპ. გ. სხირტლაძის აზრით, ტოპონიმისათვის ამოსავალია ვაზის ჯიშის სახელი ბერეულა (ხიმში).

**ბერიქვაბი** – მთა ხეორის სათავესთან. ერთგან გამოქვაბულია (ლიხეთი).

**ბერიძის სათიბი** – სათიბი წმ. გიორგის მთაზე (ნიკორწმინდა).

**ბერნასახტრი** – ძველი სალოცავი. იგივე ნასახტრი (კაჩაეთი).

**ბეროზიკი(ს)ყანა** – მინდორი კობახიძეებში (ხოტევი).

**ბერუახო** – გზა, რომელიც მიემართება სოფლიდან სუნდაურისაკენ (კვაცხუთი).

**ბერღელე** – ღელე, ღარასულის მარჯვ. შენაკადი. ჩამოედინება ვენახეულიდან. სწორედ იქ ცხოვრობდნენ ბერები (ველევი)

**ბესიავენახი** – სახნავი ჯანგიძეების უბანში (ბოსტანა).

**ბესიას აღმართი** – გზა კვაცხუთის საზღვართან (წესი).

**ბესიას სათიბი** – ტყე კრიხულის მარჯვ. მხარეს, ფერდობზე (ქვემო კრიხი).

**ბესოს ახო** – ტყე–საძოვარი საელიოზე (კვაცხუთი).

**ბესოს სათიბი** – სათიბი ლოდომისში, ნიკორწმინდის საზღვართან (ჭელიაღელე).

**ბექალაძის წყალი** – წყარო გველესიანების უბანში. ბექალაძე ამ წყაროს სიახლოვეს ცხოვრობდა (ძირაგეული).

**ბეღელეები** – მინდორი. იგივე ბეღელ(ი)ეთი (იწა).

**ბეღელ(ე)ეთი//ბეღელეები** – ტყე ჭელიძეებსა და იწას შუა (ახალსოფელი, იწა).

**ბეშაური** – ვენახი სოფლის ცენტრში (წესი).

**ბეშიძეების უბანი** – უბანი ლუხუნის მარჯვ. მხარეს, ზედა უბანში (ლიხეთი)

**ბეშიძეების წყალი** – წყარო ბეშიძეების უბანში (ლიხეთი).

**ბეშკენაული//ბეშკენაური** – წყარო, ვენახი ღვიარაღელის მარჯვ. მხარეს, საავტ. ტრასაზე (ზოსტანა).

**ბეშკენაური** – წყარო, ვენახი. იგივე ბეშკენაული (ზოსტანა).

**ბეჩუა** – 1. საძოვარი ლაშიღელის სათავესთან (ზოსტანა); 2. ტყე-მინდვრები, ფერდობები კობახიძეებში (ხოტევი) .

**ბეჩუას წყალი** – ღელე, ქვაბილაურის წყლის მარჯვ. შენაკადი (ხოტევი).

**ბეჭედა** – საძოვარი ჯელაძეების უბნის თავზე. ღელეებს შუა მრგვალი ვაკე- მინდორია და შუაში ტყე. "ბეჭედს ჰგავს. ბეჭედა სხვაგანაც ეწოდება, კერძოდ, ბინულის მარცხ. მხარეს, კოდებისძირის პირდაპირ" (ურავი).

**ბეჭედიანი** – მდინარის მოსაბრუნი რომელსაც ბეჭდის ფორმა ჰქონდა. ამჟამად შაორის წყალსაცავის ფსკერზეა მოქცეული (ნიკორწმინდა).

**ბეჭედიახოგორა** – გორა მოხვარეულთან (ჭელიაღელე).

**ბზანალი** – საძოვარი, ტყე-ნაკრძალი ლუხუნის მარცხ. მხარეს (ურავი).

**ბზანალი(ს)წყალი** – ღელე, ლუხუნის შენაკადი (ურავი).

**ბზანალის ხიდი** – ხიდი ბზანალის წყალზე (ურავი).

**ბზიკაური** – სახნავი ჯვარულას ღელის მარჯვ. მხარეს (საკეცია).

**ბზიკინაგორა** – გორა-სათიბი დიდღელის მარცხ. მხარეს (ზნაკვა).

**ბიბაღელე** – სახნავი ჭალის ზემოთში (ბეთლევი).

**ბიბილაურ(ებ)ი** – სახნავი ფაფაულას გვერდით, ჯვრისუბანში (აგარა).

**ბიბილაური** – მინდორი გორიკარსა და ქართველიშვილების უბანს შუა (ჭელიაღელე).

**ბიბილაშვილები//ბიბილაშვილების უბანი** – უბანი გოგილიძეებსა და დონაძეებს შუა (უყეში).

**ბიბილაშვილების უბანი** – უბანი. იგივე ბიბილაშვილები (უყეში).

**ბიბილაშვილების უბანი//ჩანთის უბანი** – უბანი თლუღის გზაზე, შუა აგარაში, ნარძიღელის მარჯვ. მხარეს. ჩანთა არის ბიბილაშვილების ერთ-ერთი სიგელი (აგარა).

**ბიზნაური//ბიძინაური** – მინდორი, წყარო. ფონეტიკური გარდაქმნები: ბიძინა → ბიძინაური → ბიძნაური → ბიზნაური (დეზაფრიკატიზაცია) (მოტყიარი).

**ბილაშვილ(ებ)ის უბანი** – უბანი კრიხულის მარჯვ. ნაპირზე (შუა კრიხი).

**ბილიანაზვრები** – ტყე საცინელასა და ოტიას ტყეს შუა (ზემო კრიხი).

**ბინებისუბანი** – უბანი, ურავის ცენტრი, სადაც იყო და დარჩა დღემდე რაჭის სამთო-ქიმიური კომბინატის საერთო საცხოვრებელი კორპუსები (ურავი).

**ბინულები** – საძოვარი სოფლის სამხრ. ნაწილში (ზემო კრიხი).

**ბინულ(ებ)ი//ბინულის წყარო** – წყარო გოგოლაძეების უბანში (კვაცხუთი).

**ბინულა** – 1. ვაკე რიცეულის მარჯვ. მხარეს. „თბილი წყლებია და იმიტომაა ბინული“ (სადმელი); 2. საძოვარი შუა უბანში, პოლტიკის მარცხ. მხარეს (ბეთლევი); 3. წყარო, უბანი ღვიარაღელის მარცხ. მხარეს, რიონის ჭალაში (ბოსტანა).

**ბინული** – 1. წყარო, სანახშო სოფლის ცენტრში (შხივანა); 2. წყარო კაციტაძეების უბანში (ხოტევი); 3. წყარო ლაშხების უბანში. იკარგება ნატბეურის კლდეში (კვირიკეწმინდა). ბინული ეწოდება აგრეთვე წყაროებს სოფლებში: ველევი, მუხლი, ხიმში, შუა კრიხი და სხვ.

**ბინული//ბინულის წყალი** – წყარო, ლუხუნის მარცხ. შენაკადი, ჩამოედინება ნაურმალიდან (ურავი).

**ბინულის ღელე** – ღელე ბაციკაძეების შემოგარენში (კვირიკეწმინდა).

**ბინულის ყანები** – სახნავები ბინულთან (მუხლი).

**ბინულის წყარო** – წყარო. იგივე ბინულ(ებ)ი (კვაცხუთი).

**ბინულისთავი** – სახნავი ველეურის მარცხ. მხარეს, ნანეხვის ბოლოში (წკადისი).

**ბინულისწყალი** – 1. წყარო აშხაპირაღელის სათავესთან (ხოტევი); 2. წყარო ბედენაშვილების ჭალაში (ამბროლაური); 3. წყარო ქვემო იწაში, ბოჭორიშვილების უბანში (იწა).

**ბინულიღელე** –ცხრათავას ღელის ქვემო წელი (შუა კრიხი).

**ბიძინაური** – მინდორი, წყარო. იგივე ბიზნაური (მოტყიარი).

**ბიძინაურის ღელე** – ღელე. იგივე დიდღელე (მოტყიარი, ზნაკვა).

**ბიძინაურის წყალი** – ღელე. იგივე დიდღელე (მოტყიარი, ზნაკვა).

**ბიჭაშვილები//ბიჭაშვილების უბანი** – ეწოდება ორ უბანს: სოფლის დასაწყისში (დას. ნაწილში, რიონსა და გზატკეცილს შუა) და ბოლოში – ხიდიკართან. ამ უკანასკნელს აზუსტებენ: ხიდიკრის ბიჭაშვილები. ბიჭაშვილები წარმოშობით გლოლიდან არიან. მეტივეები იყვნენ და აქ დასახლებულან (კვაცხუთი).

**ბიჭაშვილები//ხიდიკრის ბიჭაშვილები** – უბანი ხიდიკართან, რიონის მარჯვ. ნაპირზე. იხ. ბიჭაშვილები//ბიჭაშვილების უბანი (კვაცხუთი).

**ბიჭაშვილების უბანი** – უბანი სოფლის დას. ნაწილში. იხ. ბიჭაშვილები//ბიჭაშვილების უბანი (კვაცხუთი).

**ბიჭიას ახო** – საძოვარი საელიოზე (კვაცხუთი).

**ბიჭიას ყანა** – სახნავი საელიოზე (კვაცხუთი).

**ბიჭიას ციხე** – სვანური კოშკი რატიანებში (კლდისუბანი).

**ბიჭიკავენახი** – ვენახი ოშხერლების უბანში. ბიჭიკას ნაქონია (სადმელი).

**ბლავარძია//ბრავარძია** – სამოვარი მაისაშვილების უბანში. რესპ.: „ბრავალძლია ბალახია ერთგვარი“ (წესი).

**ბლაყოჩინის შურო** – შურო ცხენიკალიაში (ნიკორწმინდა).

**ბლაშე** – 1. სამოვარი ნეფარიგორის ჩრდ.-დას-ით (შუა სხვავა); 2. ვენახი ბურშებში, ახალსოფლის საზღვართან (კვირიკეწმინდა); 3. ვეძაწყარო ბურჯანეულთან (ძირაგეული). ბლაშე ეწოდება აგრეთვე სათიბს, სახნავს, წყაროს, ტყეს და სხვ. სოფლებში: წკადისი, ხოტევი, წესი, ქვედა თლუღი, უყეში.

**(ბ)ლაშე** – სახნავი ცივწყალასთან (კაჩაეთი).

**ბლაშეგადაღმები** – სახნავები ძრაგულის მარცხ. მხარეს (ლიხეთი).

**ბლაშ(ებ)ი** – ტყე ბარდნალასა და ქვაბთკარს შუა (საკეცია).

**ბლაშები –** 1. სამოვარი ეკრალის თავზე (ზემო სხვავა); 2. ტყე გიორგობიანებში. ერთგან მლაშე წყალი დგას (ხიმში).

**ბლაშეები** – 1. ღელე საგანელიძეებსა და ძიძაურს შუა (კვაცხუთი); 2. სახნავი, ტყე ყიყვის მარჯვ. მხარეს (აზარი).

**ბლაშე(ები)** – 1. ვენახი ჭელიძეებში (ახალსოფელი); 2. ბუჩქნარი ხეორის მარჯვ. მხარეს (ლიხეთი). 3. სათიბი ჯვარის ქვემოთ, ლენჭყის გვერდით (ფუტიეთი); 4. სახნავი მემანიშვილების თავზე, სოფლის აღმ. ნაწილში (გორი).

**ბლაშე(ები)//ბლაშიკორტი** – ბორცვი ლეკნარის თავზე (შუა კრიხი).

**ბლაშე(ები)//ლაშეები** – სათიბი რიონის ჭალაში (სადმელი).

**(ბ)ლაშეღელე//ბლაშიღელე** – ღელე, დიდღელის შუა წელი. შუა ყოფს სოფელს: მარცხ. მხარესაა კლუბისუბანი, ხოლო მარჯვ. მხარეს – პეტრიაშვილების უბანი (კაჩაეთი).

**ბლაშიგვერდი** – სახნავი, სამოვარი ბლაშესთან, ზემო თლუღის საზღვარზე (ქვედა თლუღი).

**ბლაშიგორა** – ბორცვი ავალიანების უბანში (ხოტევი).

**ბლაშიკორტი** – ბორცვი. იგივე ბლაშე(ები) (შუა კრიხი).

**ბლაშის უბანი** – მიკროუბანი ბლაშესთან (ზედა თლუღი)

**ბლაშის ღელე** – ღელე, ხოტეურის შენაკადი (კვირიკეწმინდა).

**ბლაშისთავი** – 1. კლდე ბლაშე(ებ)ში (გორი); 2. სახნავი ბახურაულის გვერდით (შუა სხვავა).

**ბლაშის წყალი** – წყარო მრაგულის მარცხ. მხარეს (ლიხეთი).

**ბლაშიღელე** – ღელე. იგივე (ბ)ლაშეღელე (კაჩაეთი).

**ბლაშიყანა** – სახნავი გიორგობიანებში, ბლაშეებთან (ხიმში).

**ბლაშუა//ბლაშუაწყალი** – წყარო ზედა სხარტალში (სხარტალი).

**ბლაშუაწყალი** – წყარო. იგივე ბლაშუა (სხარტალი).

**ბლაშუკა** – 1. ტყე, სამოვარი, ვება ბინულის მარჯვ. მხარეს (ურავი); 2. წყარო, სახნავი აბარულის მარცხ. მხარეს (აბარი).

**ბლაშუკას ღელე** – ღელე, ლუხუნის მარჯვ. შენაკადი. ჩამოედინება ზენა ხუციშვილებიდან (ლიხეთი).

**ბლებიკისერი//მეტრაული//მეტრეული** – სერი, სახნავი ჭოხუეთის დას–ით (ფუტიეთი).

**ბლისყანა** – სახნავი საფიჩხიის სერის ფერდობზე, ლუხუნის მარცხ. მხარეს (ლიხეთი).

**ბლო(ვ)ანი** – სახნავი. იგივე ბლუანი (სადმელი).

**ბლოვანი//ბლუანი** – ტყე კვაცხუთის საზღარზე (მირაგეული).

**ბლუანა** – სამოვარი აკავანის ჩრდ–ით (კვაცხუთი).

**ბლუანი** – 1. ტყე. იგივე ბლოვანი (მირაგეული); 2. სახნავი ცივწყალასა და ბაკურაძეების ღელეს შუა (ზნაკვა).

**ბლუანი//ბლო(ვ)ანი** – სახნავი სარეკის მთის კალთაზე (სადმელი).

**ბნელა** – ტყე სალოს მთაზე (ზნაკვა).

**ბნელატყე** – ტყე ჯვარისას გვერდით (საკეცია).

**ბნელი გამოქვაბული** – გამოქვაბული კლდეზე, ლემანეურის დას. კალთაზე (მოტყიარი).

**ბოგირა** – საცალფეხო ხიდი აბარულაზე, რუუკას შესართავთან. გზა გადის გაღმა უბანში (აბარი).

**ბოგირა//ბოგირები** – სახნავები დიდველის ქვეშ. ახლომახლო ბოგირი აღარსადაა (შუა კრიხი).

**ბოგირა//ბონდის ხიდი//ჯაჭვის ხიდი** – ხიდი ხოტეურაზე (ხოტევი).

**ბოგირები** – 1. სახნავები. იგივე ბოგირა (შუა კრიხი); 2. სახნავი ვაჩაის ყანასთან (მოტყიარი).

**ბოგირების ღელე** – ღელე, რიცეულის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ღვიარის საზღვრიდან (კლდისუბანი).

**ბოგირი** – 1. სანახშო ბაციკაძეების უბანში (კვირიკეწმინდა); 2. სამოვარი ნეფარიძეების შემოგარენში, ხიმშის გზაზე (შუა სხვავა); 3. სამოვარი ჩონიშურის მარცხ. მხარეს (მუხლი); 4. წყარო, სათიბი მაისაშვილების უბანში (წესი) და სხვ.

**ბოგირი//ბოგირუკა** – ღელე მიქელიშვილებში, სოფლის მთავარ გზაზე (ფუტიეთი).

**ბოგირი//ნაბოგირევი –** სათიბი ლემანეურში (კაჩაეთი).

**ბოგირიკარი** – სამოვარი ხოტეურის მარჯვ. ნაპირზე (ხოტევი).

**ბოგირის წყალი** – წყარო ბოგირში, ჩონიშურის მარცხ. მხარეს (მუხლი).

**ბოგირუკა** – ღელე. იგივე ბოგირი (ფუტიეთი).

**ბოგირულა** – ღელე, ჭალის მარჯვ. შენაკადი გონაძეების უბანში (ზემო სხვავა).

**ბოგირღელე** – ღელე მიქაუტაძეებში (ზნაკვა).

**ბოკონისი** – სახნავი ჩაჩანიძეების უბნის ჩრდ-ით (ზემო სხვავა).

**ბოლოვენახები** – ვენახი აფრასიონისეულთან, ბერიულის ნაპირზე (ხიმში).

**ბოლოვენახ(ებ)ი** – ვენახი ქედის სამხრ. კალთაზე, აკავანასთან (სადმელი).

**ბოლოკაშვილების ტყე** – ტყე ქვემო სხვავაში, კაციტაძეების უბანში (შუა სხვავა).

**ბოლოკის ნოშო** – მიქაუტაძეების უბნის (იხ.) იშვიათი ვარიანტი (ზნაკვა).

**ბონდის ხიდი** – ხიდი. იგივე ბოგირა (ხოტევი).

**ბონცელაურა** – სათიბი გოცირიძეებში (იწა).

**ბორიო** – მთა, ტყე ზემო სხვავის საზღვარზე, ველტყევში (ფუტიეთი).

**ბორიღელე** – ღელე, ჭიკორაულის მარჯვ. შენაკადი. მოედინება მიწორეთიდან (ზემო კრიხი, კვირიკეწმინდა).

**ბოროშვილები** – უბანი სოფლის ცენტრ. გზაზე, ნაომარას გვერდით (საკეცია).

**ბოსელა** – 1. სამოვარი არჩვაძეების უბანში, ველევის საზღვართან. იყოფა: ზედა ბოსელა, ქვედა ბოსელა (შუა სხვავა); 2. სამოვარი კროუბნის შემოგარენში (ბეთლევი); 3. სამოვარი პეტრიაშვილებში, შევარიშსა და მიწათეთრანას შუა (კაჩაეთი); 4. ტყე ბატონიყანის თავზე (ზემო კრიხი).

**ბოსელაკდე** – კლდე შაორის წყალსაცავის შემოგარენში, ყურყულას გვერდით (ქვედა თლუღი).

**ბოსელას ღელე** – ღელე, ნასათიბევის ღელის მდგენელი (ზემო კრიხი).

**ბოსელაღელე** – ღელე. გაედინება ვახტანგაშვილების უბნიდან. ერთვის დათვიბელეულს მარცხ. მხრიდან (წკადისი).

**ბოსელაჭალა** – სამოვარი ლუხუნის ჭალაში, ბოსელეების ძირას (ლიხეთი).

**ბოსელეები** – სათიბები ლუხუნის მარცხ. მხარეს (ლიხეთი).

**ბოსტანა** – სოფელი სადმელის თემში (იხ. პირველი ნაწილი).

**ბოსტანა** – 1. სამოვარი ნეფარიძეებსა და ქვათაძეებს შუა (შუა სხვავა); 2. სახნავი კაციტაძეებში (ქვედა თლუღი); 3. სახნავი კობახიძეებში (ხოტევი).

**ბოსტანა//ბოსტანეები** – სახნავები ხეორის მარცხ. მხარეს, ზედა ტოროშელიძეების უბნის თავზე (ლიხეთი).

**ბოსტანეები** – მინდორი ბედენაშვილების უბანში (ამბროლაური).

**ბოსტანეები** – სახნავი. იგივე ბოსტანა (ლიხეთი).

**ბოტბოტა//ოთია** – სახნავი ნაგუთნევსა და ნასათიბევს შუა. რესპ.: „ეკუთვნოდა ოთიას, იმერელი იყო და მეტსახელად ბოტბოტა ერქვა" (ზემო კრიხი).

**ბოჩოლა** – სათიბი ველტყევში (ზემო სხვავა).

**ბოჩოლატყე** – ბუჩქნარი ჭიკორაულის უბნის თავზე, წესურის მარჯვ. მხარეს, კვარაციხის ქვეშ. რესპ.: „ბოჩოლა ტყე არის ჩქოლა ტყე, ახალწამოსული" (წესი).

**ბოძალაღელე** – ღელე. იგივე (ბ)ოძარის ღელე (წესი).

**ბოძალი** – ტყე. იგივე რუბოძალი (წესი).

**ბოძალი ღელე** – ტყე კვეშლევის მთაზე (შხივანა).

**ბოძარი** – ტყე. იგივე რუბოძალი (წესი).

**ბოძარისთავი** – სათიბი. იგივე ვაკენალია (წესი).

**(ბ)ოძარის ღელე//ბოძალაღელე** – ღელე რუბოძალაში, ლუხუნის მარჯვ. შენაკადი (წესი).

**ბოძლები** – ტყე სერულისა და მისი ერთ-ერთი მდგენლის შესართავთან (ლიხეთი).

**ბოჭორიშვილების უბანი** – 1. უბანი ქვემო იწაში (ამბროლაური); 2. უბანი შმაგი(ს)ღელის მარჯვ. ნაპირზე (ძირაგეული).

**ბოჭორიშვილის სანახშო** – სანახშო ბოჭორიშვილების უბანში. მიხო ბოჭორიშვილის ეზოს კართან, რომელიც გადახურული იყო და სოფლელები ამიტომაც იქ იკრიბებოდნენ (ძირაგეული).

**ბოხაშვილების უბანი** – უბანი გუგუშურას მარცხ. მხარეს, აბარის საზღვართან (ურავი).

**(ბ)ჟაველა** – სახნავი. იგივე მჟაველა (წკადისი).

**ბჟანტი** – ჭალა ჯვარუკას სალოცავთან, ლუხუნის მარჯვ. ნაპირზე. "წყალი მოჟონავს. მტრედები მოდიან და მიწას კენკავენ" (ურავი).

**ბჟოლები** – 1. ტყე-სამოვარი. იგივე კოდევი (კაჩაეთი); 2. ვენახი მაისაშვილების უბანში (წესი); 3. ფერდობები კრიხულის მარცხ. მხარეს (შუა კრიხი).

**ბჟოლები//საწურბლია** – სახნავები ლუხუნის მარჯვ. მხარეს, ჯაფარიძეების უბანში (ლიხეთი).

**ბჟოლებიგაღმა** – სამოვარი კრიხულის მარცხ. მხარეს, ზემო კრიხის საზღვართან (შუა კრიხი).

**ბჟოსხალი** – სათიბი ხეორის მარჯვ. მხარეს, მეჭვრეთის სალოცავის პირდაპირ. რესპ.: „ბჟოსხალი იგივე პანტასხალია" (ლიხეთი).

**ბჟოუკაუბანი//მაღლუტიანთები** – ერქვა მიკროუბანს ჩასავალას უბანში. "ბჟოსხალი პანტა მსხალია. ბჟოუკას მოფერებით ეტყვიან" (ურავი).

**ბჟოულის ნაჭერი** – სახნავი ჩონიშში (მუხლი).

**ბრავალძლელების უბანი** – უბანი მთის კალთაზე. ტერიტორია ეკუთვნის ონის რაიონის სოფელ მრავალძალს (ადგ. ვარიანტი: ბრავალძალი). (ხიმში).

**ბრავარძია** – სამოვარი. იგივე ბლავარძია (წესი).

**ბრეგვაძეები//ბრეგვაძეების უბანი** – უბანი ჭალის მარჯვ. მხარეს, დავლიანიძეების გვერდით (შუა სხვავა).

**ბრეგვაძეების უბანი** – უბანი. იგივე ბრეგვაძეები (შუა სხვავა).

**ბრეგვაძეების წყალი** – წყარო კდისუბანში, პეპელაღელის შენაკადი (ხიმში).

**ბრიყვეთის შურო//ბრიყუეთის შურო//ბრუყუთის შურო//ბრიყვოთის შურო** – ტყე შარეულასა და ვაკენაძვნარს შუა (ნიკორწმინდა).

**ბრიყვოთის შურო** – ტყე. იგივე ბრიყვეთის შურო (ნიკორწმინდა).

**ბრიყვოთის შუროს სერი** – სერი ვაკენამვნარის აღმ-ით, ბრიყვეთის შუროსა და ოქროპირის შუროს შუა (ნიკორწმინდა).

**ბრიყუეთის შურო** – ტყე. იგივე ბრიყვეთის შურო (ნიკორწმინდა).

**ბრუნავი** – საბანაო ლუხუნზე (აბარი).

**ბრუყუთის შურო** – ტყე. იგივე ბრიყვეთის შურო (ნიკორწმინდა).

**ბუ(რ)შები** – სათიბ-სახნავები ხოტეურის მარჯვ. მხარეს, ველევის საზღვარზე (ქვემო კრიხი).

**ბუგეულის გზა** – გზა, რომელიც მიემართება საკეციიდან ბუგეულისაკენ. მიქიაშვილების უბანს ყოფს ზედა მიქიაშვილებად და ქვედა მიქიაშვილებად (საკეცია).

**ბუგიანაწყალი** – მდინარე, რიონის მარჯვ. შენაკადი ძირაგეულის საზღვართან (კვაცხუთი).

**ბუდრიყანა** – სახნავი გულშავასა და ბაბას შუა (შუა სხვავა).

**ბუზაექეთი//ბუზეექეთი//ბუზიაქეთი** – სახნავი ქვასიპის თავზე (ქვედა თლუღი).

**ბუზაურა** – სახნავი კუბლაშვილების უბანში (ქვემო კრიხი).

**ბუზაურ(ებ)ი** – სათიბი გორის საზღვართან, კობერიძეების შემოგარენში. "აქ საქონელი აუცილებლად აიკრავს აბზუკარას. იგივე ბზიკია" (შუა კრიხი).

**ბუზეექეთი** – სახნავი. იგივე ბუზაექეთი (ქვედა თლუღი).

**ბუზვერისწვერი** – გორა ბლუანის სამხრ-ით, ძირაგეულის საზღვართან (კვაცხუთი).

**ბუზიაქეთი** – სახნავი. იგივე ბუზაექეთი (ქვედა თლუღი).

**ბუზნაურ(ებ)ი** – სახნავი ფერდობი ლაშითავის ღელის მარცხ. მხარეს, ჯანგიძეებში (ბოსტანა).

**ბუზულისწვერი** – ტყე, მწვერვალი ქედზე, ქედურის მარცხ. მხარეს. რესპ.: „მუდამ ქარი ზუზუნებს, ე.ი. ბუზუნებს“ (ძირაგეული).

**ბურდული** – ტყე ველევის საზღვართან, ე.წ. შემოსავალში (კვირიკეწმინდა).

**ბურტყილა** – ტყე ჭალასა და ნინოწმინდას შუა (ზემო სხვავა).

**ბურუშაული(ს)წყარო** – წყარო. იგივე ბურუშაულის წყალი (ნიკორწმინდა).

**ბურუშაულის წყალი//ბურუშაული(ს)წყარო//ბურშუას წყალი** – სასმელი წყალი ტრედისუბანში (ნიკორწმინდა).

**ბურუშაულის წყლისთავი** – სათიბი ბურუშაულის წყლის სათავესთან (ნიკორწმინდა).

**ბურღნალა** – სახნავი, ღელე დონაძეების უბანში (უყეში).

**ბურშები//ბურშევი** – ტყე, სამოვარი ხოტეურის მარჯვ. ნაპირზე, ღურღულეთთან (კვირიკეწმინდა, ხოტევი, ახალსოფელი).

**ბურშევი** – ტყე, სათიბი. იგივე ბურშები (კვირიკეწმინდა).

**ბურშუას წყალი** – წყარო. იგივე ბურუშაულის წყალი (ნიკორწმინდა).

**ბურჯანეულ(ებ)ი** – ერქვა ტყეს, შემდეგ სახნავებს ქედურის მარცხ. მხარეს. ამჟამად აქ სასაფლაოა (ძირაგეული, კვაცხუთი).

**ბურჯანეულის ღელე** – ღელე, რიონის მარჯვ. შენაკადი. გამოივლის მეწყრისუბანს (კვაცხუთი).

**ბუტკა** – სამოვარი რიონის მარჯვ. ნაპირზე. რესპ.: „ძველად იდგა ბუტკა, ღამის გასათევი“ (მუხლი).

**ბუღ(ვ)ისი** – ტყე არჩვაძეებში, კრიხულის მარცხ. მხარეს (შუა სხვავა).

**ბუღელე** – ღელე ქვემო სხვავაში, არჩვაძეებში (შუა სხვავა).

**ბუღნარა** – 1. გზა. იგივე ბუღნარი (ზედა თლუღი); 2. სათიბი ბნელატყის თავზე (საკეცია); 3. სახნავი ზნაკურის

მარცხ. მხარეს, წერეთლების პირდაპირ, დიდველთან (ზნაკვა).

**ბუღნარი//ბუღნარა** – გზა ჯვრისუბნის შემოგარენში (ზედა თლუღი).

**ბუღრანა –** მინდორი რიონის მარჯვ. მხარეს, რიონსა და საავტ. გზას შუა. რესპ.: „ხარების საბუღრაო ადგილი იყო. ამიტომ დარქმევია“ (ძირაგეული).

**ბუჭანაბეღლარი** – სახნავი რიცეულის მარცხ. მხარეს, აშხაპირისა და ცივწყლების თავზე. „აქ ერთ დროს პურსა და სიმინდს თესდნენ და ბეღელიც ჰქონდათ. ბუჭა კი პირსახელია“ (კლდისუბანი).

**ბღუანა//ბღუანეები** – სათიბები ბღუანაღელის სათავესთან, ჯვარიგორის ძირას. (ლიხეთი, აბარი).

**ბღუანაღელე** – ღელე, სერულის მარცხ. შენაკადი (ლიხეთი).

**ბღუანეები** – სათიბები. იგივე ბღუანა (ლიხეთი).

**ბღუანეები** – სათიბი. იგივე ბღუანა (აბარი).

**ბ(ღ)უნტაური** – სახნავი დონაძეების განაპირას (უყეში).

**ბწკარინაძვნარი** – ნაძვნარი. იგივე ფწკალინაძვნარი (ნიკორწმინდა).

**ბწკარინაძვნარის შურო** – შურო. იგივე ფწკალინაძვნარის შურო (ნიკორწმინდა).

## გ

**გაბაური** – ბაღი, სახნავი სოფლის დას. ნაწილში, ჩოტიღელის მარჯვ. ნაპირზე (ჭელიაღელე).

**გაბიჩვაძეების უბანი –** მიკროუბანი გველესიანების უბანსა და გელოვანების უბანს შუა (ძირაგეული).

**გაბოური** – ტყე ქვემო სხვავაში, არჩვაძეების უბანში (შუა სხვავა).

**გაბრაული//გაბრეულა** – ტყე, ველები ჭალის მარჯვ. ნაპირზე, ბაქრაულას გვერდით (ფუტიეთი).

**გაბრეულა –** ტყე. იგივე გაბრაული (ფუტიეთი).

**გაბრიელას ახო** – სახნავი აკავანასთან (ბეთლევი).

**გაბრიჩიძეები//გაბრიჩიძეების უბანი** – უბანი ჭარისუბნისა და მაჭანკალაძეების უბანს შუა (კვაცხუთი).

**გაბრიჩიძეების ვენახი** – ვენახი გაბრიჩიძეებში (კვაცხუთი).

**გაბრიჩიძეების ნამოსახლი** – სათიბი გაბრიჩიძეებში (კვაცხუთი).

**გაბრიჩიძეების უბანი** – უბანი. იგივე გაბრიჩიძეები (კვაცხუთი).

**გაბუნი//გაბუნის კდე** – კლდეები ველეულის მარჯვ. მხარეს, მაცაბერიძეების უბანში, ტბეთის თავზე (ველევი).

**გაბუნიას ახო** – ტყე კდისუბანში (ხიმში).

**გაბუნიას გორა** – გორა ობოლაძეების გვარდით (შუა სხვავა).

**გაბუნიას ღელე//გაბუნიის ღელე** – ღელე. ქმნის შენაკადები: ქურციკიძეების წყალი, ქართველიშვილების წყალი, გონგაძეების წყალი (ზემო სხვავა)

**გაბუნიის ღელე** – ღელე. იგივე გაბუნიას ღელე (ზემო სხვავა).

**გაბუნიის ღელე//ცხმორის წყალი** – ღელე ქურციკიძეების გარეუბანში. რესპ.: „აქ გაბუნიები ცხოვრობდნენ" (ზემო სხვავა).

**გაბუნის კდე** – კლდეები. იგივე გაბუნი (ველევი).

**გაგაქვაბი** – საჯიხვე მთა, ტყე ვერძიღელის სათავესთან. ფაქუშის მთას ეკვრის საკაურის მხრიდან. ქვაბში ცხვრის ჯოგი ეყენათ (ურავი).

**გაგნიურა** – ვენახები ბიჭაშვილების უბანსა და ცივწყალას შუა (კვაცხუთი).

**გადაგდებულა** – სახნავი ქვედა აბუთიძეებში, მალონას წყლის ნაპირზე (აგარა).

**გადაგდებულის ბილიკი** – ბილიკი გადაგდებულაში (აგარა).

**გადათრეულა** – 1. გადასასვლელი ნაეკლესიარისა და ხოტეურისაკენ (კაჩაეთი); 2. საძოვარი მელაშვილების მთაში (წესი); 3. საძოვარი ქვათაძეებსა და ნეფარიძეებს

შუა (შუა სხვავა); 4. სამოვარი შაორჰესის დასახლებასთან (ნიკორწმინდა) და სხვ.

**გადათრეულის სათვალე** – წყარო გადათრეულში (ნიკორწმინდა).

**გადაკაზმულა** – გზა, სახნავი მანიკაურის მარჯვ. ნაპირზე. რესპ.: „ლამაზი, ყვავილებიანი ადგილია. ამიტომაა გადაკაზმულა“ (ფუტიეთი).

**გადამწვარი** – ტყე ჩარდომილას გვერდით (ნიკორწმინდა).

**გადანათრევი** – ტყე სალოსის კალთაზე, მენაბდეების უბანში. „ტყეა და ქედზეა გადათრეული, ე.ი. აქედან იქით გადადის“ (ხოტევი).

**გადარეულ(ი)ღელე** – ღელე, ლუხუნის შენაკადი გობეჯიშვილების უბანში. ჩამოედინება ობოლქვიდან (ურავი).

**გადასასვლელი** – უღელტეხილი როფისთავში, სადაც სამანქანე გზა გადადის მოტყიარისაკენ (ნიკორწმინდა).

**გადასახედ(ავ)ი//გზიპირი** – სანახშო, ბორცვი კობახიძეების უბანში (ხოტევი).

**გადაღმა** – ტყე-სამოვრები ბოგირულის მარცხ. მხარეს (ზემო სხვავა).

**გადაღმა ახო** – ტყე ზეჭელიშის კალთაზე (ზნაკვა).

**გადაღმა ენუქიძეები** – მიკროუბანი მესხების გვერდით, სოფლის აღმ. ნაწილში. ენუქიძეების უბნისაგან გამოყოფილია ტყე-ბუჩქნარებით (კვირიკეწმინდა).

**გადაღმა ყანა** – 1. სახნავი აბარულის მარცხ. მხარეს (აბარი); 2. ყანა ბუზვერისწვერის ქვეშ (კვაცხუთი).

**გადაჭრილ(ებ)ი** – ტყე-სერი რიცეულის მარცხ. მხარეს. ებმის ჭვარების მთას. ერთ დროს ხეები ყოფილა გადაჭრილი და ამიტომ დარქმევია (სადმელი).

**გადმოსახედავი** – 1. გზის მონაკვეთი საქორიის ქვეშ, კაციტაძეების თავზე (ხოტევი); 2. ტყე სონკოსოში (ღვიარა).

**გაიოზას წყალი** – წყარო დიდ საყავრესა და რიცეულის ხეობას შორის, უნაგირა-რიცეულის გზაზე (კვაცხუთი, ძირაგეული).

**გაიოზასეული** – ნავენახარი საელიოში. რესპ.: „გაიოზ ჭელიძეს აქ ტყე გაუკაფავს და ვენახი გაუშსენებია“ (ძირაგეული).

**გაკოდილა** – ბორცვი, სახნავი კანთელაძეების უბნის თავზე (ლიხეთი).

**გაკოდილას ღელე** – ღელე, ხეორის მარჯვ. შენაკადი (ლიხეთი).

**გამოქვაბულები** – კლდე სილაკდის გაგრძელებაზე (მოტყიარი).

**გამოღმა არჩვაძეები** – მიკროუბანი არჩვაძეებში, მანიკაურის მარჯვ. მხარეს (ფუტიეთი).

**გამოღმა კოლოტა** – ტყე-ველი ჯმუხაძეების უბანში (ნიკორწმინდა).

**გამოღმა მიქიაური** – სახნავი, მიქიაურის (იხ.) ნაწილი (ფუტიეთი).

**გამოღმა მურუსიძეები** – მურუსიძეების უბნის ნაწილი. იხ. ბადაურის ღელე (ზნაკვა).

**გამოღმა უბანი** – სოფლის ნაწილი ღვიარაღელის მარცხ. მხარეს (ბოსტანა).

**გამოღმა უბანი//ქვედა უბანი** – უბანი გაღმაუბანსა და სოფლის ცენტრს შუა (ჭელიაღელე).

**განები** – გზა. სოფლიდან ადის სუნდაურში, შემდეგ უნაგირასა და სანაფოტეზე (კვაცხუთი).

**განიგზა** – 1. გზა და ტყეები ვაკენაძვნარის ჩრდ-ით. გზა მიემართება სათიბებისაკენ (ნიკორწმინდა); გზა თევზაძეებსა და ქემოკლიძეებს შუა. გადიოდა პროკოლის ახოში (ახალსოფელი); 3. გზა, რომელიც სოფელ შუა სხვავისკენ გადადის (გორი); 4. გზა, რომელიც სოფლიდან გადის კაჩაეთისაკენ (მოტყიარი).

**განიგზის გასავალი** – მინდორი განიგზასთან (ნიკორწმინდა).

**განიგზის სათიბები** – სათიბი განიგზასთან (ნიკორწმინდა).

**განიგზის ტყე** – ტყე ჭაროფებში, წმ. გიორგის მთაზე (ნიკორწმინდა).

**განისწყალი** – წყარო ბინულთან. იქვე იკარგება (მუხლი).

**განჯარა** – ტყე ბაგიბუგის გზასთან, გოქსაძეებში (ველევი).

**გარესათიბი** – საძოვარი ზედა მიქიაშვილებში (საკეცია).

**გარეყანა** – სახნავი ზეჭელიში, დიდმინდორის გვერდით (ზნაკვა).

**გარეყანა//გარეყანები** – სათიბები ჩონიშურის მარცხ. მხარეს (მუხლი).

**გარეყანები** – სათიბები. იგივე გარეყანა (მუხლი).

**გარსევანას ახო** – საძოვარი გაღმა არჩვაძეების თავზე (ფუტიეთი).

**გარჯილა** – მთა სხარტულისა და ველეულის წყალგამყოფზე (ველევი).

**გარჯილა** – საძოვარი რაჭის ქედზე, საურმისწვერის ქვემოთ (ფუტიეთი).

**გარჯილისთავები** – ბორცვი გარჯილას ზემოთ (ფუტიეთი).

**გასავალა** – 1. საძოვარი წვერის კალთაზე, მირიეთველასა და ნაფიცებს შუა (შუა კრიხი); 2. სახნავი იწის საზღვართან (ახალსოფელი); 3. სახნავი კობახიძეების უბნის შემოგარენში (ხოტევი).

**გასავალი** – სახნავი. რესპ.: „ტყე და ყანა ერთმანეთზე იყო გადაბმული და ყანიდან პირდაპირ შედიოდა გზა ტყეში“ (მუხლი).

**გასავალიბილიკი** – საცალფეხო გზა, რომელიც წვერზე გადადის და მიემართება ხიმშისაკენ (შუა კრიხი).

**გასარჩ(ი)ელა** – სახნავი დვლების უბანში, ნაფუზვრის გვერდით (კაჩაეთი, ჭელიაღელე).

**გასარჩიელი** – 1. გზათგასაყარი ზარეულიშვილების უბანში (შუა სხვავა); 2. სამოვარი ქედის აღმ. ნაწილში. რესპ.: „ყანა იყო და სიმინდს აქვე არჩევდნენ“ (სადმელი).

**გასაყარი** – 1. გზაგასაყარი საწალიკეში, იმერეთისაკენ მიმავალ გზაზე (ქვედა თლუღი); 2. გზის მონაკვეთი საწალიკის კალთაზე, თლუღის საზღვართან. აქ ორი გზის გასაყარია (ხოტევი,ზედა თლუღი).

**გასაყარი გზა** – გზის მონაკვეთი ქართველიშვილებსა და ქურციკიძეებს შუა. აქ სოფლის მთავარ გზას გამოეყოფა ღოცათი-ნინოწმინდისაკენ მიმავალი საურმე გზა. გაივლის: წისქვილებს, ყვარაბუდეს, გაღმას, რომლის თავზე არის ღოცათი და წმინდა ნინო (ზემო სხვავა).

**გაღმა აბაშეური** – სამოვარი, აბაშეურის ნაწილი (შუა კრიხი).

**გაღმა აბუთიძეები** – უბანი. იგივე გორისუბანი (აგარა).

**გაღმა არჩვაძეები** – მიკროუბანი არჩვაძეებში, მანიკაურის მარცხ. მხარეს (ფუტიეთი).

**გაღმა ახო** – ტყე შხროსუბანში, ღელის გაღმა (ნიკორწმინდა).

**გაღმა ახო(ები)** – სახნავები ხეორის მარცხ. მხარეს (ლიხეთი).

**გაღმა ახოს ტყე** – ბუჩქნარი გაღმა ახოსთან (ნიკორწმინდა).

**გაღმა გოთაური** – სათიბი გოთაურთან (კაჩაეთი).

**გაღმა კედელა** – სერი. იგივე კედელა (აბარი).

**გაღმა კოლოტა** – ტყე-ველი ჯმუხაძეების უბანში (ნიკორწმინდა).

**გაღმა კუთხე//ბუჭუკების უბანი** – უბანი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. ბუჭუკები კობახიძეების სიგელია (სხვა სიგელებია: ჩხინკალაშვილები, ჩხაკუნეები და სხვ.). (ზედა თლუღი).

**გაღმა კუთხე//გაღმა კუთხის უბანი** – უბანი კრიხულის მარცხ. მხარეს (ქვემო კრიხი).

**გაღმა კუთხის უბანი** – უბანი. იგივე გაღმა კუთხე (ქვემო კრიხი).

**გაღმა ლაშია** – საძოვარი, ლაშიის ნაწილი დოხნაძეებში (კაჩაეთი).

**გაღმა მთა** – ასე უწოდებენ იწელები და ახალსოფლელები სალოს მთას, რომელიც მათგან გაღმა (მდ. ხოტეურის მარცხ. მხარეს) მდებარეობს (იწა).

**გაღმა მიქიაური** – სახნავი მიქიაურის (იხ.) ნაწილი (ფუტიეთი).

**გაღმა მიქიაშვილები** – უბანი ჯვარულას ღელის მარცხ. მხარეს (საკეცია).

**გაღმა მურუსიძეები** – მურუსიძეების უბნის ნაწილი. იხ. ბადაურის ღელე (ზნაკვა).

**გაღმა ნადარეული** – საძოვარი დათეშიძეებში (გორი).

**გაღმა საჯურო** – სათიბი საჯუროში (წკადისი).

**გაღმა უბანი** – 1. უბანი. იგივე გორისუბანი (აგარა); 2. სოფლის ნაწილი ღვიარაღელის მარჯვ. მხარეს (ბოსტანა); 3. უბანი. იგივე კლუბისუბანი (კაჩაეთი); 4. უბანი ქვასიპის თავზე, სოფლის სამხრ. ნაწილში (ქვედა თლუღი).

**გაღმა უბანი//გაღმაურები** – უბანი აბარულის მარცხ. მხარეს (აბარი).

**გაღმა უბანი//ქვასიპა** – უბანი (ჭელიაღელე).

**გაღმა ყანა** – 1. სახნავი არჩვაძეებში (ფუტიეთი); 2. სახნავი დვლების უბანში, დიდღელის მარჯვ. მხარეს (კაჩაეთი); 3. სახნავი ჭალის მარცხ. მხარეს. დასახლება მხოლოდ მარჯვ. მხარესაა (ზემო სხვავა); 4. სახნავი ხოტეურის მარჯვ. მხარეს (ხოტევი).

**გაღმა ყანა//გაღმა ყანები** – სათიბი ქედის ჩრდ. კალთაზე, სტაჟაურის მარჯვ. მხარეს (სადმელი).

**გაღმა ყანა//შხარეულა** – სახნავი სოფლის შემოგარენში, ღელიას გაღმა (აგარა).

**გაღმა ყანა//ჩაბაყუა** – სახნავი ჭიკორაულის მარჯვ. მხარეს, ქომანეთსა და ჭიკორაულს შუა (ზემო კრიხი).

**გაღმა ყანები** – სათიბი. იგივე გაღმა ყანა (სადმელი).

**გაღმა ყანის ტყე** – ტყე გაღმა ყანაში (სადმელი).

**გაღმა შაორი** – საძოვარი შაორის წყალსაცავის აღმ. შემოგარენში (ქვედა თლუღი).

**გაღმა წყალი** – წყარო მიქელიშვილებში (ფუტიეთი).

**გაღმა ჭალა** – 1. სახნავი ლუხუნის მარცხ. მხარეს. რესპ. გ. მეტრეველი: „გაღმაში იგულისხმება მდინარის მეორე მხარე, ხოლო გადაღმაში – სერის, მთის იქითა მხარე" (ლიხეთი); 2. საძოვარი მიქაუტაძეების აღმ-ით, ჯვარიზურგსა და ნასახტრს შუა, **ზნაკვა**-ნაეკლესიევის საურმე გზაზე (ზნაკვა); 3. ტყე ლასიტაღელესა და შხარეულას შუა (ჭელიაღელე).

**გაღმა ჭალას კდე** – კლდე გაღმა ჭალაში (ჭელიაღელე).

**გაღმა ჭალისფეხი** – გაღმა ჭალის დასაწყისი. რესპ.: "ფეხი არის ადგილის შესასვლელი, დასაწყისი" (ზნაკვა).

**გაღმა ჭალის წყალი** – წყარო გაღმა ჭალაში. ამოდის და იქვე იკარგება (ზნაკვა).

**გაღმა ჭელიძეების უბანი** – უბანი კაჩაეთის საზღვართან.

**გაღმაგვერდა** – ტყე. იგივე გვერდა (შუა კრიხი).

**გაღმატყე** – 1. ტყე ჭალის მარცხ. მხარეს (ფუტიეთი); 2. ტყე. იგივე ბაქრაძის ტყე (შუა კრიხი).

**გაღმაურები** – 1. უბანი. იგივე შუა უბანი (ველევი); 2. უბანი. იგივე გაღმა უბანი (აბარი); 3. უბანი. იგივე შუა უბანი (ბეთლევი).

**გაღმა ჭალა** – ვენახები ჩონიშურის ნაპირას (მუხლი).

**გაყენებული** – კლდე ტყე-საძოვრებით გაყენებულის ღელის თავზე. "სანადირო ადგილი იყო. გაყენებულია, როცა მონადირე ძაღლი კლდეზე ვერ გადის და არჩვიც გაყენდება" (ურავი).

**გაყენებულის ღელე** – ღელე. იგივე გაყენებულის წყალი (ურავი).

**გაყენებულის წყალი//გაყენებულის ღელე** – ღელე, ბასიანის ღელის შენაკადი (ურავი).

**გახეთქილი ქვა** – მინდორი. იგივე ქვაგახეთქილა (ლიხეთი).

**გახეთქილიქვისათიბი** – სათიბი ქვაგახეთქილასთან (ლიხეთი).

**გეგეშიძეები//გეგეშიძეების უბანი** – უბანი სოფლის ცენტრის აღმ-ით. უბანში ვაჩაძეები ცხოვრობდნენ, მაგრამ მაინც გეგეშიძეების უბნად მოიხსენიება (ნიკორწმინდა).

**გეგეშიძეების კალო** – კალო გეგეშიძეებში (ნიკორწმინდა).

**გეგეშიძეების უბანი** – უბანი. იგივე გეგეშიძეები (ნიკორწმინდა).

**გედეონის მსხალი//ვლადიმერის ხე** – მსხლის ხე გედეონის ნაყანვარში (ნიკორწმინდა).

**გედეონის ნაყანვარი//ვლადიმერის ნაყანვარი** – სათიბი სოფლის დას. ნაწილში, თომას ნაყანვარის გვერდით (ნიკორწმინდა).

**გელაურა** – სახნავი ჭალის მარცხ. მხარეს, ზედუბნის პირდაპირ (ზემო სხვავა).

**გელაურ(ებ)ი** – სამოვარი ფანჯიკიძეების უბანში (ახალსოფელი).

**გელაური** – სამოვარი კრიხულის მარცხ. მხარეს, ისაკაძეების უბანში (ქვემო კრიხი).

**გელაური//გელაურის ყანები** – სახნავი შარაბიძეების უბანში (ხოტევი).

**გელაურის ყანები** – სახნავი. იგივე გელაური (ხოტევი).

**გელაურის წყალი** – წყარო შარაბიძეებში, ქვაბილაურის ღელის მარჯვ. შენაკადი (ხოტევი).

**გელაძეების უბანი** – უბანი ქვემო კრიხის საზღვართან (ამბროლაური).

**გელბახიანების უბანი** – უბანი ველეულის მარცხ. მხარეს, საწალიკის მთის ძირში. ესაზღვრება ბეთლევი (ველევი).

**გელიამონატეხი** – გზა, სამოვარი ზემო თლუღი-საწალიკის გზაზე (ზედა თლუღი).

**გელიამონატეხის წყალი** – წყარო გელიამონატეხში (ზედა თლუღი).

**გელიას მონატეხი** – სათიბი საწალიკეში (წკადისი).

**გელოვანების უბანი** – უბანი შმაგი(ს)ღელის მარცხ. მხარეს (ძირაგეული).

**გელოვანების ჭა** – ერქვა ღრმა ჭას გელოვანების უბანში. სიღრმე 20 მ. (ძირაგეული).

**გელოვნიშვილები//გელოვნიშვილების უბანი** – უბანი საელოს მთის ძირას, გოგოლაძეების უბნის გვერდით (კვაცხუთი).

**გელოვნიშვილების უბანი** – უბანი. იგივე გელოვნიშვილები (კვაცხუთი).

**გელო(ვ)ნიშვილიახო** – ტყე სონკოსოში. „გელონიშვილმა გატეხა და ახოდ გადააქცია“ (ღვიარა).

**გელოიანთები** – ერქვა რეხვიაშვილების უბანს (ურავი).

**გელოიან(თ)ყანა** – სახნავი შარვალაყანებთან (ურავი).

**გერასიმეს წყარო** – წყარო მიქიაშვილების უბანში, გზის პირას (მოტყიარი).

**გერვანტიას სახ(რ)ჩობელა//გერვანტიას წყარო** – წყარო ჭორგანეულის გვერდით (ნიკორწმინდა).

**გერვანტიას წყარო** – წყარო. იგივე გერვანტიას სახ(რ)ჩობელა (ნიკორწმინდა).

**გეწაძეები//გეწაძეების უბანი** – უბანი სოფლის დას. ნაწილში, ქ. ამბროლაურის საზღვართან (იწა).

**გეწაძეების უბანი** – უბანი. იგივე გეწაძეები (იწა).

**გვალა** – მინდორი კდისუბანში. ცხადია: რგვალა > გვალა (ხიმში).

**გველაური** – საძოვარი ფერდობზე ჯიხურსა და ღვიარაღელეს შუა. გადმოცემით, აქ გველი იცოდა (ღვიარა).

**გველერმწვანე** – ტყე-მინდვრები ნიღრიკიღელესა და დიდღელეს შუა (ზნაკვა).

**გველესიანების უბანი** – ერქვა უბანს ბოჭორიშვილების უბნის თავზე (ძირაგეული).

**გველესიანების წყალი** – წყარო გველესიანების უბანში (ძირაგეული).

**გვენეთელა** – სახნავი ქვემო სხვავაში, არჩვაძეების უბანში (შუა სხვავა).

**გვერდა** – 1. სათიბი ველდითის გვერდით (ხიმში); 2. სათიბი რიონის მარცხ. მხარეს, ფერდობზე (მუხლი); 3. სამოვარი არჩვაძეებში (შუა სხვავა); 4. სამოვარი სამგლიის უბანში (სადმელი); 5. სამოვარი, ფერდობი მელაშვილების უბანში. რესპ.: "გვერდა დაფერდებული ადგილია" (წესი).

**გვერდა//გვერდი** – სახნავი ფერდობზე, ჯმუხაძეებში (ნიკორწმინდა).

**გვერდა//გვერდი** – ფერდობი მიქაუტაძეებში (ზნაკვა).

**გვერდა//გვერდო//გაღმაგვერდა** – ტყე გაღმა აზაშეურის გვერდით (შუა კრიხი).

**გვერდასთავი** – სამოვარი მიქაუტაძეებში, გვერდას ზემოთ (ზნაკვა).

**გვერდები** – 1. ფერდობები მუსერიძეების უბანში (სადმელი); 2. სახნავები მურუსიძეების შემოგარენსა და პარტახს (წერეთლებში) შუა (ზნაკვა).

**გვერდი** – 1. სამოვარი ფერდობზე, ხოტეურის მარჯვ. ნაპირზე (ხოტევი); 2. სახნავი. იგივე გვერდა (ნიკორწმინდა); 3. ფერდობი ლაშხების გარეუბანში (კვირიკეწმინდა).

**გვერდიბოლო** – სახნავი დათეშიძეების შემოგარენში (გორი).

**გვერდივენახი** – ვენახი, გვერდის ნაწილი (კვირიკეწმინდა).

**გვერდინაჭევი** – სათიბი ფერდობზე, ნაჭევის ქვეშ (წკადისი).

**გვერდის ვენახი** – სახნავი გვერდასთან (მუხლი).

**გვერდისთავი** – სახნავი ჭიჭინაძეებში, სალხინოს უბანში (ქვედა თლუღი).

**გვერდი(ს)საცურაო** – სათიბი ხოტევის საზღვართან. „ფერდობია და ზამთრობით თოვლზე ცურაობდნენ“ (წკადისი).

**გვერდიტყე** – 1. ტყე ენუქიძეების შემოგარენში (კვირიკეწმინდა); 2. ტყე ოშხერლების უბანში (სადმელი).

**გვერდიყანა** – 1. სახნავი ოშხერლების უბანში (სადმელი); 2. სახნავი, გვერდის ნაწილი (კვირიკეწმინდა); 3. სახნავი გვერდიბოლოსთან (გორი).

**გვერდიყანები** – სახნავი ბეთლევის საზღვართან (ველევი).

**გვერდო** – ტყე. იგივე გვერდა (შუა კრიხი).

**გვერჩუკა** – ფერდობი დვალიურის გვერდით. სავარაუდოა: გვერდსუკან > გვერთშუკან > გვერჩუკა (ხიმში).

**გვიბრალი//გვიმნარი** – სათიბი ეწერში. უწინ ერქვა სასო ბუცუცქის ნაყანვარს (ნიკორწმინდა).

**გვიმ(რ)ი(ს)წვერი** – ბორცვი. დაჰყურებს სოფლის ცენტრს (ზედა თლუღი).

**გვიმბრალი** – 1. სათიბი საჯუროში (წკადისი); 2. მინდორი საგველიის თავზე (საკეცია).

**გვიმნარი** – სათიბი. იგივე გვიბრალი (ნიკორწმინდა).

**გვიმრალა** – სახნავი კობახიძეების უბანში (ხოტევი).

**გვიმრალები** – ტყე კდისუბანში (ხიმში).

**გვიმრალი** – 1. სათიბი მაისაშვილების უბანში. გვიმრა ხარობს (წესი); 2. სათიბი ღელისუბანში, ღვიარაღელის მარჯვ. მხარეს (ღვიარა).

**გვიმრანი** – სახნავი გეწაძეებისა და გოცირიძეების განაპირას, ზემო იწაში. რა თქმა უნდა: გვიმრა > გვიმრნარი > გვიმრანი (იწა).

**გვირაბი** – მთა სანადირო ადგილებით ლუხუნის მარცხ. მხარეს, ვერძიღელის სათავესთან (ურავი).

**გვირეულა** – სახნავი ქართველიშვილებში, ბიბილაურის გვერდით (ჭელიაღელე).

**გზაგძელა** – გზა. გაბუნიკდიდან გადადის კორტში. გაივლის ობნელას, ორჭისთავს (ველევი).

**გზაწვრილი** – გზა. გადადის აღმ-ით მდებარე სოფლებისაკენ (გორი).

**გზიპირი –** სანახშო. იგივე გადასახედ(ავ)ი (ხოტევი).

**გიგიაქვაბი** – ტყე საწალიკეში, გძელ მინდორსა და სანახშირეღელეს შუა (ზედა თლუღი).

**გიგიაწყარო** – წყარო. იგივე ტიხოს წყალი (კლდისუბანი).

**გიგოს მონატეხი** – ტყე გიგიაქვაბთან (ზედა თლუღი).

**გიგოს სათიბი** – სათიბი, რომელიც უწინ გიგო დოხნაძეს ეკუთვნოდა (ნიკორწმინდა).

**გიგოს წყალი** – ღელე ზეჭელიში (მოტყიარი).

**გიორგაახო** – სათიბი ვაკენაძვნარის გვერდით (ნიკორწმინდა).

**გიორგი(ს)ახო** – ტყე შაორის წყალსაცავის ჩრდ. შემოგარენში. ეკუთვნოდა გიორგი გორგილაძეს (აგარა).

**გიორგიანთები//გიორგიანთების უბანი** – ერქვა უბანს გელოიანთების გვერდით (ურავი).

**გიორგის ახო** – საძოვარი ლუხუნგაღმაში (აბარი).

**გიორგის ნამოსახლი** – მინდორი ყიყვის მარჯვ. მხარეს (აბარი).

**გიორგის ტყე//ფატიატყე** – ტყე კრობანში (ბეთლევი).

**გიორგობიანები//გიორგობიანების უბანი** – 1. უბანი პეპელაღელის ხეობაში (ხიმში); 2. უბანი სოფლის ცენტრში. შედგება ორი მიკროუბნისაგან: შოშინიშვილები და მიქელიშვილები. რესპ. მ. გიორგობიანი: „შოშინა და მიქელი გიორგობიანები ძმები ყოფილან, საიდანღაც მოსულან და აქ დასახლებულან, მერე გამრავლებულან“ (ფუტიეთი).

**გიორგობიანების ნამოსახლი** – საძოვრები დვალიურსა და გოგიჩაურს შუა (ხიმში).

**გიორგობიანების რუ** – ღელე. იგივე რუ (ფუტიეთი).

**გიორგობიანების უბანი** – 1. უბანი. იგივე გიორგობიანები (ფუტიეთი); 2. უბანი. იგივე გიორგობიანები (ხიმში).

**გიორგობიანების წყალი** – ღელე. ბერიულის ერთ-ერთი მდგენელი (ხიმში).

**გიორგობიანის ნასახლარი** – ნასახლარი წმ. გიორგის მთაზე. რესპ.: „აქ უცხოვრია ყაჩაღ ხახულია გიორგობიანს“ (ნიკორწმინდა).

**გიორგობის წყალი** – წყარო ლემანეურში (კაჩაეთი).

**გიტულაახო** – სამოვარი კარავივაკის თავზე. გიტულა პირსახელია (ღვიარა).

**გლახა ახო** – სათიბი ვაკენამაიდნევთან (ნიკორწმინდა).

**გლახაკის ახო** – სახნავი. ეკუთვნოდა გლახო ინასარიძეს (ზემო კრიხი).

**გლახაკისეული** – სახნავი თომაძეების უბანში (გორი).

**გლახუაახო** – სამოვარი სილაკდის ქვეშ (მოტყიარი).

**გლახუაახოს ტბა** – ტბა გლახუაახოსთან (მოტყიარი).

**გლახუასეული** – სახნავი საელიოზე (კვაცხუთი).

**გლისაბუდარი** – სამოვარი. იგივე მგლისაბუდარი (აბარი).

**გლისარბიელა** – სერი დიდ ჟრინავსა და პატარა ჟრინავს შუა, სადაც უწინ თურმე მგლები იყრიდნენ თავს (კლდისუბანი).

**გლონი** – ტყე-ფერდობები ქავთრიღელის მარცხ. მხარეს. ღვიარიდან აუყვება **გლონის გზა,** რომელიც თავდება **გლონისყელით** (ვიწრო გასასვლელი, ჩაჭრილი კლდეში), რომელსაც მოსდევს **გლონის ვაკე** (ღვიარა).

**გლონის გზა** – გზა სოფლიდან ღვიარის წმინდა გიორგის სალოცავამდე. გაივლის გლონს (ღვიარა).

**გლონის ვაკე** – ვაკე გლონისყელთან (ღვიარა).

**გლონის მთა** – მთა ქაფთრიღელის სათავესთან (კლდისუბანი).

**გლონისყელი** – ვიწრო გზა კლდეებს შუა. ამთავრებს გლონის გზას და გადის გლონის ვაკეზე (ღვიარა).

**გობეჯიშვილების უბანი** – უბანი საწისქვილოღელის მარცხ. მხარეს, ჯელაძეების უბნის თავზე (ურავი).

**გობი** – 1. სათიბი წმ. გიორგის მთაზე. „გობივით ჩაღრმავებული ადგილია“ (ნიკორწმინდა); 2. ტაფობი

ზედა უბანში, სხლოვანსა და დაქცეულ კდეს შუა (ზემო კრიხი).

**გობი//კოდისწყალა** – წყარო, სამოვარი ბოგირებთან (შუა კრიხი).

**გობისთავი** – სამოვარი სხლოვანთან (ზემო კრიხი).

**გობისწყალი** – წყარო სოფლის ცენტრში. უწინ გობი ედგა (წესი).

**გობიწყალა** – წყარო გოქსამეებში (ველევი).

**გობსათიბი//გობსათიფი** – სამოვარი გობთან (ნიკორწმინდა).

**გობსათიბის ტყე** – ბუჩქნარი გობსათიბთან (ნიკორწმინდა).

**გობსათიფი** – სამოვრი. იგივე გობსათიბი (ნიკორწმინდა).

**გოგანცეული** – საკარმიდამოები. იგივე გონგაცეული (ქვემო კრიხი).

**გოგიაბჟოლა** – მინდორი კევლიშვილებში (საკეცია).

**გოგიას წყალი** – ერქვა ორ მცირე ტბას კვეშლევში, ბოძალი ღელის თავზე. აღმოუჩენია გოგია სირაძეს (შხივანა).

**გოგიაური** – სახნავი გოცირიძეებში (იწა).

**გოგიაყანა** – მინდორი კევლიშვილებში (საკეცია).

**გოგიაყანისთავი** – მინდორი კევლიშვილებში (საკეცია).

**გოგიაწყალი** – წყარო რატიანებში (კლდისუბანი).

**გოგილაური** – 1. სახნავი გაღმა ყანის თავზე (ზემო კრიხი); 2. სახნავი ბუნტაურის თავზე, დონაძეების განაპირას (უყეში).

**გოგილიძეების უბანი** – უბანი ბიბილაშვილების უბანსა და ლოდომისის გორას შუა (უყეში).

**გოგინას წყალი** – წყარო ვაკენამაიდნევსა და ყვირილას შუა (ნიკორწმინდა).

**გოგინაური** – სამოვარი მელაშვილების მთაში. ამ სამოვარს გოგინა მელაშვილი ფლობდა (წესი).

**გოგინაყანა** – სამოვარი ლემანეურში (კაჩაეთი).

**გოგინოს შურო** – ტყე ნაეკლესევში (მოტყიარი).

**გოგირდის აბანო** – ვეძა ხეორის მარცხ. მხარეს (ლიხეთი).

**გოგიტელას ქვაბი** – გამოქვაბული ლათაშურის სათავესთან. გოგიტელა აქ იდგა და ყავარს ხდიდა თურმე (ურავი).

**გოგიჩაბაური//გოგიჩამოური** – ბაღი, ნაყანევი გურგენიძეებში (ნიკორწმინდა, ჭელიაღელე).

**გოგიჩამოური** – ნაყანევი. იგივე გოგიჩაბაური (ნიკორწმინდა, ჭელიაღელე).

**გოგიჩაური** – სათიბი პეპელაღელის ხეობაში (ხიმში).

**გოგლაური** – სათიბი ტბეთთან, მაისაშვილების მთაში (წესი).

**გოგობერიშვილების უბანი** – 1. უბანი რიონსა და საავტ. გზას შუა, აბაიშვილების უბნის გვერდით, ხიდიკრის ხიდს ქვემოთ (კვაცხუთი); 2. უბანი სოფლის ცენტრში, წესურის მარჯვ. მხარეს (წესი).

**გოგოლაძეების უბანი** – ერქვა უბანს ნიკოლაშვილებსა და გელოვნიშვილების უბაანს შუა (კვაცხუთი).

**გოგოულა** – ვენახი საჯვარესთან (შუა კრიხი).

**გოგრიჭიანების უბანი** – უბანი აბარის საზღვართან, ლუხუნის მარცხ. მხარეს, გუგუშურის ნაპირზე (ურავი).

**გოგსაური//გოქსაური** – სახნავი ბარულის მარცხ. მხარეს, აგლაძეების უბანში. რესპ.: „ეგ ადგილი გოგსაძის ნამყოფია“ (მუხლი).

**გოდრეულა** – სახნავი ქვემო თლუღის საზღვართან (ზედა თლუღი).

**გოთაური** – 1. წყარო დოხნაძეების თავზე. ჩამოყვანილია სოფელში (კაჩაეთი); 2. სახნავი, სათიბი ლემანეურსა და ჭურიფსკერას წყალს შუა (მოტყიარი).

**გოთაურის ნაძვი** – ნაძვის ხე გოთაურში (მოტყიარი).

**გომელას ყანა** – სახნავი საღორიასა და ჯავისას შუა. რესპ.: „გადმოცემით, გომელა ამ სახნავის პატრონს ერქვა“ (წესი).

**გომური –** სამოვარი ზედა უბნის დას–ით (ლიხეთი).

**გომურსუკან(ი)** – ტყე სოფლის განაპირას. „გომური არსადაა. გომურსუკანი კი ტყეა. იტყვიან: „მივდივარ გომურსუკანში“; „ვიყავი გომურსუკანში“; „მოვდივარ გომურსუკნიდან“ (კლდისუბანი).

**გონაძეები** – უბანი ჯაფარიძეების უბნის გვერდით (შუა სხვავა).

**გონგაცეული//გონგაძისეული//გოგანცეული** – საკარმიდამოები კრიხულის მარცხ. ნაპირზე. როგორც მოსალოდნელია: გონგაძისეული → გონგაცეული → გოგანცეული (ქვემო კრიხი).

**გონგაძეები//რაჭველიშვილები** – უბანი ჭალის მარჯვ. მხარეს, ქართველიშვილებსა და ობოლაშვილებს შუა, სოფლის მთავარ გზაზე (ზემო სხვავა).

**გონგაძეების ვაკეები** – სათიბები გონგაძეების შემოგარენში (ზემო სხვავა).

**გონგაძეების წყალი** – ღელე, გაბუნიის ღელის ერთ–ერთი მდგენელი (ზემო სხვავა).

**გონგაძინატეხები** – ტყე–სათიბები ველტყევში ბოჩოლას გვერდით (ზემო სხვავა).

**გონგაძისეული** – საკარმიდამოები. იგივე გონგაცეული (ქვემო კრიხი).

**გონგრაული//მონგრაული** – სახნავი გორგიაშვილების უბანში. „მონგრაული მსხლის ჯიშია“ (ველევი).

**გონიოს ქედი** – მთა ცაგურიშვილებსა და ღარისულას შორის (ქვედა თლუღი).

**გორ(ის)ტევი** – მთა ტყე–სამოვრებით ველეულის ხეობასა და საძიკარის ხეობას შუა, კვირიკეწმინდის საზღვართან (ველევი).

**გორა** – 1. ბორცვი ხეორის მარჯვ. მხარეს, ფოჩხიძეებსა და ნიჟარაძეებს შუა. ინფ.: „სანახშო იყო. აღდგომაზეც აქ იყრიდნენ თავს“ (ლიხეთი); 2. ბორცვი, სანახშო კობახიძეებში (ხოტევი); 3. ბორცვი–სასაფლაო გიორგობიანების დას-ით, სოფლის შესასვლელში

(ფუტიეთი); 4. გორა გურგენიძეებსა და გოგიჩამოურს შუა (ნიკორწმინდა); 5. ტყიანი ბორცვი ლასიტაღელის ნაპირას, ძეწნარას გვერდით, სოფლის აღმ. ნაწილში (ჭელიაღელე).

**გორა//გორისუბანი** – გორა მიქიაშვილებსა და შარაბიძეებს შუა (მოტყიარი).

**გორა//იაშვილების გორა** – ტყე, გორა ოშხერლების უბნის თავზე (სადმელი).

**გორა//ნატბევი** – ვაკეგორა, სანახშო აგლაძეების უბანში (მუხლი).

**გორა//საჯვარე//საკვირაო** – ბორცვი (ზემო კრიხი).

**გორაგვერდი** – ტყე ღვედიეთის თავზე, ღვედიეთის ღელის მარჯვ. მხარეს (შუა კრიხი).

**გორავენახისთავი** – სამოვარი. იგივე ვენახისთავი (ხოტევი).

**გორათა//გორეთა** – ტყე, სამოვარი ჩონიშში (მუხლი).

**გორაკა** – ბორცვი, სამოვარი ობოლაძეების უბანში (შუა სხვავა).

**გორაკაყელი** – სახნავი გორაკასთან (შუა სხვავა).

**გორაკობახიძეები** – მიკროუბანი, კობახიძეების უბნის ნაწილი (ხოტევი).

**გორამოქცეული** – გორა, ტყე ღოდუეთის მარცხ. მხარეს. „სოფლის თავზეა, მოხვეულივით არის. ამიტომაა გორამოქცეული" (შუა კრიხი).

**გორაქეტყე** – ტყე აგარის საზღვართან, დვლების უბნის განაპირას (უყეში).

**გორგეულა//გორგოულა** – სახნავი ქვედა უბანში (ქვედა თლუღი).

**გორგიაშვილების უბანი** – უბანი გოცირიძეების ქვემო უბანსა და გელბახიანების უბანს შუა (ველევი).

**გორგიაშვილების წყარო** – წყარო გორგიაშვილების უბანში (ველევი).

**გორგიზელაური** – სათიბი არჩვაძეებში (შუა სხვავა).

**გორგოლა** – ბორცვი. იგივე კორტუნა (აბარი).

**გორგომელა** – ტყე-სახნავები სორის საზღვართან, ლუხუნის მარცხ. მხარეს. "გორგომელა წესელ კაცს ერქვა" (წესი).

**გორგოულა** – ტყე–მინდვრები, სადაც ჩამოედინება ღელე ოზნელა (ხოტევი).

**გორგოულა** – სახნავი. იგივე გორგეულა (ქვედა თლუღი).

**გორდეგზა** – გზა ოთხზიარის თავზე (კვაცხუთი).

**გორდეზიანები** _ უბანი. იგივე გორდეზიანების უბანი (ხოტევი).

**გორდეზიანების უბანი//გორდეზიანები** – უბანი ხოტეურის მარჯვ. მხარეს, წკადისის საზღვარზე (ხოტევი).

**გორდეზიანის ნამოსახლი** – ვენახი გორდეზიანებში (ხოტევი).

**გორდეზიანიტყე** – ტყე ველეულის მარჯვ. ნაპირზე, ხოტევის საზღვართან (კვირიკეწმინდა).

**გორდიაშვილები//გორდიაშვილების უბანი** – უბანი დიდღელესა და კლუბისუბანს შუა (კაჩაეთი).

**გორდიაშვილების ნაქართავი** – ტყე ვაკენაძვნარში (ნიკორწმინდა).

**გორდიაშვილების უბანი** – უბანი. იგივე გორდიაშვილები (კაჩაეთი).

**გორეთა** – ტყე. იგივე გორათა (მუხლი).

**გორელები** – გორა სახნავ–სათიბებით ღვიარაღელის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ღელისუბნის ნაწილი დაიმეწყრა. დარახველიძეები, გორგასლიძეები, დათოსანები აქ, გორაზე, ავიდნენ საცხოვრებლად. მათ უწოდეს გორელები. მათი შთამომავლები ისევ ჩამოვიდნენ ხეობაში ძველ ადგილას“ (ღვიარა).

**გორელები** – უბანი ჯანგიძეების გვერდით (ზოსტანა).

**გორვან(ებ)ი** – ვენახი სოფლის შუაგულში (ძირაგეული).

**გორვანი** – ბორცვი სოსაურის ღელის მარცხ. მხარეს, რიონის ვაკეზე. რესპ.: „აქ პატარ–პატარა ბორცუკები იყო“ (ძირაგეული).

**გორიას ნამოსახლი** – გორა, სამოვარი ცაცხოვეთში. რესპ.: „გორია (მამაკაცის სახელია) აქ ესახლა“ (წესი).

**გორიკა** – ბორცვი, ტყე აგლაძეების თავზე, ვენახშუას გვერდით (შუა კრიხი).

**გორიკარი** – მიკროუბანი გურგენიძეებში (ჭელიაღელე).

**გორის ეკლესია** – ეკლესია, წმინდა გიორგის სალოცავი დათეშიძეებსა და მემანიშვილებს შუა (გორი).

**გორის კანდელაკების უბანი** – უბანი ჭელიაღელის საზღვარზე. კანდელაკები გორაზე ცხოვრობენ (ნიკორწმინდა).

**გორი(ს)კარი** – ტყიანი გორა ჯობენაურსა და ბიბილაშვილებს შუა (აგარა).

**გორისკარის სალოცავი//გორისკარის ღვთიშობლის ეკლესია** – სალოცავი გორისკარზე (აგარა).

**გორისკარის ღვთიშობლის ეკლესია** – სალოცავი. იგივე გორისკარის სალოცავი (აგარა).

**გორისტევი** – მთა, სალოცავი კვირიკეწმინდისა და ველევის საზღვარზე. ამ მთაზეა წმინდა გიორგის სალოცავი. რუსულ კარტოგრაფიულ რუკაზე აღნიშნულია „გორისტავი“ (ხოტევი, კვირიკეწმინდა, ველევი). ბეთლევში გავრცელებულია ვარიანტი **ზანაკრელა**.

**გორისტევის სალოცავი//გორისტევის წმინდა გიორგი** – წმინდა გიორგის სალოცავი გორისტევზე. „აქ გიორგობის აღსანიშნავად შესაწირავით მოდიოდნენ ზემო იმერლებიც“ (ველევი).

**გორისტევის წმინდა გიორგი** – სალოცავი. იგივე გორისტევის სალოცავი (ველევი).

**გორისტევისფეხი** – ფერდობი გორისტევის აღმ. კალთაზე, კრობანში (ბეთლევი).

**გორისუბანი** – გორა. იგივე გორა (მოტყიარი).

**გორისუბანი//გაღმა უბანი//გაღმა აბუთიძეები** – უბანი ქვემო აგარაში (აგარა).

**გორიყანები** – მინდორი ზეჭელიშის კალთაზე, ამოსაითის გვერდით (ზნაკვა).

**გორწყოლი** – მდინარე. იგივე ღორწკოლი (ჭელიაღელე, ხოტევი).

**გორხანეული** – გორა ლუხუნის მარცხ. მხარეს. აბარის საზღვარზე, საფიჩხიის ქედის დასაწყისში (ლიხეთი).

**გოქსაური** – სახნავი. იგივე გოგსაური (მუხლი)

**გოქსაძეების უბანი** – 1. უბანი გორისტევის კალთაზე, სადაც ჩამოედინება წინწკილა ღელე. აქ მოსახლე გოგსაძეების მეტსახელია ცქირიები. „იმიტომ შერქმევია, რომ ზემოდან იცქირებიან“ (ველევი); 2. უბანი ლუხუნის მარჯვ. მხარეს, ზედა უბანში (ლიხეთი).

**გოშელაურა** – სახნავი კვახაძეების ზემოთ, ცენტრალურ გზაზე (ზნაკვა).

**გოშელაური** – ტყე ჯვრისუბანში (აგარა).

**გოჩალაშვილების უბანი** – მიკროუბანი ზემო სხარტალში. „გოჩალაშვილები შერქმეული სახელია. გვარად კობახიძეები არიან“ (სხარტალი).

**გოჩიტაური** – სათიბი. გორას ებმის დასავლეთიდან (ფუტიეთი).

**გოცეთა** – წყარო სოფლის ცენტრში (ზედა თლუღი).

**გოცირაულა** – 1. საძოვარი კოდიწყალსა და ხიმშს შუა (შუა სხვავა). 2. ტყე ძველ კობახიძეებსა და თევზაძეებს შუა. პატია გოცირიძის ნამოსახლია (ახალსოფელი); 3. მთა, ტყე მურუსიძეებში, დიდველთან (ზნაკვა); 4. სახნავი ჩონიშში (მუხლი).

**გოცირიძეები//გოცირიძეების უბანი** – 1. უბანი სოფლის აღმ. ნაწილში, ახალსოფლის საზღვართან (იწა); 2. უბანი ქვედა ზნაკვაში, ზნაკურას მარჯვ. მხარეს, ბაკურაძეებსა და ცენტრალურ გზატკეცილს შორის (ზნაკვა).

**გოცირიძეების ზემო უბანი** – მიკროუბანი. იხ. გოცირიძეების უბანი (ტბეთი, ველევი).

**გოცირიძეების საელიო** – სათიბი. იგივე საელიო (ზნაკვა).

**გოცირიძეების უბანი** – 1. უბანი ხოტეურის მარჯვ. მხარეს, გორდეზიანების გვერდით (ხოტევი); 2. უბანი. იგივე გოცირიძეები (იწა); 3. უბანი. იგივე გოცირიძეები (ზნაკვა).

**გოცირიძეების უბანი//ტბეთი** – უბანი ველეურის მარჯვ. მხარეს, გორისტევის კალთაზე. „პატარა გუბეები გამოდის, ამიტომ თუ ჰქვია ტბეთი“. იყოფა: გოცირიძეების ზემო უბანი, გოცირიძეების ქვემო უბანი (ველევი).

**გოცირიძეების ქვემო უბანი** – მიკროუბანი. იხ. გოცირიძეების უბანი (ტბეთი, ველევი).

**გოცირიძეების შურო** – შურო. იხ. კაპიტონის შურო (ნიკორწმინდა).

**გოცირიძის ყანა** – სახნავი შავლაძეების უბანში (ნიკორწმინდა).

**გოძიაშვილების წყარო** – წყარო ბლაშიღელის მარცხ. მხარეს (კაჩაეთი).

**გოჭიშვილის აღმართი** – აღმართი. იგივე აკავანის აღმართი (შხივანა).

**გოჭიშვილის ყანა** – სახნავი აკავანის გვერდით, კრობანის შემოგარენში (ბეთლევი).

**გოჭიწყალა** – წყარო, სათიბი კვარხითის ბოლოში, „ტალახიანი ადგილია, მინდორი წყლით იჟღინთება და სულ გოჭები იჩიჩქნებიან“ (ფუტიეთი).

**გოხანეური** – მთა ლუხუნის მარცხ. მხარეს. გადაჰყურებს სოფელ სორს (აბარი).

**გრიგოლაანთები//გრიგოლაანთების უბანი** – უბანი აბარულის მარჯვ. მხარეს. გრიგოლაანთები გვარად ლობჯანიძეები არიან (აბარი).

**გრიგოლაანთების უბანი** – უბანი. იგივე გრიგოლაანთები (აბარი).

**გრიგოლას ახო** – სათიბი ლუხუნის მარცხ. მხარეს (ლიხეთი).

**გრიგოლასეული** – სამოვარი ყიყვის მარჯვ. მხარეს (აზარი).

**გრიგოლას კოჟი** – გორა ჯმუხაძეებში. "კოჟი გორაა. იყო გოგი ჯმუხაძის სათიბი" (ნიკორწმინდა).

**გრიგოლაური** – სახნავი ნამჯოხაურსა და შამანეურს შუა (ზემო სხვავა).

**გრიგოლაყანა** – სახნავი ეწერში. ეკუთვნოდა გრიგოლა ჯმუხაძეს (ნიკორწმინდა).

**გრიგოლიას წყალი** – წყარო დამბურე(ე)ბში. ამოუშენებია გრიგოლ შარაბიძეს (სადმელი).

**გრიგოლიკის ახო** – სამოვარი ზეჭელიშში (ზნაკვა).

**გრივა** – ტყე, ვენახი, ფერდობი სოფლის აღმ. შემოგარენში (შხივანა).

**გროჭიალა** – 1. ვაკე-ბორცვი სალოსის მირას (ხოტევი); 2. მინდორი ვახტანგაშვილებსა და ქონიაშვილებში (წკადისი).

**გ(რ)მელა** – მინდორი ჩონისში (მუხლი).

**გუბა** – ნავენახარი კრიხულის მარჯვ. მხარეს, ქვემო სხვავაში (შუა სხვავა).

**გუბი** – 1. დავაკება გაბუნსა და კვირიკეწმინდას შუა (ველევი); 2. სამოვარი ხოტევის საზღვართან, ნაეკლესევში (კაჩაეთი).

**გუბიეწერი** – ტყე-სამოვარი ხოტევის საზღვართან (კაჩაეთი).

**გუბილა** – წყარო სოფლის ცენტრში (წკადისი).

**გუბისწყალი** – გუბე. იგივე. ალექსანდრეს წყალი (ნიკორწმინდა).

**გუგულას ნამოსახლი** – სახნავი ჭიჭინაძეებში, მთავარანგელოზის გვერდით (ქვედა თლუღი).

**გუგულე(თ)ქეთი//გუგულიაქედი//გუგულ(ი)აქეთი** – სამოვარი ბერისათიბის თავზე, შაორის წყალსაცავის შემოგარენში. იშვიათი ვარიანტი: გუგულიაქედი (ქვედა თლუღი).

**გუგულიაქედი** – სამოვარი. იგივე გუგულე(თ)ქეთი (ნიკორწმინდა).

**გუგულ(ი)აქეთი** – სამოვარი. იგივე გუგულე(თ)ქეთი (ქვედა თლუღი).

**გუგუშურა** – წყარო ბოხაშვილების უბანში (ურავი).

**გუგუშურის ვაკე** – სამოვარი გუგუშურასთან (ურავი).

**გუგუშურის ღელე** – ღელე ბოხაშვილებში. სათავეა წყარო გუგუშურა (ურავი).

**გუგუჩაური** – სამოვარი სტაჟაურის ღელის მარჯვ. მხარეს (სადმელი).

**გუდაური** – მთა სონჩიბის აღმ–ით და საქორიის სამხრ–ით. რესპ.: „აქედან გადმოდიოდნენ ურიები გუდით და გადმოჰქონდათ სავაჭრო" (ძირაგეული).

**გულბა** – ჩავარდნილი ადგილი მელაშვილების უბანში (წესი).

**გულიასეული** – ვენახი ჭარისუბნის განაპირას (კვაცხუთი).

**გულქანას კდე//კიდობანა** – კლდე ველეულის მარცხ. მხარეს, ფუნჩხს ქვემოთ, გელბახიანების თავზე (ველევი).

**გულშავა** – სახნავი ბუდრიყანის გვერდით (შუა სხვავა).

**გუნდაური** – ვაკე-ვენახები ღელეტეხილსა და დიდი ჩორჯოს საზღვარს შუა (ბოსტანა).

**გუნეული** – ვაკე–სათიბი ლემანეურის კალთაზე (კაჩაეთი).

**გუნეულის ასავალი** – გზა. დოხნაძეების უბანიდან ადის ლემანეურში (კაჩაეთი).

**გურაბანიძეები//გურაბანიძეების უბანი** – უბანი სოფლის აღმ. ნაწილში, ზედა უბანში (ქვედა თლუღი).

**გურაბანიძეების უბანი** – უბანი. იგივე გურაბანიძეები (ქვედა თლუღი).

**გურაბანიძის სათიბი** – სათიბი საყვანისურის ნაპირზე (წესი).

**გურგენიძეები** – უბანი. იგივე გურგენიძეების უბანი (ჭელიაღელე).

**გურგენიძეები//გურგენიძეების უბანი** – უბანი შავლაძეების გვერდით, ჭელიაღელის საზღვართან. გურგენიძეების "სიგელებია": შტრელი (მუშაობა არ უყვართ), ტომრები (წინაპარს ტომარასავით დაგდება და ძილი უყვარდა), ჭკუტა//მეჭკუტიები, კაცნახევარი (ძლიერნი იყვნენ), ხოხონიები, ნატელაშვილები, გოგოლაშვილები (მეტად შრომისმოყვარენი ყოფილან). ამათ წინაპრად ითვლება ხვინიკა გურგენიძე, სხვა სოფლიდან გადმოსახლებული და აქ დამკვიდრებული. ამჟამად მისი შთამომავლობა 40 კომლს აღწევს. გურგენიძეების საერთო მეტსახელია კოტორეები და ხშირად უბანსაც ასე უწოდებენ (ნიკორწმინდა, ჭელიაღელე).

**გურგენიძეების უბანი** – უბანი სოფლის ცენტრში, ხოტეურის მარცხ. მხარეს (ხოტევი); 2. უბანი. იგივე გურგენიძეები (ნიკორწმინდა, ჭელიაღელე).

**გურგენიძეების წყარო** – წყარო პროფსასწავლებლის ტერიტორიაზე, სადაც გადის გურგენიძის ქუჩა (ამბროლაური).

**გურგვალა** – 1. ვენახი მელაშვილების უბანში. რესპ.: „მრგვალია და გულს ჰგავს“ (წესი); 2. ვენახი საგანელიძეებსა და საავტ. გზას შუა (კვაცხუთი).

**გურულის ნაფუზვრები** – ნამეწყრი ჭელიძეებში. გურული გვარია (კლდისუბანი).

**გურულისურო** – ფერდობები. იგივე გურულიშურო (კლდისუბანი).

**გურულიღელე** – ღელე. რიცეულის მარჯვ. შენაკადი (კლდისუბანი).

**გურულიშურო//გურულისურო** – ფერდობები საყუდელას კალთაზე, კვინცხების ზემოთ (კლდისუბანი).

**გძელა** – 1. სამოვარი. იგივე გ(რ)ძელა (გორი); 2. სათიბი სოფლის ცენტრში (წკადისი); 3. სათიბი ტბების დაბლა, ზეუბანში (ზემო სხვავა). გძელა ეწოდება აგრეთვე

სამოვარსა და სახნავებს ფუტიეთში, კაჩაეთში, ველევში, შუა სხვავაში, ნიკორწმინდაშ და სხვ.

**გძელა//გძელაყანა** – სახნავი მესხების შემოგარენში (კვირიკეწმინდა).

**გძელა//გძელეები** – სახნავი გიორგობიანებში (ხიმში).

**გძელას წყალი** – წყარო ჭოხუეთში (ფუტიეთი).

**გძელაყანა –** სახნავი. იგივე გძელა (კვირიკეწმინდა).

**გძელეები** – სახნავი. იგივე გძელა (ხიმში).

**გძელიბოლო** – სახნავი გძელასთან (კაჩაეთი).

**გძელი მიდორი** – 1. მინდორი აგარის საზღვართან (ჭელიაღელე); 2. მინდორი საწალიკეში, ყენდუეთის სასაფლაოს თავზე (ხოტევი); 3. ტყე საწალიკეში (ზედა თლუღი).

**გძელის წყალი** – წყარო გძელაში (კაჩაეთი).

**გძელიური** – ტყე ახალი კობახიძეების თავზე, ხოტეურის მარცხ. ფერდობზე (ახალსოფელი).

**გძელკურწა** – ტყე ავაზანის გვერდით. გძელკურწა მსხლის ჯიშია (შუა კრიხი).

**გძელმინდორი** – მინდორი ფეხბურთის მოედანთან (ხოტევი).

**გძელყანები –** ვენახი ბოჭორიშვილების უბნის გვერდით (ძირაგეული).

**გძელწიფლარი** – ტყე მესხებში (კვირიკეწმინდა).

## დ

**დაბალა** – მინდორი შუაუბნის თავზე, ყიყვასა და აბარულას შუა (აბარი).

**დაბახების წყალი** – წყარო. იგივე დაბახევის წყალი (ბოსტანა).

**დაბახევის წყალი//დაბახების წყალი** – წყარო ყიფიანების უბანში (ბოსტანა).

**დაბლ(ა)ები** – სახნავები ჭალაში (ამბროლაური).

**დაბლააგარა** _ სოფლის ნაწილი. იგივე ქვემო აგარა (აგარა).

**დაბლაკუთხე** – უბანი სოფლის ჩრდ. ნაწილში (ზედა თლუღი).

**დაბლაუბნის წყალი** – წყარო და სანახშო ქეთიაშვილების უბანში (ნიკორწმინდა).

**დაბლაურების წყალი** _ ღელე მიქიაშვილების ქვედა უბანში (მოტყიარი).

**დაბლაყანა** – სახნავი ჭიკორაულის მარჯვ. მხარეს (ზემო კრიხი).

**დაბლაჭალა** – 1. სამოვარი გაღმა ჭალის ფეხთან (ზნაკვა); 2. ვენახი რიონის ჭალაში (ხიმში).

**დაბლეები** – სახნავები ხოტეურის მარცხ. ნაპირზე, ყრუაშვილების უბანში (ხოტევი).

**დადრეკილა** – მთა, ტყე სერულისა და ხეორის წყალგამყოფზე (ლიხეთი).

**დავითიახო** – სამოვარი ორკდეშუასთან (ღვიარა).

**დავითის წყალი** – წყალი მიქიაშვილების ქვედა უბანში (მოტყიარი).

**დავლიანეური** – სახნავი ენუქიძეებსა და ბეთლევის საზღვარს შუა (კვირიკეწმინდა).

**დავლიანიძეები** – მიკროუბანი ბიჭაშვილებში (კვაცხუთი).

**დავლიანიძეები//დავლიანიძეების უბანი** – უბანი ცენტრალურ სასოფლო გზაზე (შუა სხვავა).

**დავლიანიძეების უბანი** – 1. სოფლის ბოლო აღმ. უბანი კვეშლევის მთის ძირას. დავლიანიძეების ერთ-ერთი შტოგვარია ვაჭყატურეები (შხივანა); 2. უბანი. იგივე დავლიანიძეები (შუა სხვავა).

**დათ(ვ)იჩაური** – ტყე ჩონისში (მუხლი).

**დათაახო** – სახნავი საწალიკეში (ჭელიაღელე).

**დათას მინდორი** – მინდორი რიონის ჭალაში (საკეცია).

**დათას ყანა** – სათიბი შაორის წყალსაცავის ნაპირზე (უყეში).

**დათაწბელა** – სათიბი მაისაშვილების მთაში (წესი).

**დათეშიძეები** – უბანი სოფლის აღმ. ნაწილში, სოფ. ხიმშის საზღვართან (გორი).

**დათვიაურები** – სახნავი ღელისუბანში, ღვიარაღელის მარჯვ. მხარეს (ღვიარა).

**დათვიბელაური//დათვიბელეული** – ბორცვი ტყე–სახნავებით და ღელე სხარტლის საზღვარზე, ხოტეურის მარჯვ. შენაკადი (წკადისი).

**დათვიბელეული** – ღელე. იგივე დათვიბელაური (წკადისი).

**დათვიბეჩო** – 1. ტყე არჩვაძეებში, ბუღვისთან (შუა სხვავა); 2. ტყე კოჟეში, ქვაბთკარის თავზე (ამბროლაური).

**დათვიბეჩო//ყრუ ხევი** – ხევი, ღრმა და ყრუ, სამბრელოს ქვემოთ, სასხვავოს მიმართულებით (ველევი).

**დათვიკალია** – ხევი სოფლის აღმ. ნაწილში (შხივანა).

**დათვინაკლავა** – ბუჩქნარი კდისუბანში (ხიმში)

**დათვისაწუმპარა** – 1. ტყე, საძოვარი თხიზურგის ქედზე (წესი); 2. ტყე. იგივე დათვისაწუმპელა (კვაცხუთი).

**დათვისაწუმპელა** – 1. მინდორი გაღმა ჭალის თავზე (ზნაკვა); 2. ბუჩქნარი ქვემო სხვავაში, ჭალის ნაპირზე, ჯაფარიძეებს დაბლა (შუა სხვავა); 3. მინდორი ქართველიშვილების განაპირას (ჭელიაღელე).

**დათვისაწუმპელა//დათვისაწუმპარა** – ტყე საელიოსა და მარტოხელას შუა (კვაცხუთი).

**დათვისაწუმპია** – 1. მცირე ტბა ჯობენაურის დას-ით (უყეში); 2. ნატბეური სილაკდის ქვემოთ (მოტყიარი).

**დათვისაწუპელა** – საძოვარი ზეჭელიშში (კაჩაეთი).

**დათვის საწუმპელა** – გუბე.იგივე დათვის საწუმპია (ნიკორწმინდა).

**დათვის საწუმპია** – გუბე საწალიკეში (ქვედა თლუღი).

**დათვის საწუმპია//დათვის საწუმპელა** – ტყე, გუბე ეწრის მთაზე, სოფ. მოტყიარის თავზე (ნიკორწმინდა).

**დათვისელა** – ალპ. საძოვარი დიდი ჟრინავის სათავესთან. რუსულენოვან კარტოგრაფიულ რუკაზე აღნიშნულია როგორც დათვისული (სადმელი).

**დათიას სათიბი** – ტყე ლეკნარში. „უწინ აქ დავით დოხნაძეს სათიბი ჰქონია“ (ნიკორწმინდა).

**დათიკას ახო** – ახო საწალიკეში (ქვედა თლუღი).

**დათიკას ველტოფი** – მინდორი ველტოფში (ლიხეთი).

**დათიკოს ტყე** – ერქვა ტყეს ვაჩაძეებში (ნიკორწმინდა).

**დათუკაანთები//დათუკაანთ უბანი//თემირაანთები** – უბანი ყიყვის მარცხ. მხარეს. დათუკაანი გვარად ლობჟანიძეები არიან. დათუკას შვილის სახელი ყოფილა თემირა. ამიტომ დათუკაანთებს თემირაანთებიც ეწოდება (აზარი).

**დათუკაანთ უბანი** – უბანი. იგივე დათუკანთები (აზარი).

**დათუკასეული** – სახნავი შუა უბანში (აზარი).

**დათუკას წყარო** – ერქვა წყაროს შუა უბანში (აზარი).

**დაკუნასეული** – სამოვარი ძრაგულის მარჯვ. მხარეს, წესელისეულის გვერდით (ლიხეთი).

**დალაქის ყანა** – სახნავი აშხაპირას თავზე. ყანის პატრონი დალაქი ყოფილა (კლდისუბანი).

**დალაქიშვილების უბანი** – უბანი ჭელიძეების უბნის გვერდით (ჭელიაღელე).

**დამბაწყალი** – წყარო რატიანებში. ადიდების შემთხვევაში მდინარე ხშირად გადადიოდა ნაპირებზე და ამიტომაც დამბა (ჯებირი) გაუკეთეს (კლდისუბანი).

**დამბურა//დამბურეები** – ტყე-სახნავები ქედის ჩრდ. კალთის ძირას (სადმელი).

**დამბურეები** – ტყე–სახნავები. იგივე დამბურა (სადმელი).

**დამგვრეული//დანგრეული** – ეკლესია აკავანაქედში (წკადისი).

**დამეწყრილი** – სახნავი ჭვარების კალთაზე, გორიშულიღელის ხეობაში (სადმელი).

**დამპალა** – შემაღლება მოხვარეულში, შაორის წყალსაცავის ნაპირზე (ქვედა თლუღი).

**დამპალა** – ტყე-სამოვარი მიქაუტაძეების შემოგარენში, ნაფუზვარის უბანში (ზნაკვა)..

**დამპალა –** ტყე მოხვარეულში (ჭელიაღელე).

**დამპალა//დამპალეები** – სამოვარი აბარულის მარცხ. მხარეს, სერზე (აბარი).

**დამპალეები** – სამოვარი. იგივე დამპალა (აბარი).

**დამწვარი** – ტყე ბეჟანისეულის გვერდით (ზემო კრიხი).

**დამწვარი გორა** – გორა მოხვარეულში (ჭელიაღელე)

**დანაფიცი** – ტყე ქვემო სხვავაში, შხივანა-ველევის საზღვარზე. რესპ.: „სადავო იყო ამ ორ სოფელს შორის და სხვაველებმა დაიფიცეს, ჩვენიაო“ (შუა სხვავა).

**დანგრეული** – ეკლესია. იგივე დამგვრეული (წკადისი).

**დანიელა** – ღელე. იგივე დანიელას ღელე (ხიმში)

**დანიელას ღელე//დანიელა –** ღელე, რიონის მარცხ. შენაკადი არჩვაძეებში, სათავე აქვს ბლაშეებში. რესპ. გ. სხირტლაძე: "ზოგს ჰგონია, რომ აქ დანიელა ესახლა. სინამდვილეში კი ერთმა უთხა მეორეს, „დალიე რა ეს წყალი“ და ამიტომ დაერქვა“ (ხიმში).

**დარანი** – ტყე, სათიბი რაჭის ქედზე, ველევის საზღვარზე. აქვეა ღვლერჭიწყვეტია და საშხივანო (შუა სხვავა).

**დარისპანის კოჟი** – ტყე, კოჟის (იხ.) ნაწილი (ნიკორწმინდა).

**დარისპანის სათვალე** – ერქვა კარსტულ ჭას შაორის ტაფობზე (ნიკორწმინდა)

**დარისპანის შურო** – სათიბი დარისპანის კოჟთან (ნიკორწმინდა).

**დარისპანის წყალი** – წყარო საღორიაში (წესი).

**დასალიეთი** – ტყე-სამოვრები ველტყევის ჩრდ. ნაწილში (შუა სხვავა).

**დასასვენებელი** – მინდორი საფაფიაში (ქვედა თლუღი).

**დასაქანებელი** – აღმართი მიწორეთის გზაზე, რომელიც ქვედა უბნიდან ადის ზედა უბანში (ზემო კრიხი).

**დასაქიანა//დასაქიანი** – სახნავი, სასოფლო გზა ქეთიაშვილებში (ნიკორწმინდა).

**დასაქიანი** – სახნავი. იგივე დასაქიანა (ნიკორწმინდა).

**(და)საქიანი** – სათიბი ზნაკვის საზღვართან. რესპ.: „დაღმართია და ხარები ქიან–ქიანით ეშვებიან გზაზე“ (მოტყიარი).

**დასაქიანის გორა** – გორა საქორიღელის გვერდით, ვაკენამჳნარის გზაზე (ნიკორწმინდა).

**დასაქიანის ტყე** – ტყე დასაქიანში (ნიკორწმინდა).

**დაქცეული კდე** – კლდე ოტიას წყაროსთან (ზემო კრიხი).

**დაღუნტაური** – სახნავი. იგივე დაყუნტაური (ახალსოფელი).

**დაყვაული** – ტყე-სამოვარი დოხნაძეების უბანში (კაჩაეთი).

**დაყუდებულა** – ტყიანი მთა სხანარის თავზე, ხოტევის საზღვართან. „მაგარი დახრილობა აქვს, ჩამოყუდებულია“ (კაჩაეთი).

**დაყუნტაური//დახუნტაური//დაღუნტაური** – სახნავი ჭელიძეების უბანში, იწის საზღვარზე (ახალსოფელი).

**დაჩაური** – სათიბი გორდეზიანების უბანში (ხოტევი).

**დაჩიკაშური** – ტყე ნაზარდვლების თავზე (მოტყიარი).

**დაჩნიკების წყარო** – წყარო. იგივე ცივწყარო (შხივანა).

**დაციხულ(ებ)ი//დაციხული ქედი** – ტყე, სერი ლუხუნის მარცხ. მხარეს. "დაციხული არის კლდე, როცა ქვა არის ციხესავით დალაგებული" (ურავი).

**დახვეტილა//დახვეტილას უბანი** – დიდი უბანი საავტ. გზასა და ჭარისუბანს შორის (კვაცხუთი).

**დახვეტილას უბანი** – უბანი. იგივე დახვეტილა (კვაცხუთი).

**დახუნტაური** – სახნავი. იგივე დაყუნტაური (ახალსოფელი).

**დედაბერა** – 1. სათიბი ჭელიშის მონასტრის თავზე (ნიკორწმინდა); 2. სამოვარი ჭალის მარცხ. მხარეს (შუა

სხვავა); 3. სამოვარი ხოტეურის მარცხ. მხარეს, ფერდობზე (ხოტევი); 4. ტყე, სახნავი არჩვაძეების ჩრდ-ით, სოფ. ბარის საზღვართან (ფუტიეთი); 5. ტყე კევლიშვილებში (საკეცია).

**დედაბერის კლდე** – კლდე დედაბერაში (ნიკორწმინდა).

**დედაბრის ყანა** – სახნავი გურაბანიძეებში, ზედა თლუღის საზღვართან (ქვედა თლუღი).

**დედაღვთი(ს)შობელი//ღვთიშობელი//საჯვარისა//საჯვარე(ები)** – ნაეკლესიარი, სასაფლაო ისაკაძეების უბანში. „მდგარა ხის ეკლესია. სალოცავად ახლაც მიდიან და სანთლებს ანთებენ“ (შუა კრიხი).

**დედოფალა(ს)წყალი** – წყარო კვარხითში, ჩაედინება ჭალაში (ფუტიეთი).

**დედოფლის სათვალე//დედოფლის წყალი** – წყარო შაორის წყალსაცავის შემოგარენში (უყეში).

**დედოფლის წყალი** – წყარო. იგივე დედოფლის სათვალე (უყეში).

**დედოფლის წყარო** – წყარო გელბახიანების უბანში. „თამარ დედოფალს აქ წყალი დაულევია, როცა წესში მიდიოდა“ (ველევი).

**დენადირეული** – სამოვარი ჭოხუეთის კალთაზე, ნამოსახლის გვერდით (ფუტიეთი).

**დენადირეულის წყალი** – წყარო დენადირეულში (ფუტიეთი).

**დესპინეს ყორიანი** – სახნავი ლუხუნის მარცხ. მხარეს (ლიხეთი).

**დვალაური** – ვენახი ქედის ძირას (წესი).

**დვალიზიარი** – სამოვარი შაორის წყალსაცავის ნაპირზე (ნიკორწმინდა).

**დვალიკარი** – წყარო, სანახშო ვაჩაძეებში (ნიკორწმინდა).

**დვალის ჭალა** – ჭალა ნარძიღელის მარჯვ. მხარეს, ქვედა აგარაში (აგარა).

**დვალის ჭალის ტყე** – ტყე დვალის ჭალაში (აგარა).

**დვალიური** – სახნავი ბერიულის მარცხ. მხარეს (ხიმში).

**დვალიშვილიყანა** – ტყე ზემო სხვავის საზღვართან, გაღმა ტყის თავზე (ფუტიეთი).

**დვალიშვილიყანიბოლო** – სამოვარი დვალიშვილიყანის ბოლოზე (ფუტიეთი).

**დვალიძის სათიბი** – სათიბი მელაშვილების მთაში (წესი).

**დვლები** – უბანი. იგივე დვლების უბანი (უყეში).

**დვლები//დვლების უბანი** – უბანი ზედა უბანში (ზემო სხვავა).

**დვლების უბანი** – უბანი დიდღელის მარცხ. მხარეს. საზიარო ჭელიაღელესთან (კაჩაეთი).

**დვლების უბანი** – უბანი. იგივე დვლები (ზემო სხვავა).

**დვლების უბანი//დვლები** – უბანი სარეკელაღელის მარცხ. მხარეს (უყეში).

**დვლიგორა** – გორა დვლების უბანში (ზემო სხვავა).

**დიაკვნის მუხები** – მუხნარი მიქიაშვილებში, ბერის წყაროსთან (მოტყიარი).

**დიდახო** – 1. სამოვარი გძელასთან, დიდღელის ნაპირას (კაჩაეთი); 2. ტყე ლეკნარის თავზე, ოთხზიარის გვერდით (შუა კრიხი).

**დიდბოგირი** – ბოგირი საქორეღელის შესავალთან (ნიკორწმინდა).

**დიდვაკე** – სამოვარი, მინდორი ოტიანახულევში (ურავი).

**დიდვაკისფეხი** – სახნავი, ფერდობები დიდვაკის ქვემოთ (ურავი).

**დიდველა//დიდველი** – ვენახი ზნაკურის მარცხ. მხარეს, წერეთლების პირდაპირ (ზნაკვა).

**დიდველი** – 1. სამოვარი, ტყე წვერის კალთაზე, ჯაფარეულსა და გასავალას შუა (შუა კრიხი); 2. ვენახი. იგივე დიდველა (ზნაკვა); 3. მინდორი წერეთლის ეზოს სიახლოვეს (საკეცია).

**დიდი ახო** – სახნავი განიგზის გვერდით (ნიკორწმინდა).

**დიდ(ი)გორია** – გორა-სათიბები გუგუშურის სათავესთან (ურავი).

**დიდი გლონი** – საძოვარი ქაფთრიღელის სათავესთან, საძოვარი პატარა გლონის ზემოთ. იხ. გლონი (ღვიარა).

**დიდი ეწერი** – კლდე ეწრებში (ხიმში).

**დიდი ვაშლარი** – ვენახი რიონის მარჯვ. ნაპირზე, ჭალაში (სადმელი).

**დიდი ზედვაკე** – სათიბი სოფლის შემოგარენში, შაორის მიმართულებით (ჭელიაღელე).

**დიდი კალოსწვერი** – ბორცვი პატარა კალოსწვერსა და სამთისის საზღვარს შუა (ზემო სხვავა).

**დიდ(ი)კდე//დიკდე** – კლდე დოხნაურიბოსტანას გვერდით (მოტყიარი).

**დიდი კოჟი** – გორა, სათიბი კოჟეს გვერდით (ნიკორწმინდა).

**დიდი ლეკნარი** – ტყე წმ. გიორგის მთაზე. ხარობს ლეკი (ნიკორწმინდა).

**დიდ(ი)მიდორი** – ვენახები ქუთაის-ამბროლაურის გზატკეცილზე (ბოსტანა).

**დიდი მჟავე წყალი** – მჟავე წყალი ლუხუნის მარჯვ. მხარეს, გზისპირას. კლდეში გამოდის ოტიანახულევს ზემოთ (ურავი).

**დიდი მუხის სერი** – მთა სოფლის დას. ნაწილში, ლეკნარის ჩრდ.–აღმით (ნიკორწმინდა).

**დიდი ნაქთამი** – სახნავი ჭალის მარჯვ. მხარეს, სვანების უბნის გვერდით (ფუტიეთი).

**დიდი ჟრინავი** – მდინარე, ჟრინავის (იხ.) მდგენელი. გამოედინება დათვისელიდან (სადმელი).

**დიდი რგვალა** – მინდორი, იხ. რგვალა (ფუტიეთი).

**დიდი რუგანი** – საძოვარი, რუგანის ნაწილი ლუხუნის მარცხ. მხარეს, საფიჩხიის ქედზე (ლიხეთი).

**დიდი სანახშირე** – ტყე. იხ. სანახშირე (ძირაგეული).

**დიდი საყავრე** – ტყე პატარა საყავრესა და გაიოზას წყალს შუა, უნაგერა-რიცეულის გზაზე (კვაცხუთი)

**დიდი საშევარდნო** – სათიბი, საშევარდნოს ნაწილი (შხივანა).

**დიდი საწალიკე** – მთა-საძოვარი, საწალიკის ნაწილი (ქვედა თლუღი, ზედა თლუღი)

**დიდი ტბა//წითელტბა** – ტბა საწალიკეზე (ხოტევი).

**დიდი ტყე** – 1. ტყე ქვაბილაურის თავზე (ხოტევი); 2. ტყე შამოკვეთილასა და ქართებს შუა (ზედა თლუღი); 3. ტყე მოხვარეულში (ჭელიაღელე).

**დიდი ტყლაპაწითელა** – ტყე სოფლიდან საწალიკისაკენ მიმავალ გზაზე (ზედა თლუღი).

**დიდი ფაქუში** – მთა, საძოვარი ლუხუნის მარცხ. მხარეს (ურავი).

**დიდი ფერდის სათიბი** – სათიბი განიგზაზე, კოჟის ქვეშ (ნიკორწმინდა).

**დიდი ქვაყუნტია//დიდი ქვაყუნტულა** – კლდე ხონჭიორის საზღვარზე, ეწერში (ნიკორწმინდა).

**დიდი ქვაყუნტულა** – კლდე. იგივე დიდი ქვაყუნტია (ნიკორწმინდა).

**დიდ(ი)ღელე** – ღელე საფაფიაში (ქვედა თლუღი).

**დიდი ყანა –** ვენახი მდ. რიონის მარჯვ. მხარეს. ეკუთვნოდა ომიაძეებს (ძირაგეული).

**დიდი ყენდუეთი** – საძოვარი, ყენდუეთის ნაწილი (ხოტევი).

**დიდი შურო//ღრმა შურო** – კლდე სარეკის კალთაზე. „შურო ხე-ტყის დასაცურებელი ღარია“ (სადმელი).

**დიდი ჩდილო** –ტყე, საძოვარი რიცეულის ხეობაში (სადმელი).

**დიდი ცივწყალა** – წყარო ჭელიშის უდაბნოში, პატარა ცივწყალას ზემოთ (ნიკორწმინდა).

**დიდი ჭალური** – საძოვარი ჭალურში (ნიკორწმინდა).

**დიდკდიანი** – სათიბი ოლანში (ქვედა თლუღი).

**დიდმიდორი** – სახნავი ჭოხონელიძეებში, ქვაბთკარის გზაზე (საკეცია).

**დიდმინდორა** – მინდორი კვირიკეწმინდის ეკლესიის გვერდით (კვირიკეწმინდა).

**დიდმინდორი** – 1. ველი შაორის შემოგარენში (ნიკორწმინდა);2. მინდორი მიწორეთში (ზემო კრიხი); 3. სათიბი საფაფიის თავზე, კოდების გვერდით (ფუტიეთი).

**დიდმინდორი//ფაცხიკარი** _ მინდორი ზეჭელიშში (ზნაკვა).

**დიდმოხვეული** – გზა ლუხუნის ზემოთში (ურავი).

**დიდმოხვეულის მთა** – მთა ლუხუნის ზემოთში (ურავი).

**დიდსასვენებელი//დიდი სასუნებელი** – სახნავი ლუხუნის მარჯვ. მხარეს. სასუნებელი ნიშნავს სასუნთქს. სამკურნალო წყალია, მიწიდან ამოდის, აირიც ამოჰყვება და შეისუნთქავენ. ამიტომაა სასუნებელი. პირველი ვარიანტი გადააზრების შედეგია (ურავი).

**დიდსახო** – ტყე. იგივე დიცახო (ლიხეთი).

**დიდქვები** – ტყე, საძოვარი (წესი).

**დიდღელე** – 1. მთა, ტყე მოხვარეულში, ღორწყოლთან (უყეში); 2. ღელე ფართო ხეობითა და საძოვრებით. სათავეს იღებს ლემანეურში. ქვემო წელზე ეწოდება ბლაშეღელე (კაჩაეთი); 3. ხევი, საძოვარი კრიხულის მარჯვ. მხარეს. "ხეობაა, ამიტომ ჰქვია დიდი ღელე" (გორი); 4. ღელე შაორის შენაკადი და ტყე ვაკენაძვნარის გვერდით (ნიკორწმინდა). დიდღელე ეწოდება ტყეს, ღელეს, შუროს და სხვა ობიექტებს სოფლებში: ჭელიაღელე, ქვემო კრიხი, ახალსოფელი, შხივანა, შუა სხვავა, აგარა და სხვ.

**დიდღელე//ბიძინაურის ღელე//ბიძინაურის წყალი** – ღელე, ზნაკურის მარცხ. შენაკადი (ზნაკვა, მოტყიარი).

**დიდღელის გზა** – გზა დიდღელეში (ნიკორწმინდა).

**დიდღელის შურო//დიდშურო** – შურო საძოვრებით დიდღელესთან (ნიკორწმინდა).

**დიდღელის წყალი** – წყარო დიდღელის ტყეში (ნიკორწმინდა).

**დიდღელისთავი** – საძოვარი ლემანეურში (კაჩაეთი).

**დიდყანა** – 1. ვენახი ბარსონიძეებში (ხიმში); 2. ვენახი დაღუნტაურის გვერდით (ახალსოფელი); 3. სამოვარი კრიხულის მარჯვ. მხარეს (ქვემო კრიხი); 4. სახნავი გურგენიძეების უბნის თავზე (ჭელიაღელე). დიდყანა ეწოდება აგრეთვე სახნავებს, მინდვრებს, სამოვრებს სოფლებში: გორი, ქვედა თლუღი, ზნაკვა, ზემო სხვავა, კაჩაეთი და სხვ.

**დიდყანა//დიდყანები** – მინდორი ჯმუხაძეებსა და სოფ. მოტყიარს შუა, წყლის შუროს გვერდით (ნიკორწმინდა).

**დიდყანა//ნავენახევი** – სამოვარი ყრუაშვილების უბანში (ხოტევი).

**დიდყანა//ხუტუების ყანა** – სამოვარი ჭოხუეთის კალთის ძირას. ხუტუები გიორგობიანების ერთ-ერთი „ბაბუიშვილობაა“ (ფუტიეთი).

**დიდყანები** – 1. მინდორი. იგივე დიდყანა (ნიკორწმინდა); 2. ვენახი საბადაგეე ბის თავზე, დიდი ჩორჯოს საზღვართან (ბოსტანა).

**დიდშურო** – შურო. იგივე დიდღელის შურო (ნიკორწმინდა).

**დიდშუროს სერი** – სერი განიგზის გვერდით, ვაკენაძვნარის გზაზე (ნიკორწმინდა).

**დიდჭალა** – ვაკე, მდინარე – შაორის შენაკადი (ნიკორწმინდა).

**დიკდე** – კლდე. იგივე დიდ(ი)კდე (მოტყიარი).

**დიმიტრის ახო** – ტყე ჯვრის კალთაზე (ზედა თლუღი).

**დიოფალა** – მინდორი ქვაბილაურში, მენაბდეების უბანში (ხოტევი).

**დიცახო//დიდსახო** – ტყე ხეორის მარცხ. მხარეს, მეჭვრეთის სალოცავის გვერდით. სავარაუდოა: დიდი საახო > დიდსახოო > დითსახო > დიცახო (ლიხეთი).

**დობილო//დობირა** – სახნავი მეწყრისუბანსა და საავტ. გზას შორის (კვაცხუთი).

**დობირა** – სახნავი. იგივე დობილო (კვაცხუთი).

**დობნარი** – ტყე გურგენიძეებში, ჭელიაღელის საზღვარზე, ზედვაკესა და სიპის ტყეს შუა (ნიკორწმინდა, ჭელიაღელე).

**დოლაბიკარი** – სამოვარი ქვემო სხვავაში, კრიხულის მარჯვ. ნაპირზე (შუა სხვავა).

**დოლაბისთავი** – წყარო ველეულის მარცხ. მხარეს, სადაც უწინ დოლაბის წისქვილი ყოფილა (ხოტევი).

**დომენტის ნაყვერი** – სათიბი. იგივე დომენტის სათიბი (ლიხეთი).

**დომენტის სათიბი//დომენტის ნაყვერი** – სათიბი სერულის ხეობაში (ლიხეთი).

**დომენტის შურო** – შურო, სათიბი ნაგალევში (ნიკორწმინდა).

**დონაურა** – სახნავი სოფლის ჩრდ.–აღმ. ნაწილში, კვიტაურსა, სამჭიკიასა და გასარჩიელას შორის (ჭელიაღელე).

**დონაური** – სამოვარი დიდყანის გვერდით (ქვემო კრიხი).

**დონაძეები** – უბანი. იგივე დონაძეების უბანი (უყეში).

**დონაძეები//დონაძეების უბანი** – უბანი ქ. ამბროლაურის საზღვართან (ხიმში).

**დონაძეების უბანი –** უბანი. იგივე დონაძეები (ხიმში).

**დონაძეების უბანი//დონაძეები** – უბანი ბიბილაშვილებსა და დვლებს შორის, აგარის საზღვართან (უყეში).

**დონაძის ქვაბი** – ტყე საფაფიაში (ქვედა თლუღი).

**დოქიტეხია** – მდელო ჯობენაურის ტყის ბოლოს, წვერს ქვემოთ. რესპ.: „სამუშაოდ რომ მიდიოდნენ, აქ დოქი უტყდებოდათ" (ნიკორწმინდა, ჭელიაღელე).

**დოქიტეხიის ტყე** – ტყე დოქიტეხიასთან, ნამაიდნევის აღმ–ით (ნიკორწმინდა).

**დოხნაიკარი** – ბაღი დოხნაძეებში. დოხნაიკარი < დოხნაძისკარი (ნიკორწმინდა).

**დოხნაის მინდორი** – ტყე დოხნაძეების შემოგარენში. < დოხნაძის მინდორი (ნიკორწმინდა).

**დოხნაური** ( < დოხნაძე) – სათიბი გოცირიძეებში (ზნაკვა).

**დოხნაურიბოსტანა** – გორა, ტყე სილაკდესა და დიდკდეს შუა, ეკანაკლავის თავზე (მოტყიარი).

**დოხნაძეები** – უბანი. იგივე დოხნაძეების უბანი (ჭელიაღელე).

**დოხნაძეები//დოხნაძეების უბანი** – უბანი. იგივე კლუბისუბანი (კაჩაეთი).

**დოხნაძეები//დოხნაძეების უბანი** – უბანი ბათხისუბნის გვერდით, კაჩაეთის საზღვართან (ნიკორწმინდა).

**დოხნაძეების კალო** – ნაკალოვარი დოხნაძეებში (ნიკორწმინდა).

**დოხნაძეებისკარი** – სანახშო დოხნაძეებში (ნიკორწმინდა).

**დოხნაძეების უბანი** – 1. უბანი. იგივე დოხნაძეები (ნიკორწმინდა); 2. უბანი. იგივე კლუბისუბანი (კაჩაეთი).

**დოხნაძეების უბანი//დოხნაძეები** – უბანი სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში. ებმის ქართველიშვილების უბანს სამხრეთიდან (ჭელიაღელე).

**დოხნაძეების წყარო** – წყარო დოხნაძეებში (ნიკორწმინდა).

**დულიზიარი** – სათიბი კვირიკეწმინდის საზღვართან (ქვემო კრიხი).

**დუნიეთ(ვ)ელი** – სახნავი დავლიანიძეების უბანში (შუა სხვავა).

**დურევი** – ნასახლარები, სახნავები ჭიკორაულის სათავესთან, შუა კრიხის საზღვარზე. აქ ერთ დროს ებრაელები ცხოვრობდნენ (ზემო კრიხი).

**დუქანი** – ნადუქნევი სოფლის ცენტრალურ გზაზე, სხარტალისა და ველევის საზღვართან (ხოტევი).

**დუქნები** – სოფლის ცენტრი. „ძველად აქ დუქნები ყოფილა და სახელწოდება დღემდე შემორჩა“ (ნიკორწმინდა).

**დუქნის წყარო** – წყარო ქალაქის ცენტრში, პოლიციის შენობის ქვემოთ (ამბროლაური).

## ე

**ეგნატეს ახო** – ტყე ბაციკაძეების შემოგარენში (კვირიკეწმინდა).

**ეგნატესეული** – ვენახი კრიხულის მარცხ. მხარეს. რესპ.: „დურევშია, მაგრამ შუა კრიხისაა" (შუა კრიხი).

**ედემა** – მინდორი ჩიხრაძეების განაპირას, ნატბაურასთან, საწალიკის ძირში (ბეთლევი).

**ევაკის ტყე** – ტყე ჩიტიწყაროსა და ტყლაპაწითელას შუა (ზედა თლუღი).

**ევგენიას სათიბი** – სათიბი შხროსუბანსა და ვაჩაძეებს შუა (ნიკორწმინდა).

**ევგენიას წყარო** – წყარო ევგენიას სათიბთან (ნიკორწმინდა).

**ეზოკრები(ს)ზურგი** – მთა-საძოვრები რაჭის ქედზე, საკანაფო ღელის თავიდან კოჩხოთის ტბამდე (ფუტიეთი).

**ეკანაკლავი** – მინდორი ნახიზარებში, დიდკდეს ქვემოთ (მოტყიარი).

**ეკლარა** – 1. ბუჩქნარი პეპელაღელის ხეობაში (ხიმში); 2. ვენახები საავტ. გზასა და თხინარას შუა (კვაცხუთი); 3. სათიბი ჩონისში (მუხლი).

**ეკლარეები** – სათიბი. იგივე კოჟე (ბოსტანა).

**ეკლებიანი დიდვაკე** – ტყე-საძოვარი ოტიანახულევში (ურავი).

**ეკლებიანი ქედი** – მთა, ტყე ლუხუნის მარჯვ. მხარეს. დაჰყურებს ოტიანახულევს (ურავი).

**ეკლესია მაცხოვარი//მაცხოვრის ეკლესია** – ნაეკლესიარი ჭელიძეებში (ახალსოფელი).

**ეკლესია//წმინდა კვირიკე//კვირიკეწმინდის ეკლესია** – ეკლესია ბაციკაძეებსა და მესხებს შუა. დაანგრია მიწისძვრამ (კვირიკეწმინდა).

**ეკლესიის გორა** – გორა. დასცქერის სამებას ჩრდილოეთიდან (ველევი).

**ეკლესიის ცაცხვები** – ცაცხვნარი ეკლესიასთან, მიქიაშვილებში (მოტყიარი).

**ეკლესიის წყალი** – ჭა-წყარო. იგივე რაჭა (ზემო კრიხი).

**ეკლესიისგვერდი** – სამოვარი გოცირიძეებში (იწა).

**ეკრალა** – 1. სამოვარი ნეფარიძიგორსა და ხიმშითავს შუა (შუა სხვავა); 2. ტყე ბოკონისსა და ბლაშებს შუა (ზემო სხვავა). ეკალი > ეკლნარა > ეკლარა > ეკრალა.

**ელიაწმინდა** – სახნავი მესხებში კრიხის საზღვართან. სალოცავი აქ ამჟამად არაა (კვირიკეწმინდა).

**ენუქიძეები** – "წკადისის" არაოფიციალური ვარიანტი. წკადისში მხოლოდ ეს ერთი გვარი მკვიდრობს. თავიდანვე აქ ოთხი ძმა ენუქიძე დამკვიდრებულა: ქონია, ნანიტა, ვახტანგი და ხუცი. სოფელი შედგება ამ ოთხის შთამომავლებისაგან (წკადისი).

**ენუქიძეები//ენუქიძეების უბანი** – უბანი მესხების უბნის გვერდით, კრიხის საზღვართან (კვირიკეწმინდა).

**ენუქიძეების უბანი** – 1. უბანი რიონის მარჯვ. მხარეს (სადმელი); 2. უბანი. იგივე ენუქიძეები (კვირიკეწმინდა).

**ენუქიძეების წყალი** – წყარო ენუქიძეების უბანში (სადმელი).

**ენუქიძის ახო(ები)** – ტყე-მინდვრები სოფლის დასავლეთ ნაწილში (კვირიკეწმინდა).

**ერეკლეს ახო** – ტყე სალოს კალთაზე (იწა).

**ერემიას ღრუჭი** – უფსკრული ვაკეების გვერდით (ბეთლევი).

**ერისთავები** – მიკროუბანი მემანიშვილების უბანში (გორი).

**ერისთავების უბანი** – უბანი ხეორის მარცხ. მხარეს, ჯაფარიძეების უბნის გვერდით (ლიხეთი).

**ერმილეს ახო** – 1. სამოვარი ლემანეურში (კაჩაეთი); 2. ტყე ჭალის მარჯვ. მხარეს (შუა სხვავა).

**ერნალ(ებ)ი** – სამოვარი სამგლიის უბანში (სადმელი).

**ერუბანი** – წყარო, სამოვარი ჭელიძეების უბანში. "იყო ერის უბანი, ე.ი. ხალხის უბანი" (ახალსოფელი).

**ერჭო** – სამოვარი ღოდოეთში. „გლახა სათიბი იყო და სახნავი ერჭობოდა მიწაში"; „საზღვარი იყო ღოდოეთში და სამანი ერჭო". აკ. შანიძის ვარაუდით, ერჭო ქართული ვიწროს მეგრული შესატყვისია (შუა კრიხი).

**ესტატეს ნამოსახლი** – ნასახლარი შარაბიძეებში (მოტყიარი).

**ეტლაური** – სახნავი სვანეურსა და შაორის წყალსაცავს შუა (უყეში)

**ეფრემას ნაძვი** – ნაძვი ვაკეწვერის გვერდით. "ეფრემა მელაშვილს ჰქონია ხულა ამ ნაძვის ქვეშ" (წესი).

**ექვსზიარი** – ტყე ვაკენაძვნარში. ექვს კაცს ჰქონია საზიაროდ (ნიკორწმინდა).

**ეწერი** – 1. გორა, სახნავი ლუხუნსა და ხეორს შუა (ლიხეთი); 2. მინდორი ახალსოფლის საზღვართან. შეუერთდა ამბროლაურს (ხოტევი); 3. სამოვარი კოდალაღელის ნაპირას (გორი); 4. სამოვარი ისაკაძეების უბანში. „ეწერი მწირი მიწაა" (შუა კრიხი). ეწერი ეწოდება აგრეთვე სახნავებს, ტყეს, სამოვარს ფუტიეთში, ბოსტანაში, კაჩაეთში, ნიკორწმინდაში და სხვ.

**ეწერი//ეწრები** – სამოვარი მეჭვრეთის თავზე (აბარი).

**ეწ(ე)რის წყალი//ეწრის წყარო** – წყარო ეწერში (ნიკორწმინდა).

(აბარი).

**ეწრები** – 1. ქედი. იგივე ნასახიზრევი (ხიმში); 2. სათიბი. იგივე ეწერი (აბარი).

**ეწრის მთა** _ მთა. შარეულის მარჯვ. მხარეს იწყება და ქმნის საზღვარს კაჩაეთსა და მოტყიარს შუა (ნიკორწმინდა).

**ეწრის წყარო** – წყარო. იგივე ეწ(ე)რის წყალი (ნიკორწმინდა).

ვ

**ვაბნელა** – ხევი. იგივე ობნელა (ქვედა თლუღი).

**ვაენიჭალა//სტაჟაურა** – სახნავი რიცეულის ჭალაში, ჭელიძეებში, სადაც ოდესღაც რუსი სამხედროები მდგარან (კლდისუბანი).

**ვაკე** – 1. სახნავი ლაშხეზში (კვირიკეწმინდა); 2. ტყე ვასილას ტყესა და გიგიაქვაბს შუა, სოფლის შემოგარენში (ზედა თლუღი).

**ვაკე//ვაკისა** – სამოვარი აკავანასთან (შუა კრიხი).

**ვაკეამბროლაურა** – სახნავი, ამბროლაურას ნაწილი (ზემო კრიხი).

**ვაკეახოყრუა** – დავაკება ახოყრუაში (ნიკორწმინდა).

**ვაკებოსტანა** – სოფლის ნაწილი ვაკეზე, რიონის მარჯვ. ნაპირას (ბოსტანა).

**ვაკებღუანა** – სამოვარი ბღუანასთან. რესპ.: „ხის კორეებს ხარებს შუბლზე რქებივით ვუკეთებდით, ვაჭიდავებდით და ბღუოდნენ“ (აბარი).

**ვაკედამბურა** – სათიბი დამბურებში (სადმელი).

**ვაკეები** – სახნავები კროუბნის შემოგარენში (შხივანა).

**ვაკე(ები)** – 1. სათიბი ქეთიაშვილების უბნის ბოლოში, შარეულის მარჯვ. მხარეს (ნიკორწმინდა); 2. სამოვარი გუგუშურის სათავესთან (ურავი).

**ვაკეების ყანები** – სახნავი ვაკეებში (ნიკორწმინდა).

**ვაკეეწერი** – გორა ქვეშვაკესა და პეპელაღელეს შუა (ხიმში).

**ვაკეისლორი** – სახნავი ვაკეებში (ნიკორწმინდა).

**ვაკეკოჟი** – სამოვარი ქვაბთკარში, სოფ. საკეციის საზღვარზე (ამბროლაური).

**ვაკელემანეური** – სამოვარი ლემანეურში (კაჩაეთი).

**ვაკენათობა** – სამოვარი, ნათობას ნაწილი (აბარი).

**ვაკენაისური –** სახნავი, ნაისურის ნაწილი (ხოტევი).

**ვაკენაკლავი** – მინდორი სოფლის თავზე (მოტყიარი).

**ვაკენალია//(ზ)ომარისთავი** – სათიბი ბოძალის თავზე. ინფ.: „ვაკეა და ნალია დგომებიათ" (წესი).

**ვაკენამაიდნევი** – დავაკება ნამაიდნევში (ნიკორწმინდა).

**ვაკენაძვნარი** – წიწვნარი ტყე ვაკე-მინდვრებით შარეულასა და წმ. გიორგის მთას შუა (ნიკორწმინდა).

**ვაკენაძვნარის კორტი** – ბორცვი ვაკენაძვნარში (ნიკორწმინდა).

**ვაკენაძვნარის სათიბი** – სათიბი ვაკენაძვნარში (ნიკორწმინდა).

**ვაკენაჭევი** – საძოვარი, ნაჭევის ნაწილი ველეულის მარჯვ. მხარეს (წკადისი).

**ვაკერთხმელარი** – სათიბი ოტიანახულევის განაპირას (ურავი).

**ვაკესათიბი** – სათიბი კრიხულის მარცხ. მხარეს, ძეძისში, კვირიკეწმინდის საზღვართან (ქვემო კრიხი).

**ვაკესაჩიხე(ები)** – ვაკე ვაკეეწრის გვერდით (ხიმში).

**ვაკესაცურაო** – სათიბი გვერდისაცურაოსთან, ქედის ძირას (წკადისი).

**ვაკეტყე** – 1. ერქვა ვენახს კრიხულის მარცხ. მხარეს (ქვემო კრიხი); 2. მინდორი სალოს მთის კალთაზე (ხოტევი); 3. მინდორი წითელველის თავზე (მუხლი). ვაკეტყე ეწოდება აგრეთვე ტყეებს, ზემო კრიხში, კვირიკეწმინდაში, მოტყიარში და სხვ.

**ვაკეუნალი** – საძოვარი ბილაშვილების უბნის თავზე (შუა კრიხი).

**ვაკეღელე** – საძოვარი საჩიტიის გვერდით, შაორის წყალსაცავის შემოგარენში (ქვედა თლუღი).

**ვაკეღელია** – საძოვარი ვაკისას ქვემოთ (შუა კრიხი).

**ვაკეყანა** – 1. საძოვარი საფიჩხიის ქედზე, რუგანის გვერდით (ლიხეთი); 2. სახნავი მაისაშვილების უბანში (წესი); 3. სახნავი ხოტევის საზღვართან (წკადისი).

**ვაკეყანისგვერდი** – საძოვარი ფერდობზე, ვაკეყანასთან (ლიხეთი).

**ვაკეყანისთავი** – სათიბი შემაღლებაზე, ვაკეყანასთან (ლიხეთი).

**ვაკეჩაგნელაური** – სათიბი, ჩანგელაურის ნაწილი (წკადისი).

**ვაკეძეძისი** – სათიბი ძეძისთან, შამოკრულის გვერდით (ქვემო კრიხი).

**ვაკეწვერ(ებ)ი** – ვაკე ეწრეებში, სერზე (ხიმში).

**ვაკეწვერები** – ბორცვი, სათიბი აბარულის მარცხ. მხარეს, დამპალეებთან (აბარი).

**ვაკეწვერი** – სათიბი ბოძარის თავში, თხიზურგასა და რუბოძალს შუა (წესი).

**ვაკეწვერი//წვერი** – 1. გორა ხეორის მარჯვ. მხარეს, სოფლის განაპირას (ლიხეთი); 2. ვაკე–მწვერვალი გორისტევის თავზე (ველევი).

**ვაკეჭალა** – მინდორი მიქაუტაძეებში, გაღმაჭალის გვერდით (ზნაკვა).

**ვაკეჭალა** – მინდორი ვაკეტყის გვერდით (მოტყიარი).

**ვაკეჭვარები** – სახნავი ჭვარების კალთაზე (სადმელი).

**ვაკეჭიქეულა** – სახნავი კაციტაძეების თავზე, დიდყანასთან (ქვედა თლუღი).

**ვაკეჭოხუეთი** – სამოვარი ჭოხუეთში (ფუტიეთი).

**ვაკეხარკალია** – ტყე ხოტევის საზღვარზე, ხარკალიას ქვემოთ (კვირიკეწმინდა).

**ვაკია** – 1. ვაკე-ბორცვი თომაძეების უბანში (გორი); 2. ვაკე-სახნავი გიორგობიანების რუს მარცხ. ნაპირზე (ფუტიეთი); 3. ვენახი ქვემო აგარაში. "დაფერდებულია, მაგრამ ვაკე ჰქვია" (აგარა). ვაკია ეწოდება დავაკებებს აგრეთვე ზემო კრიხში, მუხლში, ქვედა თლუღში და სხვ.

**ვაკიას წყალი** – წყარო ვაკიაში (გორი).

**ვაკიასტყე** – ტყე ვაკიასთან (აგარა).

**ვაკიახო** – მინდორი მიქაუტაძეებში (ზნაკვა).

**ვაკისა** – 1. მინდორი ქვათაძეებში (შუა სხვავა); 2. სამოვარი. იგივე ვაკე (შუა კრიხი).

**ვაკუნა** – მინდორი მესხებში, კრიხის საზღვართან (კვირიკეწმინდა).

**ვალამას ნაახოვარი** – სათიბი ნამეწყრის ქვემოთ (წკადისი).

**ვალამის წყალი** – წყარო კვიტაშვილებში (ველევი).

**ვალენტისკარი** – გზის მონაკვეთი ზნაკვის საზღვართან (მოტყიარი).

**ვალერის ნამოსახლი** – სახნავი დოხნაძეებში (კაჩაეთი).

**ვანი** – ტყე ჭალის მარცხ. მხარეს, ღოცათის თავზე (ზემო სხვავა).

**ვანიას ზიარი** – მინდორი ტრედისუბანში (ნიკორწმინდა).

**ვანიასზიარი შურო** – სათიბი ოქროპირას შუროს გვერდით (ნიკორწმინდა).

**ვანკა(ს)გორა** – გორაკი გურაბანიძეებში (ქვედა თლუღი).

**ვანკევი** – ვენახები ბარულის მარჯვ. მხარეს, ცალევის ძირას (მუხლი).

**ვანოს ვენახი** – ვენახი ბილაშვილებში (შუა კრიხი).

**ვანოს სათიბი** – მინდორი ცხენიკალიის თავზე (ნიკორწმინდა).

**ვაჟაბეური** – სანახშო ზედა უბანში (ზემო კრიხი).

**ვაჟიშვილის სალოცავი** – სალოცავი, სადაც აღდგომის შემდგომ, ბრწყინვალე შვიდეულის ოთხშაბათს, აღევლინებოდა ლოცვა „სოფლის მამაკაცების გასაძლიერებლად“ (რესპ.). (ძირაგეული).

**ვარაზაშვილები//ვარაზაშვილების უბანი** – უბანი რიონის მარცხ. მხარეს, კაციტაძეებს ქვემოთ (მუხლი).

**ვარაზაშვილების უბანი** – უბანი. იგივე ვარაზაშვილები (მუხლი).

**ვარაზაშვილების ყერვეთი** – ტყე საძოვრები. იხ. ყერვეთი (მუხლი).

**ვარდეულა** – სახნავი. იგივე ვარდოულა (ქვედა თლუღი).

**ვარდიგორა** –გორა-სამოვარი ბიმინაურიღელის მარცხ. ნაპირზე (მოტყიარი).

**ვარდისუბანი** – 1. უბანი. იგივე კრო(უ)ბანი (ბეთლევი); 2. მიკროუბანი. იგივე ჯვარულაუბანი (საკეცია); 3. უბანი. იგივე ზედა უბანი (ზემო სხვავა).

**ვარდისუბანი//ტალახეების უბანი** – მიკროუბანი მელაშვილების უბანში. ინფ.: „ტალახუანი იყო, მაგრამ დასახლდნენ, ააყვავეს და ვარდისუბნად აქციეს" (წესი).

**ვარდიქალაური** – სახნავი გონგაძეებსა და ქართველიშვილებს შუა (ზემო სხვავა).

**ვარდიყანა** – სამოვარი ისაკაძეების განაპირას, ხილუანის თავზე (შუა კრიხი).

**ვარდოულა//ვარდეულა** – სახნავი ქვეშაფსკერას გვერდით (ქვედა თლუღი).

**ვარლამის ახო** – სამოვარი დოხნაძეებში (კაჩაეთი).

**ვარლამის გორა** – გორა ტრედისუბნის განაპირას (ნიკორწმინდა).

**ვარლამის შურო** – შურო, სათიბები ნაგალევებში (ნიკორწმინდა).

**ვარლამის წყალი** – წყარო დოხნაძეებში (კაჩაეთი).

**ვასილ ბაჭაჭუას დაჩა** – ტყე კობახიძეებში, ბურუშულის წყლის მარჯვ. მხარეს (ნიკორწმინდა).

**ვასილ ოთარაშვილის შურო** – შურო ნაგალევებში (ნიკორწმინდა).

**ვასილას ახო** – სახნავი, რომელიც ვასილ ინასარიძეს ეკუთვნოდა (ზემო კრიხი).

**ვასილას ტყე** – ტყე საწალიკეში, გიგიაქვაბის გვერდით (ზედა თლუღი).

**ვასილის ნამოსახლი** – სახნავი. იგივე ნინას ნამოსახლი (იწა).

**ვაშლანა//ვაშლონა** – ტყე სხვავის საზღვართან (მუხლი).

**ვაშლარ(ებ)ი** – ტყე-ველები დიდველის ქვემოთ, წყალჩაგლეჯილას გვერდით (შუა კრიხი).

**ვაშლარა** – 1. სახნავი ლაშითავის ღელის მარჯვ. მხარეს, ამბროლაური-ქუთაისის გზატკეცილზე (ზოსტანა); 2. ტყე მიწიქედის გორის კალთაზე, აკავანის თავზე (ღვიარა).

**ვაშლარა//ვაშლარები** – სახნავი ხოტევის საზღვარზე. უწინ აქ ვაშლნარი ყოფილა (კვირიკეწმინდა).

**ვაშლარი** – 1. ვენახი კრიხულის მარცხ. მხარეს, სამანქანო გზის თავზე (ქვემო კრიხი); 2. მინდორი ხოტეურის მარჯვ. მხარეს (ხოტევი).

**ვაშლარის ტყე** – ტყე, გორა შუატყესთან (კლდისუბანი).

**ვაშლის ყანა** – სახნავი ყიყვის მარჯვ. მხარეს (აზარი).

**ვაშლისწყალი** – წყარო ნეფარიძეებში (შუა სხვავა).

**ვაშლიყანა** – 1. ნაყანევი გაბრეულას გვერდით (ფუტიეთი); 2. სათიბი საფიჩხიის ქედზე (ლიხეთი).

**ვაშლიყანისთავი** – სახნავი ვაშლიყანასთან (ლიხეთი).

**ვაშლონა** – ტყე. იგივე ვაშლანა (მუხლი).

**ვაჩაიგორა** ( < ვაჩაძის გორა) – გორა ტურძელაძეებში (ზნაკვა).

**ვაჩაისწყალი** – ერქვა წყაროს შაორის ვაკეში. ამჟამად წყალსაცავის ფსკერზეა მოქცეული (ნიკორწმინდა). ვაჩაისწყალი < ვაჩაძის წყალი.

**ვაჩაიყანა** – საძოვარი ჭუხურისწყლის თავზე. გადმოცემით, ეკუთვნოდა ვაჩაიძეს. მაშასადამე: ვაჩაიძის ყანა > ვაჩაიყანა (მოტყიარი).

**ვაჩაურა** – 1. სახნავი ველეურის მარჯვ. მხარეს, ბეთლევის საზღვარზე (ველევი); 2. საძოვარი წუწუნას თავზე, ბევრსხლებთან (შუა კრიხი).

**ვაჩაძეები** – უბანი მიქაუტაძეებსა და უთმელიძეებს შუა (ზნაკვა).

**ვაჩაძეები//ვაჩაძეების უბანი** – უბანი გეგეშიძეების გვერდით, ნიკორწმინდის მონასტრის აღმ-ით. "ქედისუბნიდან გადმოსულა ოთხი ძმა და აქ დამკვიდრებულა. ერთ მათგანს რქმევია ვაჩე. ჩვენი გვარი მისგან მომდინარეობს" (ნიკორწმინდა).

**ვახტავაძისეული** – სახნავი ხეორის მარჯვ. მხარეს, მელაშვილების უბნის ბოლოს (ლიხეთი).

**ვახტანგაშვილების უბანი** – უბანი ბოსელაღელის სათავესთან. ვახტანგაშვილები ენუქიძეების შტოგვარია (წკადისი).

**ვახუშტის ტბა** – სახნავი სასხვაოში, მთაზე (ბეთლევი, სხვავა).

**ვახუშტის წყალი** – ჭალის მარცხ. შენაკადი. მოედინება ველტყევიდან სამთო გზის გავლით. რესპ.: „დაერქვა ჩვენს დროში ვახუშტი ბაგრატიონის გამო" (შუა სხვავა).

**ველდიდი//ველდითი** – მინდორი პეპელაღელის მარჯვ. მხარეს, ჩხოტებს ქვემოთ (ხიმში, მუხლი).

**ველევი** – სოფელი, თემის საკრებულოს ცენტრი (იხ. პირველ ნაწილში).

**ველევის გადასახვევი** – გზის მონაკვეთი, მოსაცდელი ბაციკაძეებში (კვირიკეწმინდა).

**ველევი(ს)ქედი** – გორა სხვავისა, ველევისა და კვირიკეწმინდის საზღვარზე (ბეთლევი, ზემო კრიხი, შუა სხვავა).

**ველეულა** – მდინარე. იგივე ველეურა (ხოტევი, ველევი, წკადისი).

**ველეულას გზა** – გზა, რომელიც გადადის ველევისაკენ (წკადისი).

**ველეურა//ველეულა** – მდინარე, ხოტეურის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ველევიდან და სასხვაოს მთიდან. მდგენლებია: ჭალა, წისქვილების წყალი, კოდისწყალი (ველევი, ხოტევი, წკადისი).

**ველეფინი** – სახნავი ბიბილაშვილების უბნის განაპირას (აგარა).

**ველეფინის ბოგირი** – ბოგირი ნარძიღელეზე (აგარა).

**ველეფინის წყარო** – წყარო ველეფინში (აგარა).

**ველი** – მთა შუა სხვავისა და ხიმშის საზღვართან, სოფლის აღმ. შემოგარენში (გორი).

**ველიგ(რ)ძელა** – ვენახი რიონის მარჯვ. მხარეს (მუხლი).

**ველიგმელა** – ვენახი მამლიყიულასთან (წესი).

**ველიეთი** – კლდე, წმინდა გიორგის სალოცავი საელიოს ქედზე, ხიდიკრის თავზე (წესი, კვაცხუთი).

**ველიმწვანე** – სახნავი ბოგირის გვერდით (ქვედა თლუღი).

**ველიღელე** – სახნავი ხიმშის საზღვართან (გორი).

**ველიყელი** – ტყე ველიღელის თავზე (გორი).

**ველიშიორი** – ვაკე–სამოვარი ნაეკლესიევის მთის ძირას, ყრუაშვილების თავზე (ხოტევი).

**ველიშიორის ტყე** – ტყე ველიშიორში (ხოტევი).

**ველტოფი** – მინდვრები ძრაგულის სათავესთან. იყოფა: დათიკას ველტოფი, არსენას ველტოფი და სხვა. რესპ. ვ. ლობჟანიძე: „ველტოფი არის, ტყეში რო ცარიელი ადგილია“ (ლიხეთი).

**ველტყევი//ველტყევის უდაბნო** – ზეგანი ტყე-სამოვრებით რაჭის ქედის ჩრდ-აღმ. კალთაზე, ხიხათასა და საწალიკეს შუა. ესაზღვრება: ზემო სხვავა, ბეთლევი, შხივანა. აქაა საყინულე, რომელსაც აღწერს ვახუშტი ბაგრატიონი. იხ. უდაბნო (შუა სხვავა).

**ველტყევის საყინულე** – მღვიმე ველტყევში (შუა სხვავა).

**ველტყევის უდაბნო** – ზეგანი. იგივე ველტყევი (შუა სხვავა).

**ველუკა** – სახნავი, სამოვარი ოლანის ნაპირზე (ქვედა თლუღი).

**ველუკას წყალი** – წყარო ველუკაში (ქვედა თლუღი).

**ვენახეული//ვენახეური** – სახნავი გორისტევის ძირას, სადაც ჩამოედინება ბერღელე (ველევი).

**ვენახეური** – სახნავი. იგივე ვენახეული (ველევი).

**ვენახიბოლო** – სახნავი ქვემო აგარაში, ნაფუძვართან (აგარა).

**ვენახისთავი//გორავენახისთავი** – სამოვარი (ხოტევი).

**ვენახშუა** – ტყე აგლაძეების თავზე. უწინ ვენახი იყო (შუა კრიხი).

**ვენახშუის გორა** – გორა ვენახშუასთან (შუა კრიხი).

**ვერეცინას ყანა** – სახნავი ზედა უბანში, ღორბაგას ქვემოთ (ზემო კრიხი).

**ვერძა** – სახნავი ველეულის მარცხ. მხარეს (წკადისი).

**ვერძა//ვერძიგანი** – მლაშე სამკ. წყალი ლუხუნის მარჯვ. ნაპირზე (ურავი).

**ვერძი(ს)ჭალა** – ტყე ვერძასთან (ურავი).

**ვერძიგანი** – მლაშე წყალი. იგივე ვერძა (ურავი).

**ვერძის წყარო** – წყარო ვერძაში (წკადისი).

**ვერძის ხიდი** – ხიდი ლუხუნზე, ვერძასთან (ურავი).

**ვერძიღელე –** ღელე, ლუხუნის მარცხ. შენაკადი, მოედინება გაგაქვაბიდან (ურავი).

**ვერხვანი** – ტყე ნეფარიძეებსა და ქვათაძეებს შუა (შუა სხვავა).

**ვერხვები** – 1. ვენახები რიონის ჭალაში, ცივწყალის გვერდით (კვაცხუთი); 2. ტყე ჭალის მარცხ. მხარეს, გაღმა ყანის თავზე (ზემო სხვავა).

**ვერხვნალა** – ტყე ზემო კრიხის საზღვარზე (კვირიკეწმინდა).

**ვერხვნელა** – სათიბი მიწორეთში. ვერხვები ახლაც დგას (ზემო კრიხი).

**ვერხნალი** – ტყე ვაკეჭვარებს ქვემოთ (სადმელი).
ვერხნალის ღელე – ღელე, რიცეულის მარცხ. შენაკადი (სადმელი).

**ვირიფსელა** – მცირე წყარო, შაორის ერთ-ერთი შენაკადის სათავე (ქვედა თლუღი).

**ვიქტორის ნამოსახლი** – მინდორი ყიყვის მარჯვ. მხარეს (აბარი).

**ვიწრო ყეროეთი** – სათიბი ჩონიშურის მარცხ. მხარეს, ყეროეთის გვერდით (მუხლი).

## ზ

**ზალიკას ეზო** – საკარმიდამო. იგივე ნასკოლევი (წკადისი).

**ზანაკრელა** – მთა. იგივე გორისტევი (ბეთლევი).

**ზაოდი** – სახნავი რიცეულის მარჯვ. მხარეს. „იტალიელებს აქ გამართული ჰქონდათ სახერხი ქარხანა. აქამდე ხე-ტყე მოჰქონდათ, აქედან კი მასალა გაჰქონდათ ჩალვადრით“ (კლდისუბანი).

**ზაოდიღელე** – ღელე, რიცეულის მარჯვ. შენაკადი. ერთვის ჟრინავის შესართავის პირდაპირ (კლდისუბანი).

**ზარეულიშვილების უბანი** – უბანი ნეფარიქედის ძირას (შუა სხვავა).

**ზარიკას წყალი** – წყარო შაორის შემოგარენში (ჭელიაღელე).

**ზაქარია** – სათიბი ქვემო ბარის საზღვარზე (ფუტიეთი).

**ზაქარიას წყალი** – წყარო გელბახიანების უბანში (ველევი).

**ზაქარიას წყალი//ციცავაკის წყალი** – წყარო, გაედინება ციცავაკიდან. ერთვის მანიკაურს (ფუტიეთი).

**ზაქარიასეული** – ვენახი ბილაშვილებში, კრიხულის მარჯვ. მხარეს (შუა კრიხი).

**ზაქარწმინდა** – ვაკე-სახნავი რიონის მარცხ. მხარეს, სამთისის საზღვარზე (მუხლი, ზემო სხვავა).

**ზე(და)უბანი//ვარდისუბანი** – დიდი უბანი ფუტიეთის საზღვარზე (ზემო სხვავა).

**ზებრავალა** – სათიბი ჩონიშურის მარცხ. მხარეს, აკეეთთან. რესპ.: „მზე, ანუ ბზე, იყო უხვად" (მუხლი).

**ზებრავალას ტყე** – ტყე ზებრავალაში (მუხლი).

**ზედა აგარა//ზემო აგარა** – სოფლის ნაწილი უყემის საზღვარზე. დასახელებულია "ნიკორწმინდის იადგარში" (აგარა).

**ზედა აკავანა** – მინდორი ენუქიძეების შემოგარენში (კვირიკეწმინდა).

**ზედა ახო** – 1. საძოვარი მაისაშვილების უბანში (წესი); 2. საძოვარი ჭოხუეთში (ფუტიეთი).

**ზედა ბაბა** – ნაყანევი. იხ. ბაბაში (შუა სხვავა).

**ზედა ბაკურაძეები** – მიკროუბანი, ბაკურაძეების უბნის ნაწილი (ზნაკვა).

**ზედა ბოგირი** – ტყე სამიკარში (კვირიკეწმინდა).

**ზედა ბოსელა** – სამოვარი. იხ. ბოსელა (შუა სხვავა).

**ზედა გვერდი** – ფერდობი კობახიძეების უბნის თავზე (ხოტევი).

**ზედა გზა** – გზა ჭოხუეთის კალთაზე (ფუტიეთი).

**ზედა გობი** – სახნავი მიწორეთაში. აქვეა ქვედა გობიც. „გობი ხისაა და საქონლისათვის წყალს ასხამენ“ (ზემო კრიხი).

**ზედა ერჭო** – სამოვარი ერჭოს თავზე (შუა კრიხი).

**ზედა ვაკე** – სამოვარი საელიოში (კვაცხუთი).

**ზედ(ა)ვაკე** – ტყე ურთხმელიკარის თავზე (ღვიარა).

**ზედა ვაკეველიშიორი** – ვაკე ველიშიორში (ხოტევი).

**ზედა ვენახი** – ვენახი ისაკაძეებში (შუა კრიხი).

**ზედა ზნაკვა** – სოფლის ნაწილი ქვედა ზნაკვასა და მოტყიარს შუა. აქ მდებარეობს უბნები: მიქაუტაძეები, ტურძილაძები, მიქიაშვილები, ჭელიძეები (ზნაკვა).

**ზედა თლუღი** – სოფელი ჭელიაღელის თემის საკრებულოში (იხ. ნაწილი პირველი).

**ზედა კუთხე** – უბანი დაბლა კუთხის ზემოთ, მითიქვეშის სათავესთან (ზედა თლუღი).

**ზედა ლაშია** – სათიბი. იხ. ლაშია (კაჩაეთი).

**ზედა ლემანეური** – სამოვარი ლემანეურში (კაჩაეთი).

**ზედა მეტრევლების უბანი** – უბანი ხეორის მარცხ. ნაპირას (ლიხეთი).

**ზედა მთა** – ტყე მემანიშვილების აღმ-ით, სხვავის მხარეს (გორი).

**ზედა მიქიაშვილები** – მიკროუბანი. იგივე ჯვარულაუბანი (საკეცია).

**ზედა მოედანი** – სახნავი მეედნის თავზე (ქვემო კრიხი).

**ზედა მომცელიძეების უბანი** – უბანი უყეშის საზღვართან (აგარა).

**ზედა მურუსიძეები** – მიკროუბანი, მურუსიძეების უბნის ნაწილი (ზნაკვა).

**ზედა ნაკალავარი** – ტყე-ვაკე მახითვალის სამხრ. კალთაზე (ღვიარა).

**ზედა პოლ(ი)ტიკა** – სამოვარი ნაეკლესიევის ძირში. „აქ მჩატე დახვრეტილი ქვებია, რომელთაც პოლტიკას უწოდებენ“ (ხოტევი).

**ზედა რიყე** – რიცეულის რიყე (სადმელი).

**ზედა სამბრელო** – ტყე. იგივე სამბრე(ვ)ლო (ველევი).

**ზედა სამზიარი//ზედა სამზიერი** – მინდორი ჭალის მარცხ. მხარეს, გაღმა ტყეში (ფუტიეთი).

**ზედა სამზიერი** – მინდორი. იგივე ზედა სამზიარი (ფუტიეთი).

**ზედა საფაფია** – სამოვარი. იხ. საფაფია (ფუტიეთი).

**ზედა სვანები** – მიკროუბანი. იხ. სვანები (ფუტიეთი).

**ზედა სინდეული** – ვენახი ზედა მიქიაშვილებში (საკეცია).

**ზედა სხარტალი//ზემო სხარტალი** – სოფლის ნაწილი კოდის მთაზე (სხარტალი).

**ზედა ტბა** – სათიბი. იგივე ნატბაურა (ჭელიაღელე).

**ზედა ტოროშელიძეების უბანი** – უბანი ხეორის მარცხ. მხარეს. ტოროშელიძეების უბნიდან გამოყოფს ნარიძეების უბანი (ლიხეთი).

**ზედა უბანი** – 1. სოფლის კუთხე ხეორის მარჯვ. მხარეს, სერზე. აქაა უბნები: მელაშვილების უბანი, ბეშიძეების უბანი, გოგსაძეების უბანი, ნიავაძეების უბანი, ფოჩხიძეების უბანი, კანთელაძეების უბანი (ლიხეთი); 2. უბანი. იგივე მტრედისუბანი (ნიკორწმინდა); 3. უბანი ზედა თლუღის საზღვართან (ქვედა თლუღი).

**ზედა უბანი//შარაბიძეები//შარაბიძეების უბანი** – უბანი სოფლის სამხრ. ნაწილში (მოტყიარი).

**ზედა ქვაბისთავი** – სახნავი, ქვაბისთავის ნაწილი (წკადისი).

**ზედა ყანა** – 1. ვენახი ზედა მთაზე (გორი); 2. მინდორი სოფლის აღმ. შემოგარენში (შხივანა); 3. მინდორი კევლიშვილებში (საკეცია).

**ზედა წესი//მაისაშვილების უბანი** – სოფლის ნაწილი წესურის ნაპირზე, საელიოს ძირში (წესი).

**ზედა წვერსუკანი** – ტყე, მინდორი წვერსუკანში (ფუტიეთი).

**ზედა წინწკილა** – საძოვარი. ეკვრის ეწერს (ხოტევი).

**ზედა ჭაროფი** – საძოვარი ღოდოეთში, ჭაროფის თავზე (შუა კრიხი).

**ზედა ჭელიძეები** – ჭელიძეების მიკროუბანი კოტორიშვილების გვერდით (ჭელიაღელე).

**ზედა ჭვარები** – სახნავი ჭვარების კალთაზე (სადმელი).

**ზედა ხუციშვილების უბანი** – უბანი სოფ. აბარის საზღვართან, ცენტრალურ გზაზე (ლიხეთი).

**ზედა ჯელაძეები** – უბნის ნაწილი. იხ. ჯელაძეების უბანი (ურავი).

**ზედაგვერდი** – ტყე უსადილოს გვერდით (ზემო კრიხი).

**ზედაგვერდი** – ფერდობი ლემანეურის ქედის დას. კალთაზე (მოტყიარი).

**ზედასილაკდე** – ტყე, გორა. იგივე დოხნაურიბოსტანა (მოტყიარი).

**ზედვაკე** – 1. მინდორი ჭოხუეთის აღმ. ნაწილში (ფუტიეთი); 2. სახნავი გოცირიძეების თავზე (ხოტევი); 3. სახნავი პეტრიაშვილებში, ქურდილაურსა და ლენჭყს შუა (კაჩაეთი); 4. ბუჩქნარი სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში (ჭელიაღელე); 5. მინდორი კევლიშვილებში (საკეცია).

**ზედველა** – სათიბი ჭალის მარჯვ. მხარეს, გონგაძეებში (ზემო სხვავა).

**ზეითცხოვრება** – სახნავი სადმელის საზღვარზე. ეკუთვნოდა ჯანელიძეებსს, რომლებიც მთელ ზაფხულს აქ ატარებდნენ და მხოლოდ ზამთრობით ჩამოდიოდნენ დაბლა (ძირაგეული).

**ზეინდარი//ზენიდარი//ზინიდარი** – ტყე ზეჭელიშის კალთაზე. რესპ.: "ზეინდარი გაუჩეხავ ტყეს ნიშნავს" (ზნაკვა, მოტყიარი).

**ზემო აგარა** – სოფლის ნაწილი. იგივე ზედა აგარა.

**ზემო თლუღი** – "ზედა თლუღის" ადგ. ვარიანტი.

**ზემო თლუღის გზა** – გზა ზემო თლუღისაკენ (ქვედა თლუღი).

**ზემო იწა** – სოფლის მირითადი ნაწილი, რომელიც ბორცვზე მდებარეობს (ქვემო იწა, ანუ ჭალა, შეუერთდა ქ. ამბროლაურს) (იწა).

**ზემო კრობა(ნი)** – ტყე სოფლის განაპირას, ნასაკირევის გვერდით (შხივანა).

**ზემო კრობანი** – ტყე, კრობანის ნაწილი (ზეთლევი).

**ზემო მაცაბერიძეები//ზემო მაცაბერიძეების უბანი//მაცაბერიძეების ზემო უბანი//ცქირიები** – უბანი კვიტაშვილების თავზე. კვიტაშვილები ზემო მაცაბერიძეებსა და ქვემო მაცაბერიძეებს შუა ცხოვრობენ. რესპ.: „ყველაზე მაღლა ცხოვრობენ და იქიდან იცქირებიან. ამიტომ აქვთ მეტსახელად ცქირიები" (ველევი).

**ზემო მაცაბერიძეების უბანი** – უბანი. იგივე ზემო მაცაბერიძეები (ველევი).

**ზემო სხარტალი** – სოფლის ნაწილი. იგივე ზედა სხარტალი (სხარტალი).

**ზემო ყანა** – საძოვარი ვახტანგაშვილებში (წკადისი).

**ზემო ძეძისი** – სათიბი ძეძისში (ქვემო კრიხი).

**ზემოია** – სახნავი გონგაძეებსა და ქართველიშვილებს შუა. აქვეა ვარდიქალაურიც (ზემო სხვავა).

**ზენარი** – სახნავი კობახიძეების უბნის განაპირას, ლაშიის სათავესთან (ხოტევი).

**ზენიდარი** – ტყე. იგივე ზეინდარი (ზნაკვა, მოტყიარი).

**ზესახო//ზეცახო//ზეცა(ა)ხო//ზეცხო** – საძოვრები გორისტევის კალთაზე (კვირიკეწმინდა, ველევი).

**ზესოფელი** – საძოვარი ქართველიშვილების უბანში (ზემო სხვავა).

**ზეუბანი** – დიდი უბანი. იგივე ზედაუბანი (ზემო სხვავა).

**ზეცა(ა)ხო** – საძოვრები. იგივე ზესახო (კვირიკეწმინდა, ველევი).

**ზეცახო** – სამოვარები. იგივე ზესახო (კვირიკეწმინდა).

**ზეცხო** – სამოვრები. იგივე ზესახო (ველევი, კვირიკეწმინდა).

**ზეწვერია** – სამოვარი. იგივე ლეკნარი (ნიკორწმინდა).

**ზეჭელიში** – მთა ტყე–სამოვრებით, ეწრის მთის ნაწილი ჭელიშის თავზე. აქვეა სალოცავი, რომელიც, გადმოცემით, თამარ მეფეს დაუარსებია. ზეჭელიში < ზემო ჭელიში (ნიკორწმინდა, კაჩაეთი, მოტყიარი, ზნაკვა).

**ზეჭელიშის გორა** – სანადირო ჭელიშის თავზე (ნიკორწმინდა).

**ზეჭელიშის ვაკე** – ვაკე ზეჭელიშში, მოტყიარის საზღვართან (კაჩაეთი).

**ზეხოტევი** – მინდორი შარაბიძეების უბანსა და გორას შუა: სავარაუდოა: ზემო ხოტევი > ზეხოტევი (ხოტევი).

**ზვარე//ზვარი** – ვენახი, დაფერდება ღვიარაღელის მარცხ. მხარეს. „ზვარე დიდი ვენახია“ (ღვიარა).

**ზვარი** – 1. ვენახი აბაშეურის ღელის მარცხ. ნაპირზე (შუა კრიხი); 2. ვენახი გოგობერიშვილების უბნის შემოგარენში (კვაცხუთი); 3. ვენახი. იგივე ზვარე (შუა კრიხი).

**ზვინა** – ტყე, სახნავი კევლიშვილებში (საკეცია).

**ზვინაგორა** – ვაკე-ბორცვი კევლიშვილებში (საკეცია).

**ზვინარი//ზვინები** – ტყე. ასე აღინიშნება საკეციაში ზენიდარი//ზინიდარი (საკეცია)

**ზვინები** – ტყე. იგივე ზვინარი (საკეცია).

**ზიარყანა** – სამოვარი დანაფიცში, ფიჩხიჯვრის თავზე (შუა სხვავა).

**ზინიდარი** – ტყე ზეჭელიშში (მოტყიარი).

**ზიურა** – სამოვარი. იგივე (მ)ზიურა (აბარი).

**ზნაკვა** – სოფელი, ზნაკვის თემის საკრებულოს ცენტრი (იხ. ნაწილი პირველი).

**ზნაკვის გზა//საკეციის გზა** – გზა. იხ. საზნაკვო (იწა).

**ზნაკურა** – მდინარე, რიონის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს ზეჭელიშის მთის ჩრდ. კალთებიდან. მდგენლებია:

სპონტიკის წყალი, ჭუხურის წყალი, სუტიაღელე, ნიღრიკიღელე, ბიძინაურის ღელე. რიონს ერთვის სოფ. საკეციაში. ამიტომაც გიულდენშტედტის "მოგზაურობაში" დასახელებულია როგორც საკეცურა (ზნაკვა, საკეცია, მოტყიარი).

**ზოსიმეს სათიბი** – სათიბი საფერისცვალოში (აბარი).

**ზურაბაახო** – ახო შაორის წყალსაცავის აღმ. შემოგარენში. ეკუთვნოდა ზურაბ აბუთიძეს (აგარა).

**ზურაბას კოჟი//ზურაბის კოჟი** – მთა-სათიბები განიგზასთან (ნიკორწმინდა).

**ზურაბას შურო** – სათიბი განიგზასთან (ნიკორწმინდა).

**ზურაბას წყალი** – წყარო საელიოში, სხლებთან. ამ წყაროსთან ზურაბ ჭელიძეს ჰქონია ყანები (ძირაგეული)

**ზურაბასეულ(ებ)ი** – სახნავი ყიყვის მარჯვ. მხარეს (აბარი).

**ზურაბის ახო//როსტომას ახო** – სახნავი ზედა უბანში. ზურაბ და როსტომ ნასარიძეებს ეკუთვნოდა (ზემო კრიხი).

**ზურაბის კოჟი** –ტყე. იგივე ზურაბას კოჟი (ნიკორწმინდა).

**ზურაბისეული** – სათიბი ხეორის მარცხ. ნაპირას (ლიხეთი).

**ზურგანა** – სახნავი მცირე შემაღლებაზე სამგლიის დას–ით (ნიკორწმინდა).

**ზურგიამთა** – ბორცვი ჭალის ხეობაში (ფუტიეთი).

**ზურგიტყე** – ბორცვი დამბურების გვერდით (სადმელი).

**ზურგსუკანი** – საძოვარი მაგრაქველიძეების უბანსა და ზურგიამთას შუა (ფუტიეთი).

**ზღვა(ვ)ინა** – ვაკე-საძოვარი ფუტიეთის საზღვართან (მუხლი).

## თ

**თაბარეული//თამარეული** – წყარო, დავაკება სოფლის ცენტრში, კოდურის გვერდით, სანახშოსთან. იშვიათი ვარიანტი: **მთაბარეული** (წკადისი).

**თაგვისაყორავა** – მინდორი მთავარანგელოზსა და ჩლაიძეებს შუა, ჯვარიყანის თავზე (ზემო სხვავა).

**თადეოზის ტყე** – ტყე შაორის წყალსაცავის შემოგარენში (ჭელიაღელე).

**თავარანგელოზი//მთავარანგელოზის ეკლესია** – ეკლესია შარაბიძეების უბანში. აუშენებიათ 1896 წელს (ხოტევი).

**თავარანგელოზის ეკლესია** – ეკლესია. იგივე მთავარანგელოზის ეკლესია (კაჩაეთი).

**თავთავა//თამთავა//თანთავა** – ტყე ზედა უბანში (ზემო კრიხი).

**თავთუნა** – სახნავი წუწკუნას გვერდით, ფუტიეთის საზღვარზე (ზემო სხვავა).

**თავთუხა** – სალოცავი ძველ ცაცხვთან, ზემო სხვავის საზღვარზე. უწინ აქ მთავარანგელოზის ეკლესია ყოფილა (ფუტიეთი).

**თავი ფიჭვნარი** – ტყე ფიჭვნარში (ზნაკვა).

**თავრაჯული//თავრეჯულა** – წყარო ღუდუმიძეების უბანში (კვირიკეწმინდა).

**თავრეჯულა** – წყარო. იგივე თავრაჯული (კვირიკეწმინდა).

**თავრეჯული** – სათიბი მაისაშვილების მთაში. რესპ.: „ცეცხლით გადაირუჯა მთის წვერი“ (წესი).

**თაზიკისეული** – ხეხილი ზედა მოედანთან (ქვემო კრიხი).

**თათიაყანები** – საძოვარი ლუხუნის მარცხ. მხარეს, ჩიჩარულამდე (ურავი).

**თათრის ნაზინავები –** სამოვარი ლუხუნის სათავესთან, ლეჩხუმის ქედზე (ურავი).

**თათრიულ(ებ)ი//თათრიულის ღელე** – მინდორი ჭალაში (ამბროლაური).

**თათრიულის ღელე** – მინდორი. იგივე თათრიულ(ებ)ი (ამბროლაური).

**თამარეული** – წყარო. იგივე თაბარეული (წკადისი).

**თამარის კლდე** – კლდე ქვემო კრიხის საზღვარზე, მესხებში (კვირიკეწმინდა).

**თამარის წყარო** – წყარო სოფლის ცენტრში (წესი).

**თამარ მეფის ნაშენი** – გამოქვაბული თამარის კლდეზე (კვირიკეწმინდა).

**თამთავა** – ტყე. იგივე თავთავა (ზემო კრიხი).

**თანთავა** – ტყე. იგივე თავთავა (ზემო კრიხი).

**თარე** – თარო-სარტყელი, რომელიც მიუყვება დიდ კლდეს და მას ყოფს ზემო და ქვემო ნაწილებად (მოტყიარი).

**თებზაური** – სახნავი ხოტეურის მარცხ. მხარეს. როგორც ჩანს: თებზაძე (გვარია) > თებზაური "ადგილი, რომელიც ეკუთვნოდა თებზაძეს" (ახალსოფელი).

**თედორეენთების უბანი** – ნასახლარი გადარეულღელის მარჯვ. მხარეს. თედორეენთები რეხვიაშვილების ერთ-ერთი შტოა (ურავი).

**თედორიკიახო** – სამოვარი დოხნაძეებში, გუნეულს ქვემოთ (კაჩაეთი).

**თედორის ნამოსახლი** – ნასახლარი. იგივე ფედოსის ნამოსახლი (მოტყიარი).

**თედოს ახო** – ტყე მარტოხელასა და კვიცხნარს შუა (კვაცხუთი).

**თევზაძეების უბანი** – ერქვა უბანს ხოტეურასა და ქემოკლიძეებს შუა. ამჟამად დაცარიელებულია (ახალსოფელი).

**თევზაძის ტყე** – ტყე გძელიურის თავზე (ახალსოფელი).

**თევნარა** – წყარო, მინდორი ზედა უბანში (ზემო კრიხი).

**თევნარას ყანა** – სახნავი თევნარასთან (ზემო კრიხი).

**თეთ(რ)მიწა** – სამოვარი. აქაურ მიწას უწინ კირის ნაცვლად იყენებდნენ მშენებლობაში (ხოტევი).

**თეთრაული** – სამოვარი არჩვაძეებში (ფუტიეთი).

**თეთრი გიორგის ეკლესია** – ეკლესია ფარადიგვერდში (ხიმში).

**თეთრი კდე** – 1. კლდე ჭიკორეულის მარცხ. მხარეს (ზემო კრიხი); კლდე ხოტეურის მარჯვ. მხარეს, შავი კდის გვერდით (ახალსოფელი).

**თეთრი მიწა** – სამოვარი არჩვაძეების შემოგარენში, სოფელ ბარის გზაზე. აქ თეთრი თავსაბანი მიწაა (ფუტიეთი).

**თეთრი რიყე** – ტყე რვაზნელას ნაპირზე (საკეცია).

**თეთრი წყალი** – 1. წყარო, მდინარე შაორის შენაკადი. გადის მოხვარეულში. „ანკარა წყალია. ამიტომაა თეთრი“ (ნიკორწმინდა, ჭელიაღელე).

**თეთრი წყლის სათავე** – წყარო, საიდანაც გაედინება თეთრი წყალი (ნიკორწმინდა).

**თეთრმეწყერი** – სათიბი ჭუთხაროს კალთაზე (ლიხეთი).

**თეთრწყალა** – ღელე, აშხაპირაღელის ერთ–ერთი მდგენელი (ხოტევი).

**თელანი** – ტყე პატარა საწალიკეში (ქვედა თლუღი).

**თელიახო** – ტყე მუჟუროში (ზნაკვა).

**თელისწყალი** – წყალი გაღმა კუთხეში (ზედა თლუღი).

**თელისწყალი//თელისწყარო** – წყარო ვაკენაძვნარის ჩრდ–დას–ით, განიგზასთან. გადმოცემით, ერთ დროს ამ წყაროსთან თელა მდგარა (ნიკორწმინდა).

**თელისწყარო** – წყარო. იგივე თელისწყალი (ნიკორწმინდა).

**თელიხიდი** – სამოვარი ლუხუნის მარჯვ. მხარეს, ჯვარუკას უბნის ქვემოთ (ურავი).

**თელნარა** – სამოვარი მრაგულის მარჯვ. მხარეს (ლიხეთი).

**თემირაანთები** – უბანი. იგივე დათუკაანთები (აზარი).

**თენგრულა//თენ(დ)რეულა** – სასაფლაო ქეთიაშვილების უბნის სამხრ-ით, ტყიბულ-ამბროლაურის საავტ. გზის გვერდით. ეს ობიექტი უნდა იყოს დასახელებული "ნიკორწმინდის დაწერილში" (XI ს.) თერნეულის სახელწოდებით. უწინ სახნავი ყოფილა. ამჟამად კობახიძეების, დოხნაძეების, ქეთიაშვილების, ნიკიტაშვილების და ბაზრისუბნია საერთო სასაფლაოა (ნიკორწმინდა).

**თენ(დ)რეულა** – სასაფლაო. იგივე თენგრულა (ნიკორწმინდა).

**თვალიანი კდე** – კლდე გაბუნის კლდეებში. კლდეში გამოქვაბულია. ამიტომ დარქმევია თვალიანი კლდე (ველევი).

**თვალჭამიაშვილების უბანი** – მიკროუბანი ზემო სხარტალში. რესპ.: „თვალჭამიაშვილი შერქმეული სახელია. გვარად კობახიძეები არიან“ (სხარტალი).

**თითაწყარო** – წყარო რიონის მარჯვ. მხარეს, ქვეშვაკის პირდაპირ. "თითივით ასხამს წყალი. პირდაპირ ამოდის" (წესი).

**თიკანა** – ტყე ქვემო სხვავაში, ჭალის მარცხ. მხარეს, საგანელიძეების უბანში. „თიკნისათვის იყო გამოყოფილი“ (შუა სხვავა).

**თიკანეული** – სათიბი სეფეველების გვერდით (ჭელიაღელე).

**თიკნეულა** – სახნავი ქვედა უბანსა და სალხინოს შუა (ქვედა თლუღი).

**თირი** – გზისპირი თითაწყაროს თავზე. რესპ.: „თირი მიწაა, მოწითალო, ცეცხლგამძლე, იყენებენ იატაკისათვის, შესალესად, თონის ირგვლივ დასაყრელად” (წესი).

**თირი** – ტყე-მუხნარი სამზიარის გვერდით (მოტყიარი).

**თირუში** – სამოვარი გორგომელასა და საფიჩხიას შუა. რესპ.: „თიროში, თირუში ეწოდება საჭმელ ბალახს“ (წესი).

**თიშებიანი** – სახნავი საფიჩხიის კალთაზე. რესპ.: „თიში არის ნაშალი ქანი, ქვანაშალი“ (ლიხეთი).

**თიხნარა** – სახნავი ტრედისუბანში (ნიკორწმინდა).

**თლუღი** – ზემო თლუღისა და ქვემო თლუღის საერთო სახელი (ზედა თლუღი, ქვედა თლუღი).

**თლუღის გზა** – გზა, რომელიც თლუღისაკენ გადის (წკადისი).

**თლუღის წყალი** – მდინარე, სამღულეთის წყლის ერთ-ერთი მდგენელი. იხ. სამღულეთი (ხოტევი).

**თომას ახო –** 1. ტყე გიორგობიანებში (ხიმში); 2. სათიბი ზეჭელიშში (ზნაკვა).

**თომას ნაყანვარი//თომას ნაყანურები** – სათიბი ქეთაშვილების უბანში (ნიკორწმინდა).

**თომას ნაყანურები** – სათიბი. იგივე თომას ნაყანვარი (ნიკორწმინდა).

**თომას სათიბი** – ტყე, სათიბი ლემანეურში (კაჩაეთი).

**თომას ტყე** – ტყე ლემანეურში (კაჩაეთი).

**თომას ყანა** – სახნავი ჩონიშურის მარჯვ. მხარეს (მუხლი).

**თომაური** – სახნავი (უყეში)

**თომაძეები//თომაძეების უბანი** – უბანი კრიხულის მარჯვ. მხარეს (გორი).

**თომაძეების უბანი** – უბანი. იგივე თომაძეები (გორი).

**თომა(ძი)სეული** – ტყე ბურშებთან, ახალსოფლის საზღვარზე (კვირიკეწმინდა).

**თომიაყანის გორა –** გორა, ტყე მეშორიშორსა და კოდებისძირს შუა (ურავი).

**თომუკას ახო –** სახნავი ჭვარების კალთაზე (სადმელი, კლდისუბანი).

**თომუკას ტყე** – ტყე საელიოს კალთაზე (წესი).

**თონეგამოქვაბული** – გამოქვაბული დიკდეში. თონესავით მრგვალი ჩანს (მოტყიარი).

**თოხიჭამია** – საძოვარი მაისაშვილების მთაში. რესპ.: „წვრილი ქვებია, ხვინჭკი და თოხს ჭამდა, ცვეთდა“ (წესი, კვაცხუთი).

**თრიმალი** – ტყე ისაკაძეებში, საბედიკაღელის მარჯვ. მხარეს, სათემოს თავზე (შუა კრიხი).

**თუთებიანი** – სახნავი ლუხუნის მარჯვ. ნაპირზე (აბარი).

**თურღულაური** – წყარო გონაძეების უბანში (ზემო სხვავა).

**თუღლაური** – წყარო, სახნავი თომაძეებში (გორი).

**თქიშინა//თქიშინის წყარო** – წყარო, დიდღელის შენაკადი. გამოედინება ბზიკინაგორის ძირიდან (ზნაკვა).

**თქიშინის წყარო** – წყარო. იგივე თქიშინა (ზნაკვა).

**თხიზურგი** – ქედი ტყე-საძოვრებით სადმელის საზღვართან, საელიოსა და ტყეზურგის ქედს შუა. ინფ.: „ქედია. თხის ზურგს ჰგავს”. აღნიშნულია რუსულენოვან კარტოგრაფიულ რუკაზე (წესი).

**თხილა** – ვენახი ოშხერლების უბანში (სადმელი).

**თხილისწყალი** – წყარო ზეჭელიშში (მოტყიარი).

**თხილისწყარო** – წყარო ზეჭელიშის მთის ჩრდ. კალთაზე (ზნაკვა).

**თხინარა** – ვაკე-საძოვარი. იგივე ფ(რ)თხინარა (კლდისუბანი).

**თხინარა//თხინარეები** – სახნავი დახვეტილას შემოგარენში (კვაცხუთი).

**თხინარეები** – სახნავი. იგივე თხინარა (კვაცხუთი).

**თხმელები** – სახნავი ლუხუნის მარჯვ. მხარეს, ხეორის შესართავთან (ლიხეთი).

**თხმელნარი** – მინდორი კლდისუბანში (ხიმში).

**თხმორთა** – საძოვარი ქვემო სხვავაში, ზემო კრიხის საზღვარზე (შუა სხვავა, ზემო კრიხი).

**თხრილი** – გზა ისაკაძეებში. „გზა არ იყო და გადათხარეს“ (შუა კრიხი).

## ი

**იაკოფის სათიბი** – სათიბი საწალიკეში (ზედა თლუღი).

**იარომას აღმართი** – აღმართი კაციტაძეების უბანში რესპ.: „იარომა კაციტაძე ამ აღმართთან ცხოვრობდა, გზისპირას“ (მუხლი).

**იასონის მონატეხი** – ტყე საწალიკეში (ზედა თლუღი).

**იასონის წყალი** – წყარო სალოს მთაზე. რესპ.: "იასონი იმ კაცს ერქვა, ვინც ეს წყარო კეთილმოაწყო" (ზნაკვა).

**იაშვილების უბანი** – სახნავები ნესტორას ყანის ქვეშ. უწინ აქ იაშვილები ცხოვრობდნენ (ხიმში).

**იაშვილის ღელე** – ასე უწოდებენ სტაჟაურის ღელეს კლდისუბანში. ერთვის რიცეულას მარცხ. მხრიდან ჭელიძეებში (კლდისუბანი).

**იაშვილის ციხე** – ნაციხარი რატიანებში (კლდისუბანი).

**იაშვილის წყალი** – წყარო თურღულაურს დაბლა (ზემო სხვავა).

**იაშვილისკარი** – ნასახლარი ზე(და)უბანში, უსახელოს გვერდით (ზემო სხვავა).

**ივანეახო** – ტყე, სამოვარი შაორის წყალსაცავის აღმ. შემოგარენში (აგარა).

**ივანეს ახო** – ტყე საელიოში (კვაცხუთი).

**ივანეს ნაყავრები** – სათიბი ქეთაშვილების უბანში (ნიკორწმინდა).

**ივანესეული//ჩალაძისეული** – მინდორი ლუხუნის მარცხ. მხარეს. რესპ.: „იყო ყანა და ეკუთვნოდა ივანე ჩალაძეს“ (აბარი).

**ივანიკეენთების უბანი** – უბანი. იგივე ჩალაძეების უბანი (ურავი).

**ივანიკი(ს)ნაზიარევი** – სათიბი (კაჩაეთი).

**ივლიტესეული** – ვენახი ისაკაძეებში (შუა კრიხი).

**ილიაახო** – ახო პატარა საწალიკეში (ქვედა თლუღი).

**ილიკოს გძელა** – სახნავი ჩონიშურის მარჯვ. მხარეს (მუხლი).

**ილოს ნავენახარი** – ვენახი კევლიშვილების უბანში (საკეცია).

**ილოსეული** – ვენახი კობერიძეების შემოგარენში (შუა კრიხი).

**ილუას ნამოსახლი** – მინდორი ჭალასთან (სხარტალი).

**იობასეული** – სათიბი თომაძეებში (გორი).

**იობაურების ყანა** – ნაყანევი დენადირეულის გვერდით. იობაურები გვარად გიორგობიანები არიან (ფუტიეთი).

**იობაურის ახო** – სათიბი იობაურების ყანასთან (ფუტიეთი).

**იოვაკის ტყე** – ტყე პატარა საწალიკეში (ქვედა თლუღი).

**იონჯა** – 1. მინდორი საძიკარის თავზე, ველევის საზღვართან (კვირიკეწმინდა, ველევი); 2. სახნავი კრიხულის მარჯვ. მხარეს, კდისწყლის პირდაპირ (ქვემო კრიხი).

**იონჯისთავი** – სათიბი გორისტევის კალთაზე, საძიკარში (ველევი).

**იორდანას ვენახი** – ტყე ჭალის მარჯვ. მხარეს, გაბრაულაში (ფუტიეთი).

**იორდანას ვენახის წყალი** – ღელე იორდანეს ვენახში (ფუტიეთი).

**იორდანას სამოსახლო** – საკარმიდამო ბაოსთან. ეკუთვნოდა იორდანას (ფუტიეთი).

**იოსებაყანა** – საძოვარი ნოდირის ტბის პირას (ფუტიეთი).

**ირდუმალა** – მინდორი სალოსის მთის კალთაზე, მენაბდეების უბნის განაპირას, პოლ(ი)ტიკის ქვეშ (ხოტევი).

**ისაკაძეები//ისაკაძეების უბანი** – უბანი რიონის მარცხ. მხარეს, ხიდთან (მუხლი).

**ისაკაძეების უბანი** – 1. უბანი ხოტეურისა და კრიხულის შესართავთან, შუა კრიხის საზღვარზე (ქვემო კრიხი); 2. უბანი. იგივე ისაკაძეები (მუხლი).

**ისაკამისეული** – ტყე ისაკაძეების გარეუბანში (შუა კრიხი).

**ისელაური** – სახნავი ჭელიძეებსა და ქემოკლიძეებს შუა. ამოსავალია გვარი ისელიძე (ახალსოფელი).

**ისლიპირა** – სამოვარი ღოდოეთში (შუა კრიხი).

**ისლორი//ისროლი** – ვაკე ტრედისწყლის უბანში (ნიკორწმინდა).

**ისროლი** – ვაკე. იგივე ისლორი (ნიკორწმინდა).

**იფნარი//იფრანი//იფრანა** – ტყე მურუსიძეებში, კოჟის თავზე, საბუზურის გაგრძელებაზე (ზნაკვა, მოტყიარი).

**იფნი(ს)ნაჭერი** – ვენახი დათეშიძეებში (გორი).

**იფნისწყალი** – წყარო ხიმშითავთან (შუა სხვავა).

**იფრანა** – ტყე. იგივე იფნარი (ზნაკვა).

**იფრანი** – ტყე. იგივე იფნარი (ზნაკვა).

**იფრანისბოლო** – სამოვარი იფრანაში (ზნაკვა).

**იფრანისგვერდი** – ტყე-ფერდობი იფრანაში (ზნაკვა).

**იფხარიში** – სამოვარი შაორის წყალსაცავის ჩრდ. შემოგარენში (ჭელიაღელე).

**იფხრელა** – სახნავი სხარტალის საზღვართან, საკიშორესა და ნაგუთს შუა (ზედა თლუღი).

**იქითა ფოჩხიძეების უბანი** – უბანი ხეორის მარჯვ. მხარეს. იხ. ფოჩხიძეების უბანი (ლიხეთი).

**იქითურები** – მიქაუტაძეების უბნის ერთი ნაწილი (ზნაკვა).

**იწა** – სოფელი, იწის თემის საკრებულოს ცენტრი (იხ. ნაწილი პირველი).

**იწურა** – სამოვარი ქვემო სხვავაში, კაციტაძეების უბანში (შუა სხვავა).

**იხვა//იხვას წყალი//ნაკურთხი წყალი** – წყარო ზარეულიშვილების უბანში (შუა სხვავა).

**იხვას წყალი** – წყარო. იგივე იხვა (შუა სხვავა).

## პ

**კაბერაულის გორა** – გორა შარეულის ხეობის მარჯვ. მხარეს, ქეთიაშვილების უბანსა და ეწერს შუა (ნიკორწმინდა).

**კაისა** – სამოვარი მელაშვილების უბანში, სადაც ჭინჭრის ღელე ერთვის წესურას. ინფ.: „კაი საწისქვილე იყო ამ ღელეზე” (წესი).

**კაიწყალი** – წყარო ქვემო სხვავაში, დოლაბიკართან (შუა სხვავა).

**კაიწყლები** – სამოვარი კლდისუბნის საზღვართან, რიცეულის მარჯვ. მხარეს. „აქ წყლები არცაა და მაინც კაიწყლები ჰქვია“ (ღვიარა).

**კაკალაუბანი** – უბანი სოფლის მთავარ გზაზე, საწისქვილე ღელესა და გადარეულღელეს შუა. რესპ.: „კაკალ-კაკალ, ე.ი. შორი-შორს, ცხოვრობდნენ“ (ურავი).

**კაკალქვეშ** – სანახშო ლაშხებში, მაროს კაკლის ქვეშ (კვირიკეწმინდა).

**კაკანა//კაკან(ებ)ის წყალი** – წყარო, წისქვილების წყლის შენაკადი სუთიძეების უბანში (შხივანა).

**კაკან(ებ)ის წყალი** – წყარო. იგივე კაკანა (შხივანა).

**კაკილოს ნამოსახლი** – სათიბი დოხნაძეების უბანში (კაჩაეთი).

**კაკლებიანი** – სათიბი ყიყვის მარჯვ. მხარეს (აბარი).

**კალამეური** – სათიბი ქვემო სხვავაში, არჩვაძეების უბანში (შუა სხვავა).

**კალთისწვერი** – სამოვარი სოფ. სამთისის საზღვართან (ზემო სხვავა).

**კალიტეს მონატეხი** – ტყე გაღმა კუთხეში (ზედა თლუღი).

**კალიტეს ყანა** – სამოვარი. იგივე ლორჩინო (ბოსტანა).

**კალმადისყელი** – სახნავი ჭალაში, ქვემო იწაში (ამბროლაური).

**კალმაცეული** (< კალმაძისეული) – ჭალა–სახნავი ქვემო იწაში, რიონის მარცხ. ნაპირზე (ამბროლაური).

**კალმახის ტბა** – ერქვა ტბას შაორის გამოქვაბულში (ნიკორწმინდა).

**კალო** – 1. ვაკე, სტადიონი შუა უბანში (აბარი); 2. მინდორი ქემოკლიძეებში (ახალსოფელი); 3. მინდორი ხოტევის საზღვართან (წკადისი).

**კალოები//ნაკალოვარი** – სახნავი ქართველიშვილებში (ზემო სხვავა).

**კალო(ები)** – მინდორი ლაშხებში, სოფლის ცენტრში (კვირიკეწმინდა).

**კალო(ი)სწვერი** – ბორცვი ტბებსა და სამთისის საზღვრს შუა (ზემო სხვავა).

**კალოსპირი** – სახნავი კალოსთან (წკადისი).

**კალოქვეშ** – მინდორი ლაშხებში, კალო(ებ)ს ქვემოთ (კვირიკეწმინდა).

**კანაფეური//კანაფეურის უბანი** – უბანი ფერდობებზე, სოსაურის ზემო წელზე. ცხოვრობენ ენუქიძეები და ჭელიძეები (სადმელი).

**კანაფეურის უბანი** – უბანი. იგივე კანაფეური (სადმელი).

**კანდელაკები//კანდელაკების უბანი** – უბანი გურგენიძეების უბნის გვერდით. ცხოვრობენ კანდელაკები (ნიკორწმინდა).

**კანდელაკების უბანი** – უბანი. იგივე კანდელაკები (ნიკორწმინდა).

**კანდელაკების ყანა** – სახნავი კანდელაკების უბანში (ნიკორწმინდა).

**კანდელაკების წყალი** – წყარო კანდელაკების უბანში (ნიკორწმინდა).

**კანთელაძეების აბანო** – სახნავები. იგივე აბანო(ები). (ლიხეთი).

**კანთელაძეების უბანი** – უბანი ზედა უბანში, ხეორის მარჯვ. მხარეს. ფოჩხიძეების უბანსა და იქითა ფოჩხიძეების უბანს შუა.

**კანკარახი//კანჭარახი** – ღელე, ლათაშურის შენაკადი. სათავე აქვს წყალმაჭარში (ურავი).

**კანტორეები** – ვაკე-ფერდობები რიცეულის მარცხ. მხარეს, რიცჰესის ზემოთ (კლდისუბანი).

**კანტორითავი** – სახნავი სოზჩის ქვეშ (კლდისუბანი).

**კანტორიღელე** – ღელე, რიცეულის მარჯვ. შენაკადი, რიცჰესის ზემოთ (კლდისუბანი).

**კანჩისწყალი** – წყარო ქემოკლიძეებში, საელიოს კალთაზე (ახალსოფელი).

**კანჩხიწყალა** – წყარო-ნაკადული. იგივე კ(ვ)ანჩხისწყალა (წკადისი).

**კანცელარია** – მინდორი ცალევის ძირას, რიონისა და ბარულის შესართავთან. რესპ.: „სორს, ბარს და მუხლს ერთი თემი ჰქონია და აქ კანცელარია ნადგამა" (მუხლი).

**კანჭარახი** – ღელე. იგივე კანკარახი (ურავი).

**კაპალეული//კაპანეული** – ტყე ქონიაშვილების თავზე. „აქ ხარობს კაპარი, ჯონჯოლის ხე" (წკადისი).

**კაპანეული** – ტყე. იგივე  კაპალეული (წკადისი).

**კაპი//წესურ(ის)კაპი//კაპისწყალა** – წყარო-ნაკადული, რიცეულის მარცხ. შენაკადი. გამოედინება წესის მთიდან. ქმნის ორი მდგენელი: მარჯვენა კაპი, მარცხენა კაპი (სადმელი).

**კაპისწყალი** – ღელე. იგივე კაპი (სადმელი).

**კაპიტას წყალი** – წყარო დიდ(ი)კდის ძირას, ქვეშაკდეში (მოტყიარი).

**კაპიტონის შურო** – შურო. ეკუთვნოდა კაპიტონ კობახიძეს. უწინ ერქვა გოცირიძეების შურო (ნიკორწმინდა).

**კაპრალა** – 1. სამოსახლოები ჯმუხაძეების უბანში (ნიკორწმინდა). როგორც ჩანს: კაპარი (მცენარეა) > კაპარნარა > კაპნარა > კაპრალა; 2. სახნავი ბიბილაშვილებში (უყეში).

**კაპრალა//კაპრალეები** – სახნავი კობახიძეებში (ხოტევი).

**კაპრალას გზა** – გზა ჯმუხაძეების უბანში (ნიკორწმინდა).

**კაპრალეები** – სახნავი, იგივე კაპრალა (ხოტევი).

**კაჟაურა** – სახნავი ქვედა უბანში, ჭიკორეულის მარჯვ. მხარეს. ქვიან-კაჟიანი ადგილია (ზემო კრიხი).

**კაჟნარი** – საძოვარი მიქაუტაძეებში, სალოცვილოქედის გაგრძელებაზე (ზნაკვა).

**კარავივაკე** – დავაკება მახითვალის ღელის ხეობაში (ღვიარა).

**კარათა** – ტყე სოფ. ბარის საზღვარზე (ფუტიეთი).

**კარების მთა//კარეთა** – მთა ლუხუნ-საკაურის წყალგამყოფზე. აქაა გადასასვლელი საკაურის ხეობაში. „გასავალი კარებივითაა“ (ურავი).

**კარეთა** – მთა. იგივე კარების მთა (ურავი).

**კარზეყანა** – 1. საძოვარი დათეშიძეებში (გორი); 2. სახნავი სოფლის შუაგულში (ახალსოფელი); 3. სახნავი შუა უბანში. ინფ.: „კარზეყანა თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა. სახელად კი რამდენიმეს შერჩა“ (აბარი).

**კარიანი** – სახნავი ბრეგაძეების უბანში. კოშორის გვერდით (შუა სხვავა).

**კარიანწიფელა** – ტყე ზეჭელიშსა და დიდყანას შუა (კაჩაეთი).

**კარივენახი** – ვენახი ბილაშვილებში (შუა კრიხი).

**კარისა** – ტყე, ნასოფლარი სოფლის აღმ. ნაწილში. რესპ.: "ტყეში წვრილი გზა გადიოდა და კარი ჰქონდა" (ზნაკვა).

**კატისახჩობელა** – სათიბი ლემანეურში, მლაშეღელის ნაპირას (კაჩაეთი).

**კატოყანა** – საძოვარი ლემანეურში, ჭერულის გვერდით (კაჩაეთი).

**კაური** – სახნავი დონაძეებისა და დვლების შემოგარენში (უყეში).

**კაჩხნარი** – კლდე, ტყე, სახნავი კევლიშვილებში (საკეცია).

**კაციაკარი** – სახნავი ზედა უბანში, ქვემო სხვავისა და ზემო კრიხის საზღვრების სიახლოვეს (ზემო კრიხი).

**კაცი(ს)თავა** – სათიბი, ფერდობი ჩონიშურის მარცხ. ნაპირზე, მორთხმულსა და წმინდა მარინეს შუა. რესპ.: „ფერდობზე მდგარა მსხლის ხე, იგი ისხამდა მსხვილ ნაყოფს, რომელზეც იტყოდნენ, კაცის თავის ოდენააო. კაცითავა მსხლის ჯიშია" (მუხლი).

**კაციტაური//კაციტაძეების ვენახი** – ბუჩქნარი ქემოკლიძეებში (ახალსოფელი).

**კაციტაძეები//კაციტაძეების უბანი** – 1. უბანი რიონის მარცხ. მხარეს, აგლაძეებსა და ვარაზაშვილებს შუა. რესპ.: „იტყვიან, მივდივარ კაციტაძეებში. იგულისხმება უბანი" (მუხლი); 2. უბანი ქვემო სხვავაში, კრიხულის მარცხ. მხარეს (შუა სხვავა); 3. უბანი ხოტეურის მარჯვ. მხარეს (ხოტევი); 4. უბანი (ქვედა თლუღი)

**კაციტაძეების ვენახი** – ბუჩქნარი. იგივე კაციტაური (ახალსოფელი).

**კაციტაძეების უბანი** – 1. ერქვა კაციტაძეების უბანს. ამჟამად ერთი კომლია დარჩენილი (კვირიკეწმინდა); 2. უბანი. იგივე კაციტაძეები (მუხლი, ხოტევი, ქვედა თლუღი).

**კაწნარის ღელე** – ღელე ჩიკვაიძის ბაღსა და პოლტიკს შუა (ქვედა თლუღი).

**კაჭაური** – ტყე ღელისუბანში, ღვიარაღელის მარჯვ. მხარეს (ღვიარა).

**კახაბერაული** – ფერდობი, სახნავი ტრედისუბანში. გადმოცემა უკავშირებს რაჭის ერისთავ კახაბერის სახელს (ნიკორწმინდა).

**კახამბლები** – 1. მინდორი, სახნავი საწალიკეში, ბალანგარსა და შამოკვეთილას შუა (ზედა თლუღი, ქვედა თლუღი).

**კახამბლების წყალი** – წყალი კახამბლებში (ზედა თლუღი).

**კახეთ(ი)გორა** – გორა უყეშის საზღვარზე, ჯვრისუბანსა და მომცელიძეებს შუა (აგარა).

**კახეთელიძეები** – უბანი ქ. ამბროლაურის საზღვართან (გორი).

**კბილაძის ახო** – ახო ობოლანაძვსა და ბასილიშუროს თავზე, პატარა საწალიკეში (ქვედა თლუღი).

**კდეკარი** – უღელტეხილი საწალიკეზე. აქ საურმე გზა გადადის რაჭიდან იმერეთში (ველევი).

**კდესიქეთი** – ტყე ველევის საზღვართან (კვირიკეწმინდა).

**კდესუკანი** – ტყე ზემო კრიხის საზღვართან (კვირიკეწმინდა).

**კდესუკანი** – ტყე ჭალის მარჯვ. მხარეს, ზურგსუკნის გვერდით (ფუტიეთი).

**კდეუნა** – კლდე დავლიანიძეებში (შუა სხვავა).

**კდეფიცარეები** – კლდეები კლდისუბნის საზღვართან (ღვიარა).

**კდექვეში** – 1. ვაკე ლუხუნის მარცხ. ნაპირზე (ლიხეთი); 2. მინდორი რიონის მარცხ. ნაპირზე, მაიდნიყურისა და ნასაყდრის გვერდით (საკეცია).

**კდექვეშყანა** – სათიბი კდექვეშში (ლიხეთი).

**კდეშავი** – შავი კლდე კდეშავის ღელის ნაპირზე (ღვიარა).

**კდეშავის ღელე** _ ღელე. მიედინება ღვიარაღელის პარალელურად და ერთვის რიონს. სათავეა კდეშავი სოფ. ღვიარაში (ბოსტანა, ღვიარა).

**კდეწვეთია** – კლდე, ტყლაპაწითელას კალთაზე. "კლდიდან მუდმივად მოწვეთავს წყალი" (ზედა თლუღი).

**კდეწვეთია წყალი** – წყარო პატარა საწალიკეში, გასაყარსა და თელანს შუა (ქვედა თლუღი).

**კდეწითელა** – კლდეფერდობები ღვიარაღელის სათავესთან (მარჯვ. მხარეს). „კლდეა წითელი“ (ღვიარა).

**კდიკარი** – 1. გზა, რომელიც ღუდუმიძეების უბნიდან გადის მაცაბერიძეებში და მერე გაბუნიკდეში

(კვირიკეწმინდა); 2. სამოვარი კრიხულის ნაპირზე (შუა კრიხი).

**კდისგზა** – გზა ჩონისში (მუხლი).

**კდისთავი** – 1. ბორცვი საწალიკის ჩრდ. კალთაზე (შხივანა); 2. კლდე კიდობანას ქვემოთ, გადმოსცქერის გელბახიანებს (ველევი); 3. სამოვარი დოხნაძეებში (კაჩაეთი); 4. კლდე, დიდ(ი)კდის თავი (მოტყიარი).

**კდისუბანი** – უბანი. იგივე კლდისუბანი (ხიმში).

**კდისცხვირი** – კონცხი კობერიძეებში (ზემო სხვავა).

**კდისძირები** – სამოვარი ღელისუბანში, ღვიარაღელის მარჯვ. მხარეს (ღვიარა).

**კდისძირი** – ტყე დიდ(ი)კდის ძირას (მოტყიარი); 2. წიწვნარი კევლიშვილების უბნის სემოგარენში (საკეცია).

**კდისწვერი** – სამოვარი, ბორცვი სოფლის აღმ. ნაწილში (ზნაკვა).

**კდისწყალი** – 1. ღელე, გამოდის კლდეში თხიზურგზე და ჩაედინება ქორეთულაში (წესი); 2. წყარო ვაკენაძვნარში. კლდიდან გადმოედინება (ნიკორწმინდა); 3. წყარო კრიხულის მარცხ. მხარეს. გაყვანილია ქ. ამბროლაურში (ქვემო კრიხი); 4. წყარო ქვემო სხარტალში. ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად გამოუყვანიათ სოფელში (სხარტალი). კდისწყალი ეწოდება აგრეთვე წყაროებს იწაში, სადმელში და სხვ.

**კდიძირები** – მინდორი ქვაბთხევში (იწა).

**კდიძირი** – 1. სამოვარი, ნასახლარები ქედის ჩრდ. ნაწილში (სადმელი); 2. სახნავი გორის საზღვარზე (შუა კრიხი).

**კდიწვერის ფიჭვნარი** _ ტყე დიდ(ი)კდის თავზე (მოტყიარი).

**კედელა** – 1. კლდე აბარის საზღვარზე (ურავი); 2. სამოვარი მირიათველსა და წალეულას შუა (შუა კრიხი).

**კედელა//კედელეები** – სერი საფიჩხიის ქედზე, ლუხუნის მარცხ. მხარეს (ლიხეთი).

**კედელა//ლუხუნგაღმა კედელა//გაღმა კედელა** – სერი ლუხუნის მარცხ. მხარეს. ამ სერის აღმ-ით არის ონის რ-ნის სოფლები სორი და გადამში (აბარი).

**კედელაწვერები** – სამოვარი კედელას თავზე, აბარის საზღვართან (ურავი).

**კედელეები** – სერი. იგივე კედელა (ლიხეთი).

**კევლიშვილები//კევლიშვილების უბანი** – უბანი ზნაკურის მარჯვ. ნაპირას, სოფლის ცენტრ. გზაზე (საკეცია).

**კევლიშვილების ახო** – სამოვარი უნაგერასა და პატარა საყავრეს შუა (კვაცხუთი).

**კევლიშვილების მოსახვევი** – გზის მონაკვეთი კევლიშვილების უბანში (საკეცია).

**კევლიშვილების უბანი** – უბანი. იგივე კევლიშვილები (საკეცია).

**კევლიშვილის ახო** – ერქვა სახნავებს ჭელიძეების უბანში. ამჟამად მინდვრებია (ძირაგეული).

**კევრისთავა** – 1. სათიბი, ტყე პეტრიაშვილებში, კოდისთავის ქვემოთ (კაჩაეთი); 2. სამოვარი ზეჭელიშის კალთაზე (მოტყიარი).

**კეკელას ნამოსახლი** – ნასახლარი ზედა თლუღის საზღვარზე (ქვედა თლუღი).

**კენჭნარა//კენჭრალა** – სახნავი კვირიკეწმინდის საზღვართან (ქვემო კრიხი).

**კენჭრალა** – სახნავი. იგივე კენჭნარა (ქვემო კრიხი).

**კეჟეთები** – სამოვარი ლუხუნის მარჯვ. მხარეს, ძრაგულას შესართავთან. ინფ.: „დაქანებული და ქვაკაჟიანი ადგილია. კეჟი იგივე კაჟია“ (ლიხეთი).

**კერესელიძეების უბანი** – 1. უბანი სოფლის ცენტრ. ნაწილში, ქედის ფერდობებზე (სადმელი); 2. უბანი სოფლის ცენტრში, წესურის მარცხ. მხარეს (წესი).

**კერესელიძეების წყალი** – წყარო კერესელიძეების უბანში (სადმელი).

**კერეულა** – მინდორი დავლიანიძეებში (შუა სხვავა).

**კეჭინალა//კეჭნარა** – ტყე ყარდოში, ჭიკორაულის მარცხ. მხარეს (ზემო კრიხი).

**კეჭნარა** – ტყე. იგივე კეჭინალა (ზემო კრიხი).

**კეხეულა** – გზა ხორეულასა და საგველიას შუა (ზედა თლუღი).

**კეხიტეხია** – სერი ჟრინავსა და სოხასტერს შუა. რესპ.: „ჩალანდრების გზა იყო, ყავარი ჩამოჰქონდათ“ (კლდისუბანი).

**კ(ვ)ანჩხისწყალა** – წყარო–ნაკადული, ბასილაღელის მარჯვ. შენაკადი. „კვანჩხი არის პეშვი. აქ პატარა წყალი იდგა და კვანჩხით იღებდნენ“ (წკადისი).

**კვარაგვერდი** – ტყე ქვათაძეებში (შუა სხვავა).

**კვარატყეულა** – სათიბი ზნაკვის საზღვართან (მოტყიარი).

**კვარაციხე** – ციხესიმაგრე შუა სხვავის საზღვარზე. ჩამოანგრია 1992 წლის მიწისძვრამ. დარჩა მხოლოდ კლდე (შუა კრიხი).

**კვარხალიგორა** – გორა ჭალის მარჯვ. მხარეს. ბოგირულასა და სადათვიას შუა (ზემო სხვავა).

**კვარხითი** – სათიბი ჭოხუეთის სამხ.-დას-ით (ფუტიეთი).

**კვარხითის წყარო** – წყარო. კვარხითიდან ჩაედინება სამთისში (ფუტიეთი).

**კვატაშიძეები –** მიკროუბანი ბარსონიძეებში (ხიმში).

**კვაცხითური** – ტყე. იგივე კვაცხუთური (ზნაკვა).

**კვაცხუთური//კვაცხითური** – ტყე სოფლის ჩრდ. ნაწილში (ზნაკვა).

**კვახაურა** – ვენახები ფუტიეთის საზღვართან. რესპ.: „ალბათ ბევრი კვახი მოდიოდა“ (მუხლი).

**კვახაძეები** – უბანი ქვედა ზნაკვაში, ბაკურაძეებსა და უთმელიძეებს შუა (ზნაკვა).

**კვახაძეული** – მინდორი შარაბიძეების უბნის თავზე (მოტყიარი).

**კვახამისეული** – ვენახი კდისუბანსა და ბარსონიძეებს შუა (ხიმში).

**კვახამისკარი** – სათიბი მუხლის საზღვართან (ხიმში).

**კვახირეკია** – წყარო ჯავისაში. სახელწოდების წარმოშობასთან დაკავშირებით სხვადასხვა გადმოცემაა: ა. ჯავისლებს კვახის ჭამა ჰყვარებიათ“; ბ. „წყარო სახრიკე კვახს ჰგავს, მრგვალია და წინ წამოწეული“; გ. „ისე ხმაურობს და რიკინებს, ვითომ კვახიდან ღვინო გადმოდისო”(წესი).

**კვახიწყარო** – 1. წყარო შაორის წყალსაცავის შემოგარენში (ქვედათლუღი); 2. წყარო, სათიბი სვანეურსა და შაორის წყალსაცავს შუა(უყეში); 3. წყარო, სათიბი მაისაშვილების მთაში. რესპ.: „კვახივით მრგვალი ადგილია“ (წესი).

**კვერეხაული** – ვენახი კდისუბანში (ხიმში).

**კვერთა** – საძოვარი მაისაშვილების მთაში (წესი).

**კვერცხა** – სახნავი ჩხანკალაშვილების უბანში, ქვ. თლუღის საზღვართან (ზედა თლუღი, ქვედა თლუღი).

**კვეშლევი** – მთა, რაჭის ქედის განშტოება სოფლის აღმ-ით (შხივანა).

**კვეშლევისყორე** – სათიბი სოფლის აღმ. შემოგარენში (შხივანა).

**კვინცხები** – ფერდობი საყუდელის კალთაზე, გურულიშუროს მარჯვ. მხარეს, სადაც უწინ კვინცხის ტყე ყოფილა (კლდისუბანი).

**კვინცხნარი** – ტყე, ფერდობი აშხაპირის ნაპირზე (ხოტევი).

**კვინცხნარიზურგი** – ბორცვი ღვიარაღელის ზემოთში (ღვიარა).

**კვინცხნარიზურგის ღელე** – მახითვლის ღელის მარჯვ. შენაკადი (ღვიარა).

**კვირიკაული** – ხევი ჭარისუბნის თავზე, ეკლესიის ქვეშ (კვაცხუთი).

**კვირიკაულის წყარო** – წყარო კვირიკაულში (კვაცხუთი).

**კვირიკაშვილიკარი** – ნამოსახლი, სამოვარი ბედელაშვილების უბანში, სამებასთან (ზემო სხვავა).

**კვირიკეწმინდა** – ნაეკლესიარი გიორგობიანების დას-ით, ჯვარის სიახლოვეს (ფუტიეთი).

**კვირიკეწმინდის ეკლესია** – ეკლესია. იგივე ეკლესია (კვირიკეწმინდა).

**კვირისთავა//კვირისტავა** – მინდორი (ხიმში).

**კვირისტავა** – 1. მინდორი. იგივე კვირისთავა (ხიმში); 2. სამოვარი ბლაშის თავზე, აკავანას გვერდით (შუა კრიხი).

**კვიტაურ(ებ)ი** – სამოვარი. იგივე ანიჩკას ნამოსახლი (გორი).

**კვიტაური** – 1. ვენახი სამჭიკიასა და დონაურას შუა, ჯვარიგვერდის სამხრ.-ით (ჭელიაღელე); 2. სახნავი დოხნაძეების უბანში (კაჩაეთი).

**კვიტაშვილების უბანი** – უბანი ზემო მაცაბერიძეებსა და ქვემო მაცაბერიძეებს შუა (ველევი).

**კვიტაშვილების წყალი** – წყაროკვიტაშვილების უბანში (ველევი).

**კვიტაშვილისეული** – ვენახი ბილაშვილების შემოგარენში (შუა კრიხი).

**კვიტაშვილის ციხე** – ციხე წმინდა კვირიკეს გვერდით (კვირიკეწმინდა).

**კვიციყლაპია** – ერქვა კარსტულ მღვიმეს, რომელშიც წყალი ჩაედინებოდა. დაფარა შაორის წყალსაცავმა (ნიკორწმინდა).

**კვიცხნარი** – ტყე საელიოს კალთაზე (კვაცხუთი).

**კვრისტავა** – სახნავი საგანელიძეებში (შუა სხვავა).

**კიბელაური//კიპრელაური** – სათიბი ჭელიძეებში (ახალსოფელი).

**კიბულა** – 1. ფერდობი, ნასახლარები ლუხუნის მარჯვ. მხარეს, საჩიტიის კლდის თავზე. "კიბესავით ნელნელა იწევს მაღლა" (წესი); 2. გზის მონაკვეთი, ბილიკი,

რომელიც ქვედა უბნიდან მიემართება წკადისისაკენ. რესპ.: "გზაა კიბეებივით" (ქვედა თლუღი).

**კიბულა//კიბურა** – საცალფეხო გზა კლდოვან ხევში, ჭიკორაულის მარჯვ. მხარეს. „კლდეებია კიბის ფორმისა. ამ კლდეებს კიბულის კლდეებს უწოდებენ“ (ზემო კრიხი).

**კიბულეები** – გზა ფერდობზე რიონსა და პეპელაღელეს შუა, ნესტორას ყანის ქვემოთ. რესპ. ბ. ბარსონიძე: „კლდეზე გასასვლელია კიბეებივით. ამიტომ ჰქვია კიბულეები“ (ხიმში).

**კიბულის კლდეები** _ კლდეები კიბულაში (ზემო კრიხი).

**კიბულის ჩანჩქერი** – ჩანჩქერი ჭიკორაულზე, კიბულასთან (ზემო კრიხი).

**კიბურა** – 1. გზა, სამოვარი ქვათამეებსა და ბრეგაძეებს შუა (შუა სხვავა); 2. საცალფეხო გზა. იგივე კიბულა (ზემო კრიხი).

**კიდობანა** – კლდე. იგივე გულქანას კლე (ველევი).

**კიდობანა//კიდობანი** – მღვიმე, სახნავი ჩოლოგასა და ჩიკვაიძის ბაღს შუა, ოლანში (ქვედა თლუღი, ზედა თლუღი).

**კიდობანი** – მღვიმე. იგივე კიდობანა (ქვედა თლუღი).

**კიკვაური** – სათიბი ზეჭელიშში, ნალიების თავზე. ეკუთვნოდა კიკვაძეს (მოტყიარი).

**კიკვაურის ნაძვი** – ნაძვი კიკვაურში (მოტყიარი).

**კიკვაძეების უბანი** – უბანი ქვედა ზნაკვაში, მურუსიძეებსა და სოფ. საკეციას შუა (ზნაკვა).

**კიკვაძეების წყარო** – წყარო კიკვაძეებში. გამოყვანილია მოსახლეობაში (ზნაკვა).

**კიკოშვილის ტყე** – ტყე სამარწყვიის კალთაზე (შუა კრიხი).

**კილასონიები** – 1. მიკროუბანი დახვეტილას უბანში (კვაცხუთი); 2. სახნავი ხიმშის საზღვართან, მთაზე (მუხლი).

**კილოქვაბი//კილოქვაბუნა** – გამოქვაბული ბასიანის გზაზე, ბასიანის ღელის მარჯვ. მხარეს. ქვითაა

გადმოხურული. რესპ. ი. ჯელაძე: "კილოსავით დგას. კილო გადასაგორებელი სასწორია" (ურავი).

**კილოქვაბუნა** – გამოქვაბული. იგივე კილოქვაბი (ურავი).

**კიმოთეს წყალი** – წყარო. რესპ.: "კიმოთე მიქიაშვილს ბერისწყარო ჩამოუყვანია სოფელში. ამიტომ დაერქვა კიმოთეს წყალი" (მოტყიარი).

**კინტრაული** – ვენახი ბურშებში. რესპ.: „კიტრა ვაშლის ბაღი იყო“ (კვირიკეწმინდა).

**კიპრელაური** – სათიბი. იგივე კიბელაური (ახალსოფელი).

**კიწმაწეური** – ბუჩქნარი კობერიძეების განაპირას (შუა კრიხი).

**კლდეფიცარა** – კლდე-ვიწრობი ქედისუბნიდან ზედა რუისისაკენ მიმავალ გზაზე (კლდისუბანი).

**კლდეფიცარეები** – კლდეები კლდისუბნის საზღვართან. „ფიცარივით კლდეებია“ (ღვიარა).

**კ(ლ)დიანა** – კლდოვანი ტყე ჭალურთან (ნიკორწმინდა). კლდე > კლდე+იან–ი > კლდიანა > კდიანა.

**კლდისთავი** – საძოვარი ხოტეურის მარჯვ. მხარეს (ხოტევი).

**კლდისუბანი** – სოფელი სადმელის თემის საკრებულოში (იხ. ნაწილი პირველი).

**კ(ლ)დისუბანი** – უბანი სოფლის აღმ. ნაწილში, პეპელაღელის ზემოთში. ცხოვრობენ ჭიჭინაძეები, ლაშხები, ბენდიანიშვილები და სხვ. (ხიმში).

**კლდისუბნის საჯოგე** – ალპ. საძოვარი. იხ. საჯოგე (კლდისუბანი).

**კლდისძირები** – მინდორი ქვაბთკართან (ამბროლაური).

**კლუბისუბანი//დოხნაძეების უბანი//გაღმა უბანი** – დიდი უბანი ბლაშეღელის მარცხ. მხარეს. აქ იყო სოფლის ცენტრი კლუბითა და ეკლესიით (კაჩაეთი).

**კობახეურა** – საძოვარი დვლების ქვემოთ, ჭალის მარჯვ. მხარეს (ზემო სხვავა).

**კობახიძეები** – უბანი. იგივე კობახიძეების უბანი (ხოტევი).

**კობახიძეები//კობახიძეების უბანი** – ორი უბანი სოფელში: 1. ძველი კობახიძეები; 2. ახალი კობახიძეები (ახალსოფელი).

**კობახიძეები//კობახიძეების უბანი//ქვედა უბანი** – დიდი უბანი შარეულასა და კაჩაეთს შუა. შედის უბნები: ქეთაშვილები, ოთარაშვილები, მათიკიშვილები, ანდრიკიშვილები და (მ)ტრედისუბანი. კობახიძეთა სიგელებია: გოჭები, ფოცხვრები, კანდელაკები, ყვინჩილები, კიპრიჭელები, მაჭკუნარები, ხრუკები, ყურძენები, ქილები, ხრიკები, ოფაროები, კოდალები (ნიკორწმინდა).

**კობახიძეების ახალი უბანი** – უბანი. იგივე ახალი კობახიძეები.

**კობახიძეების სასაფლაო** – სასაფლაო ძველ კობახიძეებში (ახალსოფელი).

**კობახიძეების უბანი//ქვაბილაური//კობახიძეები** – უბანი ქვაბილაურის წყლის მარჯვ. სერზე. ამ უბანსა და ხოტეურას შუა არის სოფლის ცენტრი (ხოტევი).

**კობახიძეების ძველი უბანი** – უბანი. იხ. ძველი კობახიძეები.

**კობახიძის ვენახი** – ვენახი ჭარისუბანში (კვაცხუთი).

**კობახიძის სათიბი** – დიდ მინდორი ჭალურთან (ნიკორწმინდა).

**კობერიძეები//კობერიძეების უბანი** – უბანი აგლაძეების უბანსა და ბილაშვილების უბანს შუა, აბაშეურის ღელისა და ცხრათავას წყალგამყოფ გორაზე. ცხოვრობენ კობერიძეთა ბაბუიშვილობანი: გოჩაშვილები, სეხნიაშვილები, თამაზაშვილები (შუა კრიხი).

**კობერიძის ღელე** – ღელე, კრიხულის შენაკადი. გაედინება კობერიძეებიდან (შუა კრიხი).

**კობერიძის ყანა** – სახნავი ბურშებში. „კობერიძეს მიუცია მზითვად ქალიშვილისათვის“ (კვირიკეწმინდა).

**კობერიძისეული** – ტყე ყულიყელის გვერდით (ზემო კრიხი).

**კობესლაური** – წყარო. იგივე კობესნაური (სადმელი).

**კობესნაური//კობესლაური** – წყარო, ვენახი კერესელიძეების უბანში (სადმელი).

**კოდალატყე** – ტყე ღარისუბნის ზემოთ, შომის ქედზე (ქვედა თლუღი).

**კოდალაღელე** – სახნავები კრიხის საზღვართან (გორი).

**კოდალეური** – კლდე, მინდორი. იგივე კოდარეული (ზნაკვა).

**კოდარეული//კოდალეური** – ტყე, მინდორი ზნაკურის მარცხ. მხარეს, დიდველის გაგრძელებაზე (ზნაკვა).

**კოდები** – 1. სათიბი კანთელაძეების უბანში (ლიხეთი); 2. საძოვარი აბარულის მარჯვ. მხარეს (აბარი); 3. საძოვარი, სასაფლაო, ნაეკლესიარი რაჭის ქედზე, საკანაფო ღელის თავზე (ფუტიეთი). კოდები ეწოდება ტყე–საძოვრებსა და სათიბებს აგრეთვე კაჩაეთში, ურავში, მოტყიარში და სხვ.

**კოდებიძირი** – სათიბი ბინულის მარჯვ. მხარეს (ურავი).

**კოდებიძირის ღელე** – ღელე, ლუხუნის მარცხ. შენაკადი (ურავი).

**კოდევი//კოდები//ბჟოლები** – ტყე-საძოვრები პეტრიაშვილებში, ბლაშეღელის მარჯვ. მხარეს (კაჩაეთი).

**კოდი** საძოვარი ვაჩაძეებში (ზნაკვა).

**კოდიბოლო** – საძოვარი დიდ(ი)ღელის სათავესთან (კაჩაეთი).

**კოდიგვერდი** – სახნავი, ფერდობი ოთარაშვილების უბნის სიახლოვეს (ნიკორწმინდა).

**კოდიკარი** – ღელე საელიოში (კვაცხუთი).

**კოდილაშე** – კლდე რიცეულის ზემოთში, ბუგეულის საჯოგესთან. კოდში მლაშე წყალი დგას (კლდისუბანი).

**კოდილაშეღელე** – ღელე, რიცეულის მარცხ. შენაკადი. მოედინება ბოსტანას საჯოგედან (კლდისუბანი).

**კოდისთავა** – საძოვარი კოდევში (კაჩაეთი).

**კოდისთავი** – სახნავი ლაშხებში (კვირიკეწმინდა).

**კოდის მთა** – მთა, სადაც მდებარეობს ზედა სხარტალი. საზღვარი სოფ. წკადისთან. იხ. წვერი (სხარტალი, წკადისი).

**კოდის ტყე(ები)** – ტყე კოდის მთაზე (წკადისი).

**კოდის ყანა** – სახნავი კოდის მთაზე (სხარტალი).

**კოდისწყალა** – წყარო სხვავის საზღვართან (ხიმში).

**კოდისწყალი** – 1. წყარო კობერიძეებსა და ნაოსპარში (შუა კრიხი); 2. წყარო ჭელიძეებში (ჭელიაღელე); 3. სათიბი კვახიწყაროს თავზე (ქვედა თლუღი); 4. სახნავი სოფლის აღმ. შემოგარენში, შუა სხვავის საზღვარზე (გორი); 5. წყარო ენუქიძეებში (კვირიკეწმინდა). კოდისწყალი ეწოდება წყაროებს აგრეთვე ველევში, ნიკორწმინდაში, კლდისუბანში, მუხლში, ზედა თლუღში, შუა სხვავაში, ბეთლევში, ზნაკვაში, საკეციაში.

**კოდისწყალი//კოდურა** – წყარო სანახშოსთან, თაბარეულის გვერდით. კოდიმთიდან ჩამოყვანილია სოფლის ცენტრში (წკადისი).

**კოდისწყალი//მუსერიძეების წყალი** – წყარო მუსერიძეების უბანში (სადმელი).

**კოდისწყალი//ნოშრევან კობახიძის წყარო** – წყარო-ნაკადული. კოდის მთიდან ჩამოედინება ჭალაში. სოფელში ჩამოუყვანია ნოშრევან კობახიძეს (სხარტალი).

**კოდიტყე** – მუხნარი ჭელიძეებში, რიცეულის მარცხ. მხარეს (კლდისუბანი).

**კოდიში** – საძოვარი სალხინოსა და ღარისუბანს შუა (ქვედა თლუღი).

**კოდიშის ყანა** – სახნავი კოდიშში (ქვედა თლუღი).

**კოდიშის წყალი** – წყარო კოდიშში (ქვედა თლუღი).

**კოდიწყალი** – წყარო ჯიხურის კალთაზე (ღვიარა).

**კოდურა** – წყარო. იგივე კოდისწყალი (წკადისი).

**კოზელაური//კოზილაური** – სათიბი ქვემო სხვავაში, კაციტაძეების უბანში (შუა სხვავა).

**კოზილაური** – სათიბი. იგივე კოზელაური (შუა სხვავა).

**კოკიას ყანა** – ვენახი. იგივე კოკიასეული (ფუტიეთი).

**კოკიასეული//კოკიას ყანა** – ვენახი გაღმა არჩვაძეების შემოგარენში (ფუტიეთი).

**კოკილისეული** – მინდორი ცხენიკალიის გვერდით, კობახიძეებში. კოკილი კაცის სახელია (ნიკორწმინდა).

**კოლთა** – გორა, ტყე ხოტეურისა და ველეურის მარჯვ. მხარეს, მაღლობზე (ხოტევი).

**კოლთიბოლო//კო(ნ)თიბოლო** – ტყე ველეულის მარჯვ. მხარეს, ბაგიბუგის ქვემოთ (ველევი).

**კოლთი(ს)გზა** – გზა, რომელიც ძველად გადიოდა კოლთაში, რაც ველევშია (კვირიკეწმინდა).

**კოლოტა** – 1. სამოვარი ნიკორწმინდის საზღვარზე (კაჩაეთი); 2. ფერდობები, ეწრისმთის აღმ. კალთები (ნიკორწმინდა).

**კო(ნ)თიბოლო** – ტყე. იგივე კოლთიბოლო (ველევი).

**კონჩხა** – კონცხი, ტყე, გზა ღვიარაღელის მარცხ. მხარეს, აკავანის თავზე (ღვიარა).

**კონწიხო** – მთა წესურის მარცხ. მხარეს, მაღალი და წვეტიანი. დაჰყურებს სოფელს (წესი).

**კოპიტნარი – 1.** ვენახი, რომლის ირგვლივ კოპიტები იდგა (ძირაგეული); 2. უბანი ველიშ(ი)ორის გვერდით (ხოტევი); 3. სათიბი სიპსა და ყვირილას შუა (ჭელიაღელე).

**კოჟე** – ბორცვი ტყე-სახნავებით კოჟის ღელის სათავესთან (ზნაკვა).

**კოჟე//ეკლიხეები//სათიფი კორტი** – ბორცვი, ვენახი, სათიბი საჯვარესთან, გზატკეცილის გვერდით. „კოჟი არის მკვეთრი მოსახვევი გზაზე" (ბოსტანა).

**კოჟე//კოჟი** – 1. მაღალი გორა შარეულის მარჯვ. მხარეს. იყოფა: პალიას კოჟი, ზურაბის კოჟი, დარისპანას კოჟი (ნიკორწმინდა); 2. სახნავი ქვაბთკარში, სალოს კალთაზე (იწა); 3. ტყე–ფერდობები ქვაბთკარის თავზე (ამბროლაური).

**კოჟები** – 1. სახნავები სირაძეების უბნის განაპირას (შხივანა); 2. ტყე-ბორცვები საწალიკეში, ტყლაპაწითელასა და ქართებს შორის (ზედა თლუღი).

**კოჟ(ებ)ი** – სასაფლაო ბაციკაძეების შემოგარენში (კვირიკეწმინდა).

**კოჟი** – 1. სამოვარი პეტრიაშვილებში, შევარიშის თავზე (კაჩაეთი); 2. ტყე, გორა. იგივე კოჟე (ნიკორწმინდა); 3. ტყე–ფერდობები. იგივე კოჟე (ამბროლაური).

**კოჟის სათიბები** – სათიბი კოჟეში (ნიკორწმინდა).

**კოჟის ღელე** – ღელე. იწყება კოჟეში, გაედინება ქვაბთკარში და ერთვის რიონს (საკეცია).

**კოჟ(ორ)ი** – ბორცვი, ტყე გელაურის წყლის მარცხ. მხარეს, გურგენიძეების თავზე (ხოტევი).

**კორბოსეული** – ვენახი ჭელიძეების უბნის გვერდით. კორბო ვენახის მეპატრონეს ერქვა (მირაგეული).

**კორეჭაულა//კოროჭოულა** – ბორცვი, ტყე, სათიბი მთავარანგელოზის ეკლესიის ქვემოთ, დოხნაძეებსა და დვლების უბანს შუა (კაჩაეთი); ჭელიაღელის მცხოვრებნი უწოდებენ: კოროჭაულა//კორჭეულა.

**კოროჭაულა** – ბორცვი. იხ. კორჭეულა (კაჩაეთი).

**კოროჭოულა** – სათიბი. იგივე კორჭეულა (კაჩაეთი).

**კორსანა** – სამოვარი მთაზე, ხიმშის საზღვართან (მუხლი).

**კორსანა//კორსონა//კორსენა** – გორა მაჩაიძეებისა და ჩაჩანიძეების გვერდით, მურუსიძიგორასა და ღარათას შუა (ზემო სხვავა).

**კორსანეული** – სახნავი მთავარანგელოზის გვერდით. ეკუთვნოდა კორსანიძეს (ქვემო კრიხი).

**კორსენა** – გორა. იგივე კორსანა (ზემო სხვავა).

**კორსონა** – გორა. იგივე კორსანა (ზემო სხვავა).

**კორტი** – 1. ერქვა გორას, სადაც მდებარეობს მესხების უბანი. საბჭოთა პერიოდში რელიგიური შინაარსის მქონე სახელწოდება „კვირიკეწმინდა“ შეიცვალა „კორტით“ (კვირიკეწმინდა); 2. მინდორი, გორა განიგზიდან

ვაკენამჭნარში გადასასვლელ გზაზე (ნიკორწმინდა); 3. ტყე საბუზურის სიახლოვეს (ზნაკვა); 4. ტყე-კორტოხი კევლიშვილებში (საკეცია).

**კორტი//კორწი** – ბორცვი, მოსაცდელი გზაზე, ხოტეურის მარცხ. მხარეს (ხოტევი).

**კორტილაური** – მცირე მდინარე გურგენიძეებში. „ღელეა, მაგრამ წყლიანი“ (ნიკორწმინდა).

**კორტილაურის გორა** – ბორცვი და გზის მონაკვეთი კანდელაკების უბანში (ნიკორწმინდა).

**კორტის შუბისტარა** – სახნავი. იგივე შუბისტარა (კაჩაეთი).

**კორტიტყე** – ბუჩქნარი კორტში (ხოტევი).

**კორტნუხა** _ ტყე კევლიშვილებში, კორტთან (საკეცია).

**კორტუნა//გორგოლა** – ვაკე-ბორცვი. ინფ.: „შელოცვილი ადგილია. აღნიშნავდნენ აღდგომას, კლავდნენ სამღთოს" (აბარი).

**კორტქვეშ** – სამოვარი გორა კორტის კალთაზე (კვირიკეწმინდა).

**კორღანი** – 1. მთა ყიყვის სათავესთან რესპ.: „დასმულია ყორღანო, ე.ი. ტოპოგრაფიული ნიშანი, ჩვეულებრივ, სასაზღვრო სვეტი“ (აბარი); 2. ბორცვი, სამოვარი გორისტევის კალთაზე, ზემო მაცაბერიძეების თავზე (ველევი).

**კორძები** – სამოვარი ქვიშინარასთან (შხივანა).

**კორძიანასხალი** – ტყე-სამოვარი ნაეკლესევში (კაჩაეთი).

**კორწი** – ბორცვი. იგივე კორტი (ხოტევი).

**კოსტა შლეგიანის სათიბი//შლეგიანის სათიბი** – სათიბი პოლტიკსა და საფაფიას შუა, საწალიკეში (ქვედა თლუღი).

**კოსტა ხრიკას შურო** – შურო ნაგალევებში (ნიკორწმინდა).

**კოსტაახო** – ტყე, სამოვარი შაორის წყალსაცავის შემოგარენში (აგარა).

**კოსტას ყოფილი** – ვენახი კდისუბანში (ხიმში).

**კოტეს ბრუნავი** – საზანაო რიონის მარჯვ. ნაპირზე, კლდის ძირას. კოტეს აქ წისქვილი ედგა (წესი).

**კოტეჭალა** – ჭალა რიონის მარჯვ. ნაპირზე (წესი).

**კოტორეები//კოტორიშვილების უბანი** _ უბანი ნიკორწმინდის საზღვარზე. "კოტორეები, ანუ კოტორიშვილები, გურგენიძეების სიგელია". იხ. გურგენიძეების უბანი (ჭელიაღელე).

**კოტორიშვილების უბანი** _ უბანი. იგივე კოტორეები (ჭელიაღელე).

**კოტრიალა** – 1. მინდორი ჭალის მარცხ. მხარეს, წიაღის თავზე (ზემო სხვავა); 2. დავაკება სვანებში (ხიმში).

**კოშკითავი** – მინდორი იაშვილის ციხის დას–ით, მაღლობზე (კლდისუბანი).

**კოშკიღელე** – ღელე, ხოტეურის მარცხ. შენაკადი გურგენიძეების უბანში (ხოტევი).

**კოშორა** – სახნავი კრიხულის მარცხ. მხარეს, ნეფარიძეებსა და ქვათაძეებს შუა (შუა სხვავა).

**კოწიას ნაფუზვარი** – ვენახი კიკვაძეების უბანში (საკეცია).

**კოჭატეხია** – ტყე მახითვალის ძირას, ღვიარაღელის მარცხ. მხარეს. „აქ ვიწრო ადგილია, თივის ჩამოსატანი და კოჭა ხშირად ტყდებოდა. კოჭა მარხილის ნაწილია, ჩასობილი სარია“ (ღვიარა). კოჭა „ჭალი“.

**კოჭლიახო** – ტყე, წყარო საკანაფო ღელის ხეობაში, ნაეკლესიევიწყლის ძირში (ფუტიეთი).

**კოხინჯრობა//საკოხინჯრო** – მინდორი ავალიანისკარზე. „დიდი მინდორია. 21 მაისს აქ ტარდებოდაა კოხინჯრობა. მოდიოდა სამთისი, ბარი, მრავალძალი, ფუტიეთი, ველევი, ბეთლევი, ზემო კრიხი, ზემო სხვავა. ამ დღეს პირველად მოდის სეტყვა“ (ზემო სხვავა).

**კრიხი** – ერქვა სოფელს, რომელიც დღეს წარმოდგენილია სამ სოფლად: ზემო კრიხი, ქვემო კრიხი, შუა კრიხი. გადმოცემა: კრიხში ესახლნენ ებრაელები და ჰქონდათ სავაჭრო ცენტრი. კრიხელი მათი გვარია.

**კრიხულა** – მდინარე, რიონის მარცხ. შენაკადი ქ. ამბროლაურში. სიგრძე – 15,5 კმ., აუზის ფართობი 134,6 კვმ$^2$ სათავე აქვს რაჭის ქედზე, ზ.დ. 1450 მ· საზრდოობს წვინის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით (ქსე, ტ. 6). გაივლის ქვემო სხვავას. სახელი დარქმევია სოფ. კრიხის მიხედვით. ვახუშტი ბაგრატიონის "აღწერაში" აღნიშნულია: "მოერთვის რიონს სამჴრიდანვე კრიხულას მდინარე, რომელი ისახელა დაბის კრიხისაგან. გამოსდის საღორისა, ნაჯიხურევისა და საწალიკის მთას, მოდის ჩდილოთ კერძოდ" ("ქ.ცხ.", IV, გვ. 763) (შუა სხვავა, ქვემო სხვავა, შუა კრიხი, ზემო კრიხი და სხვ.). ჰიდრონიმი წარმოქმნილია სოფლის სახელზე -ურა ჰიდროფორმანტის დართვით (რაც ფართოდაა გავრცელებული დას. საქართველოს რეგიონებში): კრიხი > კრიხურა > კრიხულა. გიულდენშტედტის მოგზაურობის აღწერაში დასახელებულია **კრიხურა** ფორმით. ეს ვარიანტი ზოგი სოფლის მცხოვრებთა მეტყველებაშიც იხმარება.

**კრიხულა** – წყარო გორისუბანში (მოტყიარი).

**კრიხულაპირი** – სამოვარი ქვემო სხვავაში, კრიხულის ნაპირას (შუა სხვავა).

**კრიხურა** – მდინარე. იხ. კრიხულა (ზემო კრიხი).

**კრო(უ)ბანი//ვარდისუბანი** – ფერდობები გორისტევის კალთაზე, გორგიაშვილებში. როგორც ჩანს: რკოუბანაი > კროუბანი (ბეთლევი).

**კუბლაშვილების უბანი** – უბანი კრიხულის მარჯვ. მხარეს. აქაა დიდყანა, დონაური, ბუზაურა (ქვემო კრიხი).

**კუთილიკების უბანი** – უბანი მალონას წყალთან, აგარის საზღვრის სიახლოვეს (ჭელიაღელე).

**კულიყელა** – სამოვარი. იგივე ბატონიყანა (ზემო კრიხი, შუა სხვავა).

**კუპრიელა** – ტყე საღანძილესა და ეკლარას შუა, კდისუბანში (ხიმში).

**კუპრიკოდი** – მაღალი მთა ლუხუნ-საკაურის წყალგამყოფზე, ლუხუნის მარცხ. მხარეს, ონის რ-ნის საზღვართან. დასცქერის ურავს, გადამშს, ჭვებარს (ურავი).

**კურდღელა** – ტყე ყრუაშვილების უბანში, აშხაპირაღელის მარცხ. მხარეს (ხოტევი).

**კურიწყარო** – წყარო რიონის მარჯვ. ნაპირზე, ბარაკონის სიახლოვეს (წესი).

**კუროეთი** – სალოცავი, სასაფლაო კანაფეურის უბანში (სადმელი).

**კუტაილაახო** – სათიბი ნიკორწმინდის საზღვართან (ჭელიაღელე).

**კუჭისწყალი** – წყარო ქვატაძეებში. "სვამენ და კუჭს უხდება" (შუა სხვავა).

**კუჭუხიძის წყალი** – წყარო მოტყიარის საზღვარზე (ნიკორწმინდა).

## ლ

**ლაბიჩაური//ნაბიჩაური** – საძოვარი ლემანეურში (კაჩაეთი).

**ლაბიჩაურის წყალი** – წყარო ლემანეურში, ლაბიჩაურთან (კაჩაეთი).

**ლადიკოს ახო** – სათიბი. ეკუთვნოდა ვლადიმერ დოხნაძეს (ნიკორწმინდა).

**ლადიმერის ყანა** – სახნავი ჩონიშში (მუხლი).

**ლადოს ნამოსახლი** – სახნავი დოხნაძეებში (კაჩაეთი).

**ლავრენტის ბაღი** – ბაღი ერისთავების უბანში (გორი).

**ლაზმაური//ნაზმაური** – 1. სახნავი ვაკებოსტანაში, რიონსა და საჯვარეს შუა (ბოსტანა); 2. სახნავი სოსაურის მარცხ. მხარეს, გორვანს ზემოთ (ძირაგეული).

**ლათაშური** – საძოვარი ლათაშურის წყლის ხეობაში. ადრე აქ სვანების დასახლება ყოფილა (ურავი).

**ლათაშურის წყალი** – მდინარე, მოედინება წყალმაჭრიდან, ჩაუვლის ლათაშურს და ერთვის ლუხუნს

მარჯვ. მხრიდან. იშვიათად ლათაშურსაც უწოდებენ ამ მდინარეს (ურავი).

**ლაიშვილები** – უბანი კახეთელიძეებსა და მემანიშვილებს შუა (გორი).

**ლაკვა** – სახნავები გოგილაძეების დას-ით, ჯობენაურამდე (უყეში).

**ლაკლაკაური** – საძოვარი, გორა სოღლოქედის ჩრდ-ით, დიდი ჩორჯოს საზღვართან (ზოსტანა, ღვიარა).

**ლაკლაკაურის ღელე** – ღელე დ. ჩორჯოს საზღვართან (ზოსტანა).

**ლანდიის ზვრები** – სახნავ-სათიბები საჯვარის ზემოთ. რესპ. გ. სხირტლაძე: „ლანდიას ეკუთვნოდა. მოსული გვარი იყო. მოვსწრებივარ, სტალინთან მეგობრობდა“ (ხიმში).

**ლანდიის ციხე//მიქელაძის ციხე**– ნაციხარი, რომელიც უყიდია ლანდიას. მდებარეობს სვანებისა და გიორგობიანების უბნების თავზე (ხიმში).

**ლას(ი)ტაღელე** – ღელე, კაჩაეთის საზღვართან, ხოტეურის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს ლამანეურის მთიდან (ჭელიაღელე).

**ლატანადიდღელე** – ტყე და ღელე, რომელიც ნაეკლესიევის მთის ძირიდან გაედინება სოფელ ახალსოფლისაკენ და რიონისაკენ. ტყე ეკუთვნოდა ლატანა დოხნაძეს (ხოტევი).

**ლატოკი** – ქვის ჯებირი ღვიარაღელეზე. „აქ რუსმა სამხედროებმა ღვიარაღელე გადაკედლეს 2 მ სიმაღლის ჯებირით და ზედ გზა გაიყვანეს. ესაა ლატოკი. მის ძირასაა წყარო“ (ზოსტანა).

**ლატოკის წყალი** – წყარო ღვიარაღელის ნაპირზე, ლატოკთან (ზოსტანა).

**ლაფიცხარი//ნაფიცხარი** – საძოვარი ქაჯიანის სათავესთან. ფიცხელი, აღნიშნავს მზიან ადგილს (ურავი).

**ლაქაშუანი** – სახნავები რიონის ჭალაში, გოგობერიშვილების უბნის გვერდით (კვაცხუთი).

**ლაღვია//ლეღვია** – ვენახი ძირაგეულის საზღვართან. რესპ.: „ძირაგეულში უფრო ლაღვიას იტყვიან, სადმელში კი – ლეღვიას, თუმცა კი ლაღვია უფრო სწორია“ (სადმელი).

**ლაშაურა** – სახნავი თევზაძეებში (გორი).

**ლაშე(ები)** – ტყე-ფერდობი ლაშითავის ღელის მარცხ. მხარეს, ჯანგიძეებში (ზოსტანა).

**ლაშეები** – სათიბი. იგივე ბლაშე(ები) (სადმელი).

**ლაშია –** სათიბი ფერდობები ლემანეურის გვერდით. იყოფა: ზედა ლაშია, გაღმა ლაშია, გამოღმა ლაშია (კაჩაეთი).

**ლაშია//ლაშიეები** – ღელე, შარაბიძეების წყლის შენაკადი. მოედინება კობახიძეებიდან (ხოტევი).

**ლაშიგვერდი** – სახნავი. იგივე (ბ)ლაშიგვერდი (ქვედა თლუღი).

**ლაშიეები** – ღელე. იგივე ლაშია (ხოტევი).

**ლაშითავი** – ლაშითავიღელის ხეობა ჯანგიძეებიდან სათავემდე (ზოსტანა)

**ლაშითავი(ს)ღელე –** ღელე ჯანგიძეებში (ზოსტანა).

**ლაშხები//ლაშხების უბანი** – უბანი ბაციკაძეებსა და ენუქიძეებს შუა (კვირიკეწმინდა).

**ლაშხების ნამოსახლი** – ნასახლარი. რესპ.: „აქ დასახლებულა აქაური ლაშხების წინაპარი, მე-15 ს-ში ლაშხეთიდან ჩამოსული“ (კვირიკეწმინდა).

**ლაშხების უბანი** – უბანი. იგივე ლაშხები (კვირიკეწმინდა).

**ლაშხიას ტყე** – ტყე ველევის საზღვართან (კვირიკეწმინდა).

**ლაჩინარი** – საძოვარი რუსათავესთან (შხივანა).

**ლაჩინისღელე** – ტყე ლიშკართის გვერდით და ღელე – ჭალის მარცხ. შენაკადი. ჩამოედინება საურმისწვერიდან (ზემო სხვავა).

**ლებანეური** – მინდორი მიქაუტაძეების უბნის თავზე, მოტყიარის საზღვართან. სახელწოდებას უკავშირებენ გვარ ლებანიძეს (ზნაკვა).

**ლევანას ახო** – მინდორი კაცითავასთან (მუხლი).

**ლევანას სათიბი** – სახნავი ბუღნარასა და ჭარელას შუა (ზედა თლუღი).

**ლევანას ტყე** – ტყე გძელიურის სიახლოვეს, ხოტეურის მარცხ. მხარეს (ახალსოფელი).

**ლევანტიას კლდე** – კლდე აბუთიძეებში, ლეონტი აბუთიძის სახლთან (აგარა).

**ლეკვემურ(ებ)ი//ლექვენური//ლექვემური** – ვენახი ღვიარაღელის მარჯვ. მხარეს, გორელებსა და ჯანგიძეებს შუა (ბოსტანა, ღვიარა).

**ლეკიბეჩო** – მთა-სათიბები სოფლის ჩრდ-ით, ფეხისაბანის სათავესთან. ებმის ქენჩეხს (შხივანა).

**ლეკნარი** – 1. სათიბი ველტყევში, დარანის გზაზე (შუა სხვავა); 2. საძოვარი ნაფარახევსა და ოთხზიარს შუა, ცხრათავას ღელის მარცხ. მხარეს (შუა კრიხი); 3. ტყე სადმელის საჯოგეში. რესპ.: „ლეკი დიდი ხეა, ფოთლოვანი“ (კლდისუბანი); 4. ტყე საწალიკეში, გასაყარსა და ღვლერჭიწყვეტიას შუა (ზედა თლუღი)

**ლეკნარი//(მ)ზეწვერია** – საზოვარი წმ. გიორგის მთის კალთაზე (ნიკორწმინდა).

**ლელიეთი** – სახნავი გორაქეტყესთან (უყეში).

**ლემანეული//ლემანეური//ლემანოური//ნამანეული//ნემანეული//ნემანეური** – მთა–საძოვრები ხოტეურა–ზნაკურას წყალგამყოფზე, სადაც რამდენიმე სოფლის საზღვარია. რესპ.: „ლემა შხამიანი ბალახია, რომელიც ამ ადგილებში იზრდება“ (ნიკორწმინდა, კაჩაეთი, ხოტევი, მოტყიარი). შეუძლებელი არაა: ნამანევი (მოსაზღვრე სოფელია) > ნამანეური (ნამანეურის კუთვნილება) > ნემანეული > ლემანეული > ლემანეური

**ლემანეულის მთა** – მთა. იგივე ნამანეულის მთა (ნიკორწმინდა).

**ლემანეულის სასაფლაო//ნაპარასკევა** – სასაფლაო მუხაძეებში (ნიკორწმინდა).

**ლემანეური** – მთა–სამოვრები. იგივე ლემანეული (კაჩაეთი, ნიკორწმინდა).

**ლემანეურის ღელე –** ღელე, დიდღელის მარცხ. შენაკადი (კაჩაეთი).

**ლენწოფი** – სამოვარი. იგივე ლუნწუფი (ჭელიაღელე).

**ლენჭყები//ნიკიტაშვილების სათიბი** – სათიბი შხროსუბანში (ნიკორწმინდა).

**ლენჭყი** – 1. სახნავები პეტრიაშვილების უბანსა და ლემანეურში (კაჩაეთი); 2. სახნავი გაღმაჭალასა და დონაურას შუა (ჭელიაღელე); 3. სახნავი დაბლა აგარაში (აგარა); 4. ტყე ნატბაურის თავზე (კვირიკეწმინდა). ლენჭყი ეწოდება ტყეებს ან სამოვრებს ფუტიეთში, შუა კრიხში, ზედა თლუღში, ზნაკვაში და სხვ.

**ლენჭყის წყალი** – წყარო, ცხრათავას სათავე (შუა კრიხი).

**ლეჟავები** – ტყე სალოს მთაზე (ახალსოფელი).

**ლეჟავების სათიბი** – სათიბი. იგივე სალეჟავო (სხარტალი).

**ლეჟავების ცაცხვი** – ცაცხვი. იგივე ქრისტინა ლეჟავას ცაცხვი (წკადისი).

**ლერდიში** – სამოვარი ქვათაძეებში (შუა სხვავა).

**ლერწყვეტია** – ტყე. იგივე ღვლერჭიწყვეტია (ზედა თლუღი, ხოტევი).

**ლექვემური –** ვენახი. იგივე ლეკვემურ(ებ)ი (ღვიარა, ბოსტანა).

**ლექვენური** – ვენახი. იგივე ლექვემური (ღვიარა, ბოსტანა).

**ლეღვია** – ვენახი. იგივე ლაღვია (სადმელი).

**ლეშქებიანი** – სახნავი საფიჩხიის კალთაზე, რუგანთან. ლეშქი იგივეა, რაც შქერი, წყავი (ლიხეთი).

**ლეჩხუმელის ტყე** – ტყე ბურშების სიახლოვეს (ახალსოფელი).

**ლია//ლიეები** – სახნავები, ბორცვი ჭელიძეებში (კლდისუბანი).

**ლიეები** – სახნავები. იგივე ლია (კლდისუბანი).

**ლიკორწმინდა** – სოფელი. იგივე ნიკორწმინდა (ნიკორწმინდა).

**ლირსა** – 1. საბანაო რიონზე, ჭალიტყესთან (წესი); 2. სახნავი ლუხუნის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ლირსა არის ძალიან წვრილი ქვიშა. იტყვიან, წყალმა მოლირსაო“ (აბარი); 3. სახნავი ხუციშვილების უბანში, ლუხუნის ნაპირზე. "ლირსა არის სილა, შლამი. წყალი ტოვებს" (ლიხეთი).

**ლირსა//ლირსები** – ვენახი ლაქაშუანის გვერდით (კვაცხუთი).

**ლირსები** – ვენახი. იგივე ლირსა (კვაცხუთი).

**ლიშკართა//ლიშქართა** – ტყე ლაჩინის ღელის გვერდით. „უწინ სახნავი ყოფილა და კარტოფილი ითესებოდა. ერთი ასეთი ლექსიცაა: „საურმისწვერისკენ გახედვა, ლიშკართას ჭოტის კივილი, მათრახის ტლაშატლუში და თივის ურმების ჭრიალი“ (ზემო სხვავა).

**ლიშქართა** – ტყე. იგივე ლიშკართა (ზემო სხვავა).

**ლიხეთი** – სოფელი და თემის საკრებულოს ცენტრი (იხ. ნაწილი პირველი).

**ლიხეთის სატყეო** – ერქვა სატყეო უბანს გუგუშურის ღელიდან წესის საწისქვილო ღელემდე. ამის ზემოთ ლუხუნის აუზში (ლეჩხუმის ქედის კალთების ჩათვლით) არის ურავის სატყეო (ლიხეთი).

**ლიხნარა** – მინდორი საკაურისა და ლუხუნის წყალგამყოფზე, ჩაუდის უხტუნის ღელე. „ლიხი ბალახია ერთგვარი” (ურავი).

**ლობიოხეები** – ტყე ჯანგიძეების უბნის განაპირას. „ლობიოხე არის აკაცია. ისხამს პარკებს“ (ბოსტანა).

**ლობჟანიძეების მინდორი** – მინდორი ლუხუნის მარცხ. მხარეს (აბარი).

**ლოდომისი** – თიხნარი გურგენიძეებში, ჭელიაღელის საზღვარზე. რესპ.: „ომის დროს აქაურ თიხას თავსაბანად ხმარობდნენ“ (ნიკორწმინდა).

**ლომკაცზვარი –** ვენახი არჩვაძეების თავზე, დანიელას ღელის ნაპირას. საზიარო ქვემო ბართან (ხიმში).

**ლორჩინო//კალიტეს ყანა** – სამოვარი ღვიარაღელის მარცხ. მხარეს, გველაურის გვერდით (ბოსტანა).

**ლოყნარი** – სახნავი სერულის მარჯვ. მხარეს. ლოდებიანი ადგილია (ლიხეთი).

**ლუბას წყარო** – წყარო ველიმწვანეში (ქვედა თლუღი).

**ლუგნარი** – სამოვარი ხიმშის მთის კალთაზე, სირაძეებში (ხიმში).

**ლუგნარის წყალი** – ღელე, დანიელას ღელის შენაკადი. რესპ.: „უნდა იყოს ნუგბარწყალი, რადგანაც კარგი სასმელი წყალია“ (ხიმში).

**ლუკაყანითავი** – სახნავი, საფერიგვერდის თავზე, ბეთლევის საზღვართან (ველევი).

**ლუკიავაკე** – სამოვარი ლუხუნის მარჯვ. მხარეს, სოფლის ზემო ნაწილში (ურავი).

**ლუკიას სათიბი** – სათიბი ვაკენაძვნარში (ნიკორწმინდა).

**ლუკიას წყალი** – წყარო ვაკენაძვნარში (ნიკორწმინდა).

**ლუნწუფი//ლენწოფი** – სამოვარი მაჭავარიანების უბნის თავზე, (ჭელიაღელე, ნიკორწმინდა).

**ლუნწუფის ტყე** – ტყე ლუნწუფში (ნიკორწმინდა).

**ლუსკუმელა** – 1. სახნავ-სათიბები ჩონიშურის მარცხ. მხარეს. ჩავარდნილი ადგილია (მუხლი); 2. ტყე მაისაშვილების მთაში. "ჩაფარული ტყეა, კაცი დაიკარგება. ამიტომაა ლუსკუმელა" (წესი).

**ლუქშური** – სამოვარი წესურის მარჯვ. ნაპირზე (წესი).

**ლუხუმი//ლუხუნი** – მდინარე, რიონის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ფასის მთიდან (ურავი, აბარი, ლიხეთი, წესი).

**ლუხუნგაღმა** – ვაკე-ფერდობები ლუხუნის მარცხ. მხარეს (აბარი).

**ლუხუნგაღმა კედელა** – სერი. იგივე კედელა (აბარი).

**ლუხუნგაღმა მინდორი** – სამოვარი ლუხუნგაღმაში (აზარი).

**ლუხუნი** – მდინარე. იგივე ლუხუმი (აზარი, ლიხეთი, ურავი, წესი).

**ლუხუნის მაღაროები** – მაღაროები ლუხუნის ზემოთში. მოიპოვება დარიშხანი (ურავი).

**ლუხუნის მთა** – მთა ლუხუნის სათავესთან. ებმის ფასის მთას (ურავი).

**ლუხუნის სათავე** – ღელე და სათიბ-სამოვრები ლუხუნის სათავესთან. იხ. საკირეს ღელე (ურავი).

**ლუხუნის სათიბი** – სათიბი ლუხუნის სათავეში (ურავი).

**ლუხუნის ხიდი** – ხიდი ლუხუნზე, ამბროლაური-ონის გზაზე (წესი).

## მ

**მაგარასქვეშ** – სახნავი ხოტევის საზღვართან, კალოს ქვემოთ. მაგარა მსხლის ჯიშია (წკადისი).

**მადლიანწყარო** – წყარო ნაჯიხურების გზასა და ობოლქვას შუა (ურავი).

**მადნის ღელე** – ღელე. ლუხუნის მდგენელი. იხ. საკირეს ღელე (ურავი).

**მაედანი//მაიდანი** – ვაკე დოხნაძეებში (ნიკორწმინდა).

**მაედნისყური//მაიდნისყური//მოედნისყური** – სახნავი კიკვაძეების უბანში (საკეცია).

**მათვალიშვილისეული** – სახნავი არჩვაძეებში. მათვალიშვილი არჩვაძეების ერთ-ერთი ბაბუიშვილობაა (ფუტიეთი).

**მათიკანატეხი** – სათიბი საწალიკეში, საყინულის სიახლოვეს (ქვედა თლუღი).

**მაიას მინდორი** – სათიბი მიწორეთაში (ზემო კრიხი).

**მაიდანი** – ვაკე. იგივე მაედანი (ნიკორწმინდა).

**მაიდანის სასაფლაო** – სასაფლაო მაიდანში. აქ ჰქონდათ სამარხი კანდელაკებს, შავლაძეებს, გურგენიძეებს, ვაჩაძეებს და სხვ. (ნიკორწმინდა).

**მაიდნისყური** – სახნავი. იგივე მაედნისყური (საკეცია).

**მაისაურა** – ვენახი საზრავალძლოში, არჩვაძეებისა და ჭიჭინაძეების შემოგარენში (ხიმში).

**მაისაშვილების მთა** – მთა თხიზურგის კალთაზე, წესურის მარცხ. მხარეს (წესი).

**მაისაშვილების უბანი** – უბანი. იგივე ზედა წესი (წესი).

**მაისაშვილის ყოფილი** – ვენახი კდისუბანში (ხიმში).

**მაისურაულები** – ვენახი, რომელიც მაისურაძეებს ეკუთვნოდა (მირაგეული).

**მაისურაძის ყანა** – სამოვარი ჩალაძეების უბანში (ურავი).

**მაკრინეს შურო** – შურო კობახიძეებში (ნიკორწმინდა).

**მალაქშანიძეების უბანი** – უბანი გოქსაძეების უბნის თავზე, ვაკეწვერის კალთაზე (ლიხეთი).

**მალონაახო** – წყარო მოხვარეულში (აგარა, უყეში).

**მალონას წყალი//მალონას წყარო** – წყარო ნარძიღელის ნაპირზე, ქვედა აბუთიძეებში. აღმოუჩენია ქალს, მალონა ბიბილაშვილს (ჭელიაღელე, აგარა).

**მამაისი//ნამაისი** – გორა ლაშეთავის ღელის მარცხ. მხარეს, ჯანგიძეებსა და ყიფიანებს შუა (ბოსტანა).

**მამლი(ს)ყიულა** – კლდე–ლოდი რიონის მარჯვ. ნაპირზე, მუხლის ხიდის ზემოთ 100 მ-ზე. რესპ. მ.გოგობერიშვილი: „ლოდს ღრმა ორმო აქვს და იქ ყოველთვის წყალი დგას. გვალვისას ორქმარგანაშვები, უშვილძირო ქალი დილით ადრე უნდა ადგეს და აქ მოვიდეს უბრად, გაიხადოს ნიფხავი, ჩადოს ორმოში და ამოაქციოს წყალი. ეს უნდა გაკეთდეს მამლისყივილამდე. სამ-ოთხ დღეში აუცილებლად გაწვიმდება. ზოგი იმასაც ამბობს, წყალი ძველი ქალამნით უნდა ამოაქციონო" (წესი).

**მამუკი(ა)ს წყალი** – წყარო სოფლის დას. ნაწილში (ზედა თლუღი).

**მამუკიანთები** – მიკროუბანი ოტიანახულევში (ურავი).

**მან(დ)იქაური** – სამოვარი ღვიარაღელის მარცხ. მხარეს, ჭიმაჭაურის წყლის ნაპირზე (ღვიარა).

**მანდო(ები)** – სამოვარი ღელისუბანში, გვიმრალის გაგრძელებაზე (ღვიარა).

**მანიკაური** – სახნავი და ღელე _ ჭალის შენაკადი. მანიკაურის მარცხ. მხარესაა გაღმა არჩვაძეები, ხოლო მარჯვ. მხარეს – გამოღმა არჩვაძეები (ფუტიეთი).

**მანჭუხელა** – ტყე დონაძეების თავზე. რესპ.: "უმზეო და მოჭმუხნული ტყე-ხევია. ამიტომ დაერქმეოდა" (ხიმში, გორი).

**მანჭუხელას ღელე** – ხევი, ღელე, რიონის მარცხ. შენაკადი ჭინჭაურის ჭალაში. გაედინება დონაძეებსა და არჩვაძეებს შუა (ხიმში).

**მაღალშურო** – ტყე გიორგობიანების შემოგარენში (ხიმში).

**მარანა** – სამოვარი ნეფარიგორის ჩრდ.-დას-ით (შუა სხვავა).

**მარგველაძეების უბანი** – მიკროუბანი კანაფეურის უბანში (სადმელი).

**მართას ყანა** – სახნავი საკვირაოს გვერდით (კვირიკეწმინდა).

**მარიას წყარო** – წყარო სალხინოში, მთავარანგელოზის ეკლესიის ქვემოთ (ქვედა თლუღი).

**მარილა** – სამოვარი კოდისწყალსა და წვერებს შუა (შუა სხვავა).

**მარინას წყალი//გერასიმეს წყალი** – წყარო. გერასიმე შვილს ერქვა, მარინე – დედას (მოტყიარი).

**მარინიკის ახო** – სათიბი. რესპ.: "მარინიკი ქალის სახელია. ამ ქალს აქ ახო გაუკეთებია და კარტოფილი დაუთესავს" (ზნაკვა).

**მარკოზასეული** – სათიბი ლუხუნის მარცხ. მხარეს (ლიხეთი).

**მარკოზას ყანა** – სახნავი ზემო მაცაბერიძეებში (ველევი).

**მაროს კაკალი** – ძველთაძველი კაკლის ხე ლაშხებში. სანახშოსთან (კვირიკეწმინდა).

**მარტოხელა** – ტყე საელიოს დას. ნაწილში. რესპ.: „მხოლოდ ხელით ჩამოჰქონდათ შეშა სოფელში. ზოგი იმასაც ამბობს, რომ მარტო-მარტო ჩამოჰქონდათ და ამიტომ დარქმევია“ (კვაცხუთი).

**მარცხენა კაპი** – მდინარე, კაპის მდგენელი. იხ. კაპი (სადმელი).

**მარჯვენა კაპი** – მდინარე, კაპის მდგენელი. იხ. კაპი (სადმელი).

**მატყუარა სერი** – გადასასვლელი ფორიის ქედზე. ინფ.: "ამ ქედზეა გადასასვლელი ხეობაში. გზა ბევრია და აუცილებლად დაიბნევი, მოტყუვდები" (ლიხეთი).

**მაქსიმეების უბანი** – მიკროუბანი დოხნამეებში (ჭელიაღელე)

**მაქუდური** – კლდე მაიას მინდორსა და ქვიშნარს შუა. „კლდეა გადმოყუნტული და ამიტომაა მაქუდური“. მაქუდური, როგორც ცნობილია, იმერეთში (და სამეგრელოშიც) გავრცელებული სიტყვაა და აღნიშნავს სახლის წინ ან გვერდით გადმოხურულს (ზემო კრიხი, კვირიკეწმინდა).

**მაღალ(ი)ტყე** – ტყე-სერი მიქაუტაძეების ტყესა და სილაკდეს შუა, მოტყიარის საზღვარზე (ზნაკვა).

**მაღალა** – სამოვარი საჩქეფის თავზე, ღოდოეთის ღელის მარჯვ. მხარეს (შუა კრიხი).

**მაღალა//მაღალტყე** – ტყე ველევის საზღვართან. მაღალი ხეები დგას (კვირიკეწმინდა).

**მაღალაშვილების უბანი** – უბანი ზემო სხარტალში. მაღალაშვილი შერქმეული სახელია. გვარად კობახიძეები არიან (სხარტალი).

**მაღალახო** – 1. სამოვარი ზედა უბანში, წვერის კალთაზე (ლიხეთი); 2. სამოვარი ჭალის მარცხ. მხარეს, სერზე, ნინოწმინდასთან (ზემო სხვავა); 3. სახნავი ყიყვის მარჯვ. მხარეს (აბარი). 4. ტიტველი ადგილი გორდეგზის ქვეშ (კვაცხუთი).

**მაღალიშვილის სათიბი** – სათიბი საწალიკეში. „მაღალაშვილები“ კობახიძეების სიგელია (ზედა თლუღი).

**მაღალტყე** – ტყე. იგივეე მაღალა (კვირიკეწმინდა).

**მაღალყანა** – ტყე-მინდვრები ბარულის მარჯვ. მხარეს, კოდეების გვერდით (აბარი, ლიხეთი).

**მაყვლიანა//უსტინეს მაყვლიანა** – სათიბები ლემანეურში (მოტყიარი).

**მაყვლიანის ღელე** – ღელე მაყვლიანაში, უერთდება ბიძინაურის წყალს (მოტყიარი).

**მაყვლიანის წყარო** – წყარო მაყვლიანაში (მოტყიარი).

**მაჩაიძეები//მაჩაიძეების უბანი** – უბანი გონაძეების უბანსა და კობერიძეების უბანს შუა, ფუტიეთისკენ მიმავალ გზაზე (ზემო სხვავა).

**მაჩაიძეების უბანი** – უბანი. იგივე მაჩაიძეები (ზემო სხვავა).

**მაჩაიძეების წყალი** – ღელე. იგივე ტირიფების ღელე (ზემო სხვავა).

**მაჩანალია** – საძოვარი ორმჟავეწყალთან. მაჩა კაცის სახელია. ნალია სასიმინდეა (ურავი).

**მაჩვისწყალი** – საძოვარი ქვემო სხვავაში, არჩვაძეების უბანში (შუა სხვავა).

**ნაცერცვალი** – მინდორი კდისუბანში, ფეტაურასთან (ხიმში).

**ნაცვდენი** – 1. ტყე გოცირიძეების თავზე. რესპ.: „ნაცვდენი ეწოდება გადაჩეხილ, გადაბელილ ტყეს“ (იწა); 2. ტყე დიდღელეში, საელიოს კალთაზე. რესპ.: „ნაცვდენი გადაჩეხილ-გადაბელილი ტყეა“ (ახალსოფელი); 3. სახნავი

საკვირაოსა და ზედა თლუღს შუა, ბოსტანას გვერდით (ქვედა თლუღი).

**ნაციხვარა** – 1. ნაციხარი, მინდორი ძრაგულასა და ჭეჭუბანს უბანს შუა. ნაციხვარა ეწოდება ნაციხარს მეჭვრეტის თავზეც (ლიხეთი); 2. გორა ეკლესიის ნანგრევებით ლუხუნის მარცხ. მხარეს (ურავი).

**ნაციხვარი** – 1. სახნავი ქვემო სხვავაში, კაციტაძეების უბნის აღმ-ით (შუა სხვავა); 2. ბუჩქნარი მიქაუტაძეებში (ზნაკვა).

**ნაციხურა** – 1. სამოვარი სონკოსოს კალთის ძირას (ღვიარა); 2. გორა ნიკოლაშვილების დას-ით. გორის ქვეშ ჩანს ციხის ნანგრევები (კვაცხუთი).

**ნაცოყანა** – მინდორი ქვემო სხვავაში, მდივნიშვილების უბანში (შუა სხვავა).

**ნაცოცხარი** – ვენახი ჯაფარიძეების უბანსა და მუსერიძეების უბანს შორის (სადმელი).

**ნაძვიმიდორი** – მინდორი სალოსის მთაზე (ხოტევი)

**ნაძვისთავი** – ტყე სამზიარას გვერდით. ნაძვი ამჟამად ახლომახლო არსადაა (ხოტევი).

**ნაძვიყანა** – ტყე სალოცავაღელის მარჯვ. მხარეს (ღვიარა)
.

**ნაძვნარი** – 1. მთა ხეორის მარჯვ. მხარეს (აბარი); 2. ტყე კვირიკეწმინდის საზღვართან (ზემო კრიხი); 3. ტყე საწალიკის მთის კალთაზე (ველევი). ნაძვნარი ეწოდება ტყეებს აგრეთვე ლიხეთში, ნიკორწმინდაში, წესში და სხვ.

**ნაწვავი** – 1. სამოვარი (ხიმში); 2. ტყე მიქაუტაძეების უბნის თავზე (ზნაკვა).

**ნაწვიმარა** – სამოვარი დაბლა მურუსიძეების უბანში (ზნაკვა).

**ნაწისქვილარი** – სამოვარი საწალიკეში, კდისთავის ძირას (შხივანა).

**ნაჭადრევა** – ტყე ობოლაძეებში (შუა სხვავა).

**ნაჭევი** – სახნავი, ჭანჭრობი ველეულის მარცხ. მხარეს (წკადისი).

**ნაჭევის წყარო** – წყარო-ნაკადული ნაჭევში (წკადისი).

**ნაჭიშკრება//ნაჭიშკრევა** – სამოვარი ხეორის მარჯვ. მხარეს (ლიხეთი).

**ნაჭიშკრევა** – სახნავი. იგივე ნაჭიშკრება (ლიხეთი).

**ნაჭოფი** – სახნავი ღელიასთან (ზემო კრიხი).

**ნახაპარა** – 1. ნავენახარი კლდის ძირას, რიონის მარცხ. ნაპირზე, ხიდთან. რესპ.: „შამადავლე ნადირობდა, ნახა დედა-შვილი და თქვა: ნახა პარაო“. სინამდვილეში: ხაპი "კვახი" > ნა-ხაპ-არ-ი "ნაკვახარი (ადგილი)" (მუხლი); 2. სახნავი ხეორის მარცხ. მხარეს, გიორგობიანების უბნის თავზე. ხაპი კვახია (ლიხეთი).

**ნახელგულევი** – სახნავი. იგივე ნახულუგევი (ველევი).

**ნახელუგევი** – სახნავი. იგივე ნახულუგევი (ველევი).

**ნახიდარი** – სამოვარი კრიხულის ნაპირზე, ისაკაძეების უბანში (ქვემო კრიხი).

**ნახიდვარი** – ნახიდარი რიონზე, ახალხიდის ზემოთ 1 კმ–ზე (მუხლი).

**ნახიდურა** – სახნავი გარჯილაში, სხარტულის ნაპირას (ველევი).

**ნახიზარები** – ბუჩქნარი დიდ(ი)კდის ძირას (მოტყიარი).

**ნახიზარევი** – სამოვარი კდისთავის ძირას. რესპ.: „ჭირიანობის დროს ხალხი აქ იხიზნებოდა“ (შხივანა).

**ნახორვალა** – ვენახები მელაშვილების უბანში (ლიხეთი).

**ნახორველი** – ტყე. იგივე ნახორლები (ურავი).

**ნახორლები//ნახორლევი//ნახორველი** _ ტყე ლუხუნისა და ჩიჩარულის მარცხ. მხარეს (ურავი).

**ნახორლევი** – ტყე. იგივე ნახორლები (ურავი).

**ნახულუგევი** – სამოვარი ავაზანის გვერდით. ხულუგო ხორბლის ჯიშია (შუა კრიხი).

**ნახულუგევი//ნახელუგევი//ნახელგულევი** – სახნავი გოქსაძეებში. ხულუგო რაჭულში უფხო თავთავიანი ხორბალია. ნახელგულევი გადააზრების შედეგია (ველევი).

**ნაჯიხურები** – გორა, სასაფლაო ხეორის მარჯვ. მხარეს, მელაშვილების უბანში (ლიხეთი).

**ნაჯიხურები//ნაჯიხურევი** – მთა ტყე-საძოვრებით ლუხუნის მარჯვ. მხარეს, ოტიანახულევის თავზე (ურავი).

**ნაჯიხურების წყალი** – მჟავე წყალი ნაჯიხურებში, სახაროზე (ურავი).

**ნაჯიხურებისთავი** – სახნავი ნაჯიხურების თავზე (ლიხეთი).

**ნაჯიხურევი** – მთა. იგივე ნაჯიხურები (ურავი).

**ნაჯოგ(ვ)არა** – მთა ხეორის სათავესთან (ლიხეთი).

**ნაჯოგრისწყალი** – ღელე, ხეორის მარჯვ. შენაკადი. ჩამოედინება ზერიქვაბიდან (ლიხეთი).

**ნებულიშვილები//ნებულიშვილების უბანი** – უბანი კაჩაეთის საზღვართან. ცხოვრობენ ნებულიშვილები (ნიკორწმინდა).

**ნებულიშვილებისკარი** – სანახშო ნებულიშვილების უბანში (ნიკორწმინდა).

**ნებულიშვილების უბანი** – უბანი. იგივე ნებულიშვილები (ნიკორწმინდა).

**ნებულიშვილების ყანა** – სათიბი ნებულიშვილებში (ნიკორწმინდა).

**ნეკენჩხალი** – წყარო. იგივე ნეკერჩხალი (ქვედა თლუღი)

**ნეკერჩხალი//ნეკენჩხალი** – წყარო ღარისუბანში (ქვედა თლუღი)

**ნემანეული** – მთა–საძოვრები. იგივე ლემანეური (ხოტევი, კაჩაეთი, მოტყიარი).

**ნემანეული//ნემანეური** – საძოვარი კრიხულის მარცხ. მხარეს, ზემო კრიხის გზის დასაწყისში (ქვემო კრიხი).

**ნემანეულის გზა** – გზა. მიემართება ნამანევში (ნიკორწმინდა).

**ნემანეულის მთა –** მთა. იგივე ნამანეულის მთა (ნიკორწმინდა).

**ნემანეური** – 1. სამოვარი. იგივე ნემანეული (ქვემო კრიხი); 2. სერი. იგივე ლემანეული (ხოტევი, კაჩაეთი, მოტყიარი, ნიკორწმინდა).

**ნემსიწვერიძეების წყარო** – წყარო ქემოკლიძეებში (ახალსოფელი).

**ნერგეულა** – სახნავი გორდიაშვილების შემოგარენში (კაჩაეთი).

**ნესტორ დვლის გამოქვაბული** – გამოქვაბული ჭელიშის უდაბნოში, შარაულის მარჯვ. მხარეს. რესპ.: "ზერი ნესტორ დვალი ზაფხულობით ამ გამოქვაბულში ცხოვრობდა, ზამთრობით კი აფხაზეთში გადადიოდა" (ნიკორწმინდა).

**ნესტორას ყანა** – მუხის ტყე ბარსონიძეებსა და კვატაშიძეებს შორის (ხიმში).

**ნესტორიეს კდე** – კლდე, სადაც ნესტორის გამოქვაბული მდებარეობდა (ნიკორწმინდა).

**ნესტორის ახო** – სახნავი. იგივე ზურაბის ახო (ზემო კრიხი).

**ნესტორის თამთავა** – ტყე. თამთავას ნაწილი (ზემო კრიხი).

**ნესტორის ყანა** – სახნავი შაორის წყალსაცავის შემოგარენში (ჭელიაღელე).

**ნეფარეულა//ნაფარეულა** – ტყე–მინდვრები საწალიკის სამხრ–ით (კვირიკეწმინდა, ველევი).

**ნეფარეული** – სახნავი. იგივე ნაფარეული (ამბროლაური).

**ნეფარეული//ნეფარიძის ყოფილი –** ვენახი გველესიანების უბანში. რესპ.: „სხვაველ ნესტორ ნეფარიძეს აქ ჰქონია ვენახი“ (ძირაგეული).

**ნეფარიგორა** – ვაკე-ბორცვი ნეფარიძეებში (შუა სხვავა).

**ნეფარიქედი//ნეფარიქეთი** – ქედი ნეფარიძეების უბნის თავზე (შუა სხვავა).

**ნეფარიქეთი** – ქედი. იგივე ნეფარიქედი (შუა სხვავა).

**ნეფარიძეები//ნეფარიძეების უბანი** – უბანი ზემო სხვავის საზღვარზე (შუა სხვავა).

**ნეფარიძეების უბანი** – უბანი. იგივე ნეფარიძეები (შუა სხვავა).

**ნეფარიძეების წყარო** – წყარო ნეფარიძეების უბანში (შუა სხვავა).

**ნეფარიძის ყოფილი** – ვენახი. იგივე ნეფარეული (ძირაგეული).

**ნეფიჭალა** – სამოვარი თომაძეებს ქვემოთ, კრიხულის ჭალაში (გორი).

**ნეფიჭალა//მეფიჭალა** – სამოვარი ლუხუნის ხეობაში, ურავის ცენტრიდან 7 კმ-ზე (ურავი).

**ნიავაძეების უბანი** – უბანი ხეორის მარჯვ. მხარეს, ზედა უბანში (ლიხეთი).

**ნიავისა** – სამოვარი ნეფარიგორასა და ხიმშისთავს შუა. „სულ ნიავი ქრის“ (შუა სხვავა).

**ნიაურები** – ნაკალოვარი სხვავის საზღვართან, პეპელაღელის ზემოთში. რესპ.: „სულ ნიავი ქრის, კალოებიც ამიტომ აქ ჰქონდათ მოწყობილი“ (ხიმში).

**ნიაური** – მინდორი ქედზე, სხვავის საზღვარზე. აქ ტარდებოდა ფერიცვალების დღესასწაული აგვისტოს ბოლოში (მუხლი).

**ნიაურის გორა** – ტყე-ბორცვი სოფლის აღმ-ით, შუა სხვავის მიმართულებით (გორი).

**ნიგვზაური** – სახნავი დვლების უბანში (კაჩაეთი).

**ნიგვზიღელე** – ხევი მელაშვილების მთაზე. ხევში 12 ნიგოზი დგას (წესი).

**ნიკალას ნამოსახლი** – სამოვარი ჭელიძეებში (ახალსოფელი).

**ნიკალას ტყე** – ტყე. იგივე ნასაკირევი (შხივანა).

**ნიკიტაშვილები//ნიკიტაშვილების უბანი** – უბანი შხროსუბანში. "ნიკიტაშვილები კობახიძეების სიგელია" (ნიკორწმინდა).

**ნიკიტაშვილების უბანი** – უბანი. იგივე ნიკიტაშვილები (ნიკორწმინდა).

**ნიკიფორეს ახო** – ტყე გიორგობიანებში (ხიმში).

**ნიკიფორეს სათიბი** – სათიბი ვაკენაძვნარში (ნიკორწმინდა).

**ნიკოლაოსწმიდა** – ნიკორწმინდის ტაძრის უწინდელი სახელწოდება (ნიკორწმინდა).

**ნიკოლაური** – გზა სალოს თავზე (ზნაკვა).

**ნიკოლაშვილები//ნიკოლაშვილების უბანი** – ერქვა უბანს საკვირაოს გვერდით (კვაცხუთი).

**ნიკოლაშვილების უბანი** – უბანი. იგივე ნიკოლაშვილები (კვაცხუთი).

**ნიკოლოზას სათიბი** – სათიბი ნაძვნართან (წესი).

**ნიკოლოზას ყვაპე** – სახნავი ხეორის მარცხ. ნაპირზე, მეჭვრეტს ქვემოთ. ყვაპე რაჭულში აღნიშნავს ჩავარდნილ, ჩაღრმავებულ ადგილს (ლიხეთი).

**ნიკორწმინდა** – ნავენახარი, სახნავი გურგენიძეებში. "ეკუთვნოდა ნიკორწმინდის ეკლესიას" (ნიკორწმინდა).

**ნიკორწმინდა** – სოფელი, თემის ცენტრი. ვარიანტები: ნიკოლაოსწმინდა, ლიკორწმინდა. საბჭოთა პერიოდში სინათლეც ერქვა (იხ. ნაწილი პირველი).

**ნიკორწმინდის ტაძარი** – ტაძარი სოფ. ნიკორწმინდაში. XI საუკუნისაა. სწორედ ამ ტაძარს უძღვნა გალაკტიონმა "ქებათა ქება ნიკორწმინდას" (ნიკორწმინდა).

**ნიკოს ეზო** – საძოვარი ბლუანასა და საელიოს შორის (ზნაკვა).

**ნიკოს კდე** – კლდე სოფ. შარდომეთის საზღვართან, რიონის მარცხ. მხარეს. აქ იდგა დუქანი, რომელსაც ერქვა ნიკოს ქოხი (მუხლი).

**ნიკოს ქოხი** – ერქვა დუქანს. იხ. ნიკოს კდე (მუხლი).

**ნიკოსაკლავა** _ სახნავი სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში, ჯობენაურისა და ჭარხალაურის გვერდით (ჭელიაღელე).

**ნიკოსეული** – საძოვარი დათეშიძეების უბანში (გორი).

**ნიკოსპიჩკას სათიბი** – სათიბი ტრედისუბანში. ნიკო კობახიძე ფიცხი კაცი იყო და ნიკოსპიჩკა შეარქვეს (ნიკორწმინდა).

**ნიკოსხალა** – გზა ჩლაქეურასა და ნასერალას შუა, ქვ. თლუღის საზღვარზე (ზედა თლუღი).

**ნინას ნამოსახლი//ვასილის ნამოსახლი** – სახნავი გოცირიძეების უბანში (იწა).

**ნინიას ციხე** – ნაციხარი რიონის მარჯვ. მხარეს, კოტეჭალის ბოლოში (წესი).

**ნინიკას წყალი** – წყარო ნაძვნართან (წესი).

**ნინიკიას სათიბი** – სათიბი მალონას წყლის თავზე (აგარა).

**ნინოწმინდა** – მინდორი. იგივე წმინდა ნინო (ზემო სხვავა).

**ნიფხავა** – სახნავი. იგივე უსახელო (ზემო სხვავა).

**ნიღრიკა** – სახნავი გაღმა მიქიაშვილების უბანში, ზნაკურის მარჯვ. მხარეს (საკეცია).

**ნიღრიკი(ს)ღელე** – ღელე, ზნაკურის მარცხ. შენაკადი (ზნაკვა).

**ნიჩაური** – სახნავი დოხნაძეებში (კაჩაეთი).

**ნიძგაური** – საძოვარი. იგივე ხარეული (ჭელიაღელე).

**ნობისწყალი** – წყარო ომიაძეების უბანში. რესპ.: „ნობი არის ხისაგან გაკეთებული გრძელი გობი. წყალს აქვს შედგმული, წყალი გროვდება და საქონელი სვამს“ (ძირაგეული).

**ნოდირ(ებ)ი** – სათიბი სამთისის საზღვართან, ეწერს დაბლა (ფუტიეთი).

**ნონიასეული** – ვენახი დონაძეებში (ხიმში).

**ნონიაშვილები** – მიკროუბანი, კაციტაძეების უბნის ნაწილი. ნონიაშვილები კაციტაძეების განშტოებაა (ხოტევი).

**ნონიაშვილების ყანა** – სათიბი აზარულის მარცხ. მხარეს (აზარი).

**ნონიკანაახოვარი** – ტყე ბორიღელის ზემოთში (ზემო კრიხი).

**ნოშრევან კობახიძის წყარო** – წყარო. იგივე კოდის წყალი (სხარტალი).

**ნუნიკას ახო** – სათიბი ბორიღელის თავზე. ეკუთვნოდა ნუნიკა ფონჯავიძეს. აქვეა ნუნიკას მიერ „გაკეთებული“ წყარო „ნუნიკას წყალი“ (ზემო კრიხი).

**ნუნიკას წყალი** – წყარო. იხ. ნუნიკას ახო (ზემო კრიხი).

## ო

**ობელენაღელე** – ღელე. იგივე ობნელას წყალი (ხოტევი).

**ობენელაწყალი** – მდინარე. იგივე ობნელას წყალ (ხოტევი, ქვედა თლუღი).

**ობნელა//ვაბნელა** – ღრმა ხევი ყენდუეთსა და სამღულეთს შუა. „ო, რა ბნელი ნაზრახიაო, უთქვამთ“ (ხოტევი, ქვედა თლუღი).

**ობნელას წყალი//ობელენაღელე//ობენელაწყალი** – მდინარე. გაედინება ობნელადან. ქმნის სამღულეთის წყლის ერთ-ერთ მდგენელს (ხოტევი).

**ობოლაშვილების უბანი** – უბანი ზემო სხვავის საზღვარზე, ჭალის მარჯვ. მხარეს (შუა სხვავა).

**ობოლნაძვი** – სახნავი ნადუქნევის გზაზე, ჩიტიწყაროს თავზე, სოფლის შემოგარენში. ერთადერთი ნაძვი დგას (ზედა თლუღი).

**ობოლქვა** – მთა ტყე-საძოვრებით ლუხუნის მარჯვ. მხარეს. როგორც ჩანს, ობოლქვა თავდაპირველად ერქვა განმარტოებულ ლოდს ამ მთაზე. აქედან ჩამოედინება მადლიანწყარო (ურავი).

**ობოლწვერი** – საძოვარი შუა უბანში. "აქ ყორღანი დგას ობლად" (აბარი).

**ოთარანახულევი** _ სათიბი ოტიანახულევის თავზე (ურავი).

**ოთარაშვილები//ოთარაშვილების უბანი** – უბანი ჩხოტიის გზაზე. ოთარაშვილები კობახიძეების „სიგელია“ (ნიკორწმინდა).

**ოთარაშვილების უბანი** – უბანი. იგივე ოთარაშვილები (ნიკორწმინდა).

**ოთახაგამოქვაბული** – გამოქვაბული დიდკდეში (მოტყიარი).

**ოთია** – სახნავი. იგივე ბოტბოტა (ზემო კრიხი).

**ოთიას წყალი** – წყარო ოთიაში (ზემო კრიხი).

**ოთიკეების ახო** – სამოვარი ჭოხუეთში (ფუტიეთი).

**ოთიკეების ღელე** – შურო ოთიკეების ახოსთან (ფუტიეთი).

**ოთხზიარი** – 1. დავაკება რიონსა და პეპელაღელეს შუა (ხიმში); 2. სათიბი ადამეურის თავზე (ფუტიეთი); 3. სათიბი ბლაშეს ქვემოთ (წკადისი); 4. სახნავი ცხრათავას მარცხ. მხარეს, დიდახოს ქვეშ (შუა კრიხი). ოთხზიარი ეწოდება სახნავებსა და სამოვრებს შხივანაში, ხოტევში, გორში, ველევში, კვაცხუთში, კვირიკეწმინდაში, საკეციაში, ზნაკვაში და სხვ.

**ოკოდილა** – ტყე ბოგირის თავზე (კვირიკეწმინდა, ზემო კრიხი).

**ოკოდილეთი** – წყარო, მინდორი ჭალის მარჯვ. მხარეს, გონგაძეების შემოგარენში (ზემო სხვავა).

**ოლანი** – მდინარე და ხეობა სათიბებითა და სახნავებით პატარა საწალიკის დასაწყისში. ჩაედინება შაორის წყალსაცავში. რესპ.: „ოლეები იყო. ოლე პატარა ბუჩქია, ეკლიანი“ (ქვედა თლუღი, ზედა თლუღი, სხარტალი).

**ოლანი** – სახნავები, ჩოლოგას ხეობის მონაკვეთი (ზედა თლუღი).

**ომანიძეები//ომანიძეების უბანი** – უბანი ჭარისუბანსა და საგანელიძეებს შუა (კვაცხუთი).

**ომანიძეების უბანი** – უბანი. იგივე ომანიძეები (კვაცხუთი).

**ომიაური** – უბანი ქვედა უბანში (ქვედა თლუღი).

**ომიაურის სასაფლაო** – სასაფლაო ომიაურში (ქვედა თლუღი).

**ომიაძეების ახო** _ სამოვარი რუისას ღელის სათავესთან (სადმელი).

**ომიაძეების უბანი –** მიკროუბანი გველესიანების უბანსა და გელოვანების უბანს შუა (ძირაგეული).

**ონეენთ წყარო** – წყარო ოთარანახულევის თავზე (ურავი).

**ონიგზობა** – გზა, რომელიც კობერიძეების უბნიდან გადადის ხიმშში და შემდეგ ონში (შუა კრიხი).

**ონისიმეს მონატეხი** – ტყე საწალიკეში (ზედა თლუღი).

**ო(ნ)ჭაროს ტყე//შუატყე** – ტყე ბაზრისუბანში. გაუშენებია კაცს, მეტსახელად ონჭაროს (ნიკორწმინდა).

**ორამოა(სი)** – სახნავი სოფლის აღმ. ნაწილში (ზემო კრიხი).

**ორგზაშუა** – 1. გზა კვინცხნართან, სალოს მთაზე (ხოტევი); 2. სამოვარი (ღვიარა).

**ორზიარი** – 1. სამოვარი ნამოვრის თავზე (ხოტევი); 2. სამოვარი ყიყვის მარჯვ. მხარეს. ეკუთვნოდა ორ კაცს (აზარი).

**ორი კაცის ადგილი** – სათევზაო მდ. ოლანზე. "ორი მოანკესე კაცი ძლივს ეტეოდა" (ქვედა თლუღი).

**ორკაპგზა** – გზა კაპანეურის გვერდით. გადადის სხარტალის ჭალაში (წკადისი).

**ორკდეშუა** – 1. ტყე მელებგვერდსა და დავითიახოს შუა (ღვიარა); 2. ტყე, გასასვლელი სილაკდესა და დიდკდეს შუა. გზა მიემართება ნაეკლესიებისაკენ (მოტყიარი).

**ორკინო** – წყარო პეპელაღელის მარცხ. მხარეს, ბარსონიძეებში (ხიმში).

**ორმოები** – სამოვარი შაორის წყალსაცავის შემოგარენში, ღორწყოლის მარჯვ. მხარეს (აგარა).

**ორმოსთავ(ებ)ი** – სახნავი ჩონისში (მუხლი).

**ორმოებისთავი** – ტყე,  სადაც უწინ გოგირდის აბანო იყო. წყალი  ორმოებში ამოდიოდა (გორი).

**ორნაძვი** – სახნავი შაორის წყალსაცავის შემოგარენში, ბერისათიბის გვერდით (ქვედა თლუღი).

**ორომო** – ბაღი ზემო უბანში, ინასარიძეების შემოგარენში. რესპ.: „ორომო ჩდილი ადგილია“ (ზემო კრიხი).

**ორჟავეწყალი** – მჟავე წყალი ლუხუნის მარჯვ. მხარეს, ჯვარუკადან 2 კმ-ზე. ორგან გამოდის მჟავე წყალი, ამიტომ ჰქვია ორჟავეწყალი. თუმცა ახლა სამგან ამოდის (ურავი).

**ორსხალა//ორსხალეები//ორცხალა** – ბუჩქნარი ქვაბილაურის თავზე (ხოტევი).

**ორსხალეები** – ბუჩქნარი. იგივე ორსხალა (ხოტევი).

**ორტყეშუა** – ტყე ბლუანთან, კვაცხუთის საზღვარზე (ძირაგეული).

**ორფეხია** – სახნავი ოლანში, სადაც ორი ხევი ჩამოჰყვება ფერდობს (ქვედა თლუღი).

**ორღარი** – ტყე ბოგირის გვერდით. "წყალი აქ აღარსადაა, მაგრამ ორღარი მაინც ჰქვია" (შუა კრიხი).

**ორღობე** – გზა. იგივე ორჭე (ხოტევი).

**ორცხალა** – ბუჩქნარი. იგივე ორსხალა (ხოტევი).

**ორწყალშუა** – სახნავი ხოტეურისა და ველეურის შესართავთან (ხოტევი).

**ორჭე** – გზა. დათეშიძეების უბნიდან გადადის ხიმშში (გორი).

**ორჭე//ორღობე** – გზა-გასასვლელი, სოფლის შუკა ყრუაშვილების უბანში. ჩადის ხოტეურაში (ხოტევი).

**ორჭე//ჩიხი//მეტრევლების ორჭე** – გზა მეტრევლების უბანში. რესპ.: „ორჭე არის ვიწრო გზა-გასასვლელი ორ მეზობელს შუა“. შდრ. ა. შანიძე: ერჭო (რაჭ.) – ჩიხი მთებში, სადაც საქონელს მიიმწყვდევენ დასაჭერად. ერჭო იგივეა, რაც კოლხური ი(ნ)წრო: კერძოდ: ქართ. ვიწრო > მეგრ. ინწრო > ეჭრო > ერწო (ლიხეთი).

**ორჭისთავი** – ფერდობი გორტევის კალთაზე, ობნელასა და გაბუნს შუა (ველევი).

**ოსების უბანი** – უბანი უთმელიძეებსა და ზედა მიქიაშვილებს შუა (საკეცია).

**ოსიას ნაქარაბაკევი** – სათიბი. იგივე ნაქარაბაკევი (წესი).

**ოსინაახო** – სახნავი საწალიკეში (ველევი, ბეთლევი)

**ოტიანახულევი** – სამოვარი ლუხუნის მარჯვ. მხარეს (ურავი).

**ოტიანახულევის უბანი//რეხვიაშვილების უბანი** – უბანი ოტიანახულევთან. რესპ. გ. რეხვიაშვილი: "ჭიორელი ოტია ბატონს გამოქცევია და აქ ხულა აუგია, დაბინავებულა. გვარად ყოფილა რეხვიაშვილი. ამჟამად ამ უბანში მისი შთამომავლები ცხოვრობენ" (ურავი).

**ოტიანახულევის წყალი** – წყარო ოტიანახულევთან (ურავი).

**ოქლიალო//ოქრიალი** – ტყე, სახნავი ხოტეურის მარჯვ. მხარეს, კაციტაძეების თავზე. „აქ სულ ქარია. ამბობენ, ამიტომ ეძახიანო“ (ხოტევი).

**ოქრიალი** – ტყე. იგივე ოქლიალო (ხოტევი).

**ოქროკაკალა** – წყარო დვლებში. რესპ.: "კარგი სასმელი წყალია. ამიტომაა ოქროკაკალა" (კაჩაეთი).

**ოქროპირა(ს)შურო//ოქროპირის შურო** – შურო, სათიბი შარეულის მარცხ. მხარეს (ნიკორწმინდა).

**ოქროპირის შურო** – შურო. იგივე ოქროპირა(ს)შურო (ნიკორწმინდა).

**ოქროყანა** – ვენახი ქედსა და სამგლიას შუა. „კაი მოსავალი სცოდნია. ამიტომაა ოქროყანა“ (სადმელი).

**ოქრუა** – ვენახი ენუქიძეების უბანში (სადმელი).

**ოშხერლების უბანი** – უბანი რგვალიღელის ნაპირზე, მუსერიძეების უბანსა და ენუქიძეების უბანს შუა (სადმელი).

**ოჩოკოჩის ტყე** – ტყე. იგივე ჩაბინდულა (ღვიარა).

**ომალა** – ტყე. იგივე რუბომალი (წესი).

**ომარა//ომალა** – ტყე. იგივე რუბომალი (წესი).

**ომარის ღელე** – ღელე. ბომარის ღელის იშვიათი ვარიანტი. ჩამოედინება თხიზურგიდან (წესი).

**ომარისთავი** – სათიბი. ბომარისთავის იშვიათი ვარიანტი. იხ. ვაკენალია (წესი).

**ოხრახუშა** – სამოვარი ლემანეურსა და ნაეკლესიევს შუა. ოხრახუშა ბალახია ერთგვარი (კაჩაეთი).

### პ

**პა(ა)ტიშვილები//პა(ა)ტიშვილების უბანი** – სამი უბნის – კობახიძეების, სულიკაშვილებისა და ხახუტაშვილების საერთო სახელი. „ოთხი ძმა ყოფილა – კობახი, სულიკა, ხახუტა და ნასყიდა. პაატა მათი წინაპარია. მეოთხე ძმის შთამომავლები არიან ნასყიდაშვილები და აქვთ უბანი ქვაბილაურში“ (ხოტევი).

**პავლიას წყალი** – წყარო უდაბნოში (შუა სხვავა).

**პავლიახო** – სათიბი საწალიკეში (ბეთლევი).

**პალიას კოჟი** – ტყე, კოჟის ნაწილი (ნიკორწმინდა).

**პანტასხალი** – სამოვარი ბლუანის ჩრდ–ით, კვაცხუთის საზღვართან (ძირაგეული).

**პაპუაშვილების ნაფუზვარი** – სახნავი პაპუაშვილების უბანში (კლდისუბანი).

**პაპუაშვილების უბანი** – უბანი რატიანების თავზე. უწინ პაპიაშვილები ცხოვრობდნენ (კლდისუბანი).

**პაპუაშვილების წყალი** – წყარო პაპუაშვილების უბანში (კლდისუბანი).

**პაპუნაშვილები** – ერქვა უბანს ღვიარაღელის მარცხ. მხარეს (ღვიარა).

**პაპუჩელას ახო** – სამოვარი ხეორის მარცხ. მხარეს (ლიხეთი).

**პარმენას ახო** – ტყე საფაფიაში (ქვედა თლუღი).

**პარმენასეული ახო** – სახნავი დათეშიძეებში (გორი).

**პარტახ(ებ)ი** – ვენახი ქედის ჩრდ. კალთაზე (სადმელი).

**პარტახები** – 1. სამოვარი დათეშიძეებში (გორი); 2. სახნავი ქვემო იწაში, რიონის ჭალაში (ამბროლაური).

**პარტახი** –1. სახნავი გურგენიძეებსა და ვაჩაძეებში (ნიკორწმინდა); 2. სამოვარი კუბლაშვილების თავზე (ქვემო კრიხი); 3. სახნავი გორგიაშვილების უბანში, ნამეწყრთან (ველევი); 4. სახნავი კაჟაურასა და ეკლესიას

შუა. "ეკუთვნოდათ აზნაურ მაჩაიძეებს და გაპარტახდა" (ზემო კრიხი). პარტახი ეწოდება აგრეთვე სახნავებს, ვენახებს ხიმშში, სხარტალში, კაჩაეთში, ზნაკვაში, ქვედა თლუღში და სხვ.

**პარტახის რიყე** – რიყე რიონის ჭალაში, პარტახებთან (ამბროლაური).

**პატა(ა)სნების ტყე** – ტყე ჩიტისწყაროსა და გიგოს ტყეს შუა. პატა(ა)სნები კობახიძეების ერთ–ერთი შტოგვარია (ზედა თლუღი).

**პატარა ახო** – სათიბი შხროსუბანში (ნიკორწმინდა).

**პატარა ბზანალა** – ტყე ლუხუნის მარცხ. მხარეს, დიდი ბზანალის ქვემოთ (ურავი).

**პატარა გარეყანა** – სათიბი ზეჭელიშის კალთაზე (ზნაკვა).

**პატარა გლონი** – საძოვარი ქაფთრიღელის სათავესთან (კლდისუბანი).

**პატარა გორია** – საძოვარი ლუხუნის მარცხ. მხარეს (ურავი).

**პატარა დიდღელე** – ტყიანი ხევი შარაბიძეებისწვერში, ნაეკლესიევის ქვეშ (ხოტევი).

**პატარა ეწერი** – საძოვარი კდისუბანში (ხიმში).

**პატარა ვაშლარი** – ვენახი რიონის მარჯვ. მხარეს (სადმელი).

**პატარა ზედვაკე** – სათიბი სოფლის შემოგარენში, შაორის მიმართულებით (ჭელიაღელე).

**პატარა კალოსწვერი** – ბორცვი სოფლის ჩრდ. ნაწილში, ნადარბაზევსა და დიდ კალოსწვერს შუა (ზემო სხვავა).

**პატარა კდიანი** – ადგილი მდინარესთან დიდკდიანის ქვემოთ (ქვედა თლუღი).

**პატარა კოჟი** – ბორცვი კოჟეს გვერდით (ნიკორწმინდა).

**პატარა ლეკნარი** – ტყე წმინდა გიორგის მთაზე (ნიკორწმინდა).

**პატარა პოლტიკი** – ტყე სოფლის აღმ. ნაწილში (სხარტალი).

**პატარა ჟრინავი** – ღელე, ჟრინავის მდგენელი. გამოედინება კლდისუბნის საჯოგიდან. იხ. ჟრინავი (კლდისუბანი, სადმელი).

**პატარა რგვალა** – მინდორი. იხ. რგვალა (ფუტიეთი).

**პატარა რუგანი** – სათიბი რუგანში (ლიხეთი).

**პატარა სანახშირე** – ტყე. იხ. სანახშირე (ძირაგეული).

**პატარა საჟურო** – სახნავი ქვაყუნტულასა და დათვიბელაურას თავზე (ხოტევი).

**პატარა საყავრე** – 1. წიწვნარი სარეკისწვერის ჩრდ–ით, სადაც სამოვრები იყო და მწყემსები ყავარს ამზადებდნენ (ძირაგეული); 2. ტყე კევლიშვილების ახოსა და დიდ საყავრეს შუა, უნაგერა-რიცეულის გზაზე (კვაცხუთი).

**პატარა საყუდელი** – კლდე. იხ. საყუდელი (კლდისუბანი).

**პატარა საშევარდნო** – სამოვარი, საშევარდნოს ნაწილი კვეშლევის თავზე (შხივანა).

**პატარა საწალიკე** – მთა, საწალიკის ჩრდ.-დას. ნაწილი (ზედა თლუღი, ხოტევი, ქვედა თლუღი).

**პატარა ტბა** – ტბა საწალიკეზე (ზედა თლუღი).

**პატარა ტყლაპაწითელა** – ტყე, ტყლაპაწითელას ნაწილი (ზედა თლუღი).

**პატარა ფაქუში** – მთა, სამოვარი ლუხუნის მარცხ. მხარეს, ლიხნარის გვერდით. აქვეა დიდი ფაქუშიც. ხოლო თვით ფაქუში სხვაგანაა, ალპური მთის ზონაში (ურავი).

**პატარა ფერდის სათიბი** – სათიბი განიგზაში (ნიკორწმინდა).

**პატარა ქვაყუნტია//პატარა ქვაყუნტულა** – სასაზღვრო ქვა ეწერში, ხონჭიორის გზაზე (ნიკორწმინდა).

**პატარა ქვაყუნტულა** – სასაზღვრო ქვა. იგივე პატარა ქვაყუნტია (ნიკორწმინდა).

**პატარა ღელე** – სამოვარი პარტახის გვერდით. გაედინება ჭელიაღელეში (კაჩაეთი).

**პატ(ა)რა ღელე** – ღელე, სერულის მარცხ. შენაკადი (ლიხეთი).

**პატ(ა)რა ღელის ბოლოები** – სამოვრები პატ(ა)რაღელესთან (ლიხეთი).

**პატარა ჩდილი** – ტყე სარეკის ჩრდ. კალთაზე (სადმელი).

**პატარა ცივწყალა** – წყარო უდაბნოში. გამოედინება გამოქვაბულიდან და ცივია. ამის ზემოთაა დიდი ცივწყალა (ნიკორწმინდა).

**პატარა ცივწყალას მღვიმე** – მღვიმე ჭელიშის უდაბნოში (ნიკორწმინდა).

**პატარა ცუცუხაური** – ტყე, ცუცუხაურის ნაწილი (გორი).

**პატარა წვერი** – ბორცვი ვაკისას გვერდით (შუა კრიხი) და ძეძისის თავზე (ქვემო კრიხი).

**პატარა ჭალა** – ჭალა კვახაძეების უბანში (ზნაკვა).

**პატარა ჭალური** – სამოვარი ჭალურში (ნიკორწმინდა).

**პატიყანა//ტაპი(კი)ყანა//პატიყანა** – სახავი რიცეულის მარცხ. მხარეს, რიყეში. „ასე ჰქვია და რატომ ჰქვია, არ ვიცით“ (კლდისუბანი, სადმელი).

**პაშასეული** – ვენახი კევლიშვილებში (საკეცია).

**პელაგიაახო** – ტყე ნოდირში (ფუტიეთი).

**პეპელა** – ვენახი მოჯალაბეების უბანში. რესპ.: „ბევრი პეპელა იცის. წელსაც ასე იყო“ (წესი).

**პეპელაღელე** – ღელე, რიონის მარცხ. შენაკადი ხიდიკრის ხიდს ქვემოთ, ბარსონიძეების უბანში, სათავეს იღებს რუთაშუაში. რესპ.: „დაგრეხილი კალაპოტი აქვს, ზიგზაგებიანი. პეპელაც ასე დაფრენს“ (ხიმში).

**პერევისა//პერევისას წყალი –** მდინარე. შაორის შენაკადი ნაქერალას ძირში ტყიბული-ამბროლაურის გზაზე (ნიკორწმინდა).

**პერევისას წყალი** – მდინარე. იგივე პერევისა (ნიკორწმინდა).

**პეტრეს ყანა** – სახნავი არჩვაძეების უბანში (შუა სხვავა).

**პეტრიას ახო** – სამოვარი ეწრის გვერდით (ფუტიეთი).

**პეტრიას ეწერი** – სათიბი, ეწრის ნაწილი (ფუტიეთი).

**პეტრიაშვილები//პეტრიაშვილების უბანი** – 1. უბანი ბლაშიღელის მარჯვ. მხარეს (კაჩაეთი); 2. უბანი დავლიანიძეებსა და ნეფარიძეებს შუა (შუა სხვავა).

**პეტრიაშვილების უბანი** – 1. უბანი. იგივე პეტრიაშვილები (შუა სხვავა); 2. უბანი. იგივე პეტრიაშვილები (კაჩაეთი).

**პეტრიაშვილების წყარო** – წყარო ბლაშიღელის მარჯვ. მხარეს (კაჩაეთი).

**პი(რ)ჯვრისაწერი** – მინდორი ამბროლაურ-ონის გზის გვერდით, ბარაკონთან. რესპ.: „ვინც გაივლის, ბარაკონს შეხედავს და პირჯვარს გადაიწერს“ (წესი).

**პირველი (მ)ტრედისწყარო – წყარო.** შრდ. მეორე მტრედისწყარო (ნიკორწმინდა).

**პირიქეთა** – სამოვარი კვახაძეულის გვერდით. აქ ჩამოედინება მაყვლიანას ღელე, ერქმევა პირიქეთაღელე და მიერთვის ბიძინაურის ღელეს (მოტყიარი).

**პირიქეთაღელე** – ღელე. იხ. პირიქეთა (მოტყიარი).

**პირიყანა** – სახნავი კრიხულის მარცხ. ნაპირზე (ქვემო კრიხი).

**პირჯვ(რ)ისაწერი** – ტყე ბაღაურთან, გელოვნიშვილების უბნის დას-ით. "გადმოცემით, აქ მუხა იდგა და სალოცავად მოდიოდნენ" (კვაცხუთი).

**პლატონა(ს)ახო** – სამოვარი მოხვარეულში (უყეში).

**პლატონას ნამოსახლი** – სახნავი დოხნაძეებში, კაკილოს ნამოსახლის გვერდით (კაჩაეთი).

**პლატონ(იკ)ას ახო** – სამოვარი სამზიარის გვერდით (ფუტიეთი).

**პლატონის ტყე** – ტყე პირიქეთა ღელის ნაპირზე (მოტყიარი).

**პოლენა//პონელა** – ტყე, სამოვარი პატარა საწალიკეში (ქვედა თლუღი).

**პოლენას წყარო** – წყარო პოლენაში (ქვედა თლუღი).

**პოლტიკა** – 1. მინდორი სალოს მთის ძირას, გროჭიალის გვერდით (ხოტევი); 2. კლდე ოლანში (ქვედა თლუღი); 3.

ტყე სხარტალის საზღვარზე, ჭალის გაგრძელება (წკადისი); 3.
წყარო ზანაკრელის ქვემოთ (ბეთლევი); 4. წყარო კრიხულის მარცხ. მხარეს, ბჟოლების თავზე (შუა კრიხი).

**პოლტიკის გზა** – გზა პოლტიკში (სხარტალი).

**პოლტიკის წყალი** – 1. წყარო პოლტიკაში (ხოტევი); 2. წყარო. იგივე შატანაურის წყალი (ხიმში).

**პონელა** – ტყე, სამოვარი. იგივე პოლენა (ქვედა თლუღი).

**პორფილეკარი** _ სანახშო ქვედა აბუთიძეებში (აგარა).

**პრასელი** – ტყე პატ(ა)რა ღელის სათავესთან. რესპ.: „პრასელი ტყის ნიორია" (ლიხეთი).

**პროკოლის ახო** – ტყე თევზაძეების შემოგარენში, განიგზაზე (ახალსოფელი).

**პწკარი ნაძვნარის შურო** – სამოვარი. იგივე ფწკალი ნაძვნარის შურო (ნიკორწმინდა).

## ჟ

**ჟაველა** – სახნავი. იგივე (ბ)ჟაველა (წკადისი).

**ჟაველას სასაფლაო** – სასაფლაო. იგივე მჟაველას სასაფლაო (წკადისი).

**ჟრინავი** – ჟრინავის ღელის ტყიანი ხეობა. იყოფა: ზედა ჟრინავი, ქვედა ჟრინავი. ორივე შედის ლიხეთის სატყეოში (ლიხეთი).

**ჟრინავი//ჟრინავის ღელე** – მდინარე, რიცეულის მარცხ. შენაკადი. ქმნის ორი მდგენელი: დიდი ჟრინავი, რომელიც გამოედინება დათვისელადან, და პატარა ჟრინავი, რომელიც სათავეს იღებს კლდისუბნის საჯოგიდან. რესპ.: „სადმელე(ლე)ბი ამ მდინარეს სოხასტერს უწოდებენ. მათთვის ჟრინავი სხვა მდინარეა" (კლდისუბანი);

**ჟრინავის ღელე** – ღელე. იგივე ჟრინავი (კლდისუბანი).

## რ

**რამინაშვილები** – მიკროუბანი ბლაშიღელის მარჯვ. მხარეს (კაჩაეთი).

**რამინაშვილების ბინული წყარო** – წყარო რამინაშვილებში (კაჩაეთი).

**რამინაშვილის სათიბი** – საძოვარი, ტყე შავი ტბის შუროს თავზე (ნიკორწმინდა).

**რამინაშვილის ღელე** – სახნავი რამინაშვილის სათიბის გვერდით (ნიკორწმინდა).

**რატიანები//რატიანების უბანი** – უბანი რიცეულის მარჯვ. ნაპირზე (კლდისუბანი).

**რატიანების უბანი** – უბანი. იგივე რატიანები (კლდისუბანი).

**რატიანიყანა** – სახნავი სამგლიის უბანში (სადმელი).

**რაჭა//ეკლესიის წყალი** – ერქვა ჭა-წყაროს სოფლის ცენტრში, ზედა უბანსა და ქვედა უბანს შუა. „თამარ მეფეს გამოუვლია და უთქვამს, ეს წყარო მთელ რაჭად ღირსო. ამიტომ დარქმევია რაჭა. იგი მთავარანგელოზის ეკლესიასთანაა“ (ზემო კრიხი).

**რაჭაქვეში** – სახნავი რაჭას ქვემოთ (ზემო კრიხი).

**რაჭველიშვილები** – უბანი. იგივე გონგაძეები (ზემო სხვავა).

**რგვალა** – 1. მინდორი ავალიანების უბანში (ხოტევი); 2. მინდორი ჭალის მარჯვ. ნაპირზე, ბელთაურში. იყოფა: დიდი რგვალა, პატარა რგვალა (ფუტიეთი); 3. სასაფლაო შემაღლებაზე, დიდღელის მარჯვ. ნაპირზე, პეტრიაშვილებში (კაჩაეთი); 4. საძოვარი კდისუბანში (ხიმში)5. სახნავი ჯმუხაძეებში. იგივე (მ)რგვალა (ნიკორწმინდა). რგვალა ეწოდება ტყეს, სახნავს, საძოვარს, მინდორს აგრეთვე ხიმში, მუხლში, შუა სხვავაში, კვირიკეწმინდაში, მოტყიარში და სხვ.

**რგვალა//რგვალია** – სათიბი ძველ კობახიძეებსა და ქემოკლიძეებს შუა (ახალსოფელი).

**რგვალასათიბი** – სათიბი ნიკოლაიშვილებში, გაღმაახოს ჩრდ–ით (ნიკორწმინდა).

**რგვალია** – სათიბი. იგივე რგვალა (ახალსოფელი).

**რგვალი მინდორი** – მინდორი შომაში (ქვედა თლუღი).

**რგვალი(ს)ღელე** – რიონის მარჯვ. შენაკადი ჯაფარიძეების უბანში. ოშხერლებსა და მუსერიძეებს შუა მიედინება (სადმელი).

**რგვალი ტყე** – ტყე დიდ(ი)კდის ქვემოთ (მოტყიარი).

**რგვალი ყანა** – მინდორი ჯვარულაუბნის შემოგარენში (საკეცია).

**რგვალის ღელე** – ღელე. გამოედინება რგვალაადან (მოტყიარი).

**რგვალმინდორი** – სახნავი აგლაძეების უბანში (მუხლი).

**რგვალტყე** – სათიბი საწალიკის სამხრ. ნაწილში (სხარტალი).

**რგვალყანა** – 1. სამოვარი ქვემო კრიხის საზღვარტან (შუა კრიხი); 2. სახნავი ბარაკონის სიახლოვეს (წესი).

**რეხვიაშვილების უბანი** – უბანი. იგივე ოტიანახულევის უბანი (ურავი).

**რვაბნელა** – 1. ტყე, ბნელი ხევი კანჩისწყალთან (ახალსოფელი); 2. ტყე, სახნავი, ხევი კევლიშვილებში (საკეცია).

**რვაბნელისფეხი** – მინდორი რვაბნელასთან (საკეცია).

**რთხმელანი** – ტყე ჯმუხაძეებსა და კობახიძეებს შუა. სავარაუდოა: რთხმელ-ოვან-ი რთხმელ-ვან-ი → რთხმელანი (ნიკორწმინდა).

**რიადაგები//პარტახები** – სახნავ-სამოვრები ღვიარაღელის მარცხ. მხარეს. „შენი შემოფარგლული რაცაა, ისაა რიადაგი. წყევლაა: შენს რიადაგში არაფერმა გაიარაო“; „ეზო-რიდამო არის სახლი და ეზო. რიადაგეებში კი ყანაც შედის“ (ღვიარა).

**რიონი(ს)პირი//რიონიპირ(ებ)ი//ჭალა** – ჭალა-სახნავები რიონის მარჯვ. ნაპირას (ზოსტანა).

**რიონიპირ(ებ)ი** – ჭალა-სახნავები. იგივე რიონი(ს)პირი (ზოსტანა).

**რიუკა//რუუკა** – რუ, აზარულის მარცხ. შენაკადი (აზარი).

**რიყე** – 1. რიონის რიყე. "რიყე ქვებიანი წყლისპირია" (წესი); 2. სამოვარი რიონის მარჯვ. ნაპირზე (სადმელი).

**რიყეები** – რიყე რიონისპირებზე (ამბროლაური).

**რიცეულა** – მდინარე. სათავეს იღებს რაჭა-ლეჩხუმის ქედის სამხრ. კალთაზე. სიგრძე 22 კმ-მდე. სოფლიდან რამდენიმე კმ–ზე აშენებულია რიცეულჰესი. ერთვის რიონს მარჯვ. მხრიდან სადმელსა და ბოსტანას შუა. რიცეულის ხეობაშია. რიცეულის ხეობაში მდებარეობდა ორი სატყეო – სადმელისა და ღვიარისა. **სადმელის სატყეო** იწყებოდა წესურიდან და გრძელდებოდა ლეჩხუმის ქედის ალპურ საძოვრებამდე. იყოფოდა უბნებად: კოდილაშის უბანი, ჟრინავის უბანი, შავღელის უბანი, სოხასტერის უბანი, სხლოვანის უბანი, სათივეხიდის უბანი (სადმელი, კლდისუბანი).

**რობაღელე//რუ(ე)ბაღელე** – ღელე, ურიის ღელის მონაკვეთი (ზნაკვა).

**როკაული** – ნაყანევი გაბრაულის გვერდით (ფუტიეთი).

**რომიკელეების უბანი** – უბანი. იგივე სუთიძეების უბანი (შხივანა).

**როსტომას ახო** – სახნავი. იგივე ზურაბას ახო (ზემო კრიხი).

**როსტომის წყარო** – წყარო შაორის წყალსაცავის აღმ-ით (ჭელიაღელე).

**როფისთავი** – ფიჭვნარი მოტყიარის საზღვართან. "აქ როფში წყალი ახლაც დგას" (ნიკორწმინდა).

**რუ//გიორგობიანების რუ//არჩვაძეების რუ** – ღელე, ჭალის მდგენელი. იწყება ზედვაკეში, თეთრ მიწასთან. გაივლის გიორგობიანებსა და არჩვაძეებს შუა (ფუტიეთი).

**რუ//საგანელიძეების რუ** – ღელე ქვემო სხვავაში, ჭალის მარცხ. შენაკადი (შუა სხვავა).

**რუბენას აღმართი** – ბილიკი კდისუბანში (ხიმში).

**რუბომალი//(ბ)ომარი//ბომალი** – ტყე, სამოვარი ტყეზურგის ქედზე. რესპ.: „რუბენა წასულა თივის ასაღებად და რმალიც წაუყვანია“. სინამდვილეში რუ ბომალი იგივეა, რაც ორტოტა რუ (წესი).

**რუგანი** – სახნავები საფიჩხიაზე, რუს ნაპირებზე (ლიხეთი).

**რუგანისღელე** – ღელე, გაედინება რუგანიდან (ლიხეთი).

**რუ(ე)ბაღელე** – ღელე. იგივე რობაღელე (ზნაკვა).

**რუთაშუა** – 1. სათიბი სამთისის საზღვარზე (ფუტიეთი); 2. ტყე-ფერდობები ორი რუს შესართავთან, პეპელაღელის სათავესთან (ხიმში).

**რუისა** – ფართო ხეობა რუისიღელის სათავესთან, ჭვარებსა და სარეკის მთას შუა. რესპ.: „რუებია და ამიტომ ჰქვია რუისა“ (სადმელი).

**რუისა(ს)ღელე//რუისიღელე** – ღელე. ჩამოედინება რუისადან. ერთვის რიცეულას მარცხ. მხრიდან ჩდილის კლდესთან (სადმელი, კლდისუბანი).

**რუისები** – ტყეები რუისას ხეობაში (ძირაგეული, სადმელი).

**რუისიღელე** – ღელე. იგივე რუისა(ს)ღელე (სადმელი).

**რუსათავე** – წყარო სოფლის აღმ. შემოგარენში. ჩამოიყვანეს სოფელში (შხივანა).

**რუუკა** – რუ. იგივე რიუკა (აზარი).

**რუქეთი** – სამოვარი, ღელე – კრიხულის მარჯვ. შენაკადი კაციტაძეებში. ჩამოედინება ქვათაძეებიდან (შუა სხვავა).

**რქამოტეხილა** – ტყე გორიკარსა და ქართველიშვილებს შორის, ჯობენაურისა და მიწინათხარის გვერდით (ჭელიაღელე).

**რქვანა** – წყარო ტაბუცაძეების უბანში (გორი).

**რცხინალი** – სახნავი ქართველიშვილებსა და ქურციკიძეებს შუა (ზემო სხვავა).

**რძეწყალა** – ამღვრეული წყარო რთხმელარში (ნიკორწმინდა).

## ს

**სააბარო** – მინდორი სერულის მარცხ. მხარეს. აბარი მეზობელი სოფელია (ლიხეთი).

**საავადმყოფოსუბანი** – უბანი სოფლის ცენტრში, საავადმყოფოსთან (ხოტევი).

**საალახე//სატალახე** – ტყე ღოცაცის თავზე. რესპ. გ. მაჩაიძე "შეშით დატვირთულ მარხილს თავდაღმართში რომ არ დაცურდეს, ფეხზე უკეთებენ ღვლერჭს, რომელსაც აქვს მოდება მიწაზე. ესაა საალახე" (ზემო სხვავა). შდრ. ხევსურ. საალაჴე – ჯღანის ფსკერის შუა ადგილი.

**საარახე წყალი** – წყარო ღვიარაღელის ნაპირას. გამოყვანილია სოფელში (ღვიარა).

**საბადაგე(ები)** – ფერდობი დიდი ჩორჯოს საზღვართან, ლაკლაკაურის ღელის მარცხ. მხარეს (ბოსტანა).

**საბადე კდე** – კლდე ინასარიძეების შემოგარენში, ორომოს ქვემოთ. ამ კლდიდან ყრიდნენ გალაყებულ კვერცხებს (ზემო კრიხი).

**საბადიგვერდი** – საძოვარი ქვემო სხვავაში, არჩვაძეების უბანსი (შუა სხვავა).

**საბადო** – სანადირო კლდეები ალპურ ზონაში, ლუხუნის ზემოთში. დარქმევია დარიშხანის საბადოების გამო (ურავი).

**საბადური** – 1. ბუჩქნარი, საძოვრები კაციტაძეების უბანში (მუხლი); 2. ტყე მერკვილაძეების უბნის თავზე (წესი); 3. ტყე ჭალის მარჯვ. ნაპირზე (ზემო სხვავა).

**საბადურის ღელე** – ღელე. ერთვის ტაშტას (წესი).

**საბაზო** – ტყე ჭოხუეთში (ფუტიეთი).

**საბაზოს წყალი** – ღელე. გადის სამთისისაკენ (ფუტიეთი).

**საბამბია** – ვენახი დიდ(ი)მიდორის თავზე (ბოსტანა).

**საბას ნასაკირალი//საბას საკირე** – ნასაკირალი პოლენასთან. აქ საბა ჭიჭინაძეს ჰქონია საკირე (ქვედა თლუღი).

**საბას საკირე** – ნასაკირალი. იგივე საბას ნასაკირალი (ქვედა თლუღი)

**საბას შურო** – ტყე ჯმუხაძეებში (ნიკორწმინდა).

**საბეგველა** – სამოვარი მაისაშვილების მთაში. რესპ.: „იქ მსხალს კრეფდნენ და იქვე ბეგვავდნენ არყის გამოსახდელად“ (წესი).

**საბედიკა(ს)ღელე** – ღელე ისაკაძეების უბანში (შუა კრიხი).

**საბელო** – ტყე მანჭუხელის სიახლოვეს (გორი).

**საბიზურგი** – ბორცვი. იგივე საბ(მ)ლიზურგი (ხოტევი).

**საბოძალა//ძაბოძალა** – გზა, ფერდობი აგლაძეების უბანში. „ეგ არის ძაბოძალა, იგივე ცულისპირა. ლობიოსავითაა. აგლაძეებში ფხნეკზე ითესებოდა“ (შუა კრიხი).

**საბრავალძლო** – ვენახი არჩვაძეებისა და დონაძეების შემოგარენში. „ბრავალძალი მაღალი ადგილია. იქ ყურძენი არ მოდის და აქ ჰქონდათ ვენახი“ (ხიმში).

**საბრახუნო ქვა** – გამოქვაბული დიდკდეში. რესპ.: "გამოქვაბულს დიდი ექო აქვს" (მოტყიარი).

**საბუზური//საფუზური** – სამოვარი მურუსიძეებში, საკოკიასა და კოჟიღელეს შუა. რესპ.: "აქ ბევრი იცოდა ბუზარა. ბუზისნაირი მწერია, ძროხებს კბენს და მალზე აწუხებს – დაფეთებულები დარბიან" (ზნაკვა).

**საბულთ(ვ)ე//საბულთია** – სათიბი შაორის ტბის შემოგარენში, ღორწყოლსა და ცივწყალას შუა. რესპ.: „ვაკეა და ბურთაობდნენ“ (აგარა, უყეში, ქვედა თლუღი).

**საბულთია** – სათიბი. იგივე საბულთ(ვ)ე (აგარა, უყეში, ქვედა თლუღი).

**საბურთვალი** – ღელე, გზა, სახნავი მიქიაშვილებში, ზნაკვის საზღვარზე (მოტყიარი).

**საბურღვალი** – სახნავი. იგივე საბურღველი (საკეცია).

**საბურღველი//საბურღვალი** – სახნავი რიონის მარცხ. მხარეს, ჭოხონელიძეების აღმ-ით (საკეცია).

**საბუღრაო** – სამოვარი ქვემო კრიხის ბაღის თავზე (ქვემო კრიხი).

**საბღალაო//საფურღალაო** – მინდორი რიონის მარცხ. მხარეს (საკეცია).

**საბ(მ)ლიზურგი//საბიზურგი** – ბორცვი ყრუაშვილების უნბანში. რესპ.: „ბორცვი ზურგივითაა. საბმელიც იქვე იდგა“(ხორევი).

**საგანელაურა** – სახნავი ქვემო სხვავაში, კაციტაძეებსა და ჯაფარიძეებს შუა. ამოსავალია გვარი საგანელიძე (შუა სხვავა).

**საგანელაური** – ტყე ჭოხუეთის კალთაზე (ფუტიეთი).

**საგანელაურითავი** – ტყე საგანელაურის თავზე (ფუტიეთი).

**საგანელიძეები//საგანელიძეების უბანი** – უბანი ჭალის მარცხ. მხარეს (შუა სხვავა).

**საგანელიძეების რუ** – ღელე. იგივე რუ (შუა სხვავა).

**საგანელიძეების უბანი** – 1. უბანი ჭარისუბანსა და საავტ. გზას შორის (კვაცხუთი); 2. უბანი. იგივე საგანელიძეები (შუა სხვავა).

**საგველეა** – სახნავი გელაშვილების უბანში. რესპ.: „ხოხიალეები ყოფილა ბევრი და ამიტომ ერქვა“ (წესი).

**საგველია –** 1. ვენახი არჩვაძეებში (ხიმში); 2. მინდორი შაორის წყალსაცავსა და სოფლის დასახლებას შუა. გველების სიმრავლის გამო დაურქმევიათ (ნიკორწმინდა); 3. სათიბი დიდმიდორის თავზე, ქვაბთკარის გზის გვერდით (საკეცია).

**საგველიის შურო** – შურო საგველიაში (ნიკორწმინდა).

**საგვერგვე** – ტყე ქვაბთკარში (საკეცია).

**საგორავა** – ტყე ქვემო სხვავაში, ჭალის მარცხ. მხარეს (შუა სხვავა).

**საგრაფო –** ტყე. იგივე საღრაფო (ძირაგეული).

**საგრაფო//საღრაფო** – ტყე რიცეულის მარჯვ. მხარეს, საყუდელსა და კანტორას შუა. გადმოცემით, გრაფს ეკუთვნოდა (კლდისუბანი).

**საგუბარი** – ტბორი, რიცჰესის საგუბარი რიცეულაზე (კლდისუბანი).

**საგურაბანიძ(ე)ო** – სათიბი პატარა საწალიკეში. ეკუთვნოდა გურაბანიძეებს (ქვედა თლუღი).

**სადავლიანიძეო** – ტყე ყაფარსა და ბეკის ნატეხს შუა (შუა სხვავა).

**სადათვია** – 1. ტყე ეწრისმთაზე (ნიკორწმინდა); 2. ტყე მაისაშვილების მთაში (წესი); 3.

ტყე, გორა კვარხალიგორასა და ქველაურს (ფუტიეთი) შუა (ზემო სხვავა); 4. სათიბი ზნაკვის საზღვარზე (მოტყიარი).

**სადათვიას შურო** – შურო სადათვიაში (ნიკორწმინდა).

**სადათვიის ტყე** – ტყე რატიანიყანასა და საჭურიმიწას შუა (სადმელი).

**სადათვიის ღელე/სადათვიის წყალი** – ღელე, წესურის მარცხ. შენაკადი (წესი).

**სადათვიის წყალი** – ღელე. იგივე სადათვიის ღელე (წესი).

**სადმელი** – სოფელი, სადმელის თემის საკრებულოს ცენტრი (იხ. ნაწილი პირველი).

**სადმელის საჯოგე** – ალპ. საძოვარი. იხ. საჯოგე (სადმელი).

**საელიო** – 1. მინდორი სერზე, სოფლის აღმ. ნაწილში. მუხა დგას და სალოცავად მოდიან (გორი); 2. საძოვარი კლუბისუბანში, ნაფუზვართან. "დიდი ცაცხვი იდგა სალოცავი და იმართებოდა ელიობა. ეკლესია აქ არ მდგარა" (კაჩაეთი); 3. საძოვარი ქვემო სხვავაში, ჭალის მარცხ. მხარეს, სადაც გადის გზა ველევისა და კვეშლევისაკენ, ხოლო შემდეგ საწალიკეზე (შუა სხვავა); 4. ქედი რიონსა და რიცეულას შუა. კვაცხუთის საზღვართან. რუსულ კარტოგრაფიულ რუკაზე წარწერილია არასწორი ფორმა Сазлио (წესი); 5. გორა გაღმა მურუსიძეებში. რესპ.: "გაღმა-გამოღმა მურუსიძეები და კიკვაძეები აქ აღნიშნავდნენ ელიობას აღდგომის შემდგომ ხუთშაბათს"

(ზნაკვა). საელიო ეწოდება ბორცვსა და სალოცავს აგრეთვე უყეშში, ნიკორწმინდაში, ჭელიაღელეში, ბოსტანაში, ახალსოფელში და სხვ.

**საელიო გორა** – ბორცვი. იგივე საელიო (ქვედა თლუღი).

**საელიო გორა//საელიო//საკოხინჯრო** – გორა-სალოცავი ლაშითავიღელის სათავესა და ღვიარაღელის ხეობას შუა, სადაც იმართებოდა კოხინჯრობა 20 მაისს (ბოსტანა).

**საელიო//გოცირიძეების საელიო** – სათიბი გოცირიძეებში (ზნაკვა).

**საელიო//საელიოგორა** – ბორცვი ჭიქეულასა და ველიმწვანეს შუა. "იელი ხარობს. სალოცავი აქ არ ყოფილა" (ქვედა თლუღი).

**საერო** – საძოვარი პოლენასა და საგურაბანიძეოს შუა (ქვედა თლუღი).

**საერო კაკალი** – კაკლის ხე ზემო უბანში. „საერთოა: ერთად დაბერტყავდნენ და გაიყოფდნენ“ (ზემო კრიხი).

**საეროს წყალი** – წყარო საეროში (ქვედა თლუღი).

**სავარდია** – 1. საძოვარი კიბულის თავზე, სადაც უწინ ტყის ვარდი ხარობდა (წესი); 2.
სახნავი ხოტევის ციხის გვერდით. ლაშიის მარცხ. მხარეს. „გადასავარდნი ადგილია, ალბათ ამიტომ დაერქვა სავარდია. თუმცა ვარდი ტყის ვარდია“ (ხოტევი).

**სავეფხია** – ტყე მელაშვილების მთაზე. გადმოსცემენ, რომ აქ ვეფხვი უნახავთ (წესი).

**საზამთრო** – მინდორი ბელთაურის თავზე. რესპ. მ. გიორგობიანი: „შეშას ამზადებდნენ ზამთრისათვის და აქ აწყობდნენ“ (ფუტიეთი).

**საზვინე** – ტყე კაციტაძეების უბანში. იყო შემოკავებული და კოლმეურნეობის თივის ზვინები იდგა (მუხლი).

**საზნაკვო** – მინდორი რიონის მარცხ. მხარეს, საკეციის საზღვართან. აქ გადის გზა "ზნაკვის გზა//საკეციის გზა". გაივლის ქვაბთკარს და მიემართება ზნაკვისაკენ (ამბროლაური, იწა).

**სათავიგორა** – ბორცვი აშხაპირის მარჯვ. მხარეს. „აქ, აშხაპირაზე, წისქვილების სათავეები იყო" (ხოტევი).

**სათავის ხიდი** – ხიდი. იგივე აშხაპირას ხიდი (ხოტევი).

**სათავისთავი** – სამოვარი ღორწკოლის სათავესთან (აგარა).

**სათავისწყალი//ხვარიკაულის წყალი** – წყარო აგლაძეების აღმ-ით (გორი).

**სათამაშო** – სამოვარი საწალიკეში, საქანისძირთან (შხივანა).

**სათეთრია** – ფერდობი სამარვანის ღელის მარცხ. მხარეს, ყანაჯვარებთან. მიწაა თეთრი (მოტყიარი).

**სათემო** – 1. ვენახი ისაკაძეების უბანში. რესპ.: „მთელი თემი ამუშავებდა და ღვინოს საეკლესიო დღესასწაულზე სვამდნენ“ (მუხლი); 2. ნასახლარი ისაკაძეების უბანში. „აქ თემის ჭური იყო დამარხული და ლოცულობდნენ“ (შუა კრიხი); 3. სანახშო ქემოკლიძეებში (ახალსოფელი).

**სათვალე** – 1. სამოვარი კაციტაძეების უბანში. რესპ.: „სათვალე ეწოდება დროებით წყაროს, რომელიც ამოდის გაზაფხულზე“ (შუა სხვავა); 2. წყარო ბერისათიბში. ჩაედინება შაორის წყალსაცავში (ქვედა თლუღი); 3. წყარო სალოს მთაზე. აქვეა სამოვარი "სათვალი(ს)თავი" და ღელე "სათვალის წყალი", რომელიც აშხაპირაში ჩაედინება (ხოტევი); 4. წყარო ღორწკოლის ნაპირას (აგარა); 5. მღვიმე შაორის წყალსაცავის ნაპირზე (ჭელიაღელე).

**სათვალეები//ხერგა** – სათიბი შარეულის ხეობაში. შარეულის წყალი აქ ჩადის მღვიმეში და გამოდის ჭელიშში (ნიკორწმინდა).

**სათვალეღელე** – 1. ღელე მიქაუტაძეებში. ერთვის კაჟიღელეს (ზნაკვა); 2. წყარო. იგივე მჟავე წყალი (იწა); 3. წყარო. იგივე მჟავე წყალი.

**სათვალი(ს)თავი** – სამოვარი. იხ. სათვალე (ხოტევი) .

**სათვალისთავი** – გორა ჭალის თავზე, ნამოსახლების გვერდით (ჭელიაღელე).

**სათვალის ღელე** – ღელე. აშხაპირას შენაკადი (ხოტევი).

**სათიბ(ებ)ი** – სათიბები ღრუჭუმოს თავზე (წკადისი).

**სათიბები –** სახნავი. იგივე სათიბელი (ველევი).

**სათიბების ფეხები –** სათიბების ძირი. აქ იწყება მცირე აღმართი (ველევი).

**სათიბელი//სათიბები** – სახნავი საწალიკეში, სატოპელასთან (ველევი).

**სათიბი** – სამოვარი ჯვარულაუბანში, აყალოს გვერდით (საკეცია).

**სათიბკარები** – სათიბები ძირაგეულის საზღვარზე. „სათიბები იყო გაკავებული და კარები ჰქონდა“ (სადმელი).

**სათიბუკა//ფაციაყანა** – სამოვარი ნალიუკის გვერდით (აბარი).

**სათივე გზა** – გზა, რომლითაც ველტყევიდან თივა ჩამოჰქონდათ (შუა სხვავა).

**სათივიკორტი** – ბორცვი, სამოვარი ღვიარაღელის მარჯვ. მხარეს (ღვიარა).

**სათითიაღელე** – ნაყანევი როკაულის ბოლოში, ზემო სხვავის საზღვარზე. „ვიწრო ადგილია და ამიტომაა სათითია“ (ფუტიეთი).

**სათიფი კორტი** – ბორცვი. იგივე კოჟი (ბოსტანა).

**სათლუღო** – სახნავი ზემო თლუღის საზღვართან (სხარტალი).

**სათომის სერი** – ალპ. სამოვარი რიცეულის მარცხ. მხარეს. ებმის ჭუთხაროს. რესპ.: „აქ ხარობს წმინდა ბალახი, ეძახიან თომს. ძველად გლეხები მას ქალამნებში იფენდნენ“ (კლდისუბანი).

**სათხე კდე** – კლდე ქვემო სხვავაში, თიკანას გვერდით (შუა სხვავა).

**საიაშვილო** – ერქვა იაშვილების საფეოდალოს, რომელიც ძირითადად დღევანდელი სადმელის თემის საკრებულოში შემავალ სოფლებს შეიცავდა (სადმელი).

**საიაშვილოს ტყე** – ტყე სარეკის კალთაზე (სადმელი).

**საინდროვე** – 1. მინდორი მიქაუტაძეების აღმ-ით (ზნაკვა); 2. სახნავი შაორის შემოგარენში (აგარა).

**საირმე** – მთა-საძოვრები ლათაშურის მარჯვ. მხარეს (ურავი).

**საიჩხონე** _ მინდორი წვერიღალის ნაპირას. ეტიმონის მნიშვნელობა რესპოდენტებმა ვერ განმარტეს (მოტყიარი).

**საკალუა** – სანახშო სოფლის ცენტრში. სავარაუდოა: კალო > სა-კალ-ო-ა > საკალუა (ნიკორწმინდა).

**საკამეჩო** – მინდორი შარეულასა და წმ. გიორგის მთას შუა (ნიკორწმინდა).

**საკანაფო** – 1. ბუჩქნარი სავარდიასთან, სადაც უწინ კანაფს თესდნენ (ხოტევი); 2. მინდორი კობერიძეების უბანში (შუა კრიხი); 3. სათიბი განიგზის საურმე გზაზე (ნიკორწმინდა); 4. საძოვარი სოფლის აღმ. შემოგარენში, ბებერაულის თავზე (შხივანა); 5.
საძოვარი ქედის ჩრდ. კალთაზე, სტაჟაურის ღელის მარცხ. მხარეს (სადმელი). საკანაფო ეწოდება სახნავებს, საძოვრებს, ტყეებს აგრეთვე აბარში, შუა სხვავაში, მუხლში, კლდისუბანში, ზედა თლუღში, საკეციაში და სხვ.

**საკანაფოს სათიბები** – სათიბი საკანაფოში (ნიკორწმინდა).

**საკანაფო(ს)წყარო** – წყარო საკანაფოში (აბარი).

**საკანაფოღელე** – 1. ღელე, შარეულის შენაკადი უდაბნოში (ნიკორწმინდა); 2. ღელე, ჭალის მარცხ. შენაკადი (ზემო სხვავა).

**საკაჟია** – ტყე ფორიის ქედზე (ლიხეთი).

**საკარტოფილე** – მინდორი ნიკორწმინდის საზღვართან (კაჩაეთი).

**საკეციის გზა** – გზა. იგივე ზნაკვის გზა (ამბროლაური).

**საკეცურა** – ამ სახელწოდებითაა დასახელებული მდ. ზნაკურა გიულდენშტედტის "მოგზაურობაში" (ზნაკვა).

**საკვირაო** – 1. დავაკება გორაზე ,,ღუდუმიძეების შემოგარენში (კვირიკეწმინდა); 2. დავაკება ქედზე, წმინდა გიორგის ეკლესიის გვერდით. აქ აღინიშნებოდა „ახალკვირა – აღდგომის კვირა“ (წკადისი); 3. მინდორი ბედელაძეების უბნის თავზე, სადაც იყო საყდარი „სამება“

(ზემო სხვავა); 4. ვაკე ზედა უბანში. სოფლის ხალხი კვირაობით აქ იკრიბებოდა (ქვედა თლუღი). საკვირაო ეწოდება ტყეს, წყაროს, სათიბს აგრეთვე კვაცხუთში, შხივანაში, შუა სხვავაში.

**საკვირაო//საჯვარე გორა** – სალოცავი, ძველი სასაფლაო დურევის ზემოთ. აქ აღინიშნებოდა ახალკვირა – აღდგომის მეორე კვირა (ზემო კრიხი).

**საკვნეტელა** – ნაეკლესიევი, სასაფლაო, სადაც უწინ კვირიკეწმინდის ეკლესია მდგარა (ფუტიეთი). „საკვნეტელა – ტყის ცოცხი“ (ა. მაყაშვილი).

**საკიდელა** – სახნავი ყიყვის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ალბათ საჭმელს ჰკიდებდნენ ხეზე. სხვა რა უნდა ვიფიქროთ“ (აზარი).

**საკივარა** – ბორცვი საღორიის გვერდით. რესპ.: „იქიდან უძახოდნენ ერთმანეთს და აგონებდნენ საყანეებში“ (წესი).

**საკივარა//საკივარეები** – გორა, ტყე საკივარაღელის მარცხ. მხარეს. "მხვნელ-მთესველების გადმოსაძახებელი იყო სოფლის პირდაპირ" (ურავი).

**საკივარას წყალი** – ღელე. იგივე საკივარაღელე (ურავი).

**საკივარაღელე//საკივარას წყალი** – ღელე, ლუხუნის მარცხ. შენაკადი (ურავი).

**საკივარეები** – გორა, ტყე. იგივე საკივარა (ურავი)

**საკირე** – 1. კლდე ლაშიის მარცხ. მხარეს, შარაბიძეების უბანში (ხოტევი); 2. მინდორი გაღმატყის თავზე, სადაც საკირე ქვას მოიპოვებდნენ (ფუტიეთი); 3. მინდორი ქვემო სხვავაში, ბუღვისში (შუა სხვავა); 4. საძოვარი რუისებში (ძირაგეული); 5. გორა კიკვაძეებში (ზნაკვა).

**საკირეს ღელე** – ღელე, მადნისღელის შენაკადი. "უწინ ლუხუნისღელე ერქვა". საკირეს ღელე მერე დაერქვა. მადნის ღელეც ახალი სახელია" (ურავი).

**საკირეღელე//საკირიღელე** – სათიბი, ღელე ნიღრიკიღელის შენაკადი ზეჭელიშში.

**საკირიღელე** – სათიბი. იგივე საკირეღელე (მოტყიარი).

**საკიტრია** – მთა ყიყვის მარჯვ. მხარეს, ნაღობარისა და ნასაყდრის თავზე (აბარი).

**საკიშორე** – სახნავი, გამოქვაბული ზემო თლუღის საზღვარზე (სხარტალი)

**საკიშორე//საკიშორო** – ღელე, ჩოლაგას შენაკადი. იწყება ბლაშესა და ბალანგარს შუა (ზედა თლუღი).

**საკოკია** – ტყე უთმელიძეებში, სუტიაღელის მარჯვ. მხარეს (ზნაკვა).

**საკონოფოსწვერი** – ქედი. იგივე სოკონოფოსწვერი (ღვიარა).

**საკოხინჯრო** – 1. გორა-სალოცავი. იგივე საელიოგორა (ბოსტანა); 2. მინდორი. იგივე კოხინჯრობა (ზემო სხვავა).

**საკრამიტე** – 1. სათიბი ზემო სხარტალსა და ჭალას შუა (სხარტალი); 2. ტყე ბეთლევის საზღვარზე, კაკანიწყლის ნაპირას. რესპ.: „აქ ამზადებდნენ კრამიტს და აგურს" (შხივანა).

**საკრამიტესქვეშ** – სათიბი ზედა სხარტალსა და ჭალას შუა (სხარტალი).

**საკურდღლია** – ვაკე, სათიბი ეწრის თავზე (ლიხეთი).

**საკურდღლიის უბანი** – უბანი ქოველის ღელის მარჯვ. ნაპირზე, სამგლიის უბნის პირდაპირ (სადმელი).

**სალაქაშია** – საძოვარი ჩონიშურისა და რიონის შესართავთან. უწინ ჭაობნარი ყოფილა და ლაქაში ხარობდა (მუხლი).

**სალეკვია** – ტყე დათეშიძეების უბნის განაპირას (გორი).

**სალეჟავო//ლეჟავების სათიბი** – სათიბი ჭალაში. ეკუთვნოდათ წკადისელ ლეჟავებს (სხარტალი).

**სალითუნე** – მთა ალპურ ზონაში, ხეორის სათავესთან (ურავი, ლიხეთი).

**სალო** – ვაკე-საძოვარი ლაშიის თავზე, ბერიკიახოს გვერდით. აქ იწყება სალოს მთა და გრძელდება თითქმის რიონამდე (კაჩაეთი).

**სალოკი** – ტყე მიწორეთაში (ზემო კრიხი).

**სალომესეული** – მინდორი კედელასა და ნათობას შუა (აზარი).

**სალოს მთა** – მთა ზნაკურა–ხოტევის წყალგამყოფ ქედზე, ხოტევისა და ზნაკვის საზღვარზე. გრძელდება ქვაბთაკარამდე. ამ მთაზეა ვაკეტყე, სათვალისთავი, წინწკილა. იშვიათი ვარიანტი: სალე (ხოტევი, კაჩაეთი, მოტყიარი, საკეცია).

**სალოს ტყე** – ტყე–ფერდობები სალოს კალთაზე, რიონის მარცხ. მხარეს, (ამბროლაური).

**სალოს ღელე** – ღელე, ხოტეურას მარცხ. შენაკადი (ხოტევი).

**სალოს ყანა** – სახნავი მურუსიძეებში (ზნაკვა).

**სალოფინე** – ტყე შარეულის ხეობაში. "სალოფინე სატალახე ადგილია" (ნიკორწმინდა).

**სალოფინეს ფერდი//აფრასიონის ნაყანვარი** – სათიბი სალოფინეში. აფრასიონის ნაყანვარი უწინდელი სახელია (ნიკორწმინდა).

**სალოფინის წყალი** – წყარო სალოფინეში (ნიკორწმინდა).

**სალოფინისწვერი** – მთა, ტყე სალოფინის თავზე (ნიკორწმინდა).

**სალოცავაგორა//სალოცავასერი** – სერი სალოცავაღელესა და მახითვალის ღელეს შუა. მიებმის საკონოფოსწვერს. ერთგან დიდი შავი ქვა დევს და იქ იყო სალოცავი (ღვიარა).

**სალოცავასერი** – სერი. იგივე სალოცავაგორა (ღვიარა).

**სალოცავაღელე** – ღელე, ღვიარაღელის მარცხ. მდგენელი. ზემო წელზე ეწოდება "წელების სარჩევი ღელე" (ღვიარა).

**სალოც(ვ)ელი ქედი** – საძოვარი. იგივე სა(მ)ლოცვილო ქედი (ზნაკვა).

**სალხინო//სალხინოს უბანი//ჭიჭინაძეების უბანი** – უბანი ხოტევის საზღვართან. "ამ უბანში მომღერალი და მოქეიფე ხალხი ცხოვრობს, ამიტომაც დარქმევია. სალხინო კოლმეურნეობასაც ერქვა." სინამდვილეში სალხინო ამ

ადგილის ისტორიული სახელია. აქ, ნასაჯვარევში, მდგარა ეკლესია და ყოფილა მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია: სალხინოს (ჭავჭავაძიანთ უბანი) ნასაჯვარევი მდებარეობს მდ. შაორის მარჯვ. მხარეს, უბნიდან ერთი ვერსის დაშორებით. ძველად აქ ეკლესია ყოფილა, ადგილი მშვენიერია და შესაძლებელია ამ ადგილას იყო ვახუშტის მიერ მოხსენიებული სასახლე მეფეთა, რომლის შესახებ იგი წერს თავის გეოგრაფიაში: "აგარის... ხევის შესართავს ზეით არს შაორი. აქა ყოფილა საზაფხულო სასახლე აწინდელთა მეფეთა"... (ბოჭორიძე, 1994, გვ. 146). ეს ეკლესია XX ს. დასაწყისში უკვე დანგრეულა და მიწა გადაჰფარებია (ქვედა თლუღი).

**სალხინოს უბანი** – უბანი. იგივე სალხინო (ქვედა თლუღი).

**სამ(ის)ზიარი** – სახნავი ჩონიშურის მარცხ. მხარეს, სხვავის საზღვართან. რესპ.: „სამი ოჯახის ზიარი ყოფილა“ (მუხლი).

**სამარვანე//სამარვანი** – სახნავი ზნაკურის მარცხ მხარეს, სამარვანის ღელის ნაპირზე. აქ უწინ მკვდარ შინაურ ცხოველებს მარხავდნენ (მოტყიარი).

**სამარვანი** – სახნავი. იგივე სამარვანე (მოტყიარი).

**სამარვანის ღელე** – ღელე, ზნაკურის მარჯვ. შენაკადი, ჩამოედინება ლემანეურიდან (მოტყიარი).

**სამარიო** – ბაღი ღარისუბანში. **სამარიო** მსხლის ჯიშია ერთგვარი (ქვედა თლუღი)

**სამარიო//სამარიო კაკალი** – საძოვარი ქედზე, სტაჟაურის ღელის მარცხ. მხარეს. „ამ კაკლის ძირას იხდიდნენ მარიამობას“ (სადმელი).

**სამარიო კაკალი** – საძოვარი. იგივე სამარიო (სადმელი).

**სამარნო** – ნადუქნევი შუა კრიხის საზღვართან (ზემო კრიხი).

**სამარტელა ყანა** – საძოვარი, ნაყანევი ლუხუნის მარცხ. მხარეს. მარტში ითესებოდა და ამიტომ დარქმევია. ამჟამად არ ითესება (ურავი).

**სამარწყვია** – 1. გორა ხიმშის საზღვარზე. აღმ-ით არის მირიეთველი, სამხრ. კალთაზე – ნაფიცი, ჩრდ. კალთაზე – წვერსუკანი (შუა კრიხი); 2. მინდორი სალოს მთაზე. ეკვრის სილაკდესა და ნაქუზარას (ხოტევი); 3. ტყე მემანიშვილების უბანში (გორი); 4. ტყე სალოც(ვ)ილო ქედის კალთაზე, კაჟინარის გვერდით (ზნაკვა).

**სამარწყვია გორა** – გორა, საძოვარი ქვათაძეებში (შუა სხვავა).

**სამაჩვია** – ტყე, საძოვარი მელაშვილების მთაში (წესი).

**სამაჭრია** – ტყე რიონის მარჯვ. მხარეს, სორის საზღვართან. უწინ ვენახი ყოფილა (მუხლი).

**სამბოძალი** – ხევი. იგივე უსახელო (ქვედა თლუღი)

**სამბრავლო** – ტყე. იგივე სამბრე(ვ)ლო (ველევი).

**სამბრე(ვ)ლო//სამბრავლო** – ტყე ზემო კრიხის საზღვარზე, იონჯასა და მიწორეთს შუა. იყოფა: ზედა სამბრელო, ქვედა სამბრელო (ველევი).

**სამბრელო** – საძოვარი, დაყვაულის ნაწილი დოხნაძეების უბანში (კაჩაეთი).

**სამგველია** – სათიბი კეხეულას გვერდით (ზედა თლუღი).

**სამგლია** – 1. მინდორი კლდისუბანში (ხიმში); 2. მინდორი კობახიძეებში (ხოტევი); 3. ტყე კრიხულის მარცხ. მხარეს, ტრიფონას შუროს თავზე (ქვემო კრიხი); 4. ტყე მეჭვრეთის თავზე, აზარის საზღვართან (ლიხეთი); 5. მინდორი სხალანის გვერდით (მოტყიარი). სამგლია ეწოდება ტყეებს აგრეთვე შუა სხვავაში, შხივანაში, ზემო კრიხში, ნიკორწმინდაში, ჭელიაღელეში, გორში, წკადისში და სხვ.

**სამგლია//სამგლიის უბანი** – უბანი ქოველის ღელის მარცხ. მხარეს (სადმელი).

**სამგლია(ნი)** – ტყე. იგივე სამგლია(რი) (აზარი).

**სამგლია(რი)//სამგლია(ნი)** – ტყე, სათიბი, ფერდობი ეწერეების თავზე (აზარი).

**სამგლიას ტყე** – ტყე სამგლიაში (ხოტევი).

**სამგლიას ფერდი** – ფერდობი სამგლიაში (ნიკორწმინდა).

**სამგლიის უბანი** – უბანი. იგივე სამგლია (სადმელი).

**სამგულეთი//სამღულეთი** – სახნავი სამი ღელის შესართავთან. ეს ღელეებია: ობნელას წყალი, თლუღის წყალი, აგარის წყალი. ისინი ქმნიან სამღულეთის წყალს (ხოტევი).

**სამდგვაფა** – სათიბი პატარა საწალიკეში. ინფ.: "სათიბთან სამი მცირე ძაზრია. ამიტომ დარქმევია სამდგვაფა" (ქვედა თლუღი).

**სამება** – 1. ეკლესია კვირიკაშვილებსა და ბედელაძეებს შუა (ზემო სხვავა); 2. ნაეკლესიარი, სასაფლაო ქედის კალთაზე (სადმელი); 3. სალოცავი რიონის მარცხ. მხარეს, ჩონიში (მუხლი).

**სამება//სამების სალოცავი** – სალოცავი გორგიშვილებში (ველევი).

**სამების სალოცავი** – 1. ნიში სამელიაში (კლდისუბანი); 2. სალოცავი. იგივე სამება (ველევი).

**სამეველო** – სახნავი. უწინ აქ სამეველო ხულა მდგარა (წესი).

**სამეკენძელე** – საძოვარი ბოძარასა და ჯურღმულს შუა. რესპ.: „მეკენძალა ბალახია. გაზაფხულზე მოდის, ჭამენ“ (წესი).

**სამელე** – ტყე ჭალის მარჯვ. მხარეს (ზემო სხვავა).

**სამელია** – 1. კლდე რიცეულის მარცხ. მხარეს (კლდისუბანი). 2. ტყე მანჭუხელას თავზე, სოფლის ბოლოში (გორი).

**სამელია//სამელიიკდე** – კლდე ვაჩაძეებსა და გურგენიძეებს შუა (ნიკორწმინდა).

**სამელიატყე** – ტყე ქირქლობასთან (წკადისი).

**სამელიაღელე** – სახნავი ფერდობზე, სამელიის კდესთან (ხოტევი).

**სამელიგვერდი** – ტყე სონჩიბის დას–ით, სადმელის საზღვართან (ძირაგეული). ?

**სამელიიკდე** – კლდე. იგივე სამელია (ნიკორწმინდა).

**სამელიის კდე** – კლდე ხოტეურის მარჯვ. მხარეს (ხოტევი).

**სამერცხლე** – მთა, ჭუთხაროს მწვერვალი. „სამერცხლე – მთა ჭუთხარო–სამერცხლეს სინკლინურ მასივზე. სიმაღლე 3584 მ...“ (ქსე, 8). რუსულენოვან კარტოგრაფიულ რუკაზე სამერცხლე აღნიშნულია Чуткара-სა და კარეტას შუა, ლათაშურის წყლისა (ჩრდ–ით) და ღობიშურის (სამხრ–ით) სათავეებს შუა. მაგრამ აქ სამერცხლეს სიმაღლე , ისევე როგორც Чуткара-სი (ე.ი. ჭუთხაროსი) არის 3562 მ. (ლიხეთი).

**სამერცხლია** – სამოვარი ბოსტანას საჯოგეში. აქ ზაფხულობით მთის მერცხალი იკეთებს ბუდეს. რესპ.: „სამერცხლე სხვაგანაცაა, მაგალითად, ჭუთხაროში“ (კლდისუბანი).

**სამერცხლის მთა** _ მთა იგივე ჭუთხარო (ურავი).

**სამესამო** – ტყე სამთო გზაზე, ღვლერჭისაწყვეტიამდე (შუა სხვავა).

**სამზარეულო** – ტყე-სამოვარი მაისაშვილების მთაში. რესპ.: „სათიბები ჰქონდათ და აქ სამზარეულო ფაცხა ედგათ“ (წესი).

**სამზეური** – ვენახი ჯვარულაუბანში (საკეცია).

**სამზიარ(ებ)ი** – სახნავი ქედზე (სადმელი).

**სამზიარი** – 1. სათიბი ბლაშისთავთან, სხვავის საზღვარზე (ველევი); 2. სახნავი შაორის წყალსაცავის შემოგარენში, აბუთიძეების ტყესა და იოსების სათიბს შუა (აგარა); 3. ტყე სალოსა და ნაეკლესიევს შუა. სამი ძმის საკუთრება ყოფილა (ხოტევი); 4. ტყე ფეხსაბანიწყლის სათავესთან, სოფლის ჩრდ. ნაწილში (შხივანა); 5. გორა ტყე-სახნავებით, დიდ(ი)კდის ჩრდ. ნაწილი (მოტყიარი). სამზიარი ეწოდება სახნავებს, საძოვრებს, ტყეებს აგრეთვე შუა სხვავაში, კაჩაეთში, უყეში, ნიკორწმინდაში, ბეთლევში, გორში, ზნაკვაში და სხვ.

**სამზიარის გორა** – ტყე ქვედა აგარაში, ნასილევსა და ნაფუზვარს შუა, ვენახიბოლოს თავზე (აგარა).

**სამთო გზა** – გზა ქვემო სხვავაში. სოფლიდან მიემართება ველევისაკენ. ამ გზაზეა: ნაზოგირევი, წაბლუანი, ფიჩხიჯვრის ღელე, ფიჩხიჯვარი, მჭედლიყანა, ქვედა ბოსელა (შუა სხვავა).

**სა(მ)ლოცვილო ქედი//სალოც(ვ)ელო ქედი** – საძოვარი, გორა მურუსიძეების უბანსა და ცივწყალას შუა, ნაეკლესიევის მთისაკენ მიმავალ საურმე გზაზე (ზნაკვა).

**სამრეკლო** – ბუჩქნარი წვერისკალთაზე. რესპ.: „ადგილია ისეთი, ეხო სცემს და უკან აბრუნებს ხმას“ (ლიხეთი).

**სამტრედე//სამტრედო** – საძოვარი ოტიანახულევის ზემოთ, ლუხუნის მარჯვ. მხარეს (ურავი).

**სამტრედეს წყალი** – წყარო, ლუხუნის მარჯვ. შენაკადი (ურავი).

**სამტრედია** – 1. სათიბი, ჭაობი, ტყე ჩონიშურის მარცხ. მხარეს, რესპ.: „მიწანალა მიწა იყო და მტრედები ჭამდნენ“ (მუხლი); 2. სახნავი, ფერდობი ნაკრძალ მუხნარის ქვემოთ (წკადისი).

**სამტრედო** – საძოვარი. იგივე სამტრედე (ურავი).

**სამტრედუა** – წყარო კვიტაშვილებში (ველევი). წარმოქმნის გზა: ტრედი > სამტრედო > სამტრედოა > სამტრედუა (–ა მატოპონიმებელი სუფიქსია; ოა > უა მრავალ დიალექტს ახასიათებს).

**სამღებრო** – მთა ლუხუნის მარცხ. მხარეს, ფაქუშის წყლის სათავესთან (ურავი).

**სამღულეთი** – 1. წყარო ოზნელას მარცხ. მხარეს, ხოტევის საზღვართან (ქვედა თლუღი); 2. სახნავი. იგივე სამგულეთი (ხოტევი).

**სამღულეთის ღელე//სამღულეთის წყალი** – ღელე, ხოტეურის მარჯვ. შენაკადი. იხ. სამგულეთი//სამღულეთი (ხოტევი, ქვედა თლუღი).

**სამღულეთის წყალი** – მდინარე სამღულეთში. იხ. სამღულეთი (ხოტევი) .

**სამყევრო** – სათიბები. იგივე საყევრე (ლიხეთი).

**სამყვირალო** – ტყე, სათიბი რაჭის ქედზე (შუა სხვავა).

**სამყვირალო ჯვარი** – გზა-გადასასვლელი რაჭის ქედზე, ფუტიეთი-მოხვის გზაზე. მანძილი ფუტიეთიდან 15 კმ. (ფუტიეთი).

**სამყურიანი ვაკე** – სამოვარი ყიყვის მარჯვ. მხარეს, მგლისაბუდარასა და ბღუანას შუა. რესპ. ვ. ლობჟანიძე: „მინდორს აქვს სამი ყური, ანუ სამმხრივ მისასვლელი. მეოთხე მხარეს კლდეა" (აზარი).

**სამშხალა** – ტყე, სამოვარი მიქაუტაძეების უბნის თავზე (ზნაკვა).

**სამჩხიკვია** – სათიბი, ტყე სვანეურის კალთაზე (უყეში, წკადისი).

**სამძლია** – გორა განიგზის გვერდით (ნიკორწმინდა).

**სამწყერია** – 1. სახნავი ჭალის მარჯვ. მხარეს, აკავანის გვერდით (ზემო სხვავა); 2. მინდორი გორიკარსა და შაორის ტბას შუა (ჭელიაღელე).

**სამჭიკია** – 1. კლდე, ტყე სამიკართან, სამზიარის გვერდით, ზემო კრიხის საზღვართან (ველევი); 2. ტყე რიცეულის მარცხ. მხარეს, სოფლის განაპირას. „ბავშვებს აშინებდნენ, იქ ჭინკებიაო“ (კლდისუბანი); 3. ტყე ჭალის მარცხ. მხარეს. „აქ ღრმა გამოქვაბულია და მჭიკები ცხოვრობდნენ“ (შუა სხვავა); 4. ხოტეურის ვიწრობი ჭელიარელის საზღვართან. რესპ.: „ამ ადგილას ჭინკები ცხოვრობენო, აშინებდნენ ბავშვებს“ (ხოტევი); 5. კლდე, ტყე, სახნავი ტურძელაძეებში. რესპ.: "სამეგრელოდან საწნახლებით მოფრინდებოდნენ კუდიანები. ამიტომაც ნაძრახი იყო, ეშინოდათ და ახლოს არ ეკარებოდნენ" (ზნაკვა). სამჭიკია ეწოდება სხვადასხვა ობიექტებს აგრეთვე გორში, ბოსტანაში, სადმელში, ჭელიაღელეში და სხვ.

**სამჭიკიის გზა** – გზა, რომელიც გადის ხოტევში (აგარა).

**სამჭიკიის კდე** – კლდეები სამჭიკიაში (ხოტევი).

**სამჭიკიის წყალი** – წყარო სამჭიკიაში (ზოსტანა).

**სამჯახველაო** – საძოვარი პეტრიაშვილებში, კოკოლაახოსა და მუხნარს შუა (კაჩაეთი).

**სანაფოტე** – მთა, კვაცხუთის შემოგარენი საელიოს მთის დას. ნაწილში, უნაგერას თავზე (კვაცხუთი).

**სანახშირე** – 1. ტყე რუისას სათავესთან, სარეკის წვერის ჩრდ–ით. რესპ.: „აქ სოფლის ფერმა იდგა და მწყემსები ამზადებდნენ ნახშირს სამჭედლოებისათვის“. იყოფა: დიდი სანახშირე, პატარა სანახშირე (ძირაგეული); 2. ნამეწყრები ხიდეთურის მარჯვ. მხარეს. ვერხვნალს ზემოთ. უწინ აქ ნახშირს წვავდნენ სამჭედლოებისათვის (კლდისუბანი); 3. საძოვარი, ტყე რიცეულის ნაპირებზე (სადმელი); 4. ტყე საწალიკეში, გიგიაქვაბსა და გძელ მინდორს შუა (ზედა თლუღი).

**სანახშირეღელე** – ღელე პატარა საწალიკეში. ამ ღელის ნაპირას ნახშირს წვავდნენ (ქვედა თლუღი, ხოტევი).

**სანახშირის ღელე** – ღელე, რიცეულის მარჯვ. შენაკადი (კლდისუბანი).

**სანახშო** – სანახშო სოფლის ცენტრში, კაკლის ძირას. აქვეა კოდურა (წკადისი).

**სანახშო//ჯირკვი** – სანახშო ჯირკვისუბანში (ქვედა თლუღი).

**სანდროს სათიბი** – სათიბი პატარა საწალიკეში (ქვედა თლუღი).

**სანთელა** – საკარმიდამო გაბიჩვაძეების უბანში. რესპ.: „სანთელა რაღაც მცენარე უნდა იყოს“; „მიწა იყო როგორც სანთელი, თოხს სანთელივით ეკვრისო, ამბობდნენ გლეხები“ (ძირაგეული).

**სანიკიძისეული** – საძოვარი აგლაძეებში (შუა კრიხი).

**სანიმუშო** – ვენახი ქოველებში. რესპ.: „ალექსანდროულის ჯიშის ვაზი გააშენეს და კარგ მოსავალს იძლევა“ (სადმელი).

**სანისლია** – მთა საწალიკეში, სანახშირე ღელის სათავესთან (ქვედა თლუღი).

**საპეტრიაშვილო** – სამოვარი ლემანეურში, კაჩაეთის საზღვარზე (ნიკორწმინდა).

**საპურე სხალი** – მინდორი, წყარო, შესასვენებელი ადგილი კვარხითში. წყაროსთან იდგა საპურე სხალი, რაც საადრეო მსხლის ჯიშია (ფუტიეთი).

**საპურტყ(ვ)ე** – ტყე ზეჭელიშის კალთაზე. რესპ.: "საპურის ტყე იყო თითქოს. იმასაც ამბობენ, საპირუტყვე იყოო, პირუტყვს ამოვებდნენო" (ზნაკვა).

**საჟურო** – 1. სამოვარი კოდის მთის კალთაზე (სხარტალი); 2. გორა სოფლის აღმ. ნაწილში, გაღმაკუთხის თავზე (ზედა თლუღი).

**საჟურო//საჭურო//საჯურო** – ტყე, სახნავი ვახტანგაშვილებში, ბოსელაღელის სათავესთან. „ჩავარდნილი ადგილია და წყალი იჟურება“ (წკადისი, ქვედა თლუღი, ხოტევი).

**სარაკუნო წყალი** – წყარო, ბეგლარის წყლის სათავე სოფლის სემოგარენში (ჭელიაღელე).

**სარახუნო წყალი** – წყარო შაორის წყალსაცავის განაპირას, დოქიტეხიას გვერდით. რესპ.: "ყანა იყო და მოწყობილი ჰქონდათ სარახუნე, რომლითაც აფრთხობდნენ დათვს" (ნიკორწმინდა).

**სარდალას წყალი** – წყარო კობახიძეებში. აღმოუჩენია კაცს, სახელად (თუ მეტსახელად) სარდალას (ხოტევი).

**სარდიონის ტყე** – ტყე ონჭაროსთან (ნიკორწმინდა).

**სარეკელა** – 1. სამოვარი სალხინოში. ინფ.: "საქონლის გასაშვები ადგილი იყო. ყელზე ზარი ჰქონდათ ჩამოკიდებული" (ქვედა თლუღი); 2. სახნავი ქევანიშვილების უბანში. „ქვიანი ადგილია და ურემი რომ გაივლის, რეკავს“ (ხოტევი).

**სარეკი** – 1. გზა ტყეში, მარტოხელას გვერდით (კვაცხუთი); 2. გზა სარეკის მთაზე, ქედურის სათავესთან. რესპ.: „ქვიანი გზაა და ურემი რეკავდა“; „აქ ნადირი

შემოესეოდა და თოფით გადარეკავდნენ ხოლმე“ (ძირაგეული, სადმელი); 3. ფერდობები განიგზის გვერდით (ველევი).

**სარეკი(ს)გვერდი** – წყარო გოქსაძეებში, განიგზის თავზე (ველევი).

**სარეკის მთა** – მთა რიცეულის მარცხ. მხარეს, სადაც გადის გზა „სარეკი“. რესპ.: „ქედისუბნიდან ალპ. საძოვრებისაკენ გამორეკილ საქონელს აქ, კლდის ვიწრობში, უნდა გაევლო. ამიტომ დაარქვეს სარეკის მთა. ამის შემდეგ საქონელი ზედა რუისის გზას დაადგებოდა“ (კლდისუბანი, სადმელი).

**სარეკის სხლოვანი** – საძოვარი. იხ. სხლოვანი (კლდისუბანი).

**სარეკი(ს)წვერი –** სარეკის მწვერვალი (ძირაგეული).

**სარეკის წყალი –** წყარო სარეკში (ძირაგეული).

**სარიკაო ვაკე** _ საძოვარი მურუსიძეებში (ზნაკვა).

**სარიწკინო** – უფსკრული ზეცახოს თავზე, ველევის საზღვართან. რესპ.: „ქვას რომ ჩააგდებ სულ რიწკინ–რიწკინით ეშვება“ (კვირიკეწმინდა).

**სარყვებია//საყვერბია//ნაყვერბალი** _ ფერდობი გორიკარსა და შაორის ტბას შუა (ჭელიაღელე).

**სასადილო** – 1. მინდორი სერულის ზემოთში. რესპ.: „აქ რომ ავიდოდნენ მთოხნელ-მთიბავები, უკვე სადილის დრო იყო. სხვაგანაცაა სასადილო“ (ლიხეთი); 2. ტყე მახითვალის განშტოებაზე (ღვიარა).

**სასადილოს ღელე** – სერულის მარჯვ. შენაკადი (ლიხეთი).

**სასალაო** – სახნავი ნიკოლაშვილებში, საელიოს კალთის ძირას. სალა არის რიყის ბრტყელი ქვა, რომლითაც თამაშობენ სალაობას (კვაცხუთი).

**სასარე** – ვენახი რიონის მარჯვ. ნაპირზე. „უწინ აქ იყო თხმელნარი, სადაც ვაზის სარს ამზადებდნენ. აღარაა, წაიღო წყალმა“ (წესი).

**სასახლე** – 1. ბაღი სოფლის ცენტრში (ხოტევი); 2. ნასახლარი ნაავარევთან, ზეჭელიშში (ზნაკვა); 3. სახნავი წმ. გიორგის ეკლესიის გვერდით (მოტყიარი). სასახლე ეწოდება მინდვრებს, სახნავებს, ნასახლარებს აგრეთვე კვირიკეწმინდაში, შუა კრიხში, უყეშში და სხვ.

**სასახლიგვერდი** – სალოცავი ჩანგელაურსა და ჩუგუნაურს შუა, ველეულის მარცხ. მხარეს (წკადისი, სხარტალი).

**სასეირნო** – საბავშვო ბაღის ეზო ნიკორწმინდის ტაძრის გვერდით. "დავგულაობდით საღამოობით, უფრო პრაზდნიკებში. ეკლესიას ვუვლიდით კრუგომ. გასართობი ადგილი იყო" (ნიკორწმინდა).

**სასელო** – წყარო. **სასელო** მსხლის ჯიშია (ქვედა თლუღი).

**სასვანეთო** – ასე უწოდებენ ურაველები ლეჩხუმის ქედის ჩრდ. კალთებს (ურავი).

**სასვენებელა** – 1. გზისპირი ჭალის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ჭალიდან რომ ურმით შეშა მოჰქონდათ, აქ დაისვენებდნენ“ (ზემო სხვავა); 2. დავაკება, შესასვენებელი ადგილი კიბულის გზაზე (წესი).

**სასვინტრია** – სათიბი, ტყე ვაკენამვნარსა და დიდღელეს შუა. აქედან წყალი ჩაედინებოდა შაორის ქვაბულში და იქმნებოდა მდ. შარეულა (ნიკორწმინდა).

**სასვინტრიის შურო** – შურო სასვინტრიაში (ნიკორწმინდა).

**სასვინტრიისწვერი** – მთის წვერი სასვინტრიის თავზე (ნიკორწმინდა).

**სას(ლ)ექი** – კლდოვანი ბორცვი ხიმშის, სხვავისა და გორის საზღვარზე (გორი).

**სასო ბუცუცქის ნაყანვარი** – სათიბი. იხ. გვიბრალი (ნიკორწმინდა).

**სასოკოე** – ტყე ქედის ჩრდ. კალთაზე (სადმელი).

**სასოკოვე** – ტყე ჩონიშურის მარცხ. მხარეს (მუხლი).

**სასორო** – სახნავი საფიჩხიაზე. სორი მეზობელი სოფელია ონის რ–ნში (ლიხეთი).

**სასოს ახო** – ტყე ჩონიშურის ხეობაში (მუხლი).

**სასტვენია** – შემაღლება, კლდისთავი მელაშვილების მთაში, საჯვაროსა და გოგინაურის თავზე. რესპ.: „მაღალი ადგილია და იქიდან უსტვენდნენ, რომ ხმა მიეწვდინათ ყანებში“ (წესი).

**სასულე** – კარსტული ჭა დიდ(ი)კდის თავზე (მოტყიარი, კაჩაეტი), ჭოხუეთში (ფუტიეთი), უდაბნოსა და საურმისწვერს შუა (ზემო სხვავა), აგრეთვე კლდე ბურშებში, სადაც ერთგან ნაპრალია და ცივი ჰაერი ამოდის (კვირიკეწმინდა).

**სასულესთავი** – მინდორი სასულეს თავზე (კვირიკეწმინდა).

**სასულისთავი** – საძოვარი საწალიკეზე, ბასილას ტყეში, კარსტულ ჭასთან (ზედა თლუღი).

**სასუნებლიწყალი** – წყარო სამღებროში (ურავი).

**სასხვაო** – 1. ვენახი ბარსონიძეების უბანში (ხიმში); 2. მთა სხვავის საზღვარზე (ბეთლევი).

**სატალახე** – 1. საძოვარი ძირაგეულის საზღვარზე (კვაცხუთი); 2. ტყე გოგსაძეების შემოგარენში, მთავარ გზაზე (ველევი); 3. ტყე. იგივე საალახე (ზემო სხვავა).

**სატალახე გზა** – გზა ბორიღელესთან (ზემო კრიხი).

**სატალახეს ყორე** – ყორე სატალახეში (კვაცხუთი).

**სატალახის ღელე** – ღელე ბურჯანეულის დას–ით. რესპ.: „აქ სულ ტალახი იყო, ცხელ ზაფხულშიც კი“ (ძირაგეული).

**სატბაური//სატბაურისთავი** – საძოვარი არჩვაძეების თავზე (ფუტიეთი).

**სატბაურისთავი** – საძოვარი. იგივე სატბაური (ფუტიეთი).

**სატოპელა** – სათიბები საწალიკეში, ღვლერჭიწყვეტიას გზაზე (ველევი, ბეთლევი).

**საურაო** – მთა ალპურ ზონაში, საფერისცვალოს გვერდით. ტერიტორია ეკუთვნის სოფ. ურავს, მაგრამ სახელწოდება გავრცელებულია ლიხეთში (ლიხეთი).

**საურმი(ს)წვერი** – მთა რაჭის ქედზე, ხიხათის დას. ნაწილში (ფუტიეთი).

**საურმისწვერის ტბა** – ტბა საურმისწვერში (ფუტიეთი).

**საუხუციო** – ვენახი ჭალის მარჯვ. მხარეს, უსახელოს გვერდით (ზემო სხვავა).

**საფაფ(არ)ია** – სათიბები საწალიკეში, ეკლესიის ნანგრევებთან. იხ. საფაფია (შხივანა).

**საფაფია** – 1. სათიბი მაისაშვილების მთაში. რესპ.: „რომ მოწვიმს, ფაფასავით ლაფი დგება“ (წესი); 2. ვრცელი ტყე–საძოვრები და სათიბები საწალიკეში, დაყოფილი აქვთ და სარგებლობენ სოფლები: შხივანა, ველევი, ნიკორწმინდა, ხოტევი, ქვედა თლუღი, ზემო სხვავა, ფუტიეთი, უყეში, აგარა, ჭელიაღელე. ველევში უწოდებენ საფაფ(რ)იას, ხოლო შხივანაში – საფაფ(არ)იას. ფუტიეთის კუთვნილი საძოვარი (საკანაფოღელის მარჯვ. მხარეს, დიდ მინდორთან) იყოფა: ზედა საფაფია, ქვედა საფაფია.

**საფაფიის ტყე** – ტყე საფაფიაში (ჭელიაღელე)

**საფაფ(რ)ია** – სათიბი საწალიკეში. იხ. საფაფია (ველევი).

**საფეველა** – ტყე სოფ. საკეციის საზღვართან (ზნაკვა).

**საფეთქი** – 1. სახნავი ბლაშის უბანში. საფეთქი ასკილისნაირი მცენარეა (ზედა თლუღი); 2. ვენახი სოფ. საკეციის საზღვართან (ზნაკვა).

**საფეიქრო** – გამოქვაბული საყუდლის კლდეზე. „კლდეზე იყო მიშენებული სადგომი და იმას ერქვა. ჩამოინგრა და მაინც საფეიქროს უძახიან“ (კლდისუბანი).

**საფერიგვერდი** – სათიბი გორისტევის ჩრდ. კალთაზე, სხვავის საზღვარზე (ველევი).

**საფერ(ის)ცვალო//საფერიცვალო** – სოფ. აბარის სათიბები საფერისცვალო მთაზე. რესპ.: „ფერ(ის)ცვალა ყვავილია“ (აბარი). ამ სათიბებით სარგებლობს ლიხეთის თემის სამივე სოფელი (აბარი).

**საფერი(ს)ცვალო** – სათიბები საფერიცვალო მთაზე (ლიხეთი).

**საფერიცვალო** – სათიბები. იგივე საფერ(ის)ცვალო (აზარი, ურავი); 2. სამოვარი ქვათაძეებში (შუა სხვავა).

**საფერიცვალომთა** – მთა აზარულისა და სერულის სათავეებთან (ლიხეთი).

**საფერიცვალოს წვერი** – მთა უხტუნელასა და ნადარაჯებს შუა (ურავი).

**საფერციხო** – ტყე–ფერდობები ძველი ციხის ნანგრევებთან, ღელისუბანში, ღვიარაღელის მარჯვ. მხარეს (ღვიარა).

**საფერხისო** – 1. ვაკე ქედისუბანსი, სარეკის გზაზე. რესპ.: „საღამოობით აქ იყრიდნენ თავს სადმელისა და ძირაგეულის ახალგაზრდები და ფერხისობდნენ, ე.ი. ფერხულს ცეკვავდნენ“. ამ ადგილს საფე(რ)ხისო ეწოდება ძირაგეულში, ხოლო სადმელში – საფერხისო(ები); 2. ტყე-სამოვრები მაისაშვილების მთაში. სახელდების მოტივი ვერ დადგინდა (წესი).

**საფე(რ)ხისო** – 1. ვაკე ქედისუბანში, სარეკის გზაზე. რესპ.: „აქ იყრიდნენ თავს სადმელისა და ძირაგეულის ახალგაზრდები და ფერხისობდნენ, ე. ი. ფერხულს ცეკვავდნენ, თამაშობდნენ“ (ძირაგეული); 2. ვაკე-მინდორი სერულის მარჯვ. მხარეს (ლიხეთი).

**საფერხისო(ები)** – ტყე, სალოცავი ძირაგეულის საზღვარზე. იხ. საფე(რ)ხისო (სადმელი).

**საფერხიცო** – ალპ. სამოვრები ლუხუნ-რიცეულის წყალგამყოფზე (კლდისუბანი).

**საფერხიცომუხა//საფორცხომუხა** – მუხა საფერხიცოში, ჭვარების ძირას. იყო საზღვარი ლუხუნისა და სადმელის სატყეოებისა (კლდისუბანი).

**საფინია** – 1. ტყე ქვათაძეების უბანში (შუა სხვავა); 2. ტყე, ფერდობი, ნაყანევი ზედვაკის გვერდით, დიდი ჩორჯოს საზღვართან. „ლობიოს აფენდნენ გასაშრობად“ (ღვიარა).

**საფიჩხია** – 1. სამოვარი მინდაციხის ქედზე, გორგომელას ძირში (წესი); 2. სერი ლუხუნის მარცხ. მხარეს, გორხანეულიდან მინდაციხემდე (ლიხეთი).

**საფორცხო მუხა** – მუხა. იგივე საფერხიცომუხა (კლდისუბანი).

**საფუზურა** – სამოვარი ქვემო სხვავაში, კრიხულისა და ჭალის შესართავის მარჯვ. მხარეს (შუა სხვავა).

**საფუზური** – სამოვარი. იგივე საბუზური (ზნაკვა).

**საფუზურისგვერდი** – სამოვარი საფუზურთან (ზნაკვა).

**საფურიკდე** – კლდე რიონის მარცხ. ნაპირზე, ქვეშვაკესა და მუხლს შუა. რესპ.: „როსტომ წერეთელს აქ ჰქონია ფური ირმების ნაკრძალი“ (ხიმში).

**საფურის კდე** – სამოვარი ხიმშის საზღვართან (მუხლი).

**საფურღალაო** – მინდორი. იგივე საბღალაო (საკეცია).

**საფუტკრე** – სახნავი. იგივე ახოყრუა (ნიკორწმინდა).

**საფუტკრე//საფუტკრია** – ტყე კანტორეების ტერიტორიაზე, სადაც უწინ ფუტკარი ჰყოლიათ (კლდისუბანი).

**საფუტკრე(ები)** – სახნავი ძრაგულის მარცხ. მხარეს (ლიხეთი).

**საფუტკრეებისბოლო** – სამოვარი საფუტკრეებში (ლიხეთი).

**საფუტკრია** – 1. სამოვარი ჩარახეთში, მაისაშვილების მთაზე (წესი); 2. ტყე. იგივე საფუტკრე (კლდისუბანი); 3. მინდორი გორიკარსა და ქართველიშვილებს შუა, ყვირილას გვერდით (ჭელიაღელე).

**საფხეკია** – სამოვარი, ფერდობი აშხაპირაღელის მარჯვ. მხარეს. „ფხეკი მწირი მიწაა, თეთრი“ (ხოტევი).

**საქალაქო გზა** – გზა ფეხით მოსიარულეთათვის. რესპ.: „გზა მოხვადან გადადიოდა თბილისისაკენ რაჭის ქედზე გავლით. სჭირდებოდა ერთი კვირა“. ამ შემთხვევაში "ქალაქი" აღნიშნავს ქ. თბილისს (შუა სხვავა).

**საქანელა** – ტყე ავაზანის გვერდით. რესპ.: „საქანელა ჰქონიათ მოწყობილი ღვლერჭზე და ქანაობდნენ“ (შუა კრიხი).

**საქანელი** – კლდე დათეშიძეებში. რესპ.: „დაქანებული გზაა, ამიტომაა საქანელი“ (გორი).

**საქანისძირი** – ფერდობი, სადაც კდისთავიდან (საწალიკე) ჩამოდის გზა (შხივანა).

**საქვემოთლუღი** – ტყე საწალიკეში (ზედა თლუღი)

**საქიანი** – სათიბი. იგივე (და)საქიანი (მოტყიარი).

**საქიანო** – ტყე ჯიხურის კალთაზე. „საქიანო, ანუ საქანელა, იყო ჩამოკიდებული მუხაზე“ (ღვიარა).

**საქორეღელე** – მინდორი, ღელე. იგივე საქორი(ს)ღელე (ნიკორწმინდა).

**საქორეღელეს შესავალი** – სათიბი საქორეღელესთან. აქ შემოდის ტყიბული ამბროლაურის გზა (ნიკორწმინდა).

**საქორი(ს)ღელე//საქორეღელე** – მინდორი, ღელე ქეთიაშვილების უბანში. ღელე სათავეს იღებს ბურუშაულის წყლიდან და გუბისწყლიდან (ნიკორწმინდა).

**საქორია** – 1. ბორცვი კერესელიძეების უბანში (სადმელი); 2. ვაკე ყეროეთის გვერდით, სხვავის საზღვარზე. რესპ.: „ქორი იტაცებდა ქათამს, წიწილს. დაუდარაჯდნენ, აქ მიაგნეს და მოკლეს“ (მუხლი); 3. ვაკე-სახნავი, ირგვლივ კლდეებით შემოსაზღვრული, ყრუაშვილების უბანში, ნატბაურასა და ხოტეურას შუა. გადმოცემით, ქორი თავის ნადავლს აქ ჭამდა (ხოტევი). საქორია ეწოდება სხვადასხვა ობიექტს აგრეთვე ძირაგეულში, აგარაში, ქვედა თლუღში, შუა კრიხში, ლიხეთში, კვირიკეწმინდაში, ველევში, შუა სხვავაში, ჭელიაღელეში, ქვემო კრიხში, ზემო კრიხში, კვაცხუთში, ახალსოფელში, ზნაკვაში, ზემო სხვავაში და სხვ.

**საქორიას ტყე** – ტყე საქორიაში (აგარა).

**საქორიღელე** – ტყე შაორის წყალსაცავის ჩრდ-ით, ნიკორწმინდის საზღვართან (ჭელიაღელე).

**საქურდალაღელე** – ღელე, ლუხუნის მარჯვ. შენაკადი ქორეთულის შესართავს ქვემოთ (წესი).

**საღალატო ღელე** – ღელე, გზა საფაფიაში. "როგორც ამბობენ აქ იმერლებმა უღალატეს რაჭველებს" (ქვედა თლუღი).

**საღალღაო** – სახნავი ჯაფარიძეების უბანში (სადმელი).

**საღანძილე** – სათიბი კდისუბანში (ხიმში).

**საღვიარო** – სახნავი საფუტკრესა და სოჩიბს შუა, რიცეულის მარჯვ. მხარეს, ღვიარის საზღვარზე (კლდისუბანი).

**საღორია** – წაბლნარი ჯავისას ზემოთ, საკივარას ხეობაში (წესი).

**საღრაფო//საგრაფო** – ტყე ქედზე, ბატონიტყის გვერდით, რიცეულის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „იტალიელები ჭრიდნენ ხეტყეს და გაჰქონდათ რიონზე ტივით“; „აგრაფინა ჯანელიძე იცავდა ამ ტყეს და ამიტომ დაერქვა საგრაფო“; „გადმოცემით გრაფს ეკუთვნოდა“ (ძირაგეული).

**საღრაფოს ღელე** – ღელე. რიცეულის მარჯვ. შენაკადი (კლდისუბანი).

**საყარი** – შურო კლდეზე, რაც წმინდა გიორგის მთაზეა. რესპ.: „აქ ამოდიოდნენ იმერეთიდან, ჭრიდნენ ხეტყეს და ამ შუროზე აცურებდნენ“ (ნიკორწმინდა).

**საყაჩაღო** – კლდე რიონის მარცხ. მხარეს, შარდომეთის საზღვართან. რესპ.: „აქ თავს აფარებდა ერთი ყაჩაღი, საქონელს იტაცებდა. ბოლოს მოკლეს" (მუხლი).

**საყევრე//სამყევრო** – სათიბები ხეორის სათავესთან. რესპ.: „ყევარის გარეშე ვერ ამოჰქონდათ თივა. ორი უღელი ხარის შებმა იყო საჭირო“ (ლიხეთი).

**საყენებელა** – ტყე სოხორთულის მარცხ. მხარეს. "მობინავეები იდგნენ და ჯოგი ეყენათ" (ურავი).

**საყვავიღელე** – ტყე და ღელე წესურში. გამოედინება ჭვარებიდან (კლდისუბანი).

**საყვანისური** – მთა–საძოვარი წესურის სათავესთან (წესი, კვაცხუთი).

**საყვანისურის ღელე** – ღელე. იგივე საყვანისურის წყალი (წესი).

**საყვანისურის წყალი//საყვანისურის ღელე** – ღელე, წესურის მარცხ. მდგენელი (წესი).

**საყვერბე** – კლდე ბატონიტყეში, რაც სოფლის ჩრდ. ნაწილშია. რესპ.: „აქ მოიპოვებოდა ქვა – ბუხარში ჯირკვის თავის დასადები. ყვერბი იმას ერქვა“ (მირაგეული).

**საყვერბეები//საყვერბია** – სახნავი ჯანელიძეების უბანში, გორის საზღვართან (ამბროლაური).

**საყვერბია** – 1. სახნავი. იგივე საყვერბეები (ამბროლაური, გორი); 2. ფერდობი. იგივე სარყვებია (ჭელიაღელე).

**საყვერია** – სამოვარი ბოძარის ღელის ზემო წელზე. რესპ.: „მრგვალი ადგილია, შუაში ჩაწეული, თითქოს იქით-აქეთ ყვერებია“. ხომ არ ერქვა საყვერბია? (წესი).

**საყინულე** – 1. გამოქვაბული ტრედისუბანში, კახაბერაულის გვერდით (ნიკორწმინდა). შდრ. ქსე, ტ. 7, გვ. 435: "სოფლიდან სამხრ.-დას-ით 2 კმ-ზე არის საყინულის (ნიკორწმინდის) მღვიმე"; 2. კარსტული ჭა საწალიკეში. „ყოველთვის თოვლი დევს და ცივა. ზაფხულობით ჩადიან, ყინული ამოაქვთ და ადნობენ“ (ველევი); 3. მღვიმე ნატბაურაში. „წყალი ჩადის და იყინება“ (კვირიკეწმინდა); 4. უფსკრული კდისთავში, რაც საწალიკეშია. „კიბე იყო ჩადგმული და ზაფხულში ამოჰქონდათ ყინული“ (შხივანა). საყინულე ეწოდება აგრეთვე მღვიმეს შუა სხვავაში და უფსკრულს საწალიკეში (ბეთლევი).

**საყინულე(ს)კდე** – კლდე საყინულესთან (ნიკორწმინდა).

**საყინულეს ფერდი//საყინულის ფერდი** – სათიბი კახაბერაულსა და ვაკეახოყრუას შუა (ნიკორწმინდა).

**საყინულესთავი** _ ტყიანი გორა საყინულესთან (ნიკორწმინდა).

**საყინულის ფერდი** – სათიბი. იგივე საყინულეს ფერდი (ნიკორწმინდა).

**საყორბე** – ნაყანევი ხარკალიის თავზე (კვაცხუთი).

**საყორნე** – სამოვარი ლუხუნის მარცხ. მხარეს (ურავი).

**საყუდელი** – მაღალი კლდე გამოქვაბულით რიცეულის კლდოვანი ვიწრობის მარჯვ. ნაპირას, სოფლის ჩრდ. ნაწილში. მარცხ. ნაპირის კლდეს ეწოდება პატარა საყუდელი (კლდისუბანი).

**საყუდლის მთა** – მთა, საელიოს ქედის დას. ნაწილი (სადმელი).

**საყუდლის ხიდი** – ხიდი რიცეულაზე, საყუდელთან (კლდისუბანი).

**საშევარდნე(ს)კდე** – კლდე ჭელიშის უდაბნოში (ნიკორწმინდა).

**საშევარდნესწვერი** – სათიბი საშევარდნეკლდის თავზე (ნიკორწმინდა).

**საშევარდნო** – ტყე, სამოვარი კვეშლევის მთაზე, რომლის იქით, საიმერეთოში, არის დევის ტბა. იყოფა: დიდი საშევარდნო, პატარა საშევარდნო (შხივანა).

**საშვინდია** – ნაეკლესიარი, სასაფლაო. იგივე საშინდია (ზნაკვა).

**საშინდია//საშვინდია** – ნაეკლესიარი, სასაფლაო ბაკურაძეებში (ზნაკვა).

**საშუასხვაო** – შუა სხვავის მიმდებარე ტერიტორიები ჭალის მარცხ. მხარეს (ზემო სხვავა).

**საშქმერო** – ვენახი ბარსონიძეებსა და გიორგობიანებს შუა. შქმერი სოფელია ონის რ-ნში, რაჭის ქედზე. იქ ვენახი ვერ ხარობს. რესპ.: "შქმერსა და ბრავალძალში ვაზი არ ხარობს და ამიტომაც სავენახე ადგილები რიონისპირებზე ჰქონდათ" (ხიმში).

**საშხივანო//შაშხივანო** – ტყე ბილაშვილების ზემოთ, ზემო კრიხის საზღვარზე. რუსულენოვან კარტოგრაფიულ რუკებზე შუა სხვავასა და შუა კრიხს შორის კრიხულის ნაპირას არის წარწერა Шхивана (შუა კრიხი, ქვემო კრიხი).

**საჩილია** – ერქვა მინდორს გურგენიძეებში. რესპ.: "საჩილია მსხლის ჯიშია ერთგვარი. აქ იდგა" (ნიკორწმინდა).

**საჩინო(ს)ჭალა** – მინდორი ლუხუნის მარცხ. მხარეს. საჩინო პირსახელია (ურავი).

**საჩინოს ნამოსახლი** – მინდორი ჭალასთან (სხარტალი).

**საჩიტია** – 1. კლდე ლუხუნის მარჯვ. მხარეს, სამანქანო გზაზე (წესი, ლიხეთი); 2. სათიბი ბერიახოს გვერდით (ქვედა თლუღი); 3. სათიბი გონგაძეების უბანში (ზემო სხვავა).

**საჩიტიღელე** – წყარო კვირიკეწმინდის საზღვართან (ველევი).

**საჩიჩინაო ზურგი** – ბორცვი კარასასა და კვაცხითურს შუა (ზნაკვა).

**საჩიხე** – 1. სათიბი ჩონიში, შემოკავებული ყოფილა საქონლის სადგომად (მუხლი); 2. საძოვარი ეწრის მთაზე (ნიკორწმინდა).

**საჩიხისპირი** – სათიბი საჩიხესთან (მუხლი).

**საჩქეფელა** – მდინარე, ველეულის მარცხ. შენაკადი. ქმნის თაზარეული და კოდურა. ერთგან კლდეზე გადაჩქვეფს. ამიტომ დარქმევია (წკადისი).

**საჩქეფი** – 1. ჩანჩქერი აზარულაზე (აზარი); 2. ჩანჩქერი ბოგირღელეზე (შუა კრიხი).

**საჩქეფია** – ღელე რვაზნელაში (საკეცია).

**საჩხუზარი ახო** – ტყე კდისუბანში (ხიმში).

**საცალფეხო** – გზა სამელიატყეში (წკადისი).

**საცარცია** – ქვავნარი ქოჩლაძეებსა და ვარაზაშვილებს შუა. აქ მოიპოვებენ თაბაშირს. აქვეა ცარცი(ს)წყალი (მუხლი).

**საცერე** – სახნავი პეტრიაშვილებში (კაჩაეთი).

**საცეცხლია** – 1. ტყე-სახნავები ყრუაშვილებში, ციხიყელის გვერდით. რესპოდენტები: 1. „ადრე ჯარისკაცები აქ მანიორას (მანევრებს – პ. ც.) აკეთებდნენ, ვითომ ომი იყო, და დაარქვეს საცეცხლია“; 2. „ფიცხი

ადგილია საავტომობილო გზასა და ციხეს შუა. აქ მაგარი ქვაა, არ იშლება, ყინვასაც უძლებს და ცეცხლსაც. ჩაქუჩი რომ დაარტყა, კვესავს. საცეცხლის ქვა ეწოდება. სახლის ასაშენებლად მიაქვთ“ (ხოტევი); 2. ტყე-ხევი ჭალის მარჯვ. ნაპირზე (ზემო სხვავა).

**საცილო** – 1. საძოვარი რიცეულის სათავესთან (კლდისუბანი); 2. სახნავი საწალიკეზე, ეკუთვინის ველევს (ველევი).

**საცინელა** – სახნავი, ფერდობი ვაკე ამბროლაურას თავზე. „ფერდობზე ხალხი გორდებოდა და ეცინებოდათ“ (ზემო კრიხი).

**საცოცია** – ფერდობი, სათიბი დიდყანის გვერდით. „ჩამოფხეკილი ადგილია და სილა მიცოცავს. ბავშვებიც დასხდებიან გვიმრის კონაზე და ხოხიალობენ“ (ბოსტანა).

**საცული ციხე** – მინდორი რიონის მარჯვ. მხარეს, გელოვანების უბნის ქვემოთ. რესპ.: „რიონსგაღმა, ქვაფთკარში, ლეკები იყვნენ გამაგრებულნი. აქ კი ციხე იდგა და იცავდა გამოღმა მოსახლეობას“. ციხის ნაშთი ამჟამად აღარსად ჩანს (ძირაგეული).

**საცურაო** – სათიბი ხოტევის საზღვარზე (წკადისი).

**საცხოვრუა** – სახნავი (ნიკორწმინდა).

**საძახებელა** – სათიბები გადარეულღელის მარჯვ. მხარეს. რესპ.: "ქალი მშობიარობდა და იძახოდა, მიშველეთო" (ურავი).

**საძვერიგვერდი** – საძოვარი ჭალის მარჯვ. ნაპირზე (ფუტიეთი).

**საძიკარი//საძიკია//საწიკარი** – მინდორი, სათიბი გორისტევის კალთაზე (ზემო კრიხი, კვირიკეწმინდა, ველევი).

**საძიკია** – სახნავი. იგივე საძიკარი (ზემო კრიხი, კვირიკეწმინდა, ველევი).

**საძროხია** – საძოვარი ბაციკაძეების შემოგარენში (კვირიკეწმინდა).

**საწალიკე** – მთა ტყე-სამოვრებითა და სათიბებით, რაჭის ქედის მონაკვეთი ხიხათასა და ნაქერალა-შაორის წყალსაცავს შუა. სიმაღლე 1996 მ. ჩრდ.-დას. კალთა დამრეცია და თანაბარი დახრილობით ეშვება შაორის ქვაბულისაკენ. ახასიათებს რელიეფის კარსტული ფორმები. შემოსილია სუბალპური მცენარეულობით. მთის ძირას საწალიკეს უღელტეხილია“ (ქსე, ტ. 9). რაჭის სოფელ სხარტალს ყოფს იმერეთის სოფელ ხრესილისაგან. როგორც ჩანს, ჟაკ ფრანსუა გამბას ძმამ 1823 წლის ნოემბერში სწორედ საწალიკე გადალახა ხრესილ–ხოტევის გზაზე. საწალიკე იყოფა: დიდ საწალიკე, პატარა საწალიკე. სამოვრები განაწილებულია ხოტევის, ჭელიაღელის, ველევის თემის საკრებულოებში შემავალ სოფლებს შორის. იშვიათი ვარიანტი: საწალიკო. სახელდების მოტივაცია: აქ უხვად ხარობს წალიკა (ბალახია ერთგვარი).(ქვედა თლუღი).

**საწალიკის გზა** – გზა, რომელიც სოფლიდან მიემართება სანადიროებისაკენ (ზედა თლუღი).

**საწალიკის ტყე** – ტყე საწალიკეში (ჭელიაღელე).

**საწალიკისფეხი** – სათიბი საწალიკის კალთის ძირას (ზედა თლუღი).

**საწალიკო** – „საწალიკეს“ ვარიანტი (სოფლები: წკადისი, სხარტალი და სხვ.).

**საწალიკოს გზა** – გზა, რომელიც სოფლიდან მიემართება საწალიკოსაკენ (სხარტალი).

**საწვეთი ქვაბი** – გამოქვაბული დიდ(ი)კდეში. ჭერიდან წყალი მოწვეთავს (მოტყიარი).

**საწიალა** – სამოვარი კდისუბანში, ბარსონიძეების თავზე (ხიმში).

**საწიალის წყალი** – წყარო საწიალაში (ხიმში).

**საწიკარი** – მინდვრები. იგივე საძიკარი (კვირიკეწმინდა, ზემო კრიხი, ველევი).

**საწილოვე** – ტყე ბლუანის ჩრდ–ით. რესპ.: „რამდენიმე კაცს აქ ტყე ჰქონია დაყოფილი პატარ–პატარა წილებად“ (მირაგეული).

**საწისქვილო ღელე** – ღელე, ლუხუნის მარჯვ. შენაკადი კაკალაუბანში (ურავი).

**საწკადისო** – მთა ხოტევის მარჯვ. მხარეს, წკადისის საზღვართან (ხოტევი).

**საწმინდისერი** – მთა. იგივე ცაწმინდიზურგი (სადმელი).

**საწულუკიძეო** – ეწოდებოდა ხოტევს, წკადისს, სხარტალს (სხარტალი).

**საწუმპი** – მინდორი ფუნჩიის ძირას, საწალიკის კალთაზე. აქ წყარო ამოდის და იქვე იკარგება (ველევი).

**საწუმპია** – სახნავი რაჭის ქედზე (წკადისი).

**საწურბლია** – სახნავები. იგივე ბჟოლები (ლიხეთი).

**საჭამია** – სამოვარი არჩვაძეებში (შუა სხვავა).

**საჭელია//საჭილია** – სახნავი ბაკურაძეებში (ზნაკვა).

**საჭეღელე** – ვენახი აგლაძეებში (შუა კრიხი).

**საჭია** – წყარო ცაგურიშვილების უბანში (ქვედა თლუღი).

**საჭურიმიწა** – ვენახი, სასაფლაო ქოველის ღელის მარცხ. მხარეს (სადმელი).

**საჭურიმიწის ტყე** – ტყე საჭურიმიწასთან (სადმელი).

**საჭურო** – ტყე. იგივე საჟურო (წკადისი).

**სახარებო** – სასაფლაო სოფლის ცენტრში (საკეცია).

**სახარო** – მთა სოხორთულის მარჯვ. მხარეს. "ხარებს ამოვებდნენ. სახარო სხვაგანაცაა" (ურავი).

**სახაროვაკე** – ტყე სახაროში, ნაჯიხურების მთის ბოლოზე (ურავი).

**სახელმწიფო გზა** – გზა სოფლის ცენტრში (აგარა).

**სახელმწიფო ტყე//წიფლარი** – ტყე საწალიკეში (ზეთლევი).

**სახეო** – 1. ბაღი სოფლის ცენტრში, მთავარანგელოზის ეკლესიის ქვეშ, საავტომობილო გზაზე (ხოტევი); 2. საკარმიდამო ჯაფარიძეებში (შუა სხვავა).

**სახეოყანა** – საძოვარი ჭალის მარჯვ. მხარეს, კობახეურის ქვემოთ (ზემო სხვავა).

**სახლინათალი** – საძოვარი რიცეულის მარცხ. მხარეს (სადმელი).

**სახონჭიორე** – გზა, საძოვარი ხონჭიორის საზღვართან. უწინ სოფ. ხონჭიორს ეკუთვნოდა (ნიკორწმინდა).

**სახორავე** – ტყე წკადისის საზღვართან. აქ ხორებს დგამდნენ. **ხორა** – დაწყობილი შეშა (ხოტევი).

**სახოს ღრუჭი** – ორმო (ქვედა თლუღი).

**სახოტეო გზა** – გზა. სოფლიდან მიემართება ხოტევისაკენ (წკადისი).

**სახრავი** – 1. ტყე ბოგირსა და ხიმშისთავს შუა (შუა სხვავა); 2. ვაკე შაორის წყალსაცავის შემოგარენში (ჭელიაღელე).

**სახრავი ლაშე** – ფერდობი რიცეულისა და ჟრინავის შესართავს შიგნით (კლდისუბანი).

**სახსარიკდე** – სახნავი მიწორეთაში (ზემო კრიხი).

**სახტარ(ს)უკან** – სახნავი ჯვარცმის ქვემოთ, ფერდობზე (ღვიარა).

**სახტარი** – საძოვარი კუბლაშვილების თავზე (ქვემო კრიხი).

**სახტრიგვერდი** – სახნავი მთავარანგელოზის გვერდით (ზემო სხვავა).

**სახტრიზურგი** – სათიბი ველტყევში (შუა სხვავა).

**სახტრის ყანა** – სახნავი მეჭვრეთის სალოცავის გვერდით (ლიხეთი).

**სახტრისგვერდი** – ტყე სირაძეებში (ხიმში).

**საჯვარე** – 1. ვაკე-სახნავები რიონის მარჯვ. მხარეს, გზატკეცილამდე (ბოსტანა); 2. სათიბი დოხნაძეებსა და უღელას შუა (კაჩაეთი); 3. სალოცავი გელოვანების თავზე, სუთიძეების უბნის ჩრდ–ით. „აქ სალოცავი ჯვარი იდგა და ხალხი მოდიოდა. ამჟამად სასაფლაოა“ (ძირაგეული). 4. წყარო ჯაფარიძეების უბანში, ძელიცხოველთან. „მღვდელი

აქ აკურთხევდა წყალს“ (შუა სხვავა); 5. ჯვარის ნიში და მუხა (ხიმში).

**საჯვარე გორა** – სალოცავი. იგივე საკვირაო (ზემო კრიხი).

**საჯვარე(ები)** – ნაეკლესიარი. იგივე დედაღვთი(ს)შობელი (შუა კრიხი).

**საჯვარისა** – ნაეკლესიარი. იგივე დედაღვთი(ს)შობელი (შუა კრიხი).

**საჯინიბო** – სათიბი ჭალურის აღმ–ით (ნიკორწმინდა).

**საჯინჭრია** – სათიბი შაორის წყალსაცავის შემოგარენში (აგარა, უყეში).

**საჯიღავშვილო ფერდი//საჯღავშილო ფერდი** – ფერდობი მიქიაშვილებში. უკავშირებენ გვარ ჯიღავშვილს (მოტყიარი).

**საჯმუხაოს სათიბები** – სათიბი ჯმუხაძეების განაპირას. საჯმუხაო > საჯმუხაძო (ნიკორწმინდა).

**საჯოგე** – ალპ. საძოვრები ლეჩხუმის ქედზე. იყოფა: კლდისუბნის საჯოგე, სადმელის საჯოგე, წესის საჯოგე, ხიდიკრის საჯოგე, ბუგეულის საჯოგე, ტოლის საჯოგე, ბოსტანას საჯოგე.

**საჯოგეები** – ტყე-საძოვარები წმ. გიორგის მთაზე (ნიკორწმინდა).

**საჯურო** – ტყე. იგივე საჟურო (ხოტევი).

**საჯურუმო** – უბანი ქოველიღელის მარჯვ. მხარეს. უწინ ვენახები ყოფილა (სადმელი).

**საჯღავშილო ფერდი** – ფერდობი. იგივე საჯიღავშვილო (მოტყიარი).

**სებიკვერა** – საძოვარი ქვემო სხვავაში, არჩვაძეების უბანში (შუა სხვავა).

**სერგიას ყოფილი** – ვენახი კდისუბანში (ხიმში).

**სერგოს ახო** – ტყე ჭალის მარცხ. მხარეს, ლიშკართას გვერდით (ზემო სხვავა).

**სერგოს ჭალა** – ვენახი რიონის ჭალაში (მუხლი).

**სერები** – ტყე და გზა, რომელიც ზედა უბნიდან გადის თამთავაში და შემდეგ მიწორეთაში (ზემო კრიხი).

**სერი** – ტყე, სერი გელამონატეხსა და გძელ მინდორს შუა. აქ გადის საწალიკის გზა (ზედა თლუღი).

**სეროჟას გზა//სეროჟას ონჭე** – გზა მიქიაშვილებში. რესპ.: "ონჭე საჩიხეს ეწოდება" (მოტყიარი).

**სეროჟას ონჭე** – გზა. იგივე სეროჟას გზა (მოტყიარი).

**სერული** – მდინარე, ხეორის მარცხ. შენაკადი (ლიხეთი).

**სეფეველები** – სათიბი შაორის წყალსაცავის აღმ. შემოგარენში (ჭელიაღელე).

**სეფელა** – სახნავი ტურძელაძეებში (ზნაკვა).

**სეხნიას სარტყელი** – სანადიროები ჭუთხაროში. "გზა სარტყელივით შემოუყვება მთას" (ურავი).

**სვანაური//სვანეური** – ტყე, სახნავი სოფელსა და შაორის წყალსაცავს შუა (უყეში).

**სვანები** – უბანი. იგივე სვანების უბანი (ხიმში).

**სვანები//სვანების უბანი** – უბანი გაღმა არჩვაძეების გვერდით. ცხოვრობენ გვარად სვანები. იყოფა: ზედა სვანებ, ქვედა სვანები (ფუტიეთი).

**სვანების ბლაშე** – სათიბი ბერების ეკლესიის ქვემოთ (ფუტიეთი).

**სვანების უბანი** – უბანი. იგივე სვანები (ფუტიეთი).

**სვანების უბანი//სვანები –** უბანი პეპელაღელის ხეობაში, გიორგობიანების გვერდით. ცხოვრობენ გვარად სვანები (ხიმში).

**სვანების წყალი** – გუბე, ჟრინავის შენაკადი. გადმოცემით, ამ ადგილას სვანებს მოუპარავთ საქონელი, მაგრამ კლდისუბნელები დადევნებიან და დაუბრუნებიათ (კლდისუბანი).

**სვანების წყარო** – წყარო სვანების უბანში (ფუტიეთი).

**სვანეთის გადასავალი** – გადასასვლელი სამერცხლეში, კანჭარახის თავზე. გზა გადადის ლენტეხის რ-ნის სოფ. ღობისაკენ (ურავი).

**სვანეთის გადასახედავი** – გზის მონაკვეთი ჭუთხაროში. გზა სვანეთისაკენ მიდის (ლიხეთი).

**სვანეური** – ტყე. იგივე სვანაური (უყეში).

**სვანის ყანა** – სახნავი ჩონიშში (მუხლი).

**სვანისეული** – სახნავი გონაძეების უბანში (ზემო სხვავა).

**სვიმონას ბუზაური** – საძოვარი გორის საზღვარზე (შუა კრიხი).

**სვიტიაღელე//სუტიაღელე** _ ღელე, ზნაკურის შენაკადი. გაედინება უთმელიძეებსა და მიქაუტაძეებს შუა (ზნაკვა).

**სიბიკარი** – მინდორი ქედურის მარცხ. მხარეს, კვაცხუთის საზღვართან (ძირაგეული).

**სიბისკარი//სიპისკარი** – კლდეკარი ზედა უბანში. აქ გადის გზა თამთავასა და მიწორეთისაკენ (ზემო კრიხი).

**სიდონიას ყანა** – სახნავი რიონის ჭალაში (მუხლი).

**სიკოსეული** – 1. სახნავი ბღუანას ქვემოთ (აბარი); 2. სახნავი დათეშიძეებში (გორი).

**სიკოს მონატეხი** – ტყე საწალიკეში (ზედა თლუღი).

**სიკოს წყარო** – წყარო. იგივე ღორღავის წყალი (წესი).

**სილა** – სახნავი ქვაბთკარის შემოგარენში (საკეცია).

**სილაკდე** – 1. კლდე, ტყე კობახიძეებში, ბეჩუასა და ორწყალშუას თავზე. ნამეწყრია, სილა ცვივა და ქვიშად ხმარობენ (ხოტევი); 2. საძოვარი, კლდე საჯვარესთან (კაჩაეთი); 3. კლდე-გორა შარაბიძეებში, დიდ(ი)კდის გაგრძელებაზე (მოტყიარი).

**სილაკდის გზა** – გზა. გადადის მოტყიარში (კაჩაეთი).

**სილაკდისთავი** – მინდორი სილაკდის თავზე (მოტყიარი).

**სილაურა** – მინდორი აკავანის გვერდით (ზემო სხვავა).

**სილიმონაყანა** – სახნავი ფთხინარაში (კლდისუბანი).

**სილოვანის მონატეხი** – ტყე საწალიკეში (ზედა თლუღი).

**სილოსები** – ტყე, მინდორი შემოსავალში (კვირიკეწმინდა).

**სიმონას მონატეხი** – ტყე საწალიკეში (ზედა თლუღი).

**სიმონაყანა** – მინდორი გოგილიძეებში, სოფელსა და შაორის ტბას შუა (უყეში)

**სინათლე** – ერქვა ნიკორწმინდას 1930-1960 წლებში (ნიკორწმინდა).

**სინდეული** – სახნავი, ვენახი ზედა მიქიაშვილების შემოგარენში, ბუგეულის საზღვართან (საკეცია).

**სიპა** – საძოვარი სოფლის აღმ. შემოგარენში. სიპი ქვებითაა მოფენილი (შხივანა).

**სიპები** – სახნავი ველეულის მარჯვ. მხარეს, კვირიკეწმინდის საზღვართან „სიპი ქვებია და გზასაც სიპის გზა ეწოდება" (ველევი, კვირიკეწმინდა).

**სიპი** – 1. ტყე ჯმუხაძეებში (ნიკორწმინდა); 2. ტყე ყვირილასა და შაორის წყალსაცავის გვერდით, ნიკორწმინდის საზღვართან (ჭელიაღელე).

**სიპი(ს) გზა** – გზის მონაკვეთი სიპებთან (ველევი).

**სიპისკარი** – კლდეკარი. იგივე სიბისკარი (ზემო კრიხი).

**სიპისწყალი** – წყარო ჯმუხაძეებში, სიპთან (ნიკორწმინდა).

**სიპიტანაკლავი** _ მინდორი სილაკდის ქვემოთ. რესპ.: "სიპიტა კაცს ერქვა. მინდორზე დაეძინა თურმე. ლოდი ჩამოგორდა და დაეცა. ეს ლოდი ახლაც იქ დევს. ვერ გადააგორეს" (მოტყიარი).

**სირაული** – სახნავი ბაკურაძეებში (ზნაკვა).

**სირაძეები//სირაძეების უბანი** – უბანი დანიელაღელის ხეობაში, უწინ ეწოდებოდა ფარადიგვერდი (ხიმში).

**სირაძეების ნასახლარი** – მინდორი სირაძეების განაპირას (ხიმში).

**სირაძეების უბანი** – 1. უბანი სოფლის ცენტრში. სირაძეების ბაბუიშვილობებია: გოჭიშვილი, ქაქუჩაშვილი, დათილაშვილი, აჩხაკუნეები, სესელაშვილები//სესელეები, ნემსიწვერაძეები, (ბ)ღუილეები, ცოცუკელეები (შხივანა); 2. უბანი. იგივე სირაძეები (ხიმში).

**სირაწა** – მინდორი მიქაუტაძეებში, მოტყიარის საზღვარზე (ზნაკვა, მოტყიარი).

**სირინოზის სათიბი** – სათიბი პატარა საწალიკეში. სირინოზი ერქვა სათიბის პატრონ ქალს (ქვედა თლუღი).

**სისინა გორა** – ბორცვი ბუჩქნარებით საელიოს გვერდით (კაჩაეთი).

**სიხაული** – სახნავი ჯვრისუბანში (აგარა).

**სკოდორა** – საძოვარი რიონის მარჯვ. ნაპირზე, ჭალაში. საზიაროა სორთან (მუხლი).

**სმალა** – ჭალა რიცეულის მარჯვ. მხარეს. „აქ ასფალტის სახარში ქარხანა იდგა და ამიტომ ეწოდა სმალა“ (ღვიარა).

**სოგრატას ახო** – ტყე საწალიკეში (ზედა თლუღი).

**სოკონოფოსწვერი//საკონოფოსწვერი** – ქედი ღვიარაღელის სათავისა და ხიდეთურის ხეობის წყალგამყოფ ქედზე, მახითვალასა და ჩაბანდულას შუა (ღვიარა).

**სონკოსო** – მთა ღვიარაღელის ხეობისა და ქაფთრიღელის წყალგამყოფზე (ღვიარა).

**სონკოსოსწვერი** – სონკოსოს მწვერვალი (ღვიარა).

**სონკრეფი** – ტყე არჩვაძეებში (შუა სხვავა).

**სონტარ(ე)ული** – ვენახი ბარსონიძეებში (ხიმში).

**სონჩხიბი//სონჩხიფი** – საძოვარი ქედზე, სადმელის საზვართან, სადაც ხრიოკი, მოუსავლიანი, მწირი მიწაა. ხალხ. ეტიმოლოგია: „აქ ცხოვრობდა ვინმე სონია მჩხიბავი, ანუ მკითხავი. ამიტომ დარქმევია“ (ძირაგეული, სადმელი).

**სონჩხიფი** – საძოვარი. იგივე სონჩხიბი (ძირაგეული, სადმელი).

**სორყიშ(ებ)ი** – სახნავები ქედის სამხრ. ნაწილში. სემანტიკა უცნობია (სადმელი).

**სოსაური//სოსაურის ღელე** – ღელე, რიონის მარჯვ. შენაკადი, საზღვარი სადმელთან (ძირაგეული).

**სოსაური//სუსაური** – სახნავი მურუსიძეებში (ზნაკვა).

**სოსაურის ღელე** – ღელე. იგივე სოსაური (ძირაგეული).

**სოსიკაშვილები** – მიკროუბანი კობახიძეებში (ხოტევი).

**სოფლი(ს)ნაკაფი** – მინდორი საფიჩხიის ქედზე (ლიხეთი).

**სოფლის გზა** – გზა. ზემო უბნიდან გადადის ნაგუთნევში, ნასათიბევში, კაციაკდესა და ველევში (ზემო კრიხი).

**სოფრიმას ახო** – სამოვარი დავლიანიძეებში (შუა სხვავა).

**სოღლოქედი** – ქედი, სამოვრები ლაშითავის ღელის სათავესთან (ზოსტანა).

**სოჩიბი** – მთა, ღვიარაღელისა და რიცეულის წყალგამყოფი. მახითვალის განშტოებაა მახითვალიღელის სათავესთან. ესაზღვრება ჟოშქას, პირველ ტოლას, ხვანჭკარას (ღვიარა).

**სოხასტერი//სტაჟაურის ღელე** – მდინარე, ჟრინავის მარცხ. შენაკადი. მოედინება საჯოგიდან. ამ საჯოგეში სოხასტერი ტყესაც ეწოდება. რესპ.: „ეკუთვნოდა გვარად სოხამეს, ამიტომაა სოხასტერი“. კლდისუბანიში იაშვილის ღელეც ეწოდება (სადმელი, კლდისუბანი).

**სოხორთული** – მთა ტყე-სამოვრებით ლუხუნის მარჯვ. მხარეს. ინფორმატორებს სვანურ სიტყვად მიაჩნიათ (ურავი).

**სოხორთულის წყალი** – წყარო, ლუხუნის მარჯვ. შენაკადი (ურავი).

**სოხოროყელი** – ვაკე-სახნავი ლუხუნის მარჯვ. მხარეს, ზედა ხუციშვილებში. რესპ.: „დაცემული ვაკეა და ყელივით ვიწროვდება“ (ლიხეთი).

**სპიდ(ი)ლოს მჟავე წყალი//სპირიდონას მჟავე წყალი** – მჟავე წყალი ლუხუნის მარჯვ. მხარეს. სპიდილო პირსახელ სპირიდონის ვარიანტია (ურავი).

**სპირიდონას მჟავე წყალი** – მჟავე წყალი. იგივე სპიდ(ი)ლოს მჟავე წყალი (ურავი).

**სპირიდონის ახო** – სახნავი ჩამოხლეწილთან (ჭელიაღელე).

**სპონტიკი** – 1. ტყე რიცეულის მარჯვ. მხარეს, პატარა საყუდელსა და ჩდილიკლდეს შუა. „აქ მოიპოვებდნენ

სპონტიკის ქვას და ჭრიდნენ სახლების ასაშენებლად“ (კლდისუბანი); 2. წყარო ზემო კრიხის საზღვარზე, დურევს ქვემოთ. გამოყვანილია კობერიძეებში (შუა კრიხი).

**სპონტიკის წყალი** – ღელე, ზნაკურის ერთ-ერთი მდგენელი. ზნაკვაში გამოედინება სილაკდის ქვეშ, გლახუაახოსთან, რაც მოტყიარშია. რესპ. "სპონტიკი არის, წყალი რო ნალექს იკეთებს. კირქვაა რა" (მოტყიარი, ზნაკვა).

**სტაჟ(ა)** – სახნავი. იგივე ვაენიჭალა (კლდისუბანი).

**სტაჟაურის ღელე** – ღელე. იგივე სოხასტერი (სადმელი).

**სტეფანეწყალი** – წყარო გოგინას წყლის გვერდით (ნიკორწმინდა).

**სუდე** – გზა, აღმართი ქედის სამხრ. კალთაზე. კერესელიძეების უბნიდან ადის ქედზე (სადმელი).

**სუთიძეების უბანი** – უბანი შმაგიღელის მარცხ. მხარეს (ძირაგეული).

**სუთიძეების უბანი//რომიკელეების უბანი** – უბანი სოფლის სამხრ. ნაწილში. რომიკელეები სუთიძეების შტოგვარია (შხივანა).

**სულაური** – სამოვარი თომაძეების უბანში (გორი).

**სულამის ახო** – სამოვარი დავლიანიძეებში (შუა სხვავა).

**სულიკაშვილები** – მიკროუბანი კობახიძეებში. სულიკაშვილები გვარად კობახიძეები არიან (ხოტევი).

**სუნდაურ(ებ)ი** – ვაკე–სამოვრები საელიოში, თოხიჭამიასა და უნაგირას შუა, კვაცხუთისა და ძირაგეულის საზღვარზე (ძირაგეული, კვაცხუთი).

**სუნელ(ი)წყალი** _ წყარო კიკვაძეებში, ცენტრალურ გზაზე. "სულ ნელა მიედინება. ამიტომაა სუნელიწყალი" (ზნაკვა).

**სურათას ყანა** – სახნავი ველევის საზღვართან. სურათა ქალს ერქვა (კვირიკეწმინდა).

**სურმუხა** – ვენახი რიონის ჭალაში, ენუქიძეებში. „გადმოცემით, უწინ აქ მუხა ყოფილა გაშენებული“ (სადმელი).

**სუსაური** – სახნავი. იგივე სოსაური (ზნაკვა).

**სუტიაღელე** – ღელე. იგივე სვიტიაღელე (ზნაკვა).

**სუწუხაური** – ტყე, ცუცუხაურის იშვიათი ვარიანტი (გორი).

**სქელიტყე** – ტყე სუნდაურის გვერდით (კვაცხუთი).

**სხალანა** – 1. სამოვარი ვაკესა და პოლენას შუა, პატარა საწალიკეში (ქვედა თლუღი); 2. ვენახი ჭოხონელიძეების უბნის შემოგარენში (საკეცია).

**სხალანა//სხლოვანი//სხლუანი** – ტყე ზეჭელიში, ფერდიახოს გზაზე (ზნაკვა, მოტყიარი).

**სხალანას გორა** – გორა პატარა საწალიკეში. გადმოჰყურებს სოფელს (ქვედა თლუღი, უყეში).

**სხალთაფლა** – სახნავი კდისუბანში, ოთხზიარის თავზე. სხალთაფლა მსხლის ჯიშია (ხიმში).

**სხანარი** – მინდორი ნაეკლესიევის მთაზე (ხოტევი).

**სხანარი** – სამოვარი დაყუდებულასა და ბერიკიახოს შუა (კაჩაეთი).

**სხარტალი** – სოფელი ხოტევის თემის საკრებულოში (იხ. ნაწილი პირველი).

**სხარტ(ა)ლის გამოქვაბული** – მღვიმე, საიდანაც გამოდის ველეულა. სხარტლის საზღვარზეა (ბეთლევი).

**სხარტელების ღელე** – სამოვარი, ღელე საკიშორესა და სხარტალს შუა (ზედა თლუღი).

**სხარტლის სამზღვარი** – სათიბ-სამოვრები სოფ. სხარტლის საზღვართან (ქვედა თლუღი).

**სხარტლის წვერი** – მთა. იგივე წვერი (სხარტალი).

**სხარტულა** – 1. მდინარე, ველეულას მარცხ. შენაკადი გელბახიანებში (ველევი, წკადისი, სხარტალი).

**სხეფონი** – ვენახი ჯანგიძეების უბანში, ღვიარაღელის მარჯვ. მხარეს (ბოსტანა).

**სხვავა//სხოვა** – ზემო სხვავისა და შუა სხვავის გამაერთიანებელი სახელი.

**სხვავის საკანაფო** – ტყე. იგივე ნასასწორები. „იწონებოდა კოლექტივის თივა“ (შხივანა).

**სხვავის საყინულე** – ბუნებრივი გამოქვაბული ველტყევში, სოფ. შუა სხვავის სამხრ-ით, 4 კმ-ზე. ზ.დ. 1310 მ. გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. საყინულეში არის საუკუნოვანი ყინულის სვეტები, კასკადები და გლეტჩერი. ჰაერის ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში 0 გრადუსზე დაბალია (ქსე, ტ. 9). ეს საყინულე ველტყევშია და ველტყევის საყინულესაც უწოდებენ. ადგილობრივ გავრცელებულია ვარიანტი საყინულეც. უწინ ქვემო სხვავისა და შუა სხვავის სათიბების პირობითი საზღვარი იყო. ვახუშტი ბაგრატიონი ამ საყინულეს ასე აღწერს: "სხოვის ხევზედ არს ორმო დიდი, ვრცელი და ღრმა, რომელსა შინა დის წყარო და ვერ განჰყინავს ზამთარს, არამედ ზაფხულის ჰყინავს სრულიად..." ("ქ. ცხ.", IV, გვ. 769). რესპ.: „მღვიმეა ტაფობში. ზაფხულობით იქიდან ყინულს იღებენ და სოფელში ჩამოაქვთ" (შუა სხვავა).

**სხირტლაძეები** – მიკროუბანი ბარსონიძეებში (ხიმში)

**სხლავანი//სხლოვანი//სხლუ(ვ)ანი** – ტყე, სახნავი ზემო სხარტალსა და ჭალას შუა (სხარტალი).

**სხლავანი//სხლოვანი//სხლუანი** – ტყე, სახნავი კევლიშვილებში (საკეცია).

**სხლები** – ვაკეები საელიოში, სარეკისწვერსა და წინწკილასწვერს შუა (ძირაგეული).

**სხლიანი** – სათიბი ნამყნისთავის გვერდით (აბარი).

**სხლოანი** – 1. საძოვარი მაისაშვილების მთაზე, ტბეთის გვერდით (წესი); 2. ტყე დაქცეულ კდესა და ნაგუთნევს შუა (ზემო კრიხი).

**სხლოვანი** – 1. ბუჩქნარი ძრაგულის მარცხ. მხარეს (ლიხეთი); 2. ორგან ეწოდება საძოვარს რიცეულის ხეობაში: წესურის სხლოვანი და სარეკის სხლოვანი (კლდისუბანი); 3. ტყე ღოცათის თავზე, წმინდა ნინოს სალოცავთან (ზემო სხვავა); 4. ტყე-საძოვრები ღუდუმიძეების შემოგარენში (კვირიკეწმინდა). სხლოვანი

ეწოდება სხვადასხვა ობიექტს ხიმში, სხარტალში, მოტყიარში, საკეციაში, ზნაკვაში და სხვ.

**სხლოვანის ღელე** – ღელე, რიცეულის მარჯვ. შენაკადი (კლდისუბანი).

**სხლოვანის ჩასახვევი** – სახნავი სხლოვანში (ლიხეთი).

**სხლუ(ვ)ანი** – ტყე. იგივე სხლავანი (სხარტალი).

**სხლუანი** – 1. მთა. იგივე სხალანა (მოტყიარი); 2. ტყე, სახნავი. იგივე სხლავანი (საკეცია); 3. ტყე. იგივე სხალანა (ზნაკვა).

**სხლუანი//სხლოვანი** – საძოვარი კდისუბანში (ხიმში).

**სხლუანის შურო** – ახო კევლიშვილებში, სხლუანაში (საკეცია).

## ტ

**ტაბუცაძეები//ტაბუცაძეების უბანი** – უბანი ქ. ამბროლაურის და სოფ გორის საზღვარზე (გორი, ამბროლაური).

**ტაბუცაძეების უბანი** – უბანი. იგივე ტაბუციძეები (ამბროლაური, გორი).

**ტალახაძეების უბანი** – უბანი. იგივე ვარდისუბანი (წესი).

**ტაპი(კი)ყანა** – სახნავი. იგივე პატიყანა (კლდისუბანი).

**ტარიელას ახო//ტარიელის სათიბი** – სათიბი ნასათიბარის გვერდით, მომცელიძეებში (აგარა).

**ტარიელის სათიბი –** სათიბი. იგივე ტარიელას ახო (აგარა).

**ტასიას ნამოსახლი** – მინდორი ლაშხებში (კვირიკეწმინდა).

**ტასიკაგორა** – გორა ქურციკიძეებსა და ბედელიძეებს შუა (ზემო სხვავა).

**ტაშტა** – ღელე, რიონის მარჯვ. შენაკადი მერკვილაძეების უბანში. მოედინება ქედიყანიდან (წესი).

**ტახისაბანელა** – ტყე ფორიაზე (სადმელი).

**ტბა** – 1. ბაღი გორდიაშვილებში, ხოტევის საზღვარზე (კაჩაეთი); 2. სათიბი ნატბევარზე, კვეშლევის მთის ჩრდ. კალთაზე, ნატეხის გვერდით (შხივანა); 3. საძოვრები ჩავაკებაზე სოფლის შემოგარენში (ქვედა თლუღი). ტბა ეწოდება ტბას, სახნავს, ნატბევს მუხლში, ჭელიაღელეში, შუა სხვავაში, ზნაკვაში და სხვ.

**ტბაგადაშვებულა** – ტბა სახაროზე (ურავი).

**ტბაუნაკილო** – საძოვარი ოტიანახულევს ზემოთ. კილო „უღელტეხილი“ (ურავი).

**ტბაუნეები** – სანადირო ადგილები რაჭის ქედზე (ფუტიეთი).

**ტბაშავი** – 1. ტბა საფერისცვალო მთაზე (ლიხეთი); 2. ტბა, ტყე, კლდე დიდ(ი)კდის ქვეშ, მიქიაშვილებსა და შარაბიძეებს შუა (მოტყიარი).

**ტბები** – საძოვარი კალოსწვერსა და საქორიას შუა (ზემო სხვავა).

**ტბეთა** – საძოვარი ნატმელაძეების მთაში. წყალი გაზაფხულზე დგება (წესი).

**ტბეთი** – 1. მინდორი ველევის საზღვართან (ბეთლევი); 2. უბანი. იგივე გოცირიძეების უბანი (ველევი).

**ტბეთის წყალი** – წყარო ტბეთაში (წესი).

**ტბელაური** – ვაკე-სახნავი კოდიწყაროს ნაპირას, სოფლის ცენტრში, სადაც უწინ მდგარა მაჩაბლის სასახლე (ველევი).

**ტბიპირი** – სათიბი ნოდირის ტბასთან (ფუტიეთი).

**ტბისპირი** – საძოვარი ნატბაურის ნაპირზე, ველეულის მარცხ. მხარეს (წკადისი).

**ტევანა** – სახნავი პეტრიაშვილებში, ქურდილაურის თავზე. "კაკალი იდგა და ყურძენივით მტევანს ისხამდა" (კაჩაეთი).

**ტევრიძირი** – საძოვარი საძვერიგვერდის გვერდით (ფუტიეთი).

**ტერასები** – ვენახი საელიოს გორაზე. რესპ.: „აქ ტერასები გამართეს სამი ათეული წლის წინ“ (ახალსოფელი).

**ტერეზას ბაღ** – მინდორი. იგივე ბაღ (ფუტიეთი).

**ტერენტაშვილის ყანა** – სახნავი საელიოს გვერდით (ახალსოფელი).

**ტეხისა//ტეხისი** – გორა ქვ. თლუღის საზღვართან. აქ იდგა ტეხისის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც წულუკიძეებისა იყო. დაანგრიეს 1925 წელს. ამჟამად აღდგენილია. ამ ეკლესიას ტეხისა ეწოდება (ზედა თლუღი, ქვედა თლუღი).

**ტეხისი** – გორა. იგივე ტეხისა (ზედა თლუღი).

**ტეხისიგვერდი** – მინდორი ხოტევისა და თლუღის საზღვარზე. აქ იმართებოდა ტეხისობა (ხოტევი, წკადისი, ზედა თლუღი).

**ტეხისის სალოცავი** _ წმინდა გიორგის ეკლესია, სადაც აღინიშნებოდა ტეხისობა აღდგომის მესამე კვირას. იხ. ტეხისი (ზედა თლუღი).

**ტილიფისწყალი** – წყარო, ტყე ნაეკლეს(ი)ევზე. წყალი გამოდიოდა ტირიფის ქვეშ (ხოტევი).

**ტილიფნარი** – საძოვარი, ტყე ნაეკლეს(ი)ევში (კაჩაეთი).

**ტირიფების ღელე//მაჩაიძეების წყალი** – ღელე, გაბუნიის ღელის ზემო წელი. ჩადის გონგაძეებში და ერთვის ჭალას მარჯვ. მხრიდან (ზემო სხვავა).

**ტირიფნარის შურო** – ტყე დიდღელეში (ნიკორწმინდა).

**ტიხოს წყალი//გიგიაწყარო** – წყარო რიცეულის მარცხ. მხარეს. ჩაყვანილია სოფ. სადმელში. ტიხო და გიგია პირსახელებია (კლდისუბანი).

**ტკიცილაური** – სახნავი სამთისის საზღვართან (ფუტიეთი).

**ტონიასწვერი** – მთა, საძოვარი ლუხუნის მარცხ. მხარეს, საკივარას წყლის თავზე. "ტონია კაცს ერქვა. გვარად იყო ჯელაძე" (ურავი).

**ტოროშელიძეების უბანი** – უბანი ხეორის მარცხ. მხარეს, ნარიძეების უბანსა და ქვედა მეტრევლების უბანს შორის (ლიხეთი).

**ტოტიას გამოქვაბული** – ტყე პოლენასთან (ქვედა თლუღი).

**ტოტიას სათიბი** – სათიბი მოხვარეულის ტყეში (ჭელიაღელე).

**ტრედისწყალა//ტრედოსწყალი** – წყარო. იგივე (მ)ტრედისწყალი (ნიკორწმინდა).

**ტრედოსწყალი** – წყარო. იგივე ტრედისწყალა (ნიკორწმინდა).

**ტრედოსწყალი** – წყარო ზეჭელიშში, დიდმინდორსა და გარეყანას შუა (ზნაკვა).

**ტრიფონას შურო** – ფერდობი კრიხულის მარცხ. მხარეს, სამგლიის ქვემოთ (ქვემო კრიხი).

**ტურძელაძეები** – უბანი. იგივე ტურძილაძეები (ზნაკვა).

**ტურძილაძეები//ტურძელაძეები** – უბანი ზედა ზნაკვაში, მოტყიარის საზღვართან (ზნაკვა).

**ტურძილაძეების სათიბი** – სათიბი ზეჭელიშში (ზნაკვა).

**ტუღუბო** – მინდორი მიქაუტაძეებში, მაღალი ტყის კალთაზე, ნასაკანაფევთან (ზნაკვა).

**ტყე(ბ)თაშუა** – საძოვარი ტყეში, ნაომრის გვერდით (ხოტევი).

**ტყებლაშე** – მინდორი ჩიჩარულის მარჯვ. მხარეს (ურავი).

**ტყეზურგი** – ბორცვი ძრაგულის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „გარშემო ტყეა, შუაში კი – ბორცვი ზურგივით“ (ლიხეთი, წესი).

**ტყეზურგისთავი** – მთა, ლიხეთისა და წესის საკრებულოების საზღვარი (წესი, ლიხეთი).

**ტყეთაშუა** – მინდორი. იგივე შუატყე (კლდისუბანი).

**ტყე(თ)შუა** – ტყე ველტყევში (შუა სხვავა).

**ტყემლები** – საძოვარი წვერსუკნის გვერდით (ფუტიეთი).

**ტყემლებქვეშ** – მინდორი ტყემლებთან (ფუტიეთი).

**ტყემლიყანა** – სახნავი ურავის საზღვართან (ლიხეთი).

**ტყეშუა** – ტყე ნეფარიძეებსა და ქვათაძეებს შუა (შუა სხვავა).

**ტყიან(ი)გზა** – ტყე, სახნავი ზნაკვის საზღვარზე (მოტყიარი).

**ტყლაპაწითელა** – სათიბი საწალიკეში, გასაყარს ქვემოთ (ქვედა თლუღი, ზედა თლუღი).

**ტყუბი ქვები** – გზის მონაკვეთი ღვიარაღელის ხეობაში, წელების სარჩევი ღელის შესართავთან. ერთგან გზა ორ ქვას შუა გადის (ღვიარა).

## უ

**უბნელა** – სახნავი, ტოპონიმ „ობნელას" იშვიათი ვარიანტი (ველევი).

**უგრეხელიძისკარი** – ნასახლარი სამების ეკლესიასთან (ზემო სხვავა).

**უდაბნო** – ზეგანი სათიბ–საძოვრებით, რაჭის ქედის განშტოება საურმისწვერსა და ველტყევს შუა. აქ გადადის "საქალაქო გზა". ვარიანტები: სხვავის უდაბნო, ველტყევის უდაბნო, ნათლისმცემლის უდაბნო. აქ მდებარეობს ნათლისმცემლის ეკლესიაც (შუა სხვავა, ზემო სხვავა, ნიკორწმინდა).

**უდაბნოს გამოქვაბული** – გამოქვაბული უდაბნოში (ნიკორწმინდა).

**უდაბნოს ეკლესია** – ეკლესია. იგივე ბერების ეკლესია (ფუტიეთი).

**უდაბნოს მონასტერი** – მონასტერი. იგივე ბერების მონასტერი (ნიკორწმინდა).

**უთმელიძეები** – უბანი შუა ზნაკვაში, მიქაუტაძეებსა და გოცირიძეებს შუა (ზნაკვა).

**უთმელიძეების უბანი** – უბანი კრიხულის მარცხ. ნაპირზე, სოფლის ცენტრში (ქვემო კრიხი).

**უკანა მაღალახო** – მინდორი ყიყვის მარჯვ. მხარეს, ახოების გაგრძელებაზე (აზარი).

**უკანამთა** – მთა ჩონიშში (მუხლი).

**უკანეთი** – ტყე სხარტლის საზღვართან. სხარტლისთვის არის ქედის უკანა მხარე. დარქმეულია სხარტალელთა მიერ (წკადისი).

**უკანჭალა** – ვენახი რიონის მარჯვ. ნაპირას (ბოსტანა).

**უკანჭალა** _ ვენახი ღვიარაღელის ჭალაში (ღვიარა).

**ულუპია** – ტყე ქვაბტკარში (საკეცია).

**უნაგერა** – მთა სხვავის საზღვართან, კვარაციხის გვერდით (შუა კრიხი).

**უნაგერა//უნაგირა** – უღელტეხილი სუნდაურის თავზე. კვაცხუთიდან მთისაკენ მიმავალი გზა აქ გადადის და შემდეგ იყოფა სამ გზად: ერთი ადის სანაფოტეზე, მეორე _ ჭვარებში, ხოლო მესამე გაივლის კევლიშვილების ახოს, პატარა საყავრეს, დიდ საყავრეს, გაიოზას წყალს და ჩადის რიცეულის ხეობაში (კვაცხუთი, წესი).

**უნაგირა** – 1. ტყე სხვავის საზღვართან (გორი); 2. უღელტეხილი საელიოში. რესპ.: „უნაგირივით ადგილია. სახარო გზა გადადის სარეკისწვერიდან წინწკალაწვერში და შემდეგ ალპ. სამოვრებისაკენ“ (ძირაგეული); 3. უღელტეხილი სერზე, სადაც გადადის გზა ურავში (აზარი); 4. უღელტეხილი. იგივე უნაგერა (კვაცხუთი).

**უნალა//უნალი** – მინდორი დავლიანიძეებსა და ობოლაძეებს შუა. „უნალი ბალახია ერთგვარი“ (შუა სხვავა).

**უნალი** – მინდორი. იგივე უნალა (შუა სხვავა).

**უნალის გორა** – ბორცვი უნალაში (შუა სხვავა).

**უნაურა** – სათიბი, ტაფობი ბლაშის გვერდით, ბაბუაწყაროსთან (ფუტიეთი).

**ურავი** – სოფელი ლიხეთის თემის საკრებულოში (იხ. ნაწილი პირველი).

**ურავის სატყეო** _ ერქვა სატყეო უბანს ლუხუნის აუზში, წესის საწისქვილო ღელიდან ლეჩხუმის ქედის კალთების ჩათვლით (ურავი).

**ურთხლიკარი** – გზის მონაკვეთი სონკოსოში. „აქ იყო გადაკეტილი გლონის ვაკიდან წმინდა გიორგის სალოცავისკენ მიმავალი გზა“ (ღვიარა).

**ურთხმელიკარი** – ტყე-ფერდობები ღელისუბანში, ღვიარაღელის მარჯვ. მხარეს. „აქაც, ისევე როგორც ურთხლიკარში, გზა იყო გადაკეტილი“ (ღვიარა).

**ურიე(ე)ბის სასაფლაო** – საძოვარი ხოტეურის ნაპირზე. უწინ ამ ადგილის გვერდით ყოფილა ებრაელების სასაფლაო (ხოტევი).

**ურიის ღელე** _ ღელე, ცივწყალას შენაკადი (ზნაკვა).

**ურნალი** –1. სახნავი ჯაფარიძეებისა და ოშხერლების უბნებს შუა (სადმელი); 2. ფერდობი ყრუაშვილების უბანში. რესპ.: ურნალი ბალახია ერთგვარი (ხოტევი).

**ურწუმი** – ტყე-ველი დიდიშვილების უბნის თავზე (შუა სხვავა).

**ურწყვეტი** – სახნავი ბაკურაძეების ღელის ნაპირას (ზნაკვა).

**ურწყულა** – 1. ტყე–საძოვრები გორტევის კალთაზე, სიპების გვერდით. „წყალი არაა და არ ირწყვება“ (ველევი, კვირიკეწმინდა); 2. ტყე სალოს მთაზე. უწყლოა (ხოტევი).

**ურწყულეთი** – ტყე ზეჭელიშში, საპურტყვის თავზე (ზნაკვა).

**ურწყულის ტყე** – ტყე ურწყულაში (ველევი).

**უსაბარდანა** – წყარო. იგივე უსობარდანა (ზემო სხვავა).

**უსადილა//უსადილო** – სახნავი ზედა უბანში. „სოფელთან ახლოსაა და ქალებს ყანაში სადილი არ მიჰქონდათ“ (ზემო კრიხი).

**უსადილო** – 1. სახნავი. იგივე უსადილა (ზემო კრიხი); 2. სახნავი ისაკაძეების უბანში. რესპ.: „ყანები ახლოს ჰქონდათ და სადილად სახლში მიდიოდნენ“ (მუხლი).

**უსახელო წყალი** – წყარო ხოტეურისა და ველეურის შესართავთან. სიპი კლდეა გახეთქილი, ხავსიანი; „სინამდვილეში მუტელაწყალი ჰქვია, რადგან წყალი ნახვრეტებიდან გადმოდის, მაგრამ თქმას ერიდებიან“ (ხოტევი).

**უსახელო//ნიფხავა** – სახნავი ჭალის მარჯვე. მხარეს, აკავანის თავზე. რესპ.: „ერქვა ნიფხვა, რადგან ნიფხავში გაუცვლიათ. როცა ნაკვეთების პასპორტიზაცია დაიწყო, ბუღალტერმა თქვა, ეს რა სახელიაო და უსახელო ჩაწერა. მერე გავრცელდა“ (ზემო სხვავა).

**უსახელო//სამბოძალი** – ხევი პატარა საწალიკეში, პოლენასთან (ქვედა თლუღი).

**უსახელო გუბი//უსახელო გუმი** – გუბე უსახელოში (ქვედა თლუღი).

**უსახელო გუმი** – გუბე. იგივე უსახელო გუბი (ქვედა თლუღი).

**უსობარდანა//უსაბარდანა** – წყარო ჩლაიძეების უბანში, ავალიანის კარის გვერდით (ზემო სხვავა).

**უსტინეს დიდყანა** – სათიბი ზეჭელიშში (მოტყიარი).

**უსტინეს ნაძვი** – ნაძვის ხე სხალანაში (მოტყიარი).

**უსტინეს სხალი** – მსხალი ზეჭელიშში, უსტინეს დიდყანასთან (მოტყიარი).

**უღელა** – სათიბი ტევანას გვერდით. რესპ.: "ადგილია უღელივით ჩაზნექილი" (კაჩაეთი).

**უყ(ებ)ი//ნაქალაქარი** – მინდორი, სახნავი სოფლის ცენტრ. ნაწილში, აბაიშვილების უბანსა და ბიჭაშვილების უბანს შორის (კვაცხუთი).

**უყი** –ტყე-მინდვრები ყრუაშვილების უბანში, საცეცხლიის თავზე. უყი დაუმუშავებელი მიწაა, ე.ი. ყამირი (ხოტევი).

**უყურწუა** _ სახნავი კაციტაძეებში. "უყურწო სხლები იდგა" (ქვედა თლუღი). მაშასადამე: უყურწო > უყურწოა > უყურწუა

**უშანგიას სათიბი** – სათიბი შაორის წყალსაცავის ჩრდ–ით (ნიკორწმინდა).

**უჩერჩუა** – სახნავი, შემაღლება ჯავისასა და კიბულას შუა. რესპ.: ორი ძირი კაკალი დგას და არ იჩურჩება, ე.ი. ჩურჩი, ანუ ნაჭი არ ძვრება“. მაშასადამე: უჩერჩო > უჩერჩოა > უჩერჩუა (წესი).

**უცეცხლო ქვაბი//უცეცხური** – გამოქვაბული ალპურ ზონაში, სასვანეთოში, ლენტეხის რ-ნის საზღვართან. "ახლომახლო ტყე აღარაა, მწყემსებს შეშა არ ჰქონდათ და ცეცხლსაც ვერ ანთებდნენ" (ურავი).

**უცეცხური** – გამოქვაბული. იგივე უცეცხლო ქვაბი (ურავი)

**უწევარა//უწერავა** – სახნავი, სათიბი კრიხულის მარჯვ. მხარეს (ქვემო სხვავა, ქვემო კრიხი)

**უწერავა** – სახნავი. იგივე უწევარა ( ქვემო კრიხი, ქვემო სხვავა).

**უწვიმარა** – მინდორი საბუზურში (ზნაკვა).

**უხტ(ნ)ული//უხტუნელი** – სამოვარი, ღელე, – ლუხუნის მარცხ. შენაკადი ჩიჩარისსა და საყორნეს შუა (ურავი).

**უხტუნელი** – სამოვარი. იგივე უხტ(ნ)ული (ურავი).

## ფ

**ფალანგა** – სათიბი კობახიძეებსა და ნებულიშვილებს შუა, სადაც უწინ იმართებოდა „ფალანგობა“ (ნიკორწმინდა).

**ფალანგასკარი** – მინდორი ფალანგასთან (ნიკორწმინდა).

**ფალანგის გზა** – სამანქანო გზა ფალანგაში (ნიკორწმინდა).

**ფანჯიკაურა** – სათიბი რგვალიასა და ქეცქეთს შუა (ახალსოფელი).

**ფანჯიკიძეების ტყე** – ტყე ფანჯიკიძეების გარეუბანში (ახალსოფელი).

**ფანჯიკიძეების უბანი** – უბანი სოფლის ჩრდ.–აღმ. ნაწილში, ხოტეურის მარცხ. მხარეს (ახალსოფელი).

**ფარადიგვერდი** – ტყე ხიმშის საზღვართან, ველიღელის ზემოთ (ხიმში, გორი).

**ფარადიგვერდი//ფარედისგვერდი** – გორა, ტყე–ნასახლარები დანიელაღელის ხეობაში, ლუგნარის წყლის მარჯვ. მხარეს. ესახლნენ სირაძეები. აქაა თეთრი გიორგის ეკლესია (ხიმში, გორი).

**ფარდაგა** – სახნავი ლაშხებსა და ენუქიძეებს შუა. „ფარდაგივით ადგილია“ (კვირიკეწმინდა).

**ფარდაგის ბაღი** – ბაღი ფარდაგაში (კვირიკეწმინდა).

**ფარედისგვერდი** – ტყე-ნასახლარები. იგივე ფარადიგვერდი (ხიმში, გორი).

**ფართები** – საძოვრები საწალიკეში, შამოკვეთილას გვერდით (ზედა თლუღი).

**ფარმანის წყარო** – ტყე, წყარო. იგივე ფარმანიწყალი (ახალსოფელი).

**ფარმანიწყალი//ფარმანის წყარო** – ტყე, წყარო ქემოკლიძეების განაპირას (ახალსოფელი).

**ფარნაოზას სათიბი** – საძოვარი მოტყიარის საზღვართან, ნაეკლეს(ი)ევში (კაჩაეთი).

**ფარნაოზის მონატეხი** – ტყე საწალიკეში (ზედა თლუღი).

**ფარნაოზის ნაყანევი** – მინდორი. იგივე ფარნაოზის ყანები (ნიკორწმინდა).

**ფარნაოზის ყანები//ფარნაოზის ნაყანევი –** მინდორი კობახიძეებში, ცხენიკალიასთან (ნიკორწმინდა).

**ფატია(ს)ტყე** – ტყე კრობანში (ბეთლევი).

**ფაფაულა** – სათიბი ჯვრისუბანში, ბიბილაურის გვერდით (აგარა).

**ფაფუჩიგორა** – სერი. იგივე ფაქუჩი გორა (ბოსტანა).

**ფაქუში** – მთა, ალპ. საძოვარი. ებმის ლიხნარსა და ნადარაჯევს ლათაშურის მარცხ. მხარეს, საკაურასა და ლუხუნის წყალგამყოფზე. "ფაქუში სხვაგანაცაა ლუხუნის მარცხ. მხარეს“. იყოფა: დიდი ფაქუში, პატარა ფაქუში (ურავი).

**ფაქუშის ქვაბი** – გამოქვაბული ფაქუშში. "დიდია. ასი კაცი დაეტევა. ამის თავზეა ნაეკლესიარი" (ურავი).

**ფაქუშის წყალი** – ღელე, ლუხუნის მარცხ. შენაკადი (ურავი).

**ფაქუჩი გორა//ფაფუჩიგორა//ფაჩუჩი** – სერი ლაშითავის ღელის ზემო წელის მარჯვ. მხარეს (ბოსტანა).

**ფაჩვარაწყალი** – წყარო ჩალიანში. გამოედინება ხავსნარში (ურავი).

**ფაჩუჩი** – სერი. იგივე ფაქუჩიგორა (ბოსტანა).

**ფაციაყანა** – მინდორი. იგივე სათიბუკა (აბარი).

**ფაცკნარა//ფაცქნარა** – მდინარე. რაჭის ქედიდან ჩაედინება იმერეთში. ტოპონიმი ჩაწერილია ფუტიეთში.

**ფაცქნარა** – მდინარე. იგივე ფაცკნარა (ფუტიეთი).

**ფაცხიკარი** – 1. კლდე, მინდორი ხოტეურის მარცხ. მხარეს, ყრუაშვილებში (ხოტევი); 2. სათიბი ზეჭელიშის ჩრდ. დაბოლოებაზე, ზენიდართან (ზნაკვა).

**ფახალეური** – 1. სახნავი დოხნაძეებში (კაჩაეთი); 2. ვაკე–საძოვარი ჭალის მარჯვ. მხარეს, ნასოფლაურის ქვემოთ (ფუტიეთი).

**ფედოსის ნამოსახლი//თედოსის ნამოსახლი** – ნასახლარი შარაბიძეებში (მოტყიარი).

**ფერდიახო** – სათიბი ზეჭელიშში (ზნაკვა).

**ფერმები** – საძოვარი სერულის მარცხ. მხარეს, მეჭვრეთის სალოცავის გვერდით (ლიხეთი).

**ფერმისქვეშ** – სათიბი ქვედა სხარტალში. „იტყვიან, მივდივარ ფერმისქვეშ; მოვდივარ ფერმისქვეშიდან" (სხარტალი).

**ფეროს წყარო** – წყარო ჭოხონელიძეებში. ფერო ქალს ერქვა (საკეცია).

**ფეტაურა** – ვენახი. იგივე ფეტეურა (ხიმში).

**ფეტეურა//ფეტაურა** – ვენახი ფოჩხიურის გვერდით (ხიმში).

**ფეტვაური//ფეტოური** – სახნავი ოლანში (ქვედა თლუღი).

**ფეტოური** – სახნავი. იგივე ფეტვაური (ქვედა თლუღი)

**ფეჩლიური** – სახნავი თომაძეების უბანში (გორი).

**ფეხ(ი)საბანი წყალი** – წყარო, ველეულის მარჯვ. შენაკადი. „იმერეთიდან კვეშლევის გზით გადმოსულნი აქ დაიბანდნენ ფეხს“ (შხივანა).

**ფთხილისწყალი** – წყარო ზეჭელიშში (მოტყიარი).

**(ფ)თხინარა** – ვაკე–საძოვარი. იგივე ფ(რ)თხინარა (კლდისუბანი).

**ფთხინარა** – სახნავი კრობანის შემოგარენში, ბოსელასა და ფატიატყეს შუა (ბეთლევი).

**ფთხინარი** – სახნავი თომაძეებში, ფეჩლიურის გვერდით (გორი).

**ფითალო** – კლდე აშხაპირის ღელის სათავესთან. "ფითალო მაღალი კდეა“ (კლდისუბანი).

**ფირანას ჭალა** – საკარმიდამო გოგრიჭიანების უბანში (ურავი).

**ფირანაყანა** – სახნავი ლუხუნის მარჯვ. ნაპირზე (ურავი)

**ფიქრულის სერი** – სათიბი ხარისთვალასთან (ნიკორწმინდა).

**ფიჩხიჯვარი//ფიჩხიჯვრები** – სახნავი ქვემო სხვავაში, არჩვაძეებსა და ველევიქედს შუა (შუა სხვავა).

**ფიჩხიჯვრები** – სახნავი. იგივე ფიჩხიჯვარი (შუა სხვავა).

**ფიცრი(ს)თავი** – საძოვარი პოლენის თავზე, პატარა საწალიკეში (ქვედა თლუღი).

**ფიწალეული** – მთა, ტყე ლუხუნის მარცხ. მხარეს, ონის რ-ნის საზღვართან. "ტყეა და ხის ფიწლებს ჭრიდნენ. ახლაც ჭრიან". რუსულენოვან კარტოგრაფიულ რუკაზე აღნიშნულია როგორც Пицареули (ურავი).

**ფიჭვები//ფიჭვნარი** – ტყე ხიმშის საზღვართან, დათეშიძეების უბნის თავზე (გორი).

**ფიჭვინაჭერი** – ტყე ქედის ჩრდ. კალთაზე (სადმელი).

**ფიჭვნარა** – 1. ტყე სოფლის დას. ნაწილში (ჭელიაღელე); 2. ვენახი ფაფაულასა და ბიბილაურს შუა (აგარა); 3. ტყე ღელიის თავზე (ზემო სხვავა).

**ფიჭვნარ(ებ)ი** – ტყე ჭუხურის სათავის მიდამოებში (მოტყიარი).

**ფიჭვნარი** – 1. სამოვარი ყიყვის მარჯვ. მხარეს, ნასაყდრის თავზე (აბარი); 2. ტყე. იგივე ფიჭვები (გორი); 3. ტყე ზეჭელიშში. იყოფა: თავი ფიჭვნარი, შუა ფიჭვნარი, ქვედა ფიჭვნარი (ზნაკვა).

**ფიჭვნარის გორა** – სამოვარი ჭალის მარჯვ. მხარეს (ზემო სხვავა).

**ფონჯავიძისეული** – ვენახი ისაკაძეებში (შუა კრიხი).

**ფორთათა** – სათიბი გორგიაშვილებში. იშვიათი ვარიანტი: ქორთათა (ველევი).

**ფორია** – ქედი, რიცეულისა და ხეორის წყალგამყოფი. იყო ლიხეთისა და სადმელის სატყეოების საზღვარი. ქედის კალთებიდან ჩამოედინება ძრაგული (ლუხუნის მარჯვ. შენაკადი) და კაპი (რიცეულის მარცხ. შენაკადი). რესპ. ე. ბეშიძე: „ფორი ობია რაჭულში. დაფორებული ნიშნავს ობიანს. იმასაც ამბობენ, ფორია მელაშვილი ჭრიდა აქ შეშას და რიონზე აცურებდაო“ (ლიხეთი, წესი, სადმელი).

**ფოსვეულა** – ვენახი. იგივე ფოსოულა (ქვემო კრიხი).

**ფოსოულა//ფოსვეულა//ფოსოულები** – ვენახი შუა კრიხის საზღვარზე, იონჯის თავზე (ქვემო კრიხი).

**ფოსოულები** – ვენახი. იგივე ფოსოულა (ქვემო კრიხი).

**ფოტიეთო//ფოტიოთო** – ტყე ფოტიეთოს მთაზე. ლუხუნისა და ქაჯიანისწყლის შესართავს შუა (ურავი).

**ფოტიეთოს მთა** – მთა. იგივე ფოტიოთოს მთა (ურავი).

**ფოტიოთო** – ტყე. იგივე ფოტიეთო (ურავი).

**ფოტიოთოს მთა//ფოტიეთოს მთა** – მთა ლუხუნის მარცხ. მხარეს (ურავი).

**ფოჩხაური** – წყარო ჯმუხაძეების უბანსი (ნიკორწმინდა).

**ფოჩხიური** – სახნავი აგლაძეების ყოფილის გვერდით. ეკუთვნოდა ფორჩხიძეს (ხიმში).

**ფოჩხიძეების უბანი** – უბანი ხეორის მარჯვ. მხარეს, სერზე. იქითა ფოჩხიძეების უბნისაგან გამოყოფს კანთელაძეების უბანი (ლიხეთი).

**ფოხვეულა//ფოხოულა** – ვენახი ბილაშვილების თავზე. „სახელი ასეთი ჰქვია და რა ვიცი, რატომ“ (შუა კრიხი).

**ფოხოულა** – ვენახი. იგივე ფოხვეულა (შუა კრიხი).

**ფ(რ)თხინარა//(ფ)თხინარა** – ვაკე სამოვარი რიცეულის მარჯვ. ნაპირზე, რიცჰესის პირდაპირ (კლდისუბანი).

**ფრიეთი** – სამოვარი გოგიჩაბაურსა და ლენწოფს შუა (ჭელიაღელე).

**ფრიოლი** – ტყე, სამოვარი, სათიბები ფრიოლის წყლის ზემოთში (ნიკორწმინდა, ჭელიაღელე).

**ფრიოლის სათვალე** – ღრმული, საიდანაც ამოდიოდა ფრიოლის წყალი. დაფარა წყალსაცავმა (ჭელიაღელე).

**ფრიოლის წყალი** – ღელე, ერთოდა შაორის ტბას. დაფარა წყალსაცავმა (ჭელიაღელე).

**ფროდიული** – სახნავი, დავაკება ქართველიშვილებში, სოფლის მთავარ გზაზე (ზემო სხვავა).

**ფუთაშვილიკალო** – სამოვარი ღვიარაღელის ხეობაში (ღვიარა).

**ფუთურიახო** – სათიბი. იგივე ქუთურიახო (ველევი).

**ფუნჩია** – მინდორი საწალიკის კალთაზე, საწუმპის გვერდით (ველევი).

**ფურკალია** – ვაკე–სამოვარი დოხნაძეების ზემოთ, კდისთავის ძირას (კაჩაეთი).

**ფუღნარი** – ტყე მემანიშვილების უბანში (გორი).

**ფშანი** – 1. ჭაობნარი რიცეულის მარცხ. მხარეს, ქოველის გვერდით (სადმელი); 2. სახნავი რიონის ჭალაში (საკეცია).

**ფშვნიპირი** – სათიბი შაორის შემოგარენში (ჭელიაღელე).

**ფშოფშეულა//ფშო(ფ)შოულა** – სახნავი ჯვრისუბანში (ზედა თლუღი, ქვედა თლუღი).

**ფშო(ფ)შოულა** – სახნავი. იგივე ფშოფშეულა (ზედა თლუღი, ქვედა თლუღი).

**ფწკალინაძვნარი//ზწკარინაძვნარი** – ნაძვნარი განიგზის გვერდით, ვაკენაძვნარის ქვემოთ (ნიკორწმინდა).

**ფწკალინაძვნარის შურო//ზწკარინაძვნარის შურო** – შურო, სამოვარი ფწკალინაძნვნართან. ამ შუროზე გადის გზა ვაკენაძვნარისაკენ. რესპ.: „ფწკალი იმიტომაა, რომ ხეები ერთადაა ამოსული“ (ნიკორწმინდა).

**ფხლარა//ფხრალა** – სახნავი ჭალის თავზე, წვერის კალთაზე (სხარტალი).

**ფხორია** – ტყე ნაციხურას ქვეშ (კვაცხუთი).

**ფხრალა** – სახნავი. იგივე ფხლარა (სხარტალი).

## ქ

**ქავთრიღელე//ქაფთრიღელე//ქაფთირღელე** – ღელე, რიცეულის მარჯვ. შენაკადი. იწყება სონკოსოს კალთებიდან. რესპ.: „ღელე ხშირად ადიდდებოდა და ქაფდებოდა, ამიტომ ჰქვია ქაფთრი ღელე“ (ღვიარა, სადმელი, კლდისუბანი).

**ქათამაის წყალი** (< ქათამაძის წყალი) – წყარო რიონის ნაპირზე, უთმელიძეებს ქვემოთ (საკეცია).

**ქათამაძეებისკარი** – მიკროუბანი უთმელიძეებსა და ქვედა მიქიაშვილებს შუა (საკეცია).

**ქათამაძის ვენახები** – ვენახი რიონის პირზე, ქათამაის წყალთან (საკეცია).

**ქათმიხლეწია//ჭიშკარა** – სათიბი, გზის მონაკვეთი რაჭის ქედზე. რესპ. მ. გიორგობიანი: „დასასვენებელი ადგილია ფუტიეთ–მოხვის გზაზე. გამცილებლები იქამდე მიდიოდნენ, ქათამს დაკლავდნენ და დაილოცებოდნენ. მამაჩემმა ოთხი ქათამი დაკლა. ჭიშკარივითაა გასასვლელი ტყეში“ (ფუტიეთი).

**ქაიხოსროახო** – ტყე მახითვალის კალთაზე (ღვიარა).

**ქალიჯვარა** – ტყე, სათიბი ზეჭელიში (ზნაკვა, ნიკორწმინდა).

**ქაოს კაკლები** – მინდორი. იგივე ქაოს ნამოსახლი (ზეთლევი).

**ქაოს ნამოსახლი//ქაოს კაკლები** – მინდორი ტბეთსა და კროზანს შუა. ქაო ქალის სახელია (ბეთლევი).

**ქართველიშვილები//ქართველიშვილების უბანი** – 1. უბანი სოფლის მთავარ გზაზე, სერზე, ქურციკიძეებსა და გონგაძეებს შუა (ზემო სხვავა); 2. უბანი სოფლის ცენტრში, დალაქიშვილებსა და დოხნაძეებს შუა (ჭელიაღელე).

**ქართველიშვილების უბანი** – უბანი. იგივე ქართველიშვილები (ზემო სხვავა, ჭელიაღელე).

**ქართველიშვილების წყალი** – ღელე, გაბუნიის ღელის ერთ–ერთი მდგენელი (ზემო სხვავა).

**ქართველიშვილის ვენახი** – ხეხილნარი ლეკნარს ქვემოთ (შუა კრიხი).

**ქაფთირღელე** – ღელე. იგივე ქავთრიღელე (კლდისუბანი, ღვიარა).

**ქაფთრიღელე** – ღელე. იგივე ქავთირღელე (კლდისუბანი, ღვიარა).

**ქაჩაბერაული** – ტყე ქვათაძეების უბანში (შუა სხვავა).

**ქაჯიანი** – ტყე-სამოვარი ლუხუნის მარჯვ. მხარეს. "ანა წყალზე ამოსულა და ქაჯი ჰგონებიათ" (ურავი).

**ქაჯიანის წყალი** – წყარო ლუხუნის ნაპირას, ქაჯიანში (ურავი).

**ქედი** – 1. ვაკე–გორა გობეჯიშვილების უბნის თავზე (ურავი); 2. გორა ველეულის მარცხ. მხარეს. აქვეა წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები (წკადისი); 3. მაღლობი დათეშიძეების უბნის შემოგარენში. (გორი); 4. სერი სოფლის ჩრდ. ნაწილში საელიოსა და სოფელს შუა. აქ ცხოვრობენ შარაბიძეები, მეტონიძეები, ჯანელიძეები (სადმელი); 5. გზა სოფლის ცენტრიდან ჯვრისუბნისაკენ. ქედი აღარსადაა (ზედა თლუღი). ქედი ეწოდება სერებს, ქედებს ღვიარაში, მუხლში, კლდისუბანში, ზნაკვაში და სხვ.

**ქედიბოლო** – 1. სამოვარი ქედზე (ღვიარა); 2. სამოვარი, სასაფლაო ქედზე (სადმელი).

**ქედის ბინული** – წყარო, ქედურის სათავე (ძირაგეული).

**ქედის ტყე** – ტყე ქედზე (წკადისი).

**ქედის ღელე** – ღელე. იგივე ქედურა (მირაგეული).

**ქედის წყალი** – წყარო ქედში (გორი)

**ქედისტყე** – ტყე ქედში (გორი).

**ქედისუბანი** – 1. ერქვა უბანს სარეკის მირას, ქედის აღმ. ნაწილში. ამჟამად დაცარიელებულია (მირაგეული); 2. უბანი ქედზე (ურავი); 3. უბანი ქედზე, ზნაკურის მარცხ მხარეს (ზნაკვა).

**ქედიყანა** – 1. ვენახი საგანელიძეების შემოგარენში (კვაცხუთი); 2. სამოვარი (ბ)ომარაღელის მარჯვ. მხარეს (წესი); 3. სახნავი გიორგობიანებში (ხიმში).

**ქედიყანა//ქედიყანები** – სამოვრები ქედზე (მუხლი).

**ქედიყანები** – სამოვრები. იგივე ქედიყანა (მუხლი).

**ქედსუკანი//ქეთსუკანი//ქეცუკანი** – ტყე ხოტეურის მარჯვ. მხარეს, გორდეზიანების სერზე (ხოტევი). ფონეტიკურ გარდაქმნათა გზა: ქედსუკანი > ქეთსუკანი (ასიმილაცია) > ქეცუკანი (აფრიკატიზაცია: თს>ც)

**ქედსუკანი//ქეცუკანი** – მინდორი ზედა მესხებში (კვირიკეწმინდა).

**ქედუნა** – ვენახ–ბოსტნები ნაფუძვრის თავზე (მუხლი).

**ქედურა//ქედის ღელე//მირაგეულის ღელე** – ღელე, რიონის მარჯვ. შენაკადი. გაედინება ქედისუბნიდან (მირაგეული).

**ქევანაურა** – ტყე. იგივე ქეონაურა (ახალსოფელი).

**ქევანაშვილების ბაღი** – ბაღი ქევანაშვილებში (ახალსოფელი).

**ქევანაშვილების უბანი** – 1. უბანი ჭელიძეებსა და ქემოკლიძეებს შუა. დარჩა ორიოდე კომლი (ახალსოფელი); 2. უბანი ხოტეურის მარცხ. მხარეს (ხოტევი).

**ქეთევანის წყარო** – წყარო ჭოხონელიძეებში (საკეცია).

**ქეთიაშვილები//ქეთიაშვილების უბანი** – უბანი (ნიკორწმინდა).

**ქეთიაშვილების კალო** – კალო ქეთიაშვილებში (ნიკორწმინდა).

**ქეთიაშვილების უბანი** – უბანი. იგივე ქეთიაშვილები (ნიკორწმინდა).

**ქეთსუკანი** – ტყე. იგივე ქედსუკანი (ხოტევი).

**ქემნარა** – წყარო არჩვაძეების თავზე. ჩამოყვანილია სოფელში (ზემო კრიხი).

**ქემოკლიძეების უბანი** – უბანი სოფლის ცენტრში, ხოტეურასა და სალოს მთას შუა (ახალსოფელი).

**ქემოკლიძის ახო** – სათიბი შაორის წყალსაცავის ჩრდ. შემოგარენში (ჭელიაღელე).

**ქენჩეხი** – მთა-სათიბები სოფლის ჩრდ–ით, ფეხისაზანის სათავეებთან. ებმის ლეკიბეჩოს (შხივანა).

**ქეონაურა//ქევანაურა** – ტყე, სამოვარი ქემოკლიძეებში. „ქეონაშვილების ყანები იყო“. როგორც ჩანს: ქევანა > ქევანაურა > ქეონაურა (ახალსოფელი) .

**ქერ(ი)გასავალი** – სახნავი, ფონი. იგივე ქერგასაზანი (ნიკორწმინდა).

**ქერგასაზანი//ქერ(ი)გასავალი** – ერქვა სახნავს და ფონს შაორის წყალზე (ნიკორწმინდა).

**ქერცელა** – სახნავი შუა არჩვაძეების უბნის თავზე, ჩინჩარისის ზემოთ (ფუტიეთი).

**ქეციქეთი//ქეციქეცი//ქეციქეცის გორა** – მთა ტყითა და სახნავებით შაორის წყლის მარჯვ. მხარეს. რა თქმა უნდა: ქედსიქეთი > ქეთსიქეთი > ქეციქეთი > ქეციქეცი (ნიკორწმინდა).

**ქეციქეთი//ქეცქეცი** – სათიბები ხოტეურის მარცხ. ნაპირზე (ახალსოფელი).

**ქეციქეცი** – მთა. იგივე ქეციქეთი (ნიკორწმინდა).

**ქეციქეცის გორა** – მთა. იგივე ქეციქეთი (ნიკორწმინდა).

**ქეციქეცის ტყე** – ტყე ქეციქეთში (ნიკორწმინდა).

**ქეცუკანი** – 1. მინდორი. იგივე ქედსუკანი (კვირიკეწმინდა); 2. ტყე. იგივე ქედსუკანი (ხოტევი).

**ქეცქეცი** – სათიბები. იგივე ქეციქეთი (ახალსოფელი).

**ქვა** – სახნავი ზეჭელიშსა და შუატყეს შუა (კაჩაეთი).

**ქვაბა** – 1. ვაკე-სათიბი ჩონიშში. რესპ.: „ფორმით ქვაბს ჰგავს“ (მუხლი); 2. სამოვარი ზაქარწმინდასა და გძელას გაგრძელებაზე ხიმშის საზღვრისკენ (ზემო სხვავა).

**ქვაბას ტყე** – ტყე ქვაბას ირგვლივ (მუხლი).

**ქვაბაღელე** – ღელე, ჩონიშურის მარცხ. შენაკადი (მუხლი).

**ქვაბთკარი//ქვაფთკარი//ქვაპტკარი** – კლდე-ფერდობები გამოქვაბულებითა და ტყე-წყაროებით რიონის მარცხ. მხარეს, ამბროლაური–ზნაკვის გზაზე (საკეცია, ამბროლაური).

**ქვაბი** – კლდე გასარჩიელსა და ჯვარს შუა (შუა სხვავა).

**ქვაბიკარა** – სათიბი ვაკეზე, ჭალასა და ზედა სხარტალს შუა (სხარტალი).

**ქვაბილაური** – ხეობა, რომელშიც გაედინება ქვაბილაური(ს)წყალი (ხოტევი).

**ქვაბილაური(ს)წყალი** – ღელე, ხოტეურის მარცხ. შენაკადი სოფლის ცენტრში (ხოტევი).

**ქვაბილაურის უბანი** – უბანი ქვაბილაური(ს)წყლის ზემო წელზე (ხოტევი).

**ქვაბირუ(ლი)** – კლდე, ტყე რიონის მარცხ. მხარეს, ცალევის კალთაზე (მუხლი).

**ქვაბისთავი** – სახნავი ველეულის მარცხ. ნაპირზე. რესპ.: „ქვაბივით ჩავარდნილი ადგილის თავია“(წკადისი).

**ქვაბიძირი** – ტყე არჩვაძეებში (შუა სხვავა).

**ქვაბტკრის წყარო** – წყარო ქვაბტკარში (ამბროლაური).

**ქვაბტყელა** – სახნავი ქვემო სხვავაში, კრიხულის მარცხ. მხარეს (შუა სხვავა).

**ქვაბუკაღელე** – მინდორი. იგივე ქვაბუნაღელე (აბარი).

**ქვაბუნა** – ტაფობი პატარ–პატარა ტბებით ქვაბუნაღელის ზემოთში (ლიხეთი).

**ქვაბუნაღელე** – ღელე, ხეორის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა (ლიხეთი).

**ქვაბუნაღელე//ქვაბუკაღელე** – მინდორი ყიყვის მარჯვ. მხარეს (აბარი).

**ქვაბუნია** – სამოვარი ღვიარაღელის მარცხ. ნაპირას, ღელისუბანში. „ქვაბივით ადგილია და შიგ წყალი ტრიალებს“ (ღვიარა).

**ქვაგახეთქილა** – ღელე განიგზის გვერდით. უერთდება შაორის ტბას (ნიკორწმინდა, ჭელიაღელე).

**ქვაგახეთქილა//გახეთქილი ქვა** – მინდორი ალპურ ზონაში, ყელისის მთაზე. აქ ერთი დიდი ქვა დევს, გახეთქილია. აქედან წყალი ჩაედინება რიცეულაში (ლიხეთი).

**ქვაგახეთქილას წყალი** – წყარო ქვაგახეთქილაში (ნიკორწმინდა).

**ქვაგახეთქილის სათიბები** – სათიბი ქვაგახეთქილაში (ნიკორწმინდა).

**ქვაგახეთქილის ტყე** – ტყე ქვაგახეთქილაში (ნიკორწმინდა).

**ქვადარღვეულები//ქვადარღოვილი** – კლდე რიცეულის მარჯვ. მხარეს. კლდეა ჩამოშლილ–ჩამორღვეული (კლდისუბანი).

**ქვადარღოვილი** – კლდე. იგივე ქვადარღვეულები (კლდისუბანი).

**ქვათამეების უბანი** – უბანი შუა კრიხის საზღვარსა და ნეფარიძეებს შუა (შუა სხვავა).

**ქვათეთრა** – კლდე, სახნავი ოლანში, ფეტვაურის გვერდით (ქვედა თლუღი).

**ქვამანათა** – სათიბი საყვანისურის ღელის მარჯვ. მხარეს. „რომ თიბავენ, ცული კაჟს ხვდება და ანათებს. კაჟნარია“ (წესი).

**ქვაპტკარი//ქვაბთკარი** – კლდე–ფერდობები. იგივე ქვაბთკარი (ამბროლაური, საკეცია).

**ქვაპტკრისწყალი** – წყარო ქვაპტკარში (ამბროლაური).

**ქვარანა** – სახნავი. იგივე ქვერანა (ქვედა თლუღი).

**ქვარიანიკარი** – საკარმიდამო კერესელიძეების უბანში (სადმელი).

**ქვარიწკინა** – სამოვარი, ხიხათის გზის მონაკვეთი საკანაფოღელისა და ღელიახოს შესაყართან. „ურემი რომ გაივლის, ქვა რიწკინებს“ (ფუტიეთი).

**ქვასაბზუანა//ქვასაბზუანი გორა** – ალპ. სამოვარი რიცეულის სათავესთან (სადმელი).

**ქვასაბზუანი გორა** – ალპ. სამოვარი. იგივე ქვასაბზუანა (სადმელი).

**ქვასიპა** – 1. უბანი. იგივე გაღმა უბანი (ჭელიაღელე); 2. სამოვარი კობახიძეებიდან ხონჭიორისაკენ მიმავალ გზაზე (ნიკორწმინდა); 3. წყარო ქვასიპის უბანში. წყალი სიპი ქვიდან გამოდის (ქვედა თლუღი).

**ქვასიპის უბანი** – უბანი გურაბანიძეებსა და ჯირკვისუბანს შუა (ქვედა თლუღი).

**ქვაფთკარი** – კლდე-ფერდობები. იგივე ქვაბთკარი (საკეცია, ამბროლაური).

**ქვაფიცარა** – გზა-დაღმართი, რომელიც ღოცათზე ჩამოდის. „ფიცარივით ქვაა და გზა ჩამოდის“ (ზემო სხვავა).

**ქვაყუნტელა** – 1. კლდე მიწინათხარასა და ველევს შუა (ზემო კრიხი); 2. კლდოვანი ადგილი კვეშლევის გზაზე (შხივანა); 3. ლოდი, კლდის ნაწილი გელბახიანებსა და ფუნჩიას შუა. ოდნავ ქანაობს კიდეც (ველევი).

**ქვაყუნტელა//ქვაყუნტულა** – ტყე ჩიგნარის გვერდით. „სამი მაღალი ქვა დგია, თირი ქვაა, დაყუნტული. იქნება 8 მ. სიმაღლისა“ (წკადისი).

**ქვაყუნტია** – 1. კლდე ზეჭელიში, ქვასიპასთან (ნიკორწმინდა); 2. სამოვარი გიორგობიანების უბნის განაპირას. „ქვა ახლაცაა დაყუნტული იმ ადგილას“ (ფუტიეთი); 3. მთა, კლდე ზეჭელიში. ეკუთვნის ნიკორწმინდას, მაგრამ ტერიტორიულად შედის ზნაკვაში (ზნაკვა, მოტყიარი); 4. სამოვარი სახაროზე (ურავი).

**ქვაყუნტულა** – 1. სამოვარი ხოტეურის მარჯვ. მხარეს. „ქვა იყო გადმოყუნტული, მაგრამ მიწისძვრისას

გადმოვარდა“ (ხოტევი); 2. ტყე. იგივე ქვაყუნტელა (წკადისი).

**ქვაყუნტულას კდე** – კლდე ხონჭიორის გზაზე (ნიკორწმინდა).

**ქვაყუნტულის გადასავალი** – სანადირო, გზა, რომელიც გადადის ხონჭიორში (ნიკორწმინდა).

**ქვაშავი//შავი ქვა** – ტყე, ლოდი სალოცავაგორაზე. სწორედ ეს შავი ქვა იყო სალოცავი (ღვიარა).

**ქვაჩამოხტომილა//ქვაჩამოსახტუნებელი** – კლდე ჯვარიზურგის ძირას, ცივწყალას ნაპირას, ხოტევის გზაზე (ზნაკვა).

**ქვაციხე** – კლდე ფაქუშის თავზე. საკაურისა და ლუხუნის წყალგამყოფზე (ურავი).

**ქვაციხია** – გორა ღვიარაღელის მარჯვ. მხარეს, ღელისუბნის თავზე. „ციხესავით კლდეებია“ (ღვიარა)

**ქვებიანი** – სახნავი კანთელაძეების უბნის თავზე (ლიხეთი).

**ქვედა აბუთიძეები** _ უბანი. იგივე აბუთიძეები (აგარა).

**ქვედა აგარა//ქვემო უბანი//ქვედა უბანი//დაბლა აგარა** – სოფლის ნაწილი ჭელიაღელის საზღვართან (აგარა).

**ქვედა აკავანა** – მინდორი, აკავანის ნაწილი (კვირიკეწმინდა).

**ქვედა ბაკურაძეები** – მიკროუბანი. იგივე ღელებაკურაძეები (ზნაკვა).

**ქვედა ბოგირი** – ტყე, ბოგირის ნაწილი (კვირიკეწმინდა).

**ქვედა ბოსელა** – საძოვარი სამთო გზაზე, რაჭის ქედზე (შუა სხვავა).

**ქვედა გვერდი** – ტყე უსადილას გვერდით (ზემო კრიხი).

**ქვედა გობი** – სახნავი მიწორეთაში. ზედა გობის გვერდით (ზემო კრიხი).

**ქვედა ერჭო** – საძოვარი ერჭოს ქვემოთ (შუა კრიხი).

**ქვედა ველიშიორი** – ველიშიორის ნაწილი (ხოტევი).

**ქვედა ზნაკვა** _ სოფლის ნაწილი, სადაც არის უბნები: კიკვაძეები, მურუსიძეები, ბაკურაძეები, კვახაძეები, გოცირიძეები, წერეთლები (ზნაკვა).

**ქვედა ლაში** – სათიბი დოხნაძეებში (კაჩაეთი).

**ქვედა ლემანეური** – სათიბი ლემანეურში (კაჩაეთი).

**ქვედა ლემანეურის წყალი** – წყარო, დიდღელის სათავე (კაჩაეთი).

**ქვედა მეტრევლების უბანი** – უბანი ხეორის მარცხ. მხარეს, ერისთავების უბნის გვერდით (ლიხეთი).

**ქვედა მიქიაშვილები** – უბანი ზნაკურის მარცხ. ნაპირზე (საკეცია).

**ქვედა ნაკალავარი** – ტყე ზედა ნაკალავარის ქვემოთ (ღვიარა).

**ქვედა პოლტიკა** – სამოვარი პოლტიკისა და ნასახტრის გვერდით (ხოტევი).

**ქვედა სამბრელო** – ტყე. იგივე სამბრე(ვ)ლო (იხ.) (ველევი).

**ქვედა სამზიარი** – ტყე, სამზიარის ნაწილი (ფუტიეთი).

**ქვედა საფაფია** – სამოვარი. იხ. საფაფია (ფუტიეთი).

**ქვედა სვანები** – მიკროუბანი. იხ. სვანები (ფუტიეთი).

**ქვედა სილაკდე//ქვემო სილაკდე** _ გორა, ტყე სილაკდეში (მოტყიარი).

**ქვედა სინდეული** – ვენახი გაღმა მიქიაშვილებში (საკეცია).

**ქვედა უბანი** – 1. სოფლის ნაწილი. იგივე ქვემო აგარა (აგარა); 2. უბანი. იგივე არჩვაძეები (ფუტიეთი); 3. უბანი. იგივე გამოღმა უბანი (ჭელიაღელე); 4. დიდი უბანი. იგივე კობახიძეები (ნიკორმინდა); 5. უბანი. იგივე მიქიაშვილების უბანი (მოტყიარი).

**ქვედა უბანი//ქვემო უბანი** – უბანი სოფლის აღმ. ნაწილში, გურაბანიძეების გვერდით (ქვედა თლუღი).

**ქვედა ფიჭვნარი** – ტყე ფიჭვნარში (ზნაკვა).

**ქვედა წესი** – სოფლის ნაწილი წესურის მარჯვ. მხარეს (წესი).

**ქვედა წვერსუკანი** – ტყე, მინდორი, წვერსუკნის ნაწილი (ფუტიეთი).

**ქვედა წინწკილა** – სახნავი, ტყე წინწკილასთან (ხოტევი).

**ქვედა ჭაროფი** – სახნავი ჭაროფს ქვემოთ (შუა კრიხი).

**ქვედა ხუციშვილები** – უბანი ლუხუნის მარჯვ. მხარეს, ცენტრალურ გზაზე (ლიხეთი).

**ქვედა ჯელაძეები** – უბნის ნაწილი. იხ. ჯელაძეების უბანი (ურავი).

**ქვედაქვაბისთავი** – სახნავი, ქვაბისთავის ნაწილი (წკადისი).

**ქვედაყანიგვერდი** – ფერდობი კვირიკეწმინდის საზღვართან (ქვემო კრიხი).

**ქველაური** – სახნავი გოჩიტაურის გვერდით (ფუტიეთი).

**ქვემო თლუღი** – "ქვედა თლუღის" ადგ. ვარიანტი (ქვედა თლუღი).

**ქვემო იწა//ჭალა** – უბანი რიონის მარცხ. ნაპირზე. უწინ ეკუთვნოდა სოფელ იწას (ამბროლაური).

**ქვემო კრიხი** – სოფელი იწის თემის საკრებულოში (იხ. ნაწილი პირველი).

**ქვემო კრობა(ნი)** – კროუბნის ნაწილი ფეხსაბანი წყლის მარჯვ. მხარეს (ბეთლევი, შხივანა).

**ქვემო მაცაბერიძეების უბანი** – უბანი. იგივე მაცაბერიძეების უბანი (ველევი).

**ქვემო სილაკდე** – გორა, ტყე. იგივე ქვედა სილაკდე (მოტყიარი).

**ქვემო სხარტალი** – სოფლის ნაწილი. იგივე ჭალა (სხარტალი).

**ქვემო სხვავა** – ერქვა სოფელს. ამჟამად შუა სხვავის ნაწილია (შუა სხვავა).

**ქვემო უბანი** – 1. უბანი. იგივე ქვედა უბანი (ქვედა თლუღი); 2. სოფლის ნაწილი. იგივე ქვედა აგარა (აგარა).

**ქვემო ძეძისი** – სათიბი ძეძისში (ქვემო კრიხი).

**ქვერანა//ქვარანა** – სახნავი ზემო თლუღის საზღვარზე. "ქვიანი ადგილია, ღორღიანი, ზედუბანში. ამიტომ ჰქვია ქვარანა" (ქვედა თლუღი). არაა გამორიცხული: ქვა > ქვანარა > ქვარანა > ქვერანა.

**ქვეღელე** – სამოვარი ღვიარაღელის მარცხ. მხარეს, ნატაურებს ქვემოთ (ღვიარა)

**ქვეშაკდე** – სახნავი დიდ(ი)კდის ძირას (მოტყიარი).

**ქვეშაფსკერა** – სახნავები, ნაჭაობარი ტბის ჩავაკებაზე, კაციტაძეებს ქვემოთ (ქვედა თლუღი).

**ქვეშვაკე** – ვაკე რიონის მარცხ. ნაპირზე, მაღალი მთის ძირას. აქაა აბანო, იგივე "ხიდიკრის გოგირდოვანი აბანო" და ჭიამყრალა (ხიმში).

**ქვეშვაკის ხიდი** – ხიდი რიონზე, ხიდიკრის ზემოთ, ხიმშისა და წესის საზღვარზე (ხიმში).

**ქვეშკვერა** – სამოვარი და სამანქანო გზა, რომელიც ღოდიეთიდან გადის სხვავაში.ერთგან გადმოხურული კლდეა. „გზაა ქვიანი. ამიტომაა ქვეშკვერა“. იშვიათი ვარიანტი: ქვეშქვევრა (შუა კრიხი, შუა სხვავა).

**ქვეშქვევრა** – სამოვარი. იგივე ქვეშკვერა (შუა კრიხი).

**ქვიან(ი)გორა** – გორა შაორწყლის თავზე (ნიკორწმინდა).

**ქვიბინა** – სამოვარი ალპურ ზონაში, ლუხუნის მარჯვ. მხარეს. რა თქმა უნდა: ქვის ბინა > ქვიბინა (ურავი).

**ქვისატეხი** – 1. კარიერი უყეშის საზღვარზე (ქვედა თლუღი); 2. კლდეები კაჩაეთის საზღვარზე, სადაც სახლის ასაშენებელ ქვას მოიპოვებდნენ (ნიკორწმინდა).

**ქვისტყე** – ტყე, სამოვარი შუა ტყესა და კალოსთან (წკადისი).

**ქვი(ს)ძირა** – სახნავები, ნასახლარები მაისაშვილების უბანში. „უწინ ქვისძირა ერქვა წყაროს, რომელიც ქვის ძირიდან გამოდის“ (წესი).

**ქვისძირისწყალი** – წყარო ქვი(ს)ძირაში (წესი).

**ქვისწყალა//ქვისწყარო** – წყარო ვახტანგაშვილებში, ბოსელაღელის შენაკადი (წკადისი).

**ქვისწყარო** – წყარო. იგივე ქვისწყალა (წკადისი).

**ქვიშიგვერდი** – სახნავი ბედელაძეების უბანსა და ნეფარიძეებს შუა (შუა სხვავა).

**ქვიშინარა** – ტყე კორძებთან (შხივანა).

**ქვიშნარა** – ნაშალი კლდე აშხაპირას მარჯვ. მხარეს (კლდისუბანი).

**ქვიშნარი** – ქვიშნარი შხივანის საზღვართან (ბეთლევი).

**ქვიშნარიგვერდი** – მინდორი დაქცეულ კდესა და მიწორეთას შუა (ზემო კრიხი).

**ქი(რ)ქლობა** – სახნავები ხოტევისა და წკადისის საზღვარზე, გზის პირას (წკადისი, ხოტევი).

**ქირქნალა** – სამოვარი მელაშვილების მთაზე. რესპ. „ქირქიტა ადგილია, გამოფიტული, გამომშრალი, მოსავალი არ იცის“ (წესი).

**ქლიონა** – სათიბი მაჩაიძეების უბნის განაპირას, კორსანის გვერდით (ზემო სხვავა).

**ქოველ(ებ)ი** – სათიბი, ვენახი ნაციხურასა და სორყიშს შუა, საჯურუმოსა და მუსერიძეების უბანს შორის (სადმელი).

**ქოველის წყალი** – წყარო რიონის მარცხ. მხარეს (სადმელი).

**ქოთნიტეხია** – კლდე მინდაციხის ზემოთ. „წესელი კაცი მინავალა სახნავში და ქოთნით ლობიო მინაქონა, ფეხი წამოუკრავს ქვაზე და გოუტეხია ქოთანი“ (წესი).

**ქომანეთი** – წყარო მთავარანგელოზის ტაძრის სიახლოვეს (ზემო კრიხი).

**ქონიაშვილები//ქონიაშვილების უბანი** – უბანი კოდის მთის ძირას. ქონიაშვილები ენუქიძეების ერთ-ერთი შტოა (წკადისი).

**ქონიაშვილების უბანი** – უბანი. იგივე ქონიაშვილები (წკადისი).

**ქონიაშვილების წყალი** – წყარო ქონიაშვილებში (წკადისი).

**ქორეთულა//ქორეთული** – ტყე, ხეობა ტყეზურგის ქედსა და თხიზურგის ქედს შუა (წესი, ლიხეთი).

**ქორეთული** – სახნავი. იგივე ქორეთულა (ლიხეთი, წესი).

**ქორეთულის ღელე** – ღელე. იგივე ქორეთულის წყალი (წესი, ლიხეთი).

**ქორეთულის წყალი//ქორეთულის ღელე** – მდინარე, ლუხუნის მარჯვ. შენაკადი. ერთვის ძრაგულის შესართავიდან ქვემოთ 7–8 კმ–ზე, იწყება ფორიაში. გაედინება ტყეზურგის ქედსა და თხიზურგის ქედს შუა (ლიხეთი, წესი).

**ქორთათა** – სათიბი. იგივე ფორთათა (ველევი).

**ქორიბუდე** – 1. კლდე-ტყე სონკოსოს კალთაზე, ღვიარაღელის მარცხ. მხარეს (ღვიარა); 2. ტყე ჯვარსა და საწკადისოს შუა (ველევი).

**ქორქიტაური** – სახნავი დვლების უბანში (კაჩაეთი).

**ქოსაღვანტი** – სანადირო ადგილი ჭუთხაროზე. რესპ. ჯ. რეხვიაშვლი: "ღვანტი ხეობასავით ჩაღრმავებაა, ქოსა კი – ნაკლებზალახოვანი ადგილია" (ურავი).

**ქოქოსაძეები** _ უბანი შუა ზნაკვაში, უთმელიძეებსა და გოცირიძეებს შუა (ზნაკვა).

**ქოჩლაძეები** – უბანი რიონის მარცხ. მხარეს, ჩონიშურის შესართავთან (მუხლი).

**ქოჩორა ტყე** – ტყე. იგივე ბატონის ტყე (ნიკორწმინდა).

**ქრისტეფორეს ახო** – სახნავი ქვიშნარის გვერდით. ეკუთვნოდა ქრისტეფორე ნასარიძეს (ზემო კრიხი).

**ქრისტეფორეს წყარო** – წყარო ქვედა უბანში (აგარა).

**ქრისტინა ლეჟავას ცაცხვი//ლეჟავების ცაცხვი** – ძველთაძველი ცაცხვი, 400 წლისაა და, წითელ წიგნშია შეტანილი. დგას ლეჟავების ეზოში (წკადისი).

**ქრისტინას ნამოსახლი** – ნასახლარი დიდ(ი)კდის ქვეშ (მოტყიარი).

**ქუთურიახო//ფუთურიახო** – ტყე მიქაძეების უბანში. ქუთურა ქალის სახელია (ველევი).

**ქურდიკაული//ქურთიკაული** – საძოვარი ნაფაცხავასა და ნაკალოვარას შუა (კლდისუბანი).

**ქურდილაური** – სახნავი რამინაშვილების მიკროუბანში (კაჩაეთი).

**ქურთიკაული** – სამოვარი. იგივე ქურდიკაული (კლდისუბანი).

**ქურციკიძეების უბანი** – უბანი ქართველიშვილების უბანსა და კოზერიძეების უბანს შუა (ზემო სხვავა).

**ქურციკიძეების წყალი** – ღელე, გაბუნიის ღელის ერთ–ერთი შენაკადი. მოედინება ზემო სხვავიდან(შუა სხვავა, ზემო სხვავა).

## ღ

**ღადრო** – ბუჩქნარი სამჭიკიასა და ჭალას შორის (ჭელიაღელე).

**ღარა** – სათიბი ბინულის თავზე (მუხლი).

**ღარა//ღარისწყალი** – წყარო ღარისუბანში (ქვედა თლუღი).

**ღარათა** – დაღარული ფერდობი წალეულას ქვემოთ, ღოდიეთის ღელის სათავესთან (შუა კრიხი).

**ღარათა** – სამოვარი კორსანასა და გძელას შუა (ზემო სხვავა).

**ღარასული//ღარასულის წყარო** – წყარო გოქსაძეების უბანში (ველევი).

**ღარასულის წყარო** – წყარო. იგივე ღარასული (ველევი).

**ღარასულისთავი** – სათიბი გოქსაძეების უბანში (ველევი).

**ღართა** – ტყე, სამოვარი ეწრის მთის გაგრძელებაზე, ხონჭიორის გზაზე (ნიკორწმინდა).

**ღართის წყალი** – წყარო, ღელე ღართაში (ნიკორწმინდა).

**ღარისუბანი** – უბანი სოფლის დას. ნაწილში (ქვედა თლუღი).

**ღარისწყალი** – 1. სამოვარი ზურგსუკნის გვერდით (ფუტიეთი); 2. წყარო დოხნაძეებში, ნამეგრელასთან. გადის ხოტევში (კაჩაეთი); 3. წყარო ვერხვნალსა და ყარდოს შუა, ჭიკორეულის მარცხ. შენაკადი. უწინ ღარი ედგა (ზემო

კრიხი); ღარისწყალი ეწოდება წყაროებს აგრეთვე ზემო სხვავაში, შუა სხვავაში, ხოტევში, ქვედა თლუღში, მოტყიარში).

**ღარი(ს)წყალი** – წყარო, პეპელაღელის მარცხ. შენაკადი და მისი ხეობა (ხიმში).

**ღარისწყლები** – სათიბები ღარისწყლის ნაპირებზე. რესპ.: „წყარო ერთია და მას ღარისწყალი ჰქვია. მაგრამ ადგილებს, მიმდებარე სათიბებსა და სახნავებს ერთად ეწოდება ღარისწყლები“ (ხიმში).

**ღარწყალი** _ წყარო. ღორწკოლის იშვიათი ვარიანტი (ჭელიაღელე).

**ღაფიას წყარო** – წყარო ხოტეურის მარჯვ. მხარეს, კაციტაძეების უბანში. ღაფია ქალის სახელია (ხოტევი).

**ღაჯანიძის წყარო** – წყარო. იგივე ხაჯანიის წყარო (ნიკორწმინდა).

**ღების გასასვლელი** – გზა კლდეზე. ლუხუნის ხეობიდან გადადის საკირე ღელეში და ჩადის ზოფხიტოში (ურავი).

**ღელე** – 1. ღელე, გაედინება ლაშხებში (კვირიკეწმინდა); 2. ხევი აგლაძეების უბანში (მუხლი); 3. ღელე სოფლის ცენტრში. მარჯვენა მხრიდან იერთებს ღარისწყალს (მოტყიარი).

**ღელეაკავანა** – წყარო ობოლაძეებში (შუა სხვავა).

**ღელეაღმართი//ღელიაღმართი** – სამოვარი ღელიას გვერდით. შხროსუბანს აკავშირებს გეგეშიძეებთან (ნიკორწმინდა).

**ღელეაღმართის გზა** – საურმე გზა ღელეაღმართში (ნიკორწმინდა).

**ღელეაღმართის სათიბი** – სათიბი ღელეაღმართთან (ნიკორწმინდა).

**ღელეახო//ღელიახო** – ხევი საკირესთან. გადის სხვავაში და უერთდება ჭალას მარცხ. მხრიდან (ფუტიეთი).

**ღელებაკურაძეები//ქვედა ბაკურაძეები** – მიკროუბანი ბაკურაძეებში (ზნაკვა).

**ღელესაყვანისური** – სათიბი ქვამანათასთან, საყვანისურიღელის მარჯვ. მხარეს (წესი).

**ღელეტეხილი** – საკარმიდამოები ვაშლარასა და გუნდაურს შუა (ბოსტანა).

**ღელეტყე** – 1. ტყე ღელესთან (მუხლი); 2. ტყე, სამოვარი მაისაშვილების უბანში, საელიოს მირას (წესი)

**ღელეტყე//ღელის ტყე** – ტყე. იხ. ღელია (ზემო კრიხი).

**ღელეყანა** – 1. მინდორი ბლაშუაწყლის ნაპირას, ზემო სხარტალსა და ჭალას შუა. „ღელე ჩამოდის და ყანებია“ (სხარტალი); 2. სამოვარი ნეფარიძეების გარეუბანში (შუა სხვავა); 3. სახნავი ზედა უბანში, თხმორთასა და ნაგუთნევს შუა (ზემო კრიხი).

**ღელეყანის წყალი//ნასაყდრის წყალი** – წყარო ნაგუთნევში (ზემო კრიხი).

**ღელეჩანგელაური** – სათიბი, ჩანგელაურის ნაწილი (წკადისი).

**ღელია** – 1. მცირე ხევი და სახნავი ზედა უბანსა და ქვედა უბანს შუა. ამ ხევის ნაპირებზეა: ღელეყანა (სახნავი) და ღელეტყე (ტყე). (ზემო კრიხი); 2. სათიბი ბაზრისუბანში (ნიკორწმინდა); 3. სათიბი და ღელე, დათვიბელაურის მარჯვ. შენაკადი (წკადისი); 4. სამოვარი დვლების უბანსა და მხეიძიგორას შუა. ამის თავზეა ფიჭვნარა (ზემო სხვავა). ღელია ეწოდება სახნავ–სამოვრებს, ტყეს, ღელეს, მინდორს აგრევე გორში, შუა კრიხში, ველევში, ბოსტანაში, აგარაში, ჭელიაღელეში და სხვ.

**ღელიაღმართი** – სამოვარი. იგივე ღელეაღმართი (ნიკორწმინდა).

**ღელიახო** – ხევი. იგივე ღელეახო (ფუტიეთი).

**ღელიეთი** – სამოვარი ზედა აგარაში, თლუღის საზღვართან (აგარა).

**ღელის ტყე** – ტყე. იგივე ღელეტყე (ზემო კრიხი).

**ღელისა** – სახნავი ჯვრისუბანსა და კოდიწყალს შუა (ზედა თლუღი).

**ღელისუბანი** – 1. სახნავი შუა კუთხის დას-ით (ზედა თლუღი); 2. სოფლის ზემო ნაწილი ღვიარაღელის ხეობაში (ღვიარა).

**ღელიყანა** – 1. საძოვარი ჭოხუეთის კალთაზე (ფუტიეთი); 2. სახნავი ყიყვის მარჯვ. მხარეს (აბარი).

**ღელტოფი** – ტაფობი სახნავებითა და მინდვრებით სამგლიის უბანში (სადმელი).

**ღენტორის ნაყანვარები** – სათიბი განიგზის გვერდით (ნიკორწმინდა).

**ღვანკები** – საძოვარი ლუხუნის მარცხ. მხარეს, ფაქუშსა და სამარტელა ყანას შუა (ურავი).

**ღვედიეთი//ღოდიეთი** – ფერდობები სათიბ-სახნავებით კრიხულის მარჯვ. ნაპირას, კვარაციხესთან (შუა კრიხი, შუა სხვავა).

**ღვთისმშობელი** – ეკლესია ჭელიშის უდაბნოში (ნიკორწმინდა).

**ღვთიშობელი** – 1. ნაეკლესიარი საყუდელის თავზე (კლდისუბანი); 2. ნაეკლესიარო. იგივე დედაღვთი(ს)შობელი (შუა კრიხი); 3. სალოცავი ჩიხრაძეებში (ბეთლევი).

**ღვთიშობლის ეკლესია** – ნაეკლესიარი საელიოს გორაზე (ახალსოფელი).

**ღვთიშობლის ტყე** – ტყე ღვთიშობელთან (კლდისუბანი).

**ღვიარა** – სოფელი სადმელის თემში (იხ. ნაწილი პირველი).

**ღვიარაღელე** – ღელე. იგივე ღვიარისღელე (ღვიარა, ბოსტანა).

**ღვიარაწყალი** – ღელე. იხ. ღვიარისღელე (ღვიარა, ბოსტანა).

**ღვიარისღელე//ღვიარაღელე** – ღელე, რიონის მარჯვ. შენაკადი ბოსტანაში. ქვემო წელზე პარალელურად ეწოდება ღვიარაწყალიც. მდგენლებია: სალოცავაღელე (მარცხ.) და მახითვალისღელე (მარჯვ.). მოედინება სოფ. ღვიარიდან (ღვიარა, ბოსტანა).

**ღვიარის წმინდა გიორგი//წმინდა გიორგი** – სალოცავი, მცირე ეკლესია ღვიარის სათავისა და ხიდეთურის ხეობის წყალგამყოფზე. მახითვალის ქედზე (ღვიარა).

**ღვინიკაური –** წყარო. იგივე ხვინიკაური (ნიკორწმინდა).

**ღვლერჭი(სა)წყვეტია** – აღმართი საელიოდან ყაფარისაკენ მიმავალ გზაზე. „ხარებს ღვლერჭი უწყდებოდათ“ (შუა სხვავა).

**ღვლერჭიწყვეტია//ლერწყვეტია** – აღმართი სხარტლის საზღვართან, საწალიკის გზაზე. „დიდი აღმართია და ურმის ღვლერჭი წყდებოდა“ (ზედა თლუღი, ველევი).

**ღლიკისა//ღლიკისეები** – ფერდობი ჯანგიძეების ზემოთ, ლაშითავის ღელის ზემო წელის მარცხ. მხარეს. „ღლიკისა ადამიანის სახელი ყოფილა“ (ბოსტანა).

**ღლიკისეები** – ფერდობი. იგივე ღლიკისა (ბოსტანა).

**ღოდიეთი** – სახნავი. იგივე ღვედიეთი (შუა სხვავა, შუა კრიხი).

**ღოდიეთის ღელე** – ღელე ღოდიეთში (შუა კრიხი).

**ღოდიეთის ყანები** – სახნავი ღოდიეთში (შუა კრიხი).

**ღომიაქვეში** – სახნავი ბაციკაძეების უბანში. ღომია მსხლის ჯიშია (კვირიკეწმინდა).

**ღორ(ი)ნაგვი** – სახნავი გობთან (შუა კრიხი).

**ღორბაგა** – ნასახლარი სხვავის საზღვარზე, უსადილოსა და სიბიკარს შუა. გადმოცემით, აქ ღორები ჰყავდათ და მათთვის ბაგა იდგა (ზემო კრიხი).

**ღორბაგისგვერდი** – ტყე ღორბაგასთან (ზემო კრიხი).

**ღორბაგის ყანა** – სახნავი ღორბაგაში (ზემო კრიხი).

**ღორბაგის წყალი** – წყარო ღორბაგასთან (ზემო კრიხი).

**ღორითავა** – ფერდობისთავი ლაკლაკაურის ღელის მარცხ. მხარეს, გუნდაურის თავზე (ბოსტანა).

**ღორღავა** – ტყე მერკვილაძეების უბნის თავზე. ქვა-ღორღიანი ადგილია (წესი).

**ღორღავის წყალი//სიკოს წყარო** – წყარო ღორღავაში (წესი).

**ღორღაული//ღოღოურა//ღოღაურა** – ვენახი, ქვავნარი ფერდობი ვარაზაშვილების უბანში (მუხლი).

**ღორწკოლი//ღორწყოლი** – მდინარე მოხვარეულში, შაორის წყალსაცავის შემოგარენში. ამოდის ღრმულიდან და უერთდება შაორის წყალსაცავს. იშვიათი ვარიანტი: გორწყოლი რესპ.: "ამბობენ რომ ეგ სინამდვილეში ღარწყალია". ღორწკოლი ეწოდება აგრეთვე ტყეს, წყაროს ამ მდინარის ნაპირებზე და შაორის წყალსაცავის შემოგარენში. ეკუთვნის ახლომახლო სოფლებს (ჭელიაღელე, ხოტევი, ქვედა თლუღი, უყეში...).

**ღორწყოლი** – მდინარე. იგივე ღორწკოლი (ჭელიაღელე, ქვედა თლუღი...).

**ღორჯეულა** – სახნავი პარტახის გვერდით (ქვედა თლუღი).

**ღოღაურა** – ვენახი. იგივე ღორღაული (მუხლი).

**ღოღოურა** – ვენახი. იგივე ღორღაული (მუხლი).

**ღოცათი//ღოცაცი** – სახნავი ჭალის მარცხ. მხარეს, საფაფიას ქვემოთ (ზემო სხვავა).

**ღოცაცი** – სახნავი. იგივე ღოცათი (ზემო სხვავა).

**ღრადო** – ფერდობი ჭალის მარჯვ. ნაპირზე. ღრადო, ღრატო იგივე ღრანტეა (ფუტიეთი).

**ღრადოს წყალი** – წყარო ღრადოში (ფუტიეთი).

**ღრადუა** – საძოვარი ნამოვრის გვერდით. „ღრადა არის ოღროჩოღრო ადგილი“ (ხოტევი).

**ღრმაღელე** – ღელე მიქიაურის გვერდით (ფუტიეთი).

**ღრუბელა//ღურბელა** – წყარო-ნაკადული ქევანიშვილების უბანში, ხოტეურის მარცხ. შენაკადი. ინფ.: „ბევრჯერ ვიკითხე, მაგრამ ვერავინ მითხრა, რატომ ეწოდა“ (ხოტევი).

**ღრუბელაური** – საძოვარი კობერიძეებში, დიდველის გვერდით (შუა კრიხი).

**ღრუბელაურის ტყე** – ტყე ღრუბელაურის გვერდით (შუა კრიხი).

**ღრუჭუმო** – 1. მინდორი ველეურის მარცხ. მხარეს, ჩაგნელაურსა და ჩუგუნაურს შუა. „ღრუჭუმი ქვაბივით ჩავარდნილი ადგილია“ (წკადისი); 2. ტყე სხლუანში, ღუდუმიძეების თავზე. „აქ იღებდნენ მიწას და ჩათხრილია“ (კვირიკეწმინდა, შხივანა).

**ღრუჭუმო//ღურჭუმო** _ ტყე-სათიბები ღურღულაში (მოტყიარი).

**ღუდუმიძეების უბანი** – უბანი სოფლის სამხრეთ ნაწილში, ლაშხების თავზე (კვირიკეწმინდა).

**ღურბელა** – წყარო. იგივე ღრუბელა (ხოტევი).

**ღურღულა** – 1. წყარო, სათიბი ჯინჯორის თავზე. რესპ.: „წყალი ამოდის ღურღულით, ხურხულით. ასე ისმის: ხურ, ხურ“ (წესი); 2. ღელე, საძოვარი ცივწყალას ქვემოთ (ზნაკვა).

**ღურღულა წყალი** – ღელე, შაორის შენაკადი (ნიკორწმინდა).

**ღურღულეთი** – წყარო ხოტეურის ნაპირზე, ბურშებთან. აქვე მდებარე საძოვარსაც ასევე ეწოდება. წყარო გაყვანილია ამბროლაურში. უწინ ეკუთვნოდა სოფელ ახალსოფელს. მოტივაციები: „ხოტეურაზე წყალი ტრიალებს ღურღულით“; „წყარო ღურღულით ამოდის“ (ხოტევი, კვირიკეწმინდა, ქვემო კრიხი).

**ღურღულეთის წყარო** – ბასეინი ღურღულეთში (ახალსოფელი).

**ღურღულის წყალი** – ღელე. ჯინჯორის ღელის მარცხ. შენაკადი (წესი).

**ღურჭუმო** – ტყე-სათიბები. იგივე ღრუჭუმო (მოტყიარი).

## ყ

**ყავლაშვილების უბანი** – უბანი ცენტრ. გზაზე, ზედა ხუციშვილებსა და ქვედა ხუციშვილებს შუა (ლიხეთი).

**ყანაჯვარები** – სახნავი მიქიაშვილებში, სამარვანის ღელის მარცხ. მხარეს (მოტყიარი).

**ყანეული** – სახნავი ნეფარიგორის ქვეშ (შუა სხვავა).

**ყარ(ა)მანეული** – მინდორი კდისუბანში, ოთხზიართან (ხიმში).

**ყარამანის ნაყანვარი** – სათიბი ქეთიაშვილებში (ნიკორწმინდა).

**ყარდო** – მთა ჭიკორაულის მარჯვ. მხარეს, ზ. კრიხისა და კვირიკეწმინდის საზღვარზე (ზემო კრიხი).

**ყარდოსძირი** – ტყე ყარდოს ქვემოთ (ზემო კრიხი).

**ყაფარი** – ტყე, სათიბი ქვემო სხვავაში, საკანაფოსა და ველტყევს შუა (შუა სხვავა).

**ყაყუტაური//ყაყუცაური** – სახნავი სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში, ლასიტაღელესა და ჩოტიღელეს შუა (ჭელიაღელე).

**ყაყუცაური** – სახნავი. იგივე ყაყუტაური (ჭელიაღელე).

**ყელისი** – მთა. იგივე ყელიში (აზარი, ლიხეთი).

**ყელიში//ყელისი** – მთა, ალპური საძოვარი რიცეულის სათავესთან (აზარი, ლიხეთი).

**ყენდოეთი//ყენდუეთი** – საძოვარი ხოტეურის მარჯვ. მხარეს, კაციტაძეების თავზე. რესპ.: „სინამდვილეში ყენდურეთა ჰქვია და ქვემო თლუღს ეკუთვნის" (ხოტევი).

**ყენდუეთი** – საძოვარი. იგივე ყენდოეთი (ხოტევი).

**ყენდუეთის სასაფლაო** – სასაფლაო ყენდუეთში (ხოტევი).

**ყერვეთი//ყეროეთი** – ტყე–საძოვრები ხიმში-სხვავის საზღვართან. იყოფა: ვიწრო ყერვეთი, ვარაზაშვილების ყერვეთი (მუხლი).

**ყეროეთი** – ტყე. იგივე ყერვეთი (მუხლი).

**ყვარაბუდე** – ტყე ჭალის მარცხ. მხარეს, ღოცაცის ქვემოთ (ზემო სხვავა).

**ყვაუცა** – მინდორი და წყარო რიცეულის მარჯვ. მხარეს (სადმელი).

**ყვაუცის ღელე** – ღელე, რიცეულის მარჯვ. შენაკადი (კლდისუბანი).

**ყვითელაშვილის სათიბი** – სათიბი შაორის წყალსაცავის შემოგარენში (აგარა).

**ვინჩილაური** – სახნავი ზედა ჭელიძეების უბანში, ნიკორწმინდის საზღვართან (ჭელიაღელე).

**ყვირილა** – სახნავი, სამოვარი და ღელე, რომელიც მოედინება ქეციქეცის მთიდან და უერთდება შაორს (ნიკორწმინდა).

**ყვირილაგვერდი** – სამოვარი ყვირილაში (ნიკორწმინდა).

**ყვირილაური** – ტყე ნეფარიქედზე. „აქ უყვიროდნენ ველტყევში, რომ სახორცე საქონელი ჩამოეყვანათ" (შუა სხვავა).

**ყირყოთა** – რიყე. იგივე ხირხოთა (საკეცია).

**ყიფიანები//ყიფიანების უბანი** – უბანი ლაშეთავის ღელის მარცხ. მხარეს, ჯოხაძეებსა და ჯანგიძეებს შუა (ზოსტანა).

**ყიფიანების წყალი** – წყარო ყიფიანების უბანში (ზოსტანა).

**ყიფშიური** – სამოვარი კვეშლევის მთის ძირას (შხივანა).

**ყიყვა** – მდინარე, ლუხუნის მარჯვ. შენაკადი. რესპ.: „აჩენდა ყიყვს, ანუ ჩიყვს, ე.ი. არა აქვს იოდი. ამიტომაც არ სვამდნენ" (აზარი).

**ყორანა** – 1. ზორცვი მინდაციხის ქედზე. ზედ ყორნები სხდებიან (წესი); 2. გზა. ქ. ამბროლაურიდან გადის დათეშიძეების უბანში. რესპ.: „ღორღიან გზას ჰქვია ყორანა. გლახა სახელია" (გორი).

**ყორანა//ყორანეები** – ფერდობები რიონის მარჯვ. მხარეს, ნამწვანევის ქვემოთ (კვაცხუთი).

**ყორანაპირი** – ტყე, სახნავი არჩვაძეების განაპირას, სატბაურის გვერდით (ფუტიეთი).

**ყორანაშვილები** – მიკროუბანი შხროსუბანში. ყორანაშვილები კობახიძეების სიგელია (ნიკორწმინდა).

**ყორანეები** – ფერდობები. იგივე ყორანა (კვაცხუთი).

**ყორიალები//ყორიანები** – სამოვარი ლუხუნის მარცხ. მხარეს, საფიჩხიის ქედზე. რესპ.: „ყორე არის ერთ ადგილას

დალაგებული და დაყრილი ქვაც და ქვიანი ადგილიც“ (ლიხეთი).

**ყორიანები** – სამოვარი. იგივე ყორიალები (ლიხეთი).

**ყორიანი** – სათიბი საწალიკეში (ზედა თლუღი).

**ყორიანის სათიბი** – სათიბი საწალიკის მთაზე. ქვა–ყორითაა შემოკავებული (ხოტევი).

**ყორნალა –** კლდეები დიდი გლონის აღმ. კალთაზე (კლდისუბანი).

**ყორნალი** – სამოვარი ბეშიძეების უბნის განაპირას (ლიხეთი).

**ყორღანი** – ხე ობოლწვერში. რესპ.: „ობლად დგას. ამიტომ არის ყორღანი“ (აბარი).

**ყრამულეთი** – ვაკე-სახნავი ზემო მაცაბერიძეების თავზე, ნაკალოვარსა და ნაბაკევარას შუა. იშვიათი ვარიანტი: ხრამულეთი (ველევი).

**ყრილოანი** – სახნავი დოხნაძეებში, ფურკალიის თავზე, ხოტევის საზღვართან (კაჩაეთი).

**ყრილოვანი//ყრილუანი** – სახნავი სულიკაშვილების თავზე, კაჩაეთის საზღვართან. ესაზღვრება: ნაქუბარა, ბოსტანა (ხოტევი).

**ყრილუანი** – სახნავი. იგივე ყრილოვანი (ხოტევი).

**ყრუ ხევი** – ხევი. იგივე დათვიბეჩო (ველევი)

**ყრუაშვილები//ყრუაშვილები(ს)უბანი** – უბანი სოფლის ჩრდ. ნაწილში, ხოტეურის მარცხ. მხარეს. აქ ჩამოდის აშხაპირა. ყრუაშვილები პირველი უბანია ამბროლაურიდან მომავალთათვის. რესპ.: „ჩამოსულან ლეჩხუმიდან. ყრუა, ანუ მჟავე ვაშლის ქვეშ უცხოვრიათ. ამიტომ არიან ყრუაშვილები“ (ხოტევი).

**ყრუაშვილების უბანი** – 1. უბანი ქვედა წესში, წესურის მარჯვ. მხარეს (წესი); 2. უბანი. იგივე ყრუაშვილები (ხოტევი).

**ყრუაშვილის ქვაბი** – მინდორი ყრუაშვილებში (ხოტევი).

**ყრუღელე –** ღრმა ხევი სხლების გვერდით (ძირაგეული).

**ყულიყელა** – ტყე. იგივე ბატონიყანა (ზემო კრიხი, შუა სხვავა).

**ყულიყელის ღელე** – ღელე, კრიხულის შენაკადი (ზემო კრიხი).

**ყურაულა** – 1. სათიბი ქედზე (სადმელი); 2. სახნავი ქვემო სხვავაში, კაციტაძეებში (შუა სხვავა).

**ყურყულა** – წყარო ნაციხურსა და ბლუანებს შუა (კვაცხუთი).

**ყურყულა//ცივწყალა** – წყარო შაორის წყალსაცავის შემოგარენში ბოსელაკდესთან (ქვედა თლუღი).

**ყურძენა** – წყარო, სახნავი ბლაშესა და საკიშორეს შუა, სხარტლის საზღვართან (ზედა თლუღი).

## შ

**შავი კდე** – კლდე ხოტეურის მარჯვ. მხარეს. აქვეა თეთრი კდეც (ახალსოფელი).

**შავი ტბა** – ტბა განიგზის განაპირას (ნიკორწმინდა).

**შავი ქვა** – ტყე. იგივე ქვაშავი (ღვიარა).

**შავიკდის წყალი//შავიკდის წყარო** – წყარო შავ კდესთან (ახალსოფელი).

**შავიკდის წყარო** – წყარო. იგივე შავიკდის წყალი (ახალსოფელი).

**შავიტბის ტყე** – ტყე შავი ტბის ნაპირზე (ნიკორწმინდა).

**შავიტბის შურო** – შურო, საძოვარი დიდღელის შუროს თავზე, ჭაროფების გვერდით (ნიკორწმინდა).

**შავკდე** – ტყე, სათიბი ქედიყანასა და ბოძარაღელეს შუა (წესი).

**შავლაძეების კალო** – ნაკალოვარი შავლაძეების უბანში (ნიკორწმინდა).

**შავლაძეების უბანი//შალვაძეების უბანი** – უბანი კანდელაკებსა და გურგენიძეებს შუა (ნიკორწმინდა).

**შავლაძის ტბა//ჭელიაღელის ტბა//საწურბლია** – ტბა შავლაძეების უბანში (ნიკორწმინდა).

**შავლიაქედი** – შემაღლება ჭელიძეების საუბნო გზის დასაწყისში.

**შავღელე** – 1. რიცეულის მარჯვ. შენაკადი ტოლის საჯოგესთან (კლდისუბანი); 2. ღელე, ყვაუცის შენაკადი (სადმელი); 3. ღელე, ზნაკურის მდგენელი. მოედინება ქედისუბნიდან (ზნაკვა).

**შავწყალა** – 1. ნაკადული, აშხაპირის მარცხ. მდგენელი ყრუაშვილების უბანში. "წყალი თეთრია, მაგრამ ქვებზე შავ ლაქებს ტოვებს" (ხოტევი); 2. წყარო საწალიკოს მთის ძირას (სხარტალი); 3. წყარო კიკვაძეებში, ზნაკურის მარჯვ. შენაკადი (ზნაკვა).

**შალვაის ტყე** – ტყე ჯვარულაუბანში (საკეცია).

**შალვაძეების უბანი** – უბანი. იგივე შავლაძეების უბანი (ნიკორწმინდა).

**შალვაძეების წყალი** – წყარო შალვაძეების უბანში (ნიკორწმინდა).

**შალიაური** – სამოვარი ყრუაშვილების უბნის თავზე (წესი).

**შამადავლეს ყანა** – სახნავი საფიჩხიის კალთაზე. გადმოცემით, შამადავლე იყო როსტომ ერისთავის შვილიშვილი (ლიხეთი).

**შამანეული** – სახნავი. იგივე შამანეური (ზემო სხვავა).

**შამანეური//შამანეული** – სახნავი გრიგოლაურსა და ალაგას შუა (ზემო სხვავა).

**შამოკვეთილი** – ტყე საწალიკეში, კახამბლებსა და ტყლაპაწითელას შუა (ზედა თლუღი).

**შამოკრული//შემოკრულა** – სამოვარი ვაკეძეძისის გვერდით (ქვემო კრიხი).

**შაორა** – მდინარე . იგივე შაორი (ნიკორწმინდა).

**შაორები** – ერქვა სათიბს შაორის ქვაბულში, სანამ წყლით დაიფარებოდა (ჭელიაღელე).

**შაორი//შაორა** – მდინარე, სათავეა ჩოლაგა. მოედინება სოფ. თლუღიდან ნიკორწმინდაში, ჩაედინება მღვიმეში და გამოდის ჭელიშის უდაბნოში. იქ ეწოდება

შარაულა//შარეულა. შაორი, როგორც სოფელი, დასახელებულია რუსეთის ელჩების _ ტოლოჩანოვისა და იევლევის მოგზაურობის (1651 წ.) წიგნში. იშვიათი ვარიანტი: შაურა (ნიკორწმინდა, აგარა). შაორი ეწოდება სამოვარსაც შაორის წყალსაცავის ნაპირას (ქვედა თლუღი).

**ჭარელა//ჭერელა** – სახნავი საკიშორის მარჯვ. მხარეს, ჭალასა და ჩხოტელას შუა (ზედა თლუღი, ქვედა თლუღი).

**ჭარი** – სათიბი ჭუხურის წყლის ნაპირზე (მოტყიარი).

**ჭარისუბანი** – უბანი გელოვნიშვილებსა და საგანელიძეებს შუა (კვაცხუთი).

**ჭაროთი//ჭაროფი** – მინდორი მიწორეთაში. ჭარიანი ადგილია (ზემო კრიხი).

**ჭაროფები** – ტყე-ველი საკანაფოსთან, ლეკნარს ქვემოთ. ჭაროფი ჭაობია (ნიკორწმინდა).

**ჭაროფების სათიბები** – სათიბი ჭაროფებში (ნიკორწმინდა).

**ჭაროფი** – 1. სათიბი ველეულის მარცხ. მხარეს. „ჭაროფიანი, ე.ი. ნოტიო, წყალჩამდგარი ადგილია“ (წკადისი); 2. სახნავი ბიბილაშვილებში. რესპ.: "ჭაროფია, სადაც წყალი დგას" (აგარა); 3. ტყე სერზე სერულსა და აბარულას შუა, საფერიცვალო მთის ძირას. ჭაროფი არის ნესტიანი და ჭენჭყიანი ადგილი (ლიხეთი). ჭაროფი ეწოდება აგრეთვე სათიბს, მინდორს, სამოვარს, სახნავს ზემო კრიხში, აბარში, ბეთლევში, გორში, შუა კრიხში და სხვ.

**ჭაროფის წყალი** – წყარო ჭაროფში (ლიხეთი).

**ჭაროფის წყარო** – წყარო ჭაროფში (ფუტიეთი).

**ჭარუკა** – სასაფლაო, ნაეკლესიარი ბაოს გვერდით და სატბაურთან (ფუტიეთი).

**ჭარხალაური** – სათიბი. იგივე ჭარხალეული (ჭელიაღელე).

**ჭარხალეული//ჭარხალაური** – სათიბი კოტორიშვილებში (ჭელიაღელე).

**ჭაჭინეთი** – სახნავი ხოტეურის მარჯვ. მხარეს, გორდეზიანების უბანში (ხოტევი).

**ჭელიანთ ღელე** – ხევი ნიკორწმინდის აღმ. ნაწილში. ჩამოედინება ჭელიაღელეში (ჭელიაღელე).

**ჭელიაღელე** – სოფელი, თემის საკრებულოს ცენტრი (იხ. ნაწილი პირველი).

**ჭელიაღელის მთავარანგელოზი** – ეკლესია ჭელიაღელის ტბასთან. აგებულია XIX ს. დასაწყისში (ჭელიაღელე).

**ჭელიაღელის ტბა** – ტბა. იგივე შავლაძეების ტბა//ჭელიძეების ტბა (ნიკორწმინდა).

**ჭელიაღელის ტბა//შავლაძეების ტბა//საწურბლია** _ ტბა ჭელიაღელისა და ნიკორწმინდის საზღვარზე. სიგრძე 200 მ-მდე, სიგანე 80-120 მ. სიღრმე 10 მ-მდე. საწურბლია ერქვა ქვაბულს, სადაც გუბეებში ე.წ. ცხენის წურბელი ბინადრობდა. XIX ს. დამლევს ამ ქვაბულში წყალმა ამოხეთქა და გაჩნდა ტბა. ჭელიძეები ცხოვრობენ ჭელიაღელეში, ხოლო შავლაძეები – ნიკორწმინდაში (შავლაძეების უბანში), ამიტომაც დაერქვა ჭელიძეების ტბა//შავლაძეების ტბა. ტბაში არის ე.წ. მოცურავე კუნძულები, ბალახეულითა და ბუჩქნარით დაფარული, რომლებიც ნელი სიოს დაქროლვაზეც კი იწყებენ ცურვას (იუზა კობახიძის ჩანაწერებიდან. ინახება თსუ ქართველური ონომასტიკის ს/კ ცენტრში). (ჭელიაღელე).

**ჭელიში//ზერების მონასტერი//უდაბნოს მონასტერი** – მონასტერი ნამანევ-ხონჭიორის საზღვარზე, შარეულის მარჯვ. მხარეს, უდაბნოში. სავარაუდოა: ჭელიძისი > ჭელისი > ჭელიში (ნიკორწმინდა). ქსე–ში (11. თ. ზერაძის სტატია) აღნიშნულია: „ჭელიში – შუა საუკუნეების მონასტერი, კულტურულ–საგანმანათლებლო კერა დას. საქართველოში, რაჭაში (ახლანდელი ამბრილაურის რ–ნის სოფ. ნიკორწმინდის დას–ით 4–5 კმ–ზე). შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები და ორსართულიანი სამრეკლო. ჭელიში წყაროებში პირველად XI ს–ში იხსენიება. მომდევნო ხანაში აქ სამონასტრო ცხოვრება მოიშალა. XYI ს. 60–იან წლებში ჭელიშის ეკლესია განაახლა ეპისკოპოსმა მელქისედეკმა

(საყვარელიძემ) იმერეთის მეფის გიორგი II–ის შემწეობით. 1591 წლიდან ჭელიში ნიკორწმინდის ეპარქიაში შედიოდა, ხოლო 1637 წლიდან – გელათის ეპარქიაში. XYIII ს. მეორე ნახევრიდან აქ სამონასტრო ცხოვრება მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა და XX ს. 20–იან წლებამდე გრძელდებოდა. ჭელიშში ინახებოდა მრავალი ქართული ხელნაწერი. მათ შორის მიკვლეულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ"– ს ჭელიშური ვარიანტი.

**ჭელიშიგვერდი** – სათიბი ზეჭელიშში, ქვაყუნტიასთან (ზნაკვა).

**ჭელიშიგვერდის გზა** – გზა. მიემართება ხონჭიორისაკენ. გადადის ჭელიშის თავზე (ნიკორწმინდა).

**ჭელიშისგვერდი** – საძოვარი ნიკორწმინდა-ხონჭიორის გზაზე (კაჩაეთი).

**ჭელიშის უდაბნო** – ცივწყალას ხეობა სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში (ნიკორწმინდა).

**ჭელიშის წყალი** – წყარო ჭელიშში (ნიკორწმინდა).

**ჭელიძეები** _ უბანი ზნაკურასა და დიდღელეს შუა, ტურძელაძეების გვერდით (ზნაკვა).

**ჭელიძეები//ჭელიძეების უბანი** – 1. უბანი რიცეულის მარცხ. ნაპირზე (კლდისუბანი). 2. უბანი ქემოკლიძეების უბნის ჩრდ.-დას-ით (ახალსოფელი).

**ჭელიძეების გზა** – გზა, რომელიც გამოღმა უბნიდან გადის გაღმა უბანში (ჭელიაღელე).

**ჭელიძეების მთა** – მთა. იგივე წმინდა გიორგის მთა (კლდისუბანი).

**ჭელიძეების უბანი** – 1. უბანი სოფლის ცენტრში (სადმელი); 2. ნასახლარები კვაცხუთის საზღვართან. უწინ ჭელიძეები ესახლნენ (ძირაგეული); 3. უბანი. იგივე ჭელიძეები (კლდისუბანი); 4. უბანი. იგივე ჭელიძეები (ახალსოფელი); 5. უბან სოფლის აღმ. ნაწილში, ლასიტაღელის ნაპირებზე (ჭელიაღელე).

**ჭელიძეების შურო** – ტყე. იგივე ჭელიძიშურო (ნიკორწმინდა).

**ჭელიძეების წყალი** – წყარო ჭელიძეების უბანში (ძირაგეული).

**ჭელიძის ტყე** – ტყე ჭელიშში (ნიკორწმინდა).

**ჭელიძიყანისთავი** – საძოვარი ზეჭელიშში, სხალანის თავზე (მოტყიარი).

**ჭელიძიშურო//ჭელიძეების შურო** – ტყე გუბისწყლის თავზე, ბურუშილი(ს)წყაროსთან (ნიკორწმინდა).

**ჭერელა** – სახნავი. იგივე ჭარელა (ზედა თლუღი).

**ჭერულა** – 1. სათიბი ლემანეურის გვერდით (კაჩაეთი); 2. საძოვარი ნეფარიძეებსა და ქვათაძეებს შუა (შუა სხვავა); 3. ტყე, წყარო აშხაპირის მარჯვ. მხარეს, ღურღულეთის გვერდით, ახალსოფლის საზღვარზე (ხოტევი, ახალსოფელი).

**ჭეშურა** – ტყე ხეორის მარჯვ. მხარეს, თეთრმეწყრის გვერდით (ლიხეთი).

**ჭეჭუბანი** – სათიბები ძრაგულის მარჯვ. მხარეს. აქედან გაედინება ჭეჭუბნის წყალი. ინფ.: „ჭეჭოფი არის მჭიდრო და ხშირი“ (ლიხეთი).

**ჭეჭუბნის წყალი** – მდინარკ, ძრაგულის მარჯვ. შენაკადი (ლიხეთი).

**ჭვარები** – მთა ტყე-საძოვრებით რიცეულისა და ლუხუნის წყალგამყოფზე, საყვავიღელისა და რუისას სათევეებთან. რუსულენოვან კარტოგრაფიულ რუკაზე აღნიშნულია როგორც Чжвареби (სადმელი).

**ჭიამყრალა** – გოგირდოვანი წყალი ქვეშვაკეში. იხ. აბანო (ხიმში).

**ჭიამყრალა** – გოგირდოვანი წყლები რიონის მარჯვ. მხარეს, კვაცხუთის საზღვარზე (წესი).

**ჭიაურა** – ტყე. ჭიაუტას იშვიათი ვარიანტი (ურავი).

**ჭიაური** – სახნავი მაჭავარიანებში (ჭელიაღელე).

**ჭიაუტა** – ტყე, საძოვრები უხტუნელს ქვემოთ, ლუხუნის ნაპირას. იშვიათი ვარიანტი: ჭიაურა (ურავი).

**ჭიაუტის წყალი** – წყარო ჭიაუტაში (ურავი).

**ჭიების სათიბი** – სათიბი ვაკენაძვნარში. ჭია არის კობახიძეების ერთ-ერთი სიგელი, ანუ შტოგვარი (ნიკორწმინდა).

**ჭიკეულა** – გორა. იგივე ჭიქეულა (ქვედა თლუღი).

**ჭიკეულა//ჭიქეულა** – სახნავი ჩხანკალაშვილების უბანსა და ქვ. თლუღს შუა (ზედა თლუღი).

**ჭიკიაახო** – ახო საფაფიაში (ქვედა თლუღი).

**ჭიკორაული** – წყარო წესურის ნაპირზე, ჭიკორაულის უბანში (წესი).

**ჭიკორაული//ჭიკორეულა//ჭიკოროულა** – მდინარე, კრიხულის მარცხ. შენაკადი და მისი ხეობა (ზემო კრიხი, ქვემო კრიხი).

**ჭიკორაულის გამოქვაბული** – გამოქვაბული კუბლაშვილებში (ქვემო კრიხი).

**ჭიკორაულის უბანი** – უბანი წესურის ნაპირზე (წესი).

**ჭიკორაულის ღელე** – წესურის ქვემო წელი (წესი).

**ჭიკორაულის ხიდი** – ხიდი ჭიკორაულის ღელეზე (წესი).

**ჭიკორეულა** – მდინარე. იგივე ჭიკორაული (ზემო კრიხი).

**ჭიკოროულა** – მდინარე. იგივე ჭიკორაული (ზემო კრიხი).

**ჭიმაჭაური** – სახნავი. იგივე ჭიმჭიმაური (ღვიარა).

**ჭიმაჭაურის წყალი** – ღელე, ღვიარაღელის მარცხ. შენაკადი (ღვიარა).

**ჭიმჭიმაური//ჭიმაჭაური** – სახნავი, წყარო ღვიარაღელის მარცხ. მხარეს (ღვიარა).

**ჭინჭარისღელე** – ღელე, წესურის შენაკადი კაისასთან (წესი).

**ჭინჭაური** – ვაკე–სახნავები რიონის მარცხ. მხარეს, ამბროლაურის საზღვარზე (ხიმში).

**ჭინჭაურის ჭალა** – ჭალა რიონის მარცხ. ნაპირზე, ჭინჭაურთან (ხიმში).

**ჭისწყარო** – წყარო ჭისუბანში (ნიკორწმინდა).

**ჭისუბანი//ჯმუხაძეები//ჯმუხაძეების უბანი** – მიკროუბანი კობახიძეებში, კაჩაეთის საზღვართან (ნიკორწმინდა).

**ჭისუბნის გზა** – გზა ჭისუბანში (ნიკორწმინდა).

**ჭიტაური//წიტაური** – სახნავი ცხრათავაღელის მარცხ. მხარეს (შუა კრიხი).

**ჭიქეულა** – სახნავი. იგივე ჭიკეულა (ზედა თლუღი)

**ჭიქეულა//ჭიკეულა** – გორა, ტყე გურაბანიძეებსა და საელიოგორას შუა (ქვედა თლუღი).

**ჭიშკარა** – გზის მინაკვეთი. იგივე ქათმიხლეწია (ფუტიეთი).

**ჭიჭ(ი)ნაურა** – ვენახი ახალ კობახიძეებსა და ფანჯიკიძეებს შუა. გადმოცემით, ჭიჭინაძის ნაქონი ადგილია. მაშასადამე: ჭიჭინაძე > ჭიჭინა-ურ-ი > ჭიჭ(ი)ნაურა (ახალსოფელი).

**ჭიჭინაძეები** – უბანი. იგივე ჭიჭინაძეების უბანი (ხიმში).

**ჭიჭინაძეების ეკლესია** – ნაეკლესიარი. იგივე მაცხოვრის ეკლესია (ხოტევი).

**ჭიჭინაძეების უბანი** – უბანი. იგივე სალხინო (ქვედა თლუღი).

**ჭიჭინაძეების უბანი//ჭიჭინაძეები** – უბანი კდისუბანში (ხიმში).

**ჭიჭინაძის ვენახი** – ვენახი მერკვილაძეების უბანში (წესი).

**ჭიჭინაძისეული** – მინდვრები გოცირიძეებში, ახალსოფლის საზღვართან (იწა).

**ჭობიშო** – საძოვარი ბარულის მარცხ. მხარეს. ჩავარდნილი ადგილია. არ იციან, თუ რატომ დაერქვა ეს სახელი (მუხლი).

**ჭონჭილაური** – ნავენახარი ფარადიგვერდის სიახლოვეს (ხიმში).

**ჭორგანეული//ჭორგანეულის ყანები** – სახნავი ზურგანას გვერდით, ოთარიშვილების უბანში (ნიკორწმინდა).

**ჭორგანეულის ყანები** – სახნავი. იგივე ჭორგანეული (ნიკორწმინდა).

**ჭოშიანი** – წყარო კვიტაშვილების უბანში. „კარგი სასმელი წყალია, უხვია და მთელი უბანი სარგებლობს“ (ველევი).

**ჭოჭონაური** – სათიბი მაჩაიძეებსა და კვირიკაშვილებს შუა (ზემო სხვავა).

**ჭოხოვეთი** – მთა. იგივე ჭოხუეთი (ფუტიეთი).

**ჭოხონელიძეები//ჭოხონელიძეების უბანი** – უბანი რიონის მარცხ. მხარეს, ქვაბთკარ-ამბროლაურის გზაზე (საკეცია).

**ჭოხონელიძეების უბანი** – უბანი. იგივე ჭოხონელიძეები (საკეცია).

**ჭოხუეთი//ჭოხოვეთი** – მთა ტყე-სახნავებით სოფლის ჩრდ. ნაწილში (ფუტიეთი).

**ჭრელაგვერდი** – საძოვარი ბლაშიგვერდის თავზე, ზ. თლუღის საზღვართან. "თოვლი ადრე დნება და ფერდობი ჭრელდება" (ქვედა თლუღი).

**ჭრეპულეების უბანი** _ მიკროუბანი მურუსიძეებში. რესპ.: "მურუსიძეებს ყველას ერთად, ჭრეპულეებს უწოდებენ" (ზნაკვა).

**ჭუდხარო** – ჭუთხაროს იშვიათი ვარიანტი (ლიხეთი, ურავი).

**ჭუთხარო** – მთა ლეჩხუმის ქედზე, ლათაშურისწყლისა (ლუხუნის მარჯვ. შენაკადი ონის რ–ნში) და ღობიშურის (ცხენისწყლის მარცხ. შენაკადი ლენტეხის რ–ნში) სათავეებს შორის. სიმაღლე – 3562 მ. (ქსე, XI). რესპ.: „ჭუთხაროს ლუხუნის ხეობის მცხოვრებნი უწოდებენ, თუმცა კი სამერცხლე ჰქვია. მაგრამ ზოგნი სამერცხლეში მხოლოდ ჭუთხაროს მწვერვალს გულისხმობენ“; „ჭუთხარო მთაა, სამერცხლე კი მისი მწვერვალია“. რუსულენოვან კარტოგრაფიულ რუკაზე აღნიშნულია როგორც Чуткара. იშვიათი ვარიანტი: ჭუდხარო (ლიხეთი, ურავი).

**ჭუთხაროს გადასავალი** – ასე უწოდებენ ლუხუნის ხეობის მცხოვრებნი ჭუთხაროს უღელტეხილს (ლიხეთი).

**ჭუთხაროს უღელტეხილი** – უღელტეხილი ლეჩხუმის ქედზე, ლათაშურისწყლისა და ღობიშურის სათავე–ხეობებს შორის (ლიხეთი).

**ჭუკიაგუბი** – გუბე საჩიტიასა და ნასაჯვარევს შუა. ჭუკიები გვარად ჭიჭინაძეები არიან (ქვედა თლუღი).

**ჭუმპაურები** – მინდორი ჭალაში, ქვემო იწაში. ეკუთვნოდა იმერელ ჭუმპაძეს xix ს–ში (ამბროლაური).

**ჭურათა** – სათიბი ობოლაძეების უბანში (შუა სხვავა).

**ჭურისთაული** – სათიბი საჯინჭრიაში, შაორის წყალსაცავის შემოგარენში (უყეში).

**ჭურიფსკერა** – სახნავი ზნაკვის საზღვარზე. რესპ.: "ჩავარდნილი ადგილია და ჭურის ფსკერს ჰგავს" (მოტყიარი).

**ჭუხელაური** – სამოვარი. იგივე წუხალაური (ხოტევი).

**ჭუხური** – წყარო შარაბიძეების შემოგარენში, ვაკეტყესა და სპონტიკის წყალს შუა (მოტყიარი).

**ჭუხურის წყალი** – ღელე, ზნაკურის შენაკადი. მოედინება მოტყიარიდან (ზნაკვა).

## ხ

**ხა(ვ)სნარა//ხასნარა** – წყარო შხივანის საზღვართან (ბეთლევი).

**ხაინდრავასკარი** – ბუჩქნარი ჭელიძეებში. გადმოცემით აქ გვარად ხაინდრავები ცხოვრობდნენ (კლდისუბანი).

**ხაპინაურის ღელე** – ღელე მაჭავარიანებისა და გურგენიძეების უბნებს შორის (ჭელიაღელე).

**ხარაზიტყე** – ტყე. იგივე ხარამიტყე (კვაცხუთი).

**ხარატები** – სახნავი ისაკაძეების უბანში (მუხლი).

**ხარამიტყე//ხარაზიტყე** – ტყე ბურჯანეულის ღელის მარჯვ. მხარეს (კვაცხუთი).

**ხარეულა** – სამოვარ ობნელის თავზე. „ხარების სამოვარი ყოფილა“ (ველევი).

**ხარეული//ნიმგაური** – სამოვარი ლასიტაღელის ნაპირას, დვლებისუბნის (სოფ. კაჩაეთი) საზღვართან (ჭელიაღელე).

**ხარი(ს)თვალის ზურგი** – მთა შაორის წყალსაცავის ნაპირზე (ნიკორწმინდა).

**ხარითვალა** – ტბა, სამოვარი აზარულის მარჯვ. მხარეს, სოფლის თავზე. რესპ.: „ხარის თვალივითაა ჩამდგარი ტბა" (აზარი).

**ხარიკალია** – ტყე, მინდორი წკადისის საზღვარზე (ხოტევი).

**ხარისაგორავები** – ნაგზაური, ტყე-ფერდობი ჯიხურის კალთაზე (ღვიარა).

**ხარისაკლავა** – სასაფლაო ველევის საზღვართან (ზეთლევი).

**ხარისთვალა** – ერქვა მუშათა დასახლებას შაორის წყალსაცავის ნაპირზე, ტყიბულ-ამბროლაურის საავტ. გზაზე. ზ. დ. 1136 მ. შედიოდა ნიკორწმინდის სას. საბჭოში როგორც დაბა. იშვიათი ვარიანტი: ხარისთვალის დასახლება (ნიკორწმინდა).

**ხარისთვალას დასახლება** _ დაბა. იგივე ხარისთვალა (ნიკორწმინდა).

**ხარისთვალის ტყე** – ტყე ხარისთვალასთან (ნიკორწმინდა).

**ხარიტყავა** – სახნავი მაისაშვილების უბნის განაპირას. რესპ.: „ფერდობია გაჭიმული, ხარის ტყავს ჰგავს, ფეხებიც აქვს" (წესი).

**ხარკალია** – 1. ტყე კდისუბანში, ბენდიანიშვილებში (ხიმში); 2. ტყე ხოტევის საზღვართან (ველევი); 3. ტყე, სათიბი (უყეში); 4. წყარო მახარობელაწყაროს გვერდით (კვაცხუთი).

**ხარკალია//ხარკალიები** – მინდორი, ბუჩქნარი ხოტევის საზღვარზე (კვირიკეწმინდა).

**ხარკალიები** – მინდორი. იგივე ხარკალია (კვირიკეწმინდა).

**ხასნარა** – წყარო. იგივე ხა(ვ)სნარა (ბეთლევი).

**ხატიმი(ნ)დორა** – საძოვარი აგარის საზღვარზე (უყეში, ქვედა თლუღი, აგარა).

**ხატი(ს)ალაგი//ხატის გადმოსასვენებელი** – მინდორი სონკოსოს ქედზე. „ღვიარის წმინდა გიორგის სალოცავიდან წამოსვენებულ ხატს აქ ქვაზე დაასვენებდნენ და ასრულებდნენ წვიმის მოყვანის რიტუალს“ (ღვიარა).

**ხატის გადმოსასვენებელი** – მინდორი. იგივე ხატი(ს)ალაგი (ღვიარა).

**ხაჭოსუბანი//ცაგურიშვილების უბანი** – უბანი სოფლის სამხრ. ნაწილში, ჯვარისუბანსა და ჯირკვისუბანს შუა (ქვედა თლუღი).

**ხაჯანიის წყარო//ღაჯანიძის წყარო** – წყარო ბასილაძეების უბანში. ღაჯანიძეები გვარად ჯმუხაძეები არიან (ნიკორწმინდა).

**ხბობადია** – საძოვარი საწალიკეში (ქვედა თლუღი)

**ხედა//ხიდა** – სახნავი ქვემო სხვავაში, ბაქრაძეების უბანში, მდ. ჭალის ხიდთან (შუა სხვავა).

**ხე(ე)ბიგადასაყარი** – ტყე მაისურაძეებში, საფუზურს ქვემოთ (ზნაკვა).

**ხევხმელი//ხერხმელი** – ხეობა ჩრდილითავისა და საყინულეს გვერდით, დიდღელის თავზე. ხევხმელი, როგორც პატარა სოფელი, დასახელებულია XI ს. მეორე ნახევარში შედგენილ "ნიკორწმინდის დაწერილში" ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორიაში აღნიშნავს, რომ ნიკორწმიდის იადგარში დასახელებული სოფლებიდან სადღეისოდ არაა ცნობილი, სად მდებარეობდა შომიეთი, შხრო, ჴევჴმელი და სხვ. (ნიკორწმინდა).

**ხეიძი(ს)გორა** – სახნავი დვლებსა და გონაძეებს შუა (ზემო სხვავა).

**ხეიძის ნამოსახლი** _ სახნავი პეტრიაშვილების უბანში, ბლაშიღელის მარჯვ. მხარეს (კაჩაეთი).

**ხელაური(ს)წყალი** – წყარო ქედზე (სადმელი).

**ხეორი** – მდინარე, ლუხუნის მარჯვ. შენაკადი. გამოედინება ჭუთხაროს ძირიდან, გაივლის სოფლის ცენტრს. რესპ.: „სათავეში ორი უსახელო ხევი ერთდება. ამიტომაა ხეორი“. ქსე–ში (ტ.11) აღნიშნულია: „ხეორის წყალი – მდინარე ამბრ. რ–ნში, ლუხუნის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ლეჩხუმის ქედის სამხრ. კალთაზე, 2765 მ. სიმაღლეზე. სიგრძე 13,5 კმ.“ (ლიხეთი).

**ხეორისთავი** – სათიბი ხეორის სათავესთან (ლიხეთი).

**ხერგა** – სათიბი. იგივე სათვალეები (ნიკორწმინდა).

**ხერგიანი** – ტყე ჭალურში (ნიკორწმინდა).

**ხერხმელი** – ხეობა. იგივე ხევხმელი (ნიკორწმინდა).

**ხერხმელის ტყე** – ტყე ხერხმელში (ნიკორწმინდა).

**ხერხმელის წყალი** – წყარო ხერხმელში (ნიკორწმინდა).

**ხეჭეჭ(ი)ნარი** – სათიბი ძველი კობახიძეების უბანში, ქეცქეცსა და ხოტეურას შუა (ახალსოფელი).

**ხეჭეჭკნარა** – ვენახი გაღმა მიქიაშვილებში (საკეცია).

**ხეჭეჭნარი** – ვენახი ქედიყანასა და მეწყრისუბანს შუა, საავტ. გზის ჩრდ-ით (კვაცხუთი).

**ხეჭეჭური** – ტყე, საძოვარი ღურღულაში (მოტყიარი).

**ხეჭეჭურიყანა** – სახნავი აზარულის მარცხ. მხარეს, წითელ გორუკაზე (აზარი).

**ხეხელიკისეული** – საძოვარი დათვისაწუმპელასა და ხოტევი-ვაკეს შუა (ზნაკვა).

**ხვარამი** – კლდე ქვეშვაკესა და საფურეკლდეს შუა, რიონის მარცხ. მხარეს (ხიმში).

**ხვარიკაული** – სახნავი მემანიშვილებში (გორი).

**ხვარიკაულის წყალი** – წყარო. იგივე სათავიწყალი (გორი).

**ხვასტაგეულა** – საძოვარი. იგივე ხვასტაკეულა (ველევი).

**ხვასტაკეულა** – საძოვარი გორისტევის კალთაზე, ყრამულეთის გვერდით. იშვიათი ვარ.: ხვასტაგეულა (ველევი).

**ხვერ(იკ)ები** – სახნავი მემანიშვილებში (გორი).

**ხვერ(იკ)ების წყალი** – წყარო ხვერიკებში (გორი).

**ხვთიშობელი** – ნაეკლესიარი სოფლის ცენტრში, არჩვაძეებსა და გიორგობიანებს შუა (ფუტიეთი).

**ხვინარეული** – წყარო. იხ. ხვინიკაური (ნიკორწმინდა).

**ხვინიკაური//ხვინიკას წყალი//ღვინიკაური** – წყარო გურგენიძეების უბანში, გზისპირას. ხვინიკა გურგენიძე აქაურ გურგენიძეთა წინაპარი ყოფილა, რომელიღაც სხვა სოფლიდან ჩამოსახლებული. იშვიათი ვარიანტი: ხვინარეული. რესპ.: „წყალი რომ ამოდიოდა, ხვინჭკი ამოჰქონდა. ამიტომ ერქვა ხვინჭკარეული, რაც მერე იქცა ხვინარეულად“ (ნიკორწმინდა).

**ხვინიკაურისკარი** – სანახშო გურგენიძეების უბანში (ნიკორწმინდა).

**ხვინჭკნარა** – ფერდობი ჯავისასა და კიბულას შუა (წესი).

**ხვირ(ი)თა** – სათიბი სამგლიის გვერდით, პეპელაღელის ზემოთში. "ხვირთაში წნელი იჭრებოდა და მისგან იწვნებოდა ჩელტი, გოდორი" (ხიმში).

**ხვირიში** – სახნავი ჯიხურსა და სოფელს შუა. „ხვირიში, საერთოდ, ცუდმოსავლიანი ადგილია" (ღვიარა).

**ხვრელიეთი** – ბუნებრივი გვირაბი შაორის დას–ით. რესპ.: „შაორის წყალი აქ ჩადის ხვრელში, გამოდის ტყიბულის მხარეს და ამუშავებს ტყიბულის ელსადგურს“ (ნიკორწმინდა).

**ხვრელიეთის ტყე** – ტყე ხვრელიეთთან (ნიკორწმინდა).

**ხვრელიეთის წყალი** – წყარო ხვრელიეთთან (ნიკორწმინდა).

**ხიდა** – 1. სახნავი. იგივე ხედა (შუა სხვავა); 2. ხევი სოფელსა და კოჟებს შია (შხივანა).

**ხიდებშუა** – მინდორი ნაქერალასა და ხარისთვალას შუა, სადაც პერევისა და ხვრელიეთი ერთდებოდა (ნიკორწმინდა).

**ხიდეთური** – ღელე, რიცეულის მარჯვ. შენაკადი. ერთვის რიცჰესის ქვემოთ. მოედინება სოკონოფოდან (კლდისუბანი).

**ხიდიკარი** – რიონის ვიწრობი წესსა და ხიმში–კვაცხუთს შუა. ჩაკეტილი იყო და იცავდა ერისთავის რეზიდენციას ბარაკონში. აქვე იყო საბაჟოც. აქვეა ხიდი, რომელიც კვაცხუთიდან გადადის ხიმშში. ძნელი გასასვლელი იყო. ამიტომ წარმოიშვა ასეთი წყევლა: „შენც გადაგივლია ხიდიკარი". ა. გეწაძე თვლის, რომ XI ს. სიგელში დასახელებული სახიდი, სახადარი იგივე ხიდიკარია (გეწაძე, 2002). (ხიმში, კვაცხუთი, წესი).

**ხიდიკრის ბიჭაშვილები** – უბანი. იხ. ბიჭაშვილები (კვაცხუთი).

**ხიდიკრის გოგირდოვანი აბანო** – სააბაზანოები. იგივე აბანო (ხიმში).

**ხიდიკრის კდეები** – კლდეები რიონის ორსავე ნაპირზე, ხიდიკრის ვიწრობში (ხიმში).

**ხიდიკრის საჯოგე –** ალპ. საძოვარი. იხ. საჯოგე.

**ხიდისთავი** – სახნავი გოგრიჭიანების უბანში, ლუხუნის ნაპირზე. "ხიდს არც მოვსწრებივარ. სახელი კი შემორჩა" (ურავი).

**ხიდურლები//ხიდურლების უბანი** – უბანი ქ. ამბროლაურის საზღვართან (გორი).

**ხიდურლების ახო** – მინდორი საზნაკვოსთან (იწა).

**ხიდურლების უბანი** – უბანი. იგივე ხიდურლები (გორი).

**ხიდურლების წყარო** – წყარო ხიდურლებში (გორი).

**ხილ(ებ)იანი** – საძოვარი სერულის მარჯვ. მხარეს, სადაც უწინ ტყის ხილი მრავლად ყოფილა (ლიხეთი).

**ხილუ(ვ)ანი** – ხეხილნარი საბედიკაღელის სათავესთან (შუა კრიხი).

**ხიმში** – სოფელი ხიდიკრის თემში (იხ. ნაწილი პირველი)

**ხიმშის ეკლესია//წმინდა გიორგი** – ეკლესია სირაძეების უბანში. "უძველესი ეკლესიაა, მაგრამ მიწისძვრისაგან დანგრეული" (ხიმში).

**ხიმშისთავი//ხიმშის მთა** – მთა ქვემო კრიხის საზღვარზე (ხიმში).

**ხინარი** – მინდორი კდისუბანში (ხიმში).

**ხირხოთა//ყირყოთა** – რიყე კევლიშვილების უბნის განაპირას (საკეცია).

**ხიხვები//ხიხვის წვერი** – შიშველი მთა, სანადირო, რიონისა და ლუხუნის ხეობების გამყოფი (ურავი).

**ხიხვის წვერი** – მთა. იგივე ხიხვები (ურავი).

**ხიხვნარი** – სახნავი ღელისუბანში, ღვიარაღელის მარცხ. მხარეს.

**ხმელიჭერულა** – საძოვარი ლემანეურის გვერდით, ჭერულასთან (კაჩაეთი).

**ხოვეთი** – საკარმიდამოები ლუხუნის მარჯვ. მხარეს. უწინ უბანი ყოფილა. რესპ.: „გახრუკული ადგილია, ხვლიკების საცოციალო. ამიტომ თუ ჰქვია“ (წესი).

**ხოლევი** – სახნავი შუა არჩვაძეების განაპირას (ფუტიეთი).

**ხოლევის წყალი** – ღელე, რუს შენაკადი (ფუტიეთი).

**ხოლო(ვ)ეთი** – ბორცვი ქედის სამხრეთ კალთაზე (სადმელი).

**ხოლო(ვ)ეთის ტყე** – ტყე ხოლოვეთში (სადმელი).

**ხორებივაკე** – საძოვარი ლუხუნის ხეობაში. აქ შეშას ამზადებდნენ და ხორებად აწყობდნენ (ურავი).

**ხორეულა//ხოროულა** – წყარო სოფლის ჩრდ. განაპირას (ზედა თლუღი).

**ხოროულა** – წყარო. იგივე ხორეულა (ზედა თლუღი)

**ხორხები** – კლდე ნაციხურის კალთაზე (სადმელი).

**ხორხითავი** – ფერდობები ფაქუჩიგორის კალთაზე, ლაშითავი ღელის მარჯვ. მხარეს (ბოსტანა).

**ხოსინაახო** – სახნავი შომისწვერზე (ქვედა თლუღი).

**ხოტევი** – სოფელი ხოტევის თემის ცენტრი (იხ. ნაწილი პირველი).

**ხოტევის ციხე** – ციხესიმაგრე. იგივე ციხე (ხოტევი).

**ხოტევის წმინდა გიორგი** – ეკლესია ხოტევის ცენტრში (ხოტევი).

**ხოტევრების ახო** _ მინდორი ნაეკლესიევში (ზნაკვა).

**ხოტევურა** – მდინარე. იხ. ხოტეურა (ხოტევი)

**ხოტეურა** – მდინარე, კრიხულის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს საწალიკის კალთებიდან. იერთებს სამღულეთის წყალს, ველეულას... იშვიათი ვარიანტი: ხოტევურა (ხოტევი, ახალსოფელი).

**ხოშური** – ტყე, ხევი, ვიწრობი ღვიარაღელის შუა წელზე (ბოსტანა, ღვიარა).

**ხოშური(ს)თავი** _ ტყე-სახნავები ღვიარაღელის მარცხ. ნაპირზე. ხოშურის თავზე (ღვიარა).

**ხოხოილა** – სათიბი შაორის წყალსაცავსა და მოხვარეულს შუა (უყეში).

**ხრამი** – გზა ველეულის მარჯვ. მხარეს (ველევი).

**ხრამულეთი** – ვაკე–სახნავი. იგივე ყრამულეთი (ველევი).

**ხრახი** – ხრამი გურაბანიძეებსა და კაციტაძეებს შორის (ქვედა თლუღი, ზედა თლუღი).

**ხრახინა** – სახნავი ტირიფების ღელის მარცხ. მხარეს, კობერიძეების უბანში (ზემო სხვავა).

**ხრესილა** – საძოვარი, ფერდობი ქვაბილაურის თავზე, ყრილუანის ქვეშ (ხოტევი).

**ხრესილას წყალი** – წყარო ხრესილაში. ჩამოყვანილი იყო კობახიძეებში, მაგრამ მოიშალა (ხოტევი).

**ხრიკაშვილების სათიბი** – სათიბი. ხრიკაშვილი კობერიძეების შტოა (ნიკორწმინდა).

**ხრიკები** – უბანი. ხრიკა//ხრიკები ჯოხაძეების სიგელია (ნიკორწმინდა).

**ხულიყანა** – მინდორი ყიყვის მარჯვ. მხარეს, ბლაშეებსა და მეჭურეთს შუა (აბარი).

**ხულმისწყალი//ხურმისწყალი** – წყარო (კლდისუბანი).

**ხურმისწყალი** – წყარო. იგივე ხულმისწყალი (კლდისუბანი).

**ხურხალაქვეშ(ეთ)ი** – სახნავი სოფლიდან შაორის ტბისაკენ მიმავალ გზაზე, სეფეველების გვერდით (ჭელიაღელე).

**ხურხალაწყალი** – წყარო ხურხალაქვეშეთთან (ჭელიაღელე).

**ხურჯინუკე(ე)ბი** – ორი გორა საფაფიის მთაზე, ხურჯინივით ერთმანეთს გადაბმული (ფუტიეთი).

**ხუტას სახლი** – სახლი საწალიკეში (ზედა თლუღი).

**ხუტუას ნადიკვარი** – სამოვარი წვერსუკნის გვერდით (ფუტიეთი).

**ხუტუების ყანა** – სამოვარი. იგივე დიდყანა (ფუტიეთი).

**ხუფანეული** – სამოვარი ნეფარიძეების შემოგარენსა და ქვათაძეებს შუა (შუა სხვავა).

**ხუშაური** – სათიბი გიორგობიანების დას. ნაწილში, აზნეკილას თავზე (ფუტიეთი).

**ხუჩუტაურა** – იხ. ხუჭუტაური. (ქვემო კრიხი)

**ხუციური** – ტყე ქვემო სხვავაში, თიკანას გვერდით, საგანელიძეების უბანში. ხუციძის ნაქონია (შუა სხვავა).

**ხუციშვილები** – უბანი სოფლის ცენტრში. ხუციშვილები ენუქიძეების შტოგვარია (წკადისი).

**ხუციშვილების უბანი** – ნასახლარები ყიყვის მარჯვ. მხარეს (აბარი).

**ხუციშვილების ღელე** – ღელე, ყიყვის მარჯვ. შენაკადი (აბარი).

**ხუჭუტაური//ხუჩუტაურა** – სახნავი (ქვემო კრიხი).

## ჯ

**ჯავახიძეების უბანი** – უბანი, ჯმუხაძეების უბნის ნაწილი (ნიკორწმინდა).

**ჯავახიძის გობი** – სამოვარი ვაკენაძვნარში (ნიკორწმინდა).

**ჯავახიძის შურო** – შურო ჯავახიძეების უბანში (ნიკორწმინდა).

**ჯავისა** – სახნავ–სათესები კიბულის თავზე. რესპ.: „ჯავისა, გადმოცემით, პირველმოსახლის სახელია. აქ ცხოვრობდნენ გოგობერიშვილები და კიკილაძეები. მათ ჯავისლებს უწოდებდნენ, ხოლო მათ უბანს – ჯავისლების უბანს“. (წესი).

**ჯავისას ყოფილი** – ვენახი ჯავისაში. ეკუთვნოდა ჯავისას (წესი).

**ჯავისლები//ჯავისლების უბანი** – ერქვა უბანს კიბულის თავზე. იხ. ჯავისა (წესი).

**ჯალაურ(ებ)ი** – სათიბი, ფერდობი ღელისუბანში, ღვიარაღელის მარჯვ. მხარეს (ღვიარა).

**ჯამთაკეული** – ტყე, სახნავი. იგივე ჯანთაკეული (მოტყიარი, კაჩაეთი).

**ჯანგარეული** – ტყე, სახნავი შაორის წყალსაცავის შემოგარენში, სამზიართან (უყეში).

**ჯანგიძეები//ჯანგიძეების უბანი** – უბანი ღვიარაღელესა და ლაშისთავიღელის ზემო წელს შუა (ბოსტანა).

**ჯანგიძეების უბანი** – 1. უბანი. იგივე ჯანგიძეები (ბოსტანა).

**ჯანელიძეების ტყე** – ტყე. იგივე ჯანელიძისეული (ძირაგეული).

**ჯანელიძეების უბანი** – 1. უბანი დვლების უბნის გვერდით. ჯანელიძეები ჯმუხაძეების განაყოფია (ნიკორწმინდა); 2. უბანი სოფ. ხიმშის საზღვართან (ამბროლაური); უბანი ქედის კალთაზე (სადმელი).

**ჯანელიძეების წყალი** – წყარო ჯანელიძეების უბანში (სადმელი).

**ჯანელიძის ტყე** – ტყე ჯანელიძეების უბნის შემოგარენში (ნიკორწმინდა).

**ჯანელიძისეული//ჯანელიძეების ტყე** – ტყე სარეკისმთის სამხრ. კალთაზე (ძირაგეული).

**ჯანთაგეული** – ტყე, სახნავი. იგივე ჯანთაკეული (კაჩაეთი).

**ჯანთაკეული//ჯანთაგეული//ჯამთაკეული** – ტყე, სახნავი დოხნაძეებსა და ლემანეურს შუა (კაჩაეთი, მოტყიარი).

**ჯაფარეულა//ჯაფარეული** – საძოვარი დიდველის გვერდით (შუა კრიხი, ზემო სხვავა).

**ჯაფარეული** – საძოვარი. იგივე ჯაფარეულა (შუა კრიხი, ზემო სხვავა).

**ჯაფარიძეები** – მიკროუბანი ნამწვანებსა და გოგობერიძეების უბანს შუა (კვაცხუთი).

**ჯაფარიძეები//ჯაფარიძეების უბანი** – უბანი ქვემო სხვავაში, კაციტაძეების უბანსა და დავლიანიძეების უბანს შუა (შუა სხვავა).

**ჯაფარიძეების ვაკე** – სახნავი შუა უბანში (აზარი).

**ჯაფარიძეების ნაახოვარი** – საძოვარი სარეკისწვერის ჩრდ–ით, ყრუღელის მარცხ. მხარეს (ძირაგეული)

**ჯაფარიძეების უბანი** – 1. უბანი რიონის მარჯვ. ნაპირზე (სადმელი); 2. უბანი სოფლის ცენტრში, ხეორის ორსავე მხარეს (ლიხეთი); 3. უბანი ქედისღელის მარჯვ. მხარეს, გელოვანების უბნის გვერდით. ცხოვრობენ ჯაფარიძეები (ძირაგეული); 4. უბანი, შუა უბნის ქვემო ნაწილი (აზარი); 5. უბანი. იგივე ჯაფარიძეები (შუა სხვავა).

**ჯაფარიძის სასაფლაო** – სასაფლაო ჯაფარიძეების უბანში (სადმელი).

**ჯაფინაური** – ტყე სახნავ–საძოვრებით სუთიძეების უბნის განაპირას, ცივწყაროუასთან (შხივანა).

**ჯაჭვის ხიდი** – ხიდი. იგივე ბოგირა (ხოტევი).

**ჯახვლარები** – დაცემული ვაკე სასალაოსა და ძირაგეულს შუა. „აქ ხარობს მცენარე ჯახველი“ (კვაცხუთი).

**ჯახვლარი** – სახნავი ორტყეშუას ჩრდ–ით, სარეკის გვერდით. რესპ.: „აქ ბევრი ჯანხველა იცოდა“. მაშასადამე, ჯახველი „ძახველი“> ჯახველნარი > ჯახვნარი > ჯახვლარი (ძირაგეული).

**ჯახვლარი** _ საძოვარი ნაყორბალთან (ქვედა თლუღი).

**ჯელაძეების უბანი** – უბანი ლუხუნის მარჯვ. მხარეს. იყოფა: **ზედა ჯელაძეები** – გზის ზემოთ, **ქვედა ჯელაძეები** – გზის ქვემოთ (ურავი).

**ჯელთა** – სახნავი ქვ. თლუღის საზღვართან, ღელისასა და გოდრეულას შორის (ზედა თლუღი).

**ჯელთისპირი** – სახნავი ჯელთის გვერდით (ზედა თლუღი).

**ჯერვეთი** – სამოვარი ქვემო სხვავაში, კრიხულის მარცხ. მხარეს (შუა სხვავა, ზემო კრიხი).

**ჯვარ(ებ)ი** – სანახშო უთმელიძეებში (ზნაკვა).

**ჯვარები –** 1. სერი ფორიას მთის ჩრდ-ით (სადმელი); 2. სერი ფორიასმთის ჩრდ–ით. უწინ კლდეზე ჯვრები იყო (სადმელი); 3. სათიბი სოფლის ცენტრში. "აქ იდგა მუხა, მასთან მიჰქონდათ ჯვარი და ილოცებოდნენ, აქვეა ბერისწყალი და ბერის მუხები" (მოტყიარი).

**ჯვარი** – 1. გზისპირი, რცხილთაძირი სონკოსოს კალთის ძირას, ღვიარაღელისა და რიცეულის წყალგამყოფ ქედზე და დავაკება მთის გზაზე, ჯვარისღელის ნაპირას, სადაც დაილოცებოდნენ და ხურდა ფულს გადაყრიდნენ (ღვიარა); 2. მინდორი ნაქართებსა და ქორიბუდეს შუა და სახნავი კორღანოს გვერდით, სადაც „გზაგასაყარზე ჯვარი იყო აღმართული. გზა მიემართებოდა გორისტევის წმინდა გიორგისაკენ მახაროზელას გავლით“ (ველევი); 3. გზათგასაყარი ბაზრისუბანში (ნიკორწმინდა); 4. გზაჯვარედინი სოფლის სხვადასხვა ადგილას: ღურღულეთში, კანჩის წყალთან, თევზაძეებში, ნასათიზევში (ახალსოფელი)5. ეკლესია საჯვარეში, სუთიძეების უბნის თავზე, სადაც ამჟამად სასაფლაოა. რესპ.: „ეკლესია იყო ჯვარის სახელობისა. იხ. საჯვარე“ (ძირაგეული); 6. სალოცავი სამთისის საზღვარზე. დგას ცაცხვი და მასზე ჯვარია მიმაგრებული. უწინ ყოფილა ეკლესია, რომელიც მეხის დაცემის შედეგად დამწვარა, ეს ჯვარი კი გადარჩენილა (მუხლი); 7. სალოცავი მუხა კაჩაეთის (დვლების უბნის) საზღვართან და მინდორი

გორიკარსა და ქართველიშვილებს შუა. "ნაძვები დგას და წმინდა ადგილად ითვლება" (ჭელიაღელე). ჯვარი ეწოდება გზაჯვარედინებს, სალოცავებს, სახნავ–სამოვრებს, ტყეს, ბორცვებს აგრეთვე კვირიკეწმინდაში, ხიმშში, ხოტევში, კაჩაეთში, წკადისში, უყეშში, ზედა თლუღში, ქვედა თლუღში, აგარაში და სხვ.

**ჯვარი//საჯვარე** – სალოცავი ადგილი ზემო უბანში. „აქ უწინ ორი ძველთაძველი მუხა მდგარა, ახლა კი ერთი ახალგაზრდა მუხა დგას. „ვისაც აქ მოსვლა უნდა, ცხენიდან ჩამოდის და ფეხით აგრძელებს გზას“ (ზემო კრიხი).

**ჯვარი//ჯვარუკა//ჯვარუკის სალოცავი//ჯვარის სალოცავი** – სალოცავი ლუხუნის მარჯვ. მხარეს, სოფლის შემოგარენში (ურავი).

**ჯვარიანთელა** – ერქვა ტყეს ფორიას ქედზე, ლიხეთისა და სადმელის წყალგამყოფზე (ლიხეთი).

**ჯვარიგვერდი** – ქედი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ხოტევის საზღვართან, სამჭიკიისა და კვიტაურის გვერდით (ჭელიაღელე, კაჩაეთი).

**ჯვარიგვერდის ტყე** – ტყე მენაბდეების თავზე (ხოტევი)

**ჯვარიგორა** – ბორცვი, ბღუანის მწვერვალი აბარულისა და სერულის წყალგამყოფზე (აბარი).

**ჯვარიეწერი** – სამოვარი ლემანეურში (კაჩაეთი).

**ჯვარიმუხა** – გორა, სამოვარი სერულის მარცხ. მხარეს, პრასელსა და პატარა ღელეს შუა. რესპ.: „გორა ჯვარივითაა“ (ლიხეთი).

**ჯვარისა** – სალოცავი ჯვარულასუბანში, ბუგეულის საზღვართან (საკეცია).

**ჯვარის გზა** – გზა. ჯვარიდან გადადის კვირიკეწმინდისაკენ (ველევი).

**ჯვარი(ს)ზურგი** – მინდორი ზნაკვა-ნაეკლესიევის საურმე გზაზე, ცივწყალასა და გაღმა ჭალას შუა (ზნაკვა, მოტყიარი).

**ჯვარის სალოცავი** – სალოცავი. იგივე ჯვარი (ურავი).

**ჯვარის ტყე** – ტყე ჯვართან, ყორღანოსა და გორისტევს შუა (ველევი, კვირიკეწმინდა).

**ჯვარისღელე** – ვაკე-სახნავი დოხნაძეებში (კაჩაეთი).

**ჯვარიყანა** – მინდორი მთავარანგელოზსა და ჩლაიძეებს შუა (ზემო სხვავა).

**ჯვარიყანა** – საძოვარი აბარულის მარცხ. მხარეს (აბარი).

**ჯვარიყელი** – სახნავი ნაეკლესევისაკენ მიმავალ გზაზე (კაჩაეთი).

**ჯვარიჩამოსავალი** – სათიბი ლემანეურში, კაჩაეთის საზღვართან (მოტყიარი).

**ჯვარსუკანი** – ტყე ჭვარების კალთაზე (სადმელი).

**ჯვარუკა** – სალოცავი. იგივე ჯვარი (ურავი).

**ჯვარუკას სალოცავი** – სალოცავი. იგივე ჯვარი (ურავი).

**ჯვარულა(ს)უბანი//ზედა მიქიაშვილების უბანი** – მიკროუბანი ბუგეულის საზღვართან, ზნაკურის მარცხ. მხარეს (საკეცია).

**ჯვარულას ღელე** – ღელე, ზნაკურის მარცხ. შენაკადი. მოედინება ჯვარისადან (საკეცია).

**ჯვარცმა** – ეკლესია საფერციხოში. გაჰყურებს წმინდა თედორეს (ღვიარა).

**ჯვენაშარები** – საძოვარი. იგივე ძვენაშარები (სადმელი).

**ჯვენაშარების რიყე** – რიონის რიყე ჯვენაშარებთან (სადმელი).

**ჯვრის ღელე** – ღელე ქვემო სხვავაში, სამთო გზაზე (შუა სხვავა).

**ჯვრისუბანი** – უბანი სოფლის სამხრ. ნაწილში, ჯვართან (ზედა თლუღი).

**ჯვრისუბანი//შუა უბანი** – უბანი ნარძიღელის მარჯვ. ნაპირზე აბუთიძეებსა, მესხებსა და მომცელიძეებს შუა. აქ გადის თლუღის გზა (აგარა).

**ჯვრისღელე** – ღელე, სალოცავაღელის შენაკადი. ჯვარი მცირე ვაკეა ამ ღელის ნაპირას, მთის გზაზე. ამ ადგილას ხურდა ფულს ყრიდნენ (ღვიარა).

**ჯიბაური** – ვენახი ბარსონიძეების შემოგარენში (ხიმში).

**ჯიბაური** – სახნავი ჩონისში. ჯიბაშვილისა ყოფილა (მუხლი).

**ჯიბრიაული** – სამოვარი დოხნაძეებში, ნაფერმალების თავზე, ლემანეურსა და ჭერულას შუა (კაჩაეთი).

**ჯიმჭრალები** – ტყე სარეკის სამხრ–ით, საფერხიცოს დას. ნაწილში. რესპ. პ. კერესელიძე: „აქ ერთგან, კლდის ძირში, იყო გაუვალი ჭინჭნარი“.

**ჯინჭარა//ჯინჭრალა** – სამოვარი ქედის აღმ. ნაწილში, ძირაგეულის საზღვართან. ჯინჭარი „ჭინჭარი“ > ჯინჭრნარი > ჯინჭარა; ჯინჭარი > ჯინჭრნარი > ჯინჭაარ (სადმელი).

**ჯინჭრალა** – სამოვარი. იგივე ჯინჭარა (სადმელი).

**ჯინჯიხაურები** – ვენახები ნაგუთნევის გვერდით. უწინ ჯინჯიხაძეები ცხოვრობდნენ. ამჟამად ჯინჭარაძეების სამოსახლოებია (ძირაგეული).

**ჯინჯორის ღელე** – ღელე, წესურის მარცხ. შენაკადი (წესი).

**ჯირიეთი** – ვენახი ქედიყანის განაპირას (კვაცხუთი).

**ჯირკ(ვ)ი** – სანახშო ჯირკისუბანში (ქვედა თლუღი)

**ჯირკვანი** – 1. ტყე მუხლისა და სამთისის საზღვარზე, მურუსიგორის ჩრდ-ით, სადაც, გადმოცემით, ჯირკვებს აგროვებდნენ. მაშასადამე: ჯირკვი > ჯირკოვანი > ჯირკვანი (ზემო სხვავა); 2. ტყე სხვავისა და ხიმშის საზღვარზე. რესპ.: „გაუკაფავთ, გაუჯირკვიათ და მხოლოდ გადაჭრილი ხეები დარჩენილა. ამიტომ უწოდებიათ ჯირკვანი“ (მუხლი).

**ჯირკისუბანი** – უბანი სოფლის აღმ. ნაწილში. ცხოვრობენ კაციტაძეები, გოგსაძეები, ქემოკლიძეები (ქვედა თლუღი).

**ჯიხურები** – კლდე, დიდ(ი)კდის ნაწილი (მოტყიარი).

**ჯიხური** – გორა. იგივე ჯიხურიგორა (ღვიარა).

**ჯიხურიგორა//ბეჟიაშვილის გორა** – გორა ღვიარაღელე–რიცეულის წყალგამყოფზე. დაჰყურებს სოფელ ბოსტანას. იშვიათი ვარიანტი: ჯიხური (ღვიარა).

**ჯიხურყანა** – სამოვარი ყიყვის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ყანები იყო და ჯიხური, ანუ ხულა იდგა. ყარაულობდნენ, რომ დათვს სიმინდი არ შეეჭამა“ (აბარი).

**ჯმუხაძეები//ჯმუხაძეების უბანი** – მიკროუბანი. იგივე ჭისუბანი (ნიკორწმინდა).

**ჯმუხაძეების ბაღი** – ბაღი კაპრალში (ნიკორწმინდა).

**ჯმუხაძეების სათიბები** – სათიბები. იგივე ჯმუხაძეების ჭაროფები (ნიკორწმინდა).

**ჯმუხაძეების ჭაროფები//ჯმუხაძეების სათიბები** – სათიბები საყინულის გვერდით, ხონჭიორის საზღვართან (ნიკორწმინდა).

**ჯობენაური** – შემაღლება აგარისა და უყეშის საზღვარზე, დოხნაძეების უბანისა და ჭარხალაურის გვერდით (ჭელიაღელე).

**ჯობენაურის სამოვარი** – სამოვარი ჯობენაურში (ჭელიაღელე).

**ჯობენაურის ტყე** – ტყე. იგივე ბაძამგალი ტყე (ჭელიაღელე).

**ჯორიპარია** – ერქვა ტყეს ხარისთვალასთან, რაც შაორის წყალსაცავმა დაფარა. რესპ.: „აქ შუროში მალავდნენ მოპარულ ჯორებს. ამიტომ შერქმევია ჯორიპარია“; სხვა რესპ.: „რომ მოწვიმდა, სათვალეში წყალი დიდდებოდა და პირუტყვს ითრევდა, ე.ი. იპარავდა და ახრჩობდა. სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს“ (ნიკორწმინდა).

**ჯორიპარიას შურო//ჯორიპარიის შურო** – შურო ჯორიპარიასთან (ნიკორწმინდა).

**ჯორიპარიის ღელე** – ღელე. იგივე ჯორიპარიის წყარო (ნიკორწმინდა)

**ჯორიპარიის შურო** – შურო. იგივე ჯორიპარიას შურო (ნიკორწმინდა).

**ჯორიპარიის წყარო//ჯორიპარიის ღელე** – ღელე ჯორიპარიაში (ნიკორწმინდა).

**ჯოხაიკარი** (< ჯოხაძისკარი) _ მინდორი ჯვარულაუბანში (საკეცია).

**ჯოხაძეები//ჯოხაძეების უბანი** – უბანი ლაშეთავიღელისა და ღვიარაღელის წყალგამყოფზე (ზოსტანა).

**ჯოხაძეების უბანი** – უბანი. იგივე ჯოხაძეები (ზოსტანა).

**ჯოხაძიკარი** – ტყე-სამოვარი წმინდა თედორესთან (ღვიარა).

**ჯოჯო(მა)გვერდი//ჯოჯომეთის ტყე** – ტყე-ბორცვი გორელების გორასა და ჯანგიძეებს შუა. ლაშითავიღელის მარცხ. მხარეს (ზოსტანა).

**ჯოჯომეთის ტყე** – ტყე-ბორცვი. იგივე ჯოჯო(მა)გვერდი (ზოსტანა).

**ჯოჯოხეთა** – ტყე, სამოვარი, კლდე მურუსიძეებში. რესპ.: "გზა ადიოდა საფუზურში, ტყე იყო დაბურული, შქერნალი და ქვიანი, მძიმე სავალი" (ზნაკვა).

**ჯურღმული** – ჩახევება საღორიის გვერდით, ჯავისასა და ტყეზურგს შუა (წესი).

**ჯუყულაური** – წყარო ქვემო სხვავაში, სამოვარი კრიხულის მარჯვ. მხარეს (შუა სხვავა).

**ჯღამაძისეული** – ვენახი კევლიშვილებში (საკეცია).

## ლიტერატურა


1. **ბერაძე, 2004** – თ. ბერაძე, რაჭა, თბ., 2004.
2. **ბოჭორიძე, 1994** – გ. ბოჭორიძე
3. **გამბა, 1987** – ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. პირველი, თბ., 1987.
4. **გეწაძე, 2002** – ა. გეწაძე, სხვებისთვის დასაფიქრებელი ჩემი ვარაუდი: გაზ. „რაეო“, ოქტომბერი, 2002.
5. **გიულდენშტედტი, 1962** – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1962.

6. **დიალექტოლოგია, 1962** – ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1962.
7. **თოფურია, 1961** – ვ. თოფურია, მთარაჭულის დახასიათებისათვის. ქესს, ტ. II, თბ., 1961.
8. **ორთოგრაფიული ლექსიკონი, 2008** – საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2008.
9. **ქ.ცხ., IУ** – ქართლის ცხოვრება, IУ. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
10. **ქსძ, III** – ქართული სამართლის ძეგლები. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.
11. **ქსე** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1–11, თბ., 1975–1987.
12. **ჭუმბურიძე,** 1987 – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987.

## შემოკლებანი

აღმ. _ აღმოსავლეთი
გვ. _ გვერდი
დას. _ დასავლეთი
თბ. _ თბილისი
ე.ი. _ ესე იგი
იხ. _ იხილე
მარცხ. _ მარცხენა
მარჯვ. _ მარჯვენა
მდ._ მდინარე
მინერ. წყალი _ მინერალური წყალი
რესპ. _ რესპოდენტი
ს. _ საუკუნე
საავტ. _ საავტომობილო
სამკ. _ სამკურნალო
სამხრ. _ სამხრეთი
სოფ. _ სოფელი
სს. _ საუკუნეები
სხვ. _ სხვა, სხვები
შდრ. _ შეადარე
ჩრდ. _ ჩრდილოეთი
ცენტრ. _ ცენტრალური

## პირობითი ნიშნები

< მომდინარეობს... დან

> გადაიქცევა ... დ

// მიუთითებს პარალელურ ფორმებზე (ვარიანტებზე)

( ) მიუთითებს, რომ ფრჩხილებში მოქცეული ასონიშნის ან ასო--ნიშანთა შესაბამისი ბგერები და ბგერათკომპლექსები ფაკულტატურია.

## დანართი

## ლუხუნის ხეობის ტოპონიმია

1969 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ახალი ქართული ენის კათედრასთან, შეიქმნა ტოპონიმიკის ლაბორატორია. იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან, სადაც ყოველწლიურად იმართებოდა ნორჩ ტოპონიმისტთა შეკრება. რაიონებიდან გამოგზავნილი მასალის ერთი ნაწილი ამჟამად თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის არქივში ინახება. მათ შორისაა ლუხუნის ხეობის ტოპონიმია, რომელიც 1969 წელს შეუკრებიათ ურავის რვაწლიანი სკოლის ნორჩ მხარეთმცოდნეებს:

ირა ალიკოს ას. გობეჯიშვილს
მარინე ნოეს ას. რეხვიაშვილს
ლეილა ცაგოს ას. ჩალაძეს
ავთანდილ ელგუჯას ძე ბეშიძეს

მერაბ გიორგის ძე ჯელაძეს
ელგუჯა არსენის ძე მეტრეველს

სარეკომენდაციო წერილს ხელს აწერს ურავის რვაწლიანი სკოლის მაშინდელი დირექტორი: **ალექსი ლუკას ძე ჯაფარიძე.** იგი აღნიშნავს, რომ ურავის რვაწლიანი სკოლის ნორჩმა მხარეთმცოდნეებმა წინა წლებში შეკრიბეს და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გააგზავნეს „ლუხუნის ხეობის ტოპონიმიის“ ძირითადი ნაწილი. ამჯერად კი (ე.ი. 1969 წელს) იგზავნება დამატებითი (ახალმოპოვებული) ტოპონიმური მასალა.

(იბეჭდება ანბანთ რიგის შეუცვლელად).

ქვემოთ იბეჭდება ურავის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სია:

### სოფ. ურავი

ახოები – საძოვარი
აკავანეების გორა – საძოვარი
ახუანი – სათიბი
აკავანას ღელე – ღელე
აკაკის ყანუკა – სახნავი
ახუაღელე – ღელე
აირანი – საძოვარი

ბლაშუკა ღელე – ღელე
ბღუანა – საძოვარი
ბოხიახო – საძოვარი
ბასუკეენვაკე _ საძოვარი

ბლაშუკა გორა – სამოვარი
ბლაშუკა გორას ღვანტი – სამოვარი
ბეგიახო – სამოვარი
ბეჭედა – სამოვარი
ბათლომეყანა – სახნავი
ბზები  სამოვარი
ბლაშის კლდე –კლდე
ბაბიკაური – სამოვარი
ბასიანას ტბა – ტბა
ბოხანეული – ყანა

გუგუშურის ვაკე _ სამოვარი
გიგუნაენყანები – სახნავი
გოჯებიახო _ სამოვარი
გრძელი ყანა _ სახნავი
გობეჯიშვილების სამოვარისთავი – სამოვარი
გერვანტის ვაკე _ სამოვარი
გეორგეენსათიბი _ სათიბი
გიორგის ბლაშუკა _ სამოვარი
გიორგის ახო _ წაბლნარი
გიგილას სათიბი _ სათიბი
გოგიას სათიბი _ სათიბი
გრიგოლასეული _ სამოვარი
გადაღმა _ სამოვარი
გოგიტელას სახნავი _ სახნავი
გაღმა მთა _ სათიბი
გაკოდილის სერი – სამოვარი
გორები _ ვენახები
გასაყარი _ გზები
გომელას წყალი – წყალი

დიმიტრიას ნაკაფი _ სამოვარი
დავითულიანნაბინავები _ სამოვარი
დიანოზას ბლაშუკა ღელე _ სამოვარი

დიდი ფაქუში _ სათიბი
დიდი ფაქუშის გორა _ სათიბი
დიდმოხვეული _ სათიბი
დათვისელა _ საძვარი
დავითუნეენახო _ საძოვარი
დავითულიანის ყანები – საძოვარი
დევლეთუნას სათიბი _ სათიბი
დიდი საჩქები _ წყალვარდნილი

ეკლებიან ვაკე – საძოვარი
ელებიანქედის წყალი – წყალი

ვანიაზიარი – საძოვარი
ვაკიახო – საძოვარი
ვასასის ხულუკა _ საძოვარი
ვიწრო აკავანა _ საძოვარი
ვაციწვერას მთა _ სათიბი
ვალამას ბინა _ ნაბინავები

ზაქარიას ახო – საძოვარი
ზოსიმესეული _ სათიბი

თათიანყანა – სახნავი
თედორეანთ ყანა – საძოვარი
თათიანთ ყანა _ საძოვარი
თომიას ბეგი _ საძოვარი
თელიხიდის ქვაბი _ გამოქვაბული
თედორესეული _ საძოვარი
თადულას ყანა _ საძოვარი
თათრის ნაბინავები _ ნაბინავები
თომას ნაბინავები _ ნაბინავები

იმფხლებიანვაკუნა – სათიბი
ილიკოს ჭყორო ბლაშე _ საძოვარი

ილიას ნათარჯალა _ სამოვარი
იაკოფას ყანის თავი _ სამოვარი
ისიდორას ვაკე _ სამოვარი
ილიკოს სათიბი _ სათიბი

კიკოლაენნაბინავები – სამოვარი
კოდებისძირი _ სამოვარი
კარება _ სათიბი
კრანტიწყალი _ წყარო
კილოყანა _ სამოვარი
კიმოთეს კოდი _ სამოვარი
კოსტაილას ნამოსახლი _ სამოვარი
კოლინდარა _ სამოვარი
კერვალიშვილისეული _ სამოვარი

ლუხუნი _ მდინარე
ლათაშურის ნაძვნარი – ნაძვნარი
ლათაშურის ვაკე _ სამოვარი
ლუხუნის ყანა _ სახნავი

მჟავეწყალაყანუკა – სამოვარი
მაღალყანისთავი – სამოვარი
მოსიკას ჭალები _ სახნავი
მელიტონას ზეგი _ სამოვარი
მაისურაძეების ყანა _ სახნავი
მალხაზაყანა _ სამოვარი
მეწყერას კოდი _ სამოვარი
მეშორიშორისთავი – სამოვარი
მაკრინეს წყარო – ნაკადული
მიხო ჯილო _ გამოქვაბული
მამუკაენთ სათიბი – სათიბი
მიწალების კოდი _ კოდი
მწარია – ყანა
მნათობი _ სათიბი

მაჩხველა ყანა _ სახნავი
მათიხველა _ საძოვარი
მოხანასეული _ ნაძვნარი
მიხეილას წყალი _ წყალი
მიხეილას ნამოსახლი – საძოვარი

ნასხარავა _ საძოვარი
ნაძვნარი – სათიბი
ნახორლები _ საძოვარი
ნასახტრის ასახვევი _ საძოვარი
ნეფიჭალა _ საძოვარი
ნადიკვარა  _ საძოვარი
ნამჭედურა _ საძოვარი
ნასხუნაენთ ყანა _ საძოვარი
ნასებიშვილების ყანა _ სათიბი
ნანოუკას სხლები _ საძოვარი
ნაყიდყანა _ სახნავი
ნახორლებისთავი _ საძოვარი
ნაკირებასთავი – საძოვარი
ნასხუნაენთ ყანები _ სათიბი
ნათარჯი _ საძოვარი
ნიკოვაკე _ საძოვარი
ნიკოიას ყანა _ საძოვარი
ნონიახო _ საძოვარი
ნალები _ საძოვარი
ნაჩალნიკის ნაბინავები _ საძოვარი
ნამყენა _ საძოვარი
ნაკალაფები _ საძოვარი
ნალთბუარა _ საძოვარი
ნიკოჭალა _ სათიბი

ოსების გადასავალი – სათიბი
ოთარას ნახულები – საძოვარი
ონაწყარო  – საძოვარი

ოსების ყანა _ სამოვარი
ობოლი წვერი – მწვერვალი

პლატონასსათიბისთავი – სათიბი
პატარაფაქუშისთავი – სათიბი
პატარა ფაქუში – სახნავი

რგალია – სამოვარი
რომანოზას ნაკაფი – სამოვარი
რატიანიყანუკა – სამოვარი
რგვალყანუკა – სახნავი
რუსლანას ყანა – სახნავი
რგვალსაყავრის ბოლო – სათიბი

სხეფური – მინდვრები
საჯინჭრიაღელე – ღელე
სოხორთული – მდინარე
საქერვალა – სამოვარი
სპირიდონას ახო – სამოვარი
საირმეს ნაძვნარი – ნაძვნარი
სამღებროს ნაძვნარი – ნაძვნარი
სარდიონას ყანუკა – სათიბი
სახსაროვაკე – სამოვარი
სამარტელა ყანუკა – სახნავი
საბუზიას ტბა – ტბა
საჩინოშვილების ყანა – სახნავი
სიკოსეული – სამოვარი
სამტრედე ყანა – სახნავი
სიმონას ყანა – სახნავი
სასუას სათიბი – სათიბი
სახარო ვაკე – სამოვარი
საჩალია – სამოვარი
საკაოს გადასავალი – სამოვარი
საბაროს ყანა – სახნავი

საწისქვილოს წყალი – ნაკადული
სანდრუას ყანა – სახნავი
სანახშირე ღელე _ ღელე
სამგლიარე ყანა – სახნავი
სასალესე – საძოვარი
სფრული – სათიბი
საურხისო – საძოვარი
სალომესეული – სათიბი
სონტარული – საძოვარი

ტაფურა – საძოვარი
ტონიას ნაბოსტნები – საძოვარი
ტყებლაში – საძოვარი
ტყიფარი – საძოვარი
ტიფოყანა – სახნავი

ურავის კოდუნა – კლდე
უყები – სახნავი
უნალას ვაკე – საძოვარი

ფაქუშის მინდორი – საძოვარი
ფუტურო ბლაშე – საძოვარი
ფაქუშის ღელე  – ღელე
ფრთხილარიანვაკე – საძოვარი

ქვაბუნა – გამოქვაბული
ქედი – საძოვარი
ქაჯიანის ნაძვნარი – ნაძვნარი
ქვაგახეთქილი – ქვაბი
ქორეთულასთავი – საძოვარი

ღელიმჟავეწყალი – მინერ. წყალი
ღელის ღვანკები – საძოვარი
ღვანტუკები – სათიბი

ყაფარი – მინდორი
ყაწილაენთ გორა – სამოვარი
ყაწილაენთ ჭალა – სამოვარი

შოშიკე ახო – სამოვარი
შემხმულები – სამოვარი
შალიუკეების ნაკაფი – ყანები
შოშიკე ალექსის ჭარებიანვაკე – სამოვარი
შორი ახუკა – სამოვარი
შორი ახოს ღვანტი – სამოვარი
შიუნასეულები – სახნავი
შხივანას წყალი – ნაკადული

ჩალის ყანა –  სახნავი
ჩიჩარი – სათიბი
ჩალიანის ყანუკა – სახნავი
ჩრდილიკოდი – სამოვარი

წითელყანუკა – სახნავი
წიფელაბეგი – სამოვარი
წიფლნარის ნაძვნარი – ნაძვნარი
წყალწყულები – სახნავი
წყალმაჭრის გადასავალი – სამოვარი
წყალმაჭრის ქვაბი – გამოქვაბული
წინა ახო – სამოვარი

ჭარებიანვაკე – სამოვარი
ჭყორობლაშე – სამოვარი
ჭალუკეები – სამოვარი

ხოლები – სამოვარი
ხოლების ტბა – სამოვარი
ხოლუკას წყალი – წყარო

ხარაჩო – სამოვარი
ხარითვალას წყალი – წყარო
ხუჩიანთეული – სამოვარი

ჯელაძეების ახო – სამოვარი
ჯიხურა – სამოვარი
ჯატიკარება – სათიბი
ჯვარიყანა – სახნავი

**სოფ. ლიხეთი**

არყებიაანსერი – სამოვარი
ახალი სათიბი – სათიბი
აზარის ნაზინავები – ნაძვნარი

ბატონისეული – სამოვარი
ბიჭიასეული – სამოვარი

დათიკოს ველტოფი – სამოვარი
დაკუნასეული – სამოვარი
დამწვარნაძვნარსერი – სამოვარი
დიდღელეები – სამოვარი

ვანუკას ჭალა – სამოვარი
ვაკეწვერი – სამოვარი

თელნარის გადასავალი – სამოვარი
თიშებიანი – სამოვარი

ევაკის ყანა – სახნავი

ივანეს ყანა – სახნავი
ისმაილას ყანა – სახნავი

კლდისწყარო – წყარო
კლდისძირი – სამოვარი
კარეტი – კლდე

ლეკნარისერი – სამოვარი

ნარიფხლევა – სამოვარი
ნიკიფორეს ჭალა – სამოვარი
ნალიის ყანა – სახნავი
ნაჯოგრის წყალი – ტყე

ოქრიას სათიბი – სათიბი

პოლიასეული – სამოვარი

რგვალსაყავრის ღელე – ტყე
რგვალსათიბი – სათიბი

სამელიქვა – სამოვარი
საკანაფოს ღელე – ღელე
სასადილოს სერი – სამოვარი
სამეჩეჩურე – სამოვარი
საფუტკრიისზოლო – სამოვარი
სხლუანი – სამოვარი
საჯვარე – სამოვარი

ტყეზურგის სერი – სახნავი
ტყეზურგისთავი – სახნავი

ფროსინეს ჩადუანი – სამოვარი

ყავლაშვილების ჭალა – სამოვარი
ყელისი – სამოვარი

შხივანას წყალი – ნაკადული
შოშიკეენთ სათიბი – სათიბი
შუა ყანა – სამოვარი

ჩადუანის დაბალი – სამოვარი

წვერიყანა – სახნავი
წესური – ნამვნარი

ჭალავაშლებიანი – სამოვარი

ხორხი – სამოვარი
ხეორისთავი – ნამვნარი

ჯვარიგორა – სამოვარი

### სოფ. აბარი

აბარულაახო – სამოვარი
ანეულის სერი – სამოვარი
ავღელე – ღელე
ეფენიას ყანა – სახნავი
ვაკეკედელა – სამოვარი
ლურჯანა – სამოვარი
ნავესლი – სახნავი

სარჩევი

წინასიტყვაობა .................................................. 3
ნაწილი პირველი (საკრებულოები, სოფლები, რესპოდენ-
ტები) .................................................................. 6
ნაწილი მეორე (ტოპონიმთა ლექსიკონი) – 58
ლიტერატურა – 383
დანართი: ლუხუნის ხეობის ტოპონიმია –386

პაატა ცხადაია
ვილენა ჯოჯუა

# რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი III

თბილისი
2010

ПААТА ЦХАДАИА
ВИЛЕНА ДЖОДЖУА

# РАЧИНСКИЕ ГЕОГРАФМЧЕСКИЕ НАЗВАНИЯ III

ТБИЛИСИ
2010

ტექსტის აკრეფა – **დოდო შონია**
დაკაბადონება – **ნინო ნინიაშვილი**

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2010


ამბროლაურის რაიონი
ამბროლაური